საქართველო ...იდია ბაჯაღლო ო... ...ისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№5(788)

1–7 თებერვალი * ფასი 1,50 ლარი



ჩემი ქორწილის დღეს ჯვრისწერაზე დაგვაგვიანდა. სამწუხაროდ, პატრიარქი გველოდა, უნდა დაველოცეთ, მაგრამ ველარ მივასწარით

გვ.54

გვ.10

როგორ გახდა გიორგი ცაავა ბერა ივანიშვილის რჩეული და როგორ აისრულა ოცნება რენი ჰარლინის დახმარებით

რა უხერხულ სიტუაციებში აღმოჩენილა სალომე შარვაძე და რაზე ნერვიულობდა ის მოტაცებისას

გვ.62

რა დაღი დაასვა დათო ფორჩხიძეს „ვოისში“ მუშაობამ და რატომ არ იცოდა მან, რომ სიმღერის მოპარვა შეიძლება



თიკო გავიცანი მონასტერში

გვ.55

რატომ ფიქრობს ერეკლე დეისაძე თიკო სადუნიშვილის გვარზე გადასვლას და რატომ დაურიგა მან თავის კონცერტზე მსმენელებს მარიხუანა



ორმოცჯერ მაინც ვარ სიკვდილს გადარ-ჩენილი

გვ.47

რატომ ეშინია ლიანა ისაკაძეს საქართველოში ჩამოსვლა და რა გამოუქვეყნა მას მეუღლემ



ჩემი მეუღლე პირველი სამი დღე საერთოდ შოკში იყო

საიდან „ჩამოფრინდა“ გოჩა სვანიძე ქართულ რაგბიში და რა აკავშირებდა მას ზურაბ ადეიშვილთან გვ.6



გვ.14

რა მუქარისა და ძალადობის გადატანა მოუხდათ დავით ოქიტაშვილსა და მის 13 წლის ქალიშვილს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების შემდეგ და რას აკეთებდა ზურაბ ჟვანია ყოველ დილა-საღამოს



ვინც ღორის გრიპი უკვე გადაიტანა, მისმა ორგანიზმმა ანტისხეულები გამოიმუშავა და ამ გრიპის მიმართ იმუნიტეტი აქვს

გვ.58

რა უნდა გავაკეთოთ ღორის გრიპის თავიდან ასაცილებლად და განსხვავებულია თუ არა მისი და სხვა გრიპების მკურნალობის მეთოდები



გვ.11

იყო თუ არა პაატა გულიაშვილის ცხოვრებაში ბევრი პარასკევა და რატომ არ გამოდიოდა მეუღლე გარეთ მისი სერენადების მოსმენისას

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# www.americanstyle.ge – პირველად საქართველოში! ონლაინ გაყიდვა ყველაზე კომფორტული პირობებით

## თქვენ მიერ შერჩეული სამოსი, ფეხსაცმელი თუ აქსესუარი, უკვე თბილისშია!


# ამერიკული პროდუქციის პირველი ონლაინ გაყიდვები საქართველოში

*უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში ონლაინ გაყიდვების ბუმია – მომხმარებელი, სხვადასხვა საიტის მეშვეობით, უცხოეთიდან პოპულარული ბრენდების ნაწარმს იძენს. ქართველი მომხმარებელი, ამ მომსახურებით რომ კმაყოფილია, ამაზე ონლაინგაყიდვების სტატისტიკაც მეტყველებს. მათთვის, ვისაც სურს, პოპულარული ბრენდების ნაწარმი უფრო სწრაფად, კომფორტულად და მათთვის ხელსაყრელი პირობებით შეიძინოს, სიახლეა!*

*პირველად საქართველოში – ამერიკული პროდუქციის ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი კომპანია „ლაიქი“ მსოფლიოში პოპულარული ბრენდების ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, ასევე, აქსესუარებისა და პარფიუმერიის ფართო ონლაინარჩევანს გთავაზობთ. მომხმარებელს საშუალება ეძლევა, ხელმისაწვდომ ფასებში გამოიწეროს მოდური და ხარისხიანი პროდუქცია არა უცხო ქვეყნებიდან, არამედ საქართველოშივე, ოპერატიული მომსახურებით. კომპანიის ახალი სერვისი უკვე დღეიდან ამოქმედდა ვებგვერდზე: www.americanstyle.ge სიახლის შესახებ „თბილისელები“ კომპანიის დირექტორს, ნინო კაპანაძეს ესაუბრა.*

**– ქალბატონო ნინო, რამდენი წელია, რაც თქვენი კომპანია ქართულ ბაზარზე შემოვიდა და რას სთავაზობთ მომხმარებელს?**

– შპს „ლაიქი“ ქართულ ბაზარს 2014 წლიდან შეუერთდა. კომპანია საქართველოში აწარმოებს მსოფლიოში პოპულარული ბრენდების პროდუქციის იმპორტს. მომხმარებელს ხელმისაწვდომ ფასებში ვთავაზობთ როგორც ტანსაცმლის, ფეხსამლისა და აქსესუარების, ასევე საყოფაცხოვრებო ნივთების დიდ არჩევანს და ეს ყველაფერი განკუთვნილია ქალბატონებისთვის, მამაკაცებისა და ბავშვებისთვის.

**– ვიცით, რომ კომპანიას თბილისში მაღაზიათა ქსელი აქვს. რატომ მიიღეთ ონლაინგაყიდვების გადაწყვეტილება?**

– დიახ, კომპანია დედაქალაქში რამდენიმე მაღაზიას აერთიანებს, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ბაზარზე ჯერ კიდევ ახალბედები ვართ, მეტი ცნობადობისთვის ონლაინგაყიდვებიც გადავწყვიტეთ. დარწმუნებული ვარ, ინტერნეტსივრცე მომხმარებელს საგრძნობლად გაგვიზრდის. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პროდუქციის ინტერნეტშეთავაზება საქართველოში სხვა კომპანიებს არ აქვთ და ამ მხრივ, ჩვენ პირველები ვართ. მომხმარებელი არჩეულ პროდუქციას მარტივად, მაქსიმუმ 2 დღეში მიიღებს, განსხვავებით უცხო ქვეყნებიდან გზავნილისა, რასაც მეტი დროს სჭირდება. ჩვენი მომსახურების ფორმა ითვალისწინებს, როგორც ადგილზე მიტანას, ასევე ადგილიდან გატანასაც. ჩვენს საიტზე პროდუქციის ღირებულების გადახდა მოქმედებს საბანკო ბარათების საშუალებით, რაც, თავისთავად, ფინანსური უსაფრთხოების გარანტიაა.

**– რატომ უნდა გააკეთოს მომხმარებელმა თქვენს პროდუქციაზე არჩევანი? რა არის ის უპირატესობა, რაც კონკურენტუნარიანს ხდის თქვენს კომპანიას?**

– ჩვენი მთავარი უპირატესობა სამი კრიტერიუმისგან შედგება - ეს არის ფასი, ხარისხი და მოდა. კომპანია ოპერატიულ რეჟიმში ახორციელებს ხარისხიანი, თანამედროვე და იაფი პროდუქციის იმპორტს საქართველოში, რომელიც გათვლილია ყველა სეგმენტზე. ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ ისეთ ბრენდებს, როგორიცაა: Kalvin Klein, DIESE, Black&White, H&M, Jones New York, US Polo, Kenneth Kole, BCBG Maxazria და სხვა. კომპანიის მაღაზიათა ქსელში საქონლის რეალიზაციამ აჩვენა, რომ აღნიშნულ პროდუქციაზე მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე დღითი დღე იზრდება.





კომპანია „ლაიქი“ www.americanstyle.ge

მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №46; საკონტაქტო ნომრები: 2 307 347; 570 703 737

# არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი თქვენი ჯანმრთელობისთვის

**რეპროდუქტოლოგიური ინსტიტუტის დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი გახლავთ პროფესორი არჩილ ხომასურიძე, საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტი; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; სრული პროფესორი; რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო აკადემიის წევრი; საბუნებისმეტყველო, მედიკო-ბიოლოგიურ და სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე 1984-2012 წლებში იყო ჟორდანიას ინსტიტუტის გენერალური დირექტორი. მის სახელს უკავშირდება ქართულ მედიცინაში უამრავი პროგრესული ნამოწყება – კონტრაცეპციის, ლაპარასკოპიული და „ინ-ვიტრო“ განაყოფიერების ტექნოლოგიების დანერგვა.

პროფ. ა. ხომასურიძის და მისი თანამებრძოლების ძალისხმევით, პირველად საქართველოს ისტორიაში, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამედიცინო დისციპლინა – რეპროდუქტოლოგია. ქვეყნის მასშტაბით დაიწყო მოსახლეობისა და ექიმებისთვის საინფორმაციო-



საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავება- და განხორციელება რეპროდუქციული ჯანმრთელობის საქმეში.

ბოლო წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის მედიცინაზე კომერციალიზაციის უარყოფითმა გავლენამ, განაპირობა ახალი რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის გახსნის აუცილებლობა, რომელიც ამჟამად საქმიანობას ახალ მისამართზე აგრძელებს.

არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი გაიხსნა 2014 წლის 14 იანვარს და დაკომპლექტებულია თანამშრომლებით, რომელთაც 50-წლიანი შეუფასებელი გამოცდილება აქვთ გინეკოლოგიურ ენდოკრინოლოგიასა და უშვილობის მკურნალობაში.

**ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:**

- ქალისა და მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ორსულობის ვადამდე მიუტანლობა (ჩვეული აბორტები);
- მაღალი რისკის ორსულთა მონიტორინგი;
- გინეკოლოგიურ-ენდოკრინოლოგიური დარღვევები რეპროდუქციული ასაკის ქალებსა და მოზარდებში (ჭარბი წონა, სიმსუქნე, ჭარბთმიანობა, აკნე, მტკივნეული მენსტრუაცია, საშვილოსნოსმიერი დისფუნქციური სისხლდენები და სხვა);
- მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კლიმაქტერული სინდრომის მართვას;
- ტარდება ჰემოსტაზის დარღვევების (ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი, თრომბოფილია) დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- კლინიკაში მოქმედებს ორსულთა მონიტორინგის უფასო სახელმწიფო პროგრამა;
- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეპროდუქციული ორგანოების სიმსივნეების ადრეულ გამოვლინებას და პროფილაქტიკას (მამოლოგიური და უროლოგიური სამსახური);
- მიმდინარეობს ხელოვნური განაყოფიერებისთვის პაციენტების სათანადო მომზადება, ხელოვნური ინსემინაცია;
- ტარდება რეპროდუქციული მასალის (სპერმის) კრიოპრეზერვაცია;
- ტარდება ტესტი წყვილთა შეუთავსებლობაზე ბიმუნოლოგიური და ცერვიკალური ფაქტორების დასადგენად;
- ლაპარასკოპიულ დიაგნოსტიკას და ქირურგიულ მკურნალობას ატარებს გამოცდილი ენდოსკოპისტი რამაზ ჩარექიშვილი;
- ინსტიტუტის რადიოლოგიურ სამსახურს მართავს მედიცინის აკადემიის დოქტორი ნინო დათოშვილი; მისი ხელმძღვანელობით ტარდება გამოკვლევები ექოსკოპიური, რენტგენოლოგიური, კომპიუტერული კიმოპერტუბაციის მეთოდებით;
- ინსტიტუტს აქვს ლაბორატორიული ქვედანაყოფი, რომელსაც ხელმძღვანელობს მედიცინის აკადემიის დოქტორი ნ. კვაშილავა. კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე სადიაგნოსტიკო და ლაბორატორიული აპარატურით; გამართული სამედიცინო პროგრამით, რაც აადვილებს პრაქტიკულ მუშაობას.

**პროფესორი არჩილ ხომასურიძე:** ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპია – პაციენტის ინტერესის დაცვა, პროფესიონალიზმი, გულისხმიერება, კეთილსინდისიერება. პრიორიტეტი კი – მომავალი თაობების აღზრდა და მთელი საქართველოს მასშტაბით სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

კლინიკის მოღვაწეობის უპირველესი პრინციპია კონფიდენციალობა, სადაც გამორიცხულია რაიმე სახით პაციენტის შეცდომაში შეყვანა ან არასწორად ინფორმირება; სწორედ ეს განგვასხვავებს ბევრი სხვა კომერციული კლინიკისგან. ინსტიტუტის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ ექიმმა ავტორიტეტი უნდა მოიხვეჭოს თავისი საქმიანობითა და პაციენტისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით და არა ყბადაღებული რეკლამით.“

ასე რომ, არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს საქმიანობას მსოფლიო მედიცინის თანამედროვე მიღწევების კვალდაკვალ თქვენი ჯანმრთელობისა და ოჯახების ბედნიერი მომავლისთვის.



**მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №13, 7-ე სართული**
**ტელ: (995 32) 2 24 00 99;**
**(995 32) 2 24 00 98.**
**ელ-ფოსტა: info@reproinstitute.ge**
**ვებ-გვერდი:**
**http:/www.reproinstitute.ge**

**ანა თაბაგარი**

# ოკუპანტური ლოგიკა

## რატომ ზრუნავს კრემლი ექსპრეზიდენტზე?!

გასულ კვირას გაირკვა, რომ **2008 წელს ქართველების ეთნოწმენდას ჰააგის სასამართლო გამოიძიებს.** თუმცა მანამდე, მაგალითად, ევროკომისიის დასკვნაში, მართალია, **მთლად ომის დაწყებაში არ დავუდანაშაულებივართ**, მაგრამ, **არც ბოლომდე მსხვერპლად გამოვუყვანივართ.**

გამომდინარე იქიდან, რომ **ევროკომისია მაინც პოლიტიზებული იყო** და **იმ დასკვნაზე მომუშავეთა ნაწილს რფ ესიმპათიურებოდა**, ხოლო **ნაწილს – ნელ-თბილი გრძნობები ჰქონდა**, შესაძლოა, **ჰააგაში ჩვენნაირი ობლის კვერიც კი გამოცხვეს** (ვინაიდან ეთნოწმენდის ფაქტი იმდენად აშკარაა, მთლად ბრმა თუ არ ხარ, წესითა და რიგით, უნდა დაინახო).



ასეა თუ ისე, ჩვენ **არ ვიცით, როგორ ან რას აპირებს ჰააგელი პროკურორი** (ან კი საიდან გვეცოდინება?!), თუმცა უკვე **ვიცით, როგორია რუსული რეაქცია**. კერძოდ, ჩრდილოეთში ბრძანეს, რომ, **თუკი ჰააგა თავისას არ მოიშლის** და მაინც შეეცდება ქართველების ეთნოწმენდის გამოძიებას, **მოსკოვი იმ დოკუმენტებს გამოამზეურებს, რომელთა წყალობითაც მიხეილ სააკაშვილი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდება.**

რთული სათქმელია, რა კავშირი აქვს მიხეილ სააკაშვილის დამნაშავეობა-უდანაშაულობას ქართველების ეთნოწმენდის ფაქტთან (ანუ, თუ მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა, ქართველების ეთნოწმენდა დანაშაულად აღარ ჩაითვლება?!). იმას გარდა, რომ მოსკოვის მისამართით იბადება რიტორიკული კითხვა: **აქამდე რატომ მალავენ, სააკაშვილის იმიჯსა და თავისუფლებას უფრთხილდებიან?!**

# დემოკრატიამინოლილები

## ანუ რა არის ჩვენი გამხარებელი

რაკი ჩვენ **გარშემო მენავთობე ქვეყნებს გასაჭირი დაუდგათ** – ცხადია, ნავთობის გაიაფების გამო, **დოლარის საჭიროებაც მოემატათ.** ამის გამო **მეზობელ აზერბაიჯანში სავალუტო ჯიხურებს,** არც მეტი, არც ნაკლები, **დოლარით ვაჭრობა აუკრძალეს**, ხოლო **ბანკებში კი ყოველდღიურად ერთ პირს,** სულ რაღაც, **500 დოლარის შესყიდვა თუ შეუძლია**. ხოლო ჩვენს მეზობელ **რუსეთში რუბლის კურსი ლამისაა ცას შესწვდეს.**



იმის გათვალისწინებით, რომ ამ ჩვენს ქვეყანაში **მრავლად რუსული და თურქული კომპანიაა** (თვით ბანკებიც კი), **ჩვენ კი დემოკრატიას „ვაწვებით“,** გასაგებია, რომ **დოლარზე მოთხოვნა არაადეკვატურად გაძლიერდა,** რაც **ამ ჩვენს ლარს უფრო ქვემოთ და ქვემოთ მოაქანებს.**

ამასობაში კი **Financial Times-მა გვაცნობა,** რომ **მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის წარმომადგენლები ბაქოში ჩაფრენილან,** რამეთუ **გუმანში აზერბაიჯანისთვის 4 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის დახმარება ჰქონიათ.**

მეტიც, მათ **რამდენიმე დღეში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების და აზიის განვითარების ბანკების სპეციალისტებიც უნდა შეუერთდნენო**.

ამბავი მართლაც **სასიხარულოა, რადგან ამ ჩვენს ლარს მანათის ტვირთი მაინც ჩაეხსნება,** თუმცა, ამის მიუხედავადაც, **იბადება რიტორიკული კითხვა: ერთ მილიარდს ჩვენთვისაც ხომ ვერ გამოაყოლებენ?!** –

# ცერემონიალმაისტერის მონატრება

## ვის აკლია კრეატივი?!

სავსებით ბუნებრივია, რომ **ნებისმიერი პოლიტიკური ძალა,** ერთი მხრივ, **ამომრჩევლის გულის მონადირებას ცდილობს**, ხოლო, მეორე მხრივ, **აქტიურ პოლიტიკურ ვაჭრობაში იღებს მონაწილეობას,** რათა **სარფიანად დაიბანდოს თავი**, რომ **საარჩევნო მარათონში რაც შეიძლება მეტი სკამი მოიპოვოს.**

ჰოდა, რაკი **ეს ჭეშმარიტება სამყაროსავით ძველია**, ჩვენც **მოთმინებითა და გულისყურით ვადევნებთ თვალს წინასაარჩევნო პოლიტიკური ძალების მოთელვით სამუშაოებს.**

მით უფრო, რომ **კარგად გვახსოვს მაკიაველის შეგონებაც**, პოლიტიკოსმა **ისე უტიფრად უნდა მოატყუოს ამომრჩეველი, ამ უკანასკნელმა ეჭვიც კი ვერ შეიტანოს**, თუ **ასეთ ტყუილს ძეხორციელი იკადრებდა**ო. იმას გარდა, რომ **ტყუილებიც მრავლად სმენია ჩვენს სამშობლოზე არანაკლებ მრავალტანჯულ ჩვენს ყურებს** და **ისეც გავუცუცურაკებივართ, პლატონ სამანიშვილის ტრაგედია მონაგონია**.

ასეა თუ ისე, სულ ახლახან ფოტო გავრცელდა, რომელზეც **„თავისუფალი დემოკრატების“ ორი ლიდერი:** პარლამენტის წევრი ბ-ნი აბაშიძე და საგარეო საქმეთა ნამინისტრალი ქ-ნი ფანჯიკიძე, **მეტროთი მგზავრობენ**.

ჩვენ, ცხადია, არ ვიცით, **ვინ გადაუღო მათ ეს „პაპარაცული“ ფოტო** ან **რატომ გადაწყვიტეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა** (მხოლოდ შეგვიძლია, ვივარაუდოთ), თუმცა, რაკი **ისეთი ცერემონიალმაისტერი გვყავდა** (ვგულისხმობ ბ-ნ სააკაშვილს) და ისეთებიც გვანახვა, აშკარაა, „თავისუფალ დემოკრატებს,“ **მიმართულებაში: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“, კრეატივი ნამდვილად არ აწყენდათ**. –


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – **ნინო ხაჩიძე,**
ჟურნალისტი – **თამუნა სამადაშვილი**
საზოგადოება და კულტურა: **ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე**
რელიგია: **ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე**
კრიმინალი და სამართალი: **ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე**

დაიჯესტი: **ლაშა გაბელია, ანა თაყაიშვილი**
მედიცინა: **ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე**
სტილისტ-რედაქტორი: **თამრიკო ზამთარაძე**
სტილისტი: **ნანა წერეთელი**
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: **თამუნა ახობაძე**
ოპერატორი: **მაია კარანაძე**
ფოტოკორესპონდენტი: **თინათინ მახათაძე**

მხატვრები: **ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე**
ოფისმენეჯერი: **თათია ფარესაშვილი**
იურისტი: **ქეთი უტიაშვილი**
მთავარი ეკონომისტი: **ნანა ბირჩაძე**
კომერციული მენეჯერი: **მარინა მჟავანაძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: **სოფი ლორია**
სარეკლამო სამსახური: **სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, ხატია ჟღენტი**
მარკეტინგის მენეჯერი: **ლევან მენთეშაშვილი**

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20; 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# ერთ თუ ეთნაირსქესიანები?!

## რუსული დესანტი – დემოკრატიის ნიღბით

რაკი ამ ჩვენს **ორიენტირ დასავლეთს ცხოვრების დონით** მაინცდამაინც **ვერ ვუტოლდებით**, არაა გასაკვირი, რომ **მავანთ უფრო იოლი გზა აირჩიეს**. თუმცა **საქმე მთლად სიიოლეშიც არ არის**: ამ მიმართულებას **ფინანსებიც ბლომად მოჰყვება ხოლმე** (და ეს ამბავი კარგად უწყის არასამთავრობო სექტორში დასაქმებულმა თითოეულმა ადამიანმა, რაგინდ რიგითიც უნდა იყოს ის).



ჰოდა, **რაკი იოლიცაა და კიდეც მოჰყვება**, ან, **შესაძლოა,** სულაც, **სხვა მიზეზით**, გავრცელებული ინფორმაციით, **ერთნაირსქესიანთა ქორწინების დასამკვიდრებლად ამ ჩვენს ტანჯულ სამშობლოშიც დაწყებულა ბრძოლა** (ოღონდ ჩვენში ჯიუტად იმეორებენ – ერთსქესიანთაო, თუმცა, რეალურად, ერთნაირსქესიანთაა, რადგან **სქესი ყველას ერთადერთი გვაქვს**).

კერძოდ, გასულ კვირას **საკონსტიტუციო სასამართლოსთვის „ლგბტ“ პირების უფლებებათა დამცველ**, ადვოკატ ვინმე გიორგი **ტატიშვილს მიუმართავს**, რომელიც მოითხოვს, რომ **საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნოს სამოქალაქო ნორმა, რომელიც ქორწინებას ქალისა და მამაკაცის ერთობად განმარტავს**. ვინაიდან ტატიშვილი უბნობს, რომ **საჭიროა დაზუსტება იმისა**, რომ **ოჯახის დეფინიცია განა მხოლოდ ქალისა და მამაკაცის, მამაკაცისა და მამაკაცის,** აგრეთვე, **ქალისა და ქალის ერთობასაც გულისხმობს.**

მოლოდინიც დადებითი ჰქონია, იმ მარტივი მიზეზით, რომ **სარჩელში გერმანიისა და აშშ-ის კონსტიტუციების მაგალითები მოუხმია** და იმედოვნებს, რომ (კვლავ ციტატას მოვიშველიებ): **„შესაძლებელი იქნება ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება და ოჯახის დეფინიციის განსაზღვრა.“**

მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა, ჩნდება ეჭვი, რომ **კრეატიულობის სიმწირეა**, თორემ, **რაღა** მაინცდამაინც **ოჯახი და ქორწინება უნდა ერქვას მამაკაცი-მამაკაცისა თუ ქალი-ქალის კავშირს?!**

თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ **ხსენებული კამპანია ევრაზიული სივრცის მოტრფიალეთ ფრიად ნოყიერ მოტივაციას უქმნის**, კიდევ ერთხელ განაცხადონ, **თითქოს დასავლური ღირებულებები სხვა არაფერია, თუ არა ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება**, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი **არა ადამიანის უფლებების დაცვის**, არამედ სწორედ **ოკუპანტის წისქვილზე ასხამს მეტად უხვად წყალს**.

# უფლებები

## ანუ რამსებარეული დემოკრატია ქართულად

მაშინ, როდესაც ჩვენ, ცოტა არ იყოს, **რამსები აგვერია, ვინაიდან ვერ გაგვირკვევია ხეირიანად,** ბოლოს და ბოლოს, **რას ნიშნავს დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა**; უფრო ზუსტად, რომ **სხვისი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც იწყება ჩემი** (და, პირიქით), **კანადელმა მერმა მასტერკლასი ჩაგვიტარა**.



კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, **კანადაში მუსლიმანმა მშობლებმა მონრეალსა და მის გარეუბნებში მდებარე სკოლების სასადილოებში ღორის ხორცის მენიუდან ამოღება მოითხოვეს**, თუმცა დორვალის მერმა მათ **უარი სტკიცა, ოღონდ,** ყველა მშობელს ნოტა გაუგზავნა, რომელშიც უარის **მიზეზები აუხსნა**.

მომყავს ციტატა: **„მუსლიმანებმა უნდა გაიგონ, რომ ადაპტირება უნდა მოახდინონ კანადასთან და კვებეკთან. მათი ჩვევები და ტრადიციები უნდა დატოვონ იქ, საიდანაც ემიგრაციაში წამოვიდნენ.** მუსლიმანებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კანადელები არ არიან რასისტები, არ არიან ქსენოფობები... კანადელები არ აპირებენ, უარი თქვან საკუთარ ტრადიციებსა და იდენტობაზე... მუნიციპალიტეტი მართალი იყო, როცა არ წავიდა ისლამთან და შარიათთან დათმობებზე. **თუ თქვენ არ მოგწონთ სეკულარიზმი კანადაში და არ გრძნობთ თავს კომფორტულად აქ, არის 57 მუსლიმანური ქვეყანა, მათი დიდი ნაწილი ნაკლებად დასახლებულია, რომლებიც ფართოდ გაშლილი ხელებით მიგიღებენ.“**

მერს, იმავე წყაროს ცნობით, **არც რჩევა დაუმადლებია** (კვლავ ციტატას მოვიშველიებ): „თუ თქვენ იმ აზრით ჩამოხვედით, რომ შეგვავიწროვებთ და საბოლოოდ გაბატონდებით აქ, მაშინ ახლავე დაიწყეთ ჩაბარგება და გაბრუნდით უკან. ჩვენს ქვეყანაში არ არის ადგილი თქვენთვის და თქვენი იდეოლოგიისთვის. **თუ თანახმა ხართ, მიიღოთ ეს წინდადება, დარჩით, თუ არადა, მოემზადეთ წასასვლელად!“**



მეორე მხრივ, ადვილი წარმოსადგენია, **რა განგაშის ზარებს დაარისხებდნენ ჩვენებური არასამთავრობოელები, მსგავსი რამ რომ საქართველოს რომელიმე ქალაქის მერს ეთქვა**, რაც გვაძლევს საშუალებას, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: ჯერ ერთი, რომ **კვებეკელი მერი არც მონაა და არც გორსალა** და, რაც მთავარია, **ჩვენებურებს დემოკრატია**, სწორედაც რომ, **ჩვენებურების შევიწროება ჰგონია**?! –

# სკამის ფასი

## ბრიყვი თუ პროვოკატორი?!

გარდაბანში არჩევნები შედგა და, თუმცა **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გვაიმედებდნენ (**თუ თავს იიმედებდნენ), რომ **28-ში გარდაბანში „ნაციონალური“ დროშა აფრიალდებოდა, მთლად ასეც ვერ მოხდა.**

ვერ მოხდა, მაგრამ აწ უკვე ბ-ნმა სერგო რატიანმა გაანცხადა, **ეს მხოლოდ ერთია, მომავალში კი ასეთი 73 იქნებაო** (მართალია, ლოგიკა ცოტა უცნაურია – თუ იმ ერთში ვერ ივარგე, დანარჩენ 72-ში რაღა გავარგებს?! მაგრამ, რაკი პოლიტიკის წესია, თავი იქო და ოპტიმიზმით აავსო შენი მხარდამჭერები, მოდი, ჩვენც **ნუ გამოვეკიდებით ბ-ნ რატიანს სიტყვაზე).**



არჩევნები არჩევნებად, თუმცა გარდაბნურ არჩევნებზე სხვა რამ იყო საინტერესო: **გარდაბნის მეორე საარჩევნო უბანთან ვითარება დაიძაბა** (ჩვენ კი გვახსოვს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არასდროს იხევდა უკან, პარტიული ინტერესებისთვის თვით ეთნიკური დაპირისპირების გაღვივებაც კი გამოეყენებინა, რაც ფრიად საწუხარი შტრიხია პარტიისთვის, რომელიც ქვეყანას ათ წელს მართავდა), მშობლიური **მედია-საშუალებების ნაწილმა კი ასე გააშუქა მომხდარი**: „გარდაბანში N2 საარჩევნო უბანთან აზერბაიჯანელებმა და სვანებმა ერთმანეთს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ისინი ერთმანეთს ქვებს ესროდნენ. **როგორც აზერბაიჯანელები აცხადებენ, მათ თავს სვანები დაესხნენ. სვანების თქმით კი, საარჩევნო უბანთან აზერბაიჯანელებმა ამომრჩევლები სცემეს.“**

უდავოა, **ამის დამწერ-გამავრცელებელი ვერც სახელმწიფო აზროვნებით დაიკვეხნის** და, მით უფრო, **ვერც ზოგადად აზროვნებით.** მეტიც, საუკეთესო შემთხვევაში – **უნდა იყო ბრიყვი** (თან – განა უბრალოდ, თვით კუბში), თუ, რა თქმა უნდა, საქმე უფრო უარესად არ არის და **თვით პროვოკატორი არ ხარ**. –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**გასულ კვირას რაგბის კავშირის პრეზიდენტი ადვოკატი გოჩა სვანიძე გახდა. ქართველმა მორაგბეებმა „იმარჯვეს“ და, ფეხბურთელებისგან განსხვავებით, პრეზიდენტის არჩევნები მცირე სკანდალზე „გადაატარეს“, თუმცა, როგორ გახდა წარმატებული იურისტი და გახმაურებული საქმეების ადვოკატი გოჩა სვანიძე რაგბის თავკაცი, მაინც იქცა მითქმა-მოთქმის თემად. რა აკავშირებს გოჩა სვანიძეს ქართულ რაგბისთან და რა იწინასწარმეტყველა მან წლების წინ, ამას ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

# საიდან „ჩამოფრინდა“ გოჩა სვანიძე ქართულ რაგბიში და რა აკავშირებდა მას ზურაბ ადეიშვილთან

**– ბატონო გოჩა, მთლად „საიდან სადაო“ არაა თქვენი ამბავი, მაგრამ, მაინც გვითხარით, რატომ გადაწყვიტეთ ქართული რაგბის თავკაცობა?**

– ვერ ვიტყვი, რომ 1981 წლიდან, როდესაც ცხოვრება რაგბის დავუკავშირე, მას შემდეგ რაგბიდან სადმე წავსულვარ. სულ რაღაც ოთხწლიანი წყვეტა მქონდა, თუმცა შემდეგ უკვე იურისტის რანგში დავუბრუნდი ამ საქმეს. ის, რომ საზოგადოება ამ მხრივ არ მიცნობს, ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩემს შრომის წიგნაკში ბევრი სამსახური იყო, ტაქსის მძღოლი არ ვყოფილვარ, პარიკმახერი და მექისე – სხვა არაფერი „დამიკლია“ ***(იცინის).*** დიპლომი ინჟინერ-მექანიკოსისაც მაქვს და ამ მიმართულებითაც მაქვს ნამუშევარი. 1981 წელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი, როცა ზაფხულში მესამე შრომით სემესტრში მოვხვდი მურმანსკის ოლქში. მანამდეც სპორტულად ვცხოვრობდი – კალათბურთს ვთამაშობდი. მურმანსკში ჩემი სპორტული „მიმართულება” შეიცვალა, – ჩვენი გუნდი, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტისა და „გეპეის” სტუდენტებისგან იყო შემდგარი, იქ კალათბურთის ჩემპიონატში ფინალამდე გავიდა. მახსოვს, მითხრეს, კალათბურთის ნაცვლად, რაგბიში ხომ არ სცდიდი ძალებსო. რატომაც არა-მეთქი და, თბილისში დაბრუნებული, სამედიცინო ინსტიტუტის ახალ გუნდში, ჩემნაირ დებიუტანტებთან მოვხვდი.

**– ამ საქმემ, ისე ჩაგითრიათ, სანამ მოედანზე, როგორც იტყვიან, ცხვირპირის მტვრევა არ დაიწყო?**

– ცხვირ-პირის მტვრევა არ იყო პრობლემა, პირველი რეაქციები იყო მძიმე: მოედანზე გამოვდიოდი ჩემსავით დაბნეულ, გამოუცდელ ახალგაზრდებთან ერთად, უაზროდ დავრბოდით ზემოთ-ქვემოთ, ვინ ვის ეჯახებოდა, არც წესი ვიცოდით ხეირიანად, არც რიგი. სულ სხვა დატვირთვა იყო და სხვა სპეციფიკა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს შევეჩვიე. რამდენიმე კაცმა გადავწყვიტეთ, დაგვემტკიცებინა, რომ შეგვეძლო რაგბის თამაში და მერე ჩვენი გზა მოგვეძებნა. როგორც კი ამის დამტკიცება შევძელით, თავიც ველარ დავანებეთ – ისე ჩაგვითრია, დავრჩით და დავრჩით. რაგბი მაშინაც არსებობდა ჩემს ცხოვრებაში, როდესაც აქტიური საადვოკატო პრაქტიკა მქონდა. იმ პერიოდშიც ყველანაირად გვერდში ვედექი რაგბის: ვთანამშრომლობდი და ვმეგობრობდი რაგბის კავშირთან, გავაკეთეთ რაგბის მხარდამჭერთა ლიგა, გამოვეცით ჟურნალი.

**– აღმოჩნდა, რომ ქართულ სპორტს, მძიმე კულისები აქვს, პოლიტიკის ჩართვის გარეშე არც აქ გამოდის არაფერი – აგერ, ბატონო, გახდით პრეზიდენტი და უკვე ითქვა: ქართულ რაგბიში სააკაშვილი დაბრუნდაო.**



**ჩემი მეუღლე პირველი სამი დღე საერთოდ შოკში იყო**

– უფრო მძიმე ვერსიებიც მოვისმინე. ეს იმან იდარდოს, ერთი ნავიდან მეორე ნავში

## ცხვირ-პირის მტვრევა არ იყო ჩემთვის პრობლემა

რომ ხტებოდა. მე არცერთ ნავში არ ვმჯდარვარ, ჩემი ნავი მქონდა, ჩემი საქმე, რომელიც მძიმე წლებშიც კი არ მიმიტოვებია ***(იცინის).*** ახლა რომ დაიწყეს, საიდან გამოჩნდა ეს კაცი, ვინ არის, რა უნდაო – ყველას ჰგონია, რომ უცებ, საიდანღაც ჩამოვფრინდი. 12 წელი ვიყავი რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და, არ მესმის, ამის შემდეგ ჩემი აქ მოსვლა ვინმეს რომ უკვირს. პრობლემა სხვა რამ არის, რაც, რეალურად, ჩვენი საზოგადოების პრობლემაა: მახინჯმა პოლიტიკურმა სიტუაციებმა და ჩაკეტილმა წრემ შექმნა ეგრეთ წოდებული ვითომ ელიტური ბომონდი, რომელიც მუდმივად უნდა იყოს და არ გამოვიდეს მედიის ყურადღების ცენტრიდან. იცით, ირგვლივ რამდენი საინტერესო ადამიანია, საინტერესო წარსულით, ბიოგრაფიითა და ამბიციებით?! ჩვენ ხომ ასე გვჩვევია: სანამ საქმეს გავაკეთებთ, მანამდე უნდა ვიყვიროთ: „მე ვარ, მე ვარ!”. მთელი ცხოვრება ისე გავატარე, არასდროს გამიკეთებია იმის აფიშირება, რასაც ვაკეთებდი. მაშინაც კი, როცა როგორც ადვოკატი, გახმაურებულ საქმეებზე ვმუშაობდი, საზოგადოების წინაშე ვჩნდებოდი მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და არა იმიტომ, რომ თვითრეკლამა მეკეთებინა. ყოველთვის ვცდილობდი, არ შევსულიყავი ამ წრეზე და ასე გავაგრძელებ ახლაც. 21 წელია, ადვოკატი ვარ და, ვერავინ დამისახელებს პერიოდს, როცა მე რაიმე ფორმით ვიყავი გარეული პოლიტიკაში – არასდროს! სწორედ ის მიმაჩნია ჩემს დამსახურებად, რომ ყველანიარ ცდუნებას, სატყუარას გავუძელი და არ გავხდი პოლიტიკური პროცესების მონაწილე. არ დაგიმალავთ, რომ ამ წლებში მქონდა შემოთავაზებები, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, კარს მიმტვრევდნენ-მეთქი. მე ვიპოვე „გამოსავალი” – თემატურად ვთანამშრომლობდი ყველასთან, თუმცა იმის იქით პოლიტიკოსებთან საერთო არაფერი მქონდა.

**– თუმცა, თქვენ დღემდე ხართ წინა ხელისუფლების ყველაზე სკანდალური სახის – ზურაბ ადეიშვილის ადვოკატი.**

– ის რატომ გავიწყდებათ, რომ წინა ხელისუფლების მიერ რეპრესირებულ ადამიანებს ვიცავდი? მაგალითად, ზურაბ ჭანკოტაძეს? მისი საქმე სტრასბურგში, მისი გარდაცვალების შემდეგაც კი, დღემდე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს სახელმწიფოს. რაც შეეხება ზურაბ ადეიშვილს, მე მას ახლოს არ ვიცნობდი, მასთან არათუ მეგობრული, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, არანაირი ურთიერთობა არ მქონია. როდესაც მისმა წარმომადგენელმა მისი ინტერესების დაცვა შემომთავაზა და მე მას დავუსვი შეკითხვები, მისგანაც იყო წინადადება, რაც ჩემთვის იყო მთავარი, რომ მას სჭირდებოდა სამართალმცოდნე და არა პოლიტიკურად ანგაჟირებული ადვოკატი. როგორ შეიძლება, ადვოკატმა შეასრულოს თავისი პროფესიონალური ფუნქცია, თუ ის პოლიტიკური ნიშნით დაიწყებს იმის გარჩევას, ვის იცავს?! სხვათა შორის, ამას წინათ ფორუმზე დაიდო ჩემი ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დასაწყისში ნათქვამი ფრაზა, რომ, თუ დაჭირდებოდა ჩემი, როგორც ადვოკატის დაცვა იმ ხელისუფლების წარმომადგენლებს, როგორც პროფესიონალი, არც ამაზე ვიტყოდი უარს; ასე რომ, ახდა ჩემი წინასწარმეტყევლება ***(იცინის).***

**– ახლა რაგბის გამო საყვარელ საქმესთან შელევა მოგიწევთ?**

– რაგბის კავშირში იმდენი დროის დახარჯვა მომიწევს, ჩემი საქმისთვის ველარ მოვიცლი. ჩემი ფირმა განაგრძობს მუშაობას, ინტერესთა კვეთა არ მექნება და, შემიძლია ვთქვა, რომ უკვე ამ „ფრონტზე” – რაგბიში გადავინაცვლე, თუმცა, დიდი „გადანაცვლება” არც დამჭირვებია. იმის ძახილს არ დავიწყებდი, აქ ვარ-მეთქი! სიმართლე გითხრათ, დეკემბერში

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქალაქიდან

ზარი ფასიანია

# გახდი „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის“ წარმატებული სტუდენტი

**შემოხაზე რეგისტრაციის დროს 058**

1995 წლიდან იწყება „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის” ისტორია – დაფუძნდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ვლადიმერ (ვალერი) სუხიშვილის, მისი მეუღლის – რუსუდან გოხელაშვილისა და შვილის, მედიცინის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის – ეკატერინე სუხიშვილის მიერ.

„სუხიშვილის უნივერსიტეტი” თავისი მრავალწლიანი, გამოცდილებით, ერთ-ერთი წარმატებულია. უნივერსიტეტის ძირითადი მისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება და განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რეფორმების ხელშეწყობა გახლავთ.

უნივერსიტეტის მთავარი ამოცანაა თანამედროვე, მაღალკვალიფიციური, კომფორტული, სპეციალისტების მომზადება,

უნივერსიტეტის საკუთრებაშია სამი კეთილმოწყობილი კორპუსი, კეთილმოწყობილი, თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

ყველა პროგრამა აკრედიტებულია

## საბაკალავრო პროგრამები

| № | აკადემიური პროგრამის დასახელება | ადგილების რაოდენობა | სწავლის საფასური |
|---|---|---|---|
| 1 | სამართალი | 200 | 2250 |
| 2 | ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი) | 100 | 2250 |
| 3 | ტურიზმი | 100 | 2250 |
| 4 | საერთაშორისო ურთიერთობები | 70 | 2250 |
| 5 | საჯარო მმართველობა | 100 | 2250 |
| 6 | ფარმაცია | 30 | 1700 |
| 7 | ეკოლოგია (გარემოს დაცვა) | 50 | 1700 |
| 8 | ქართული ენა სომხურენოვანთათვის | 13 | 1700 |
| 9 | ქართული ენა აზერბაიჯანულ ენოვანთათვის | 13 | 1700 |

## სამაგისტრო პროგრამები

| № | აკადემიური პროგრამის დასახელება | ტესტის ტიპი | სწავლის საფასური |
|---|---|---|---|
| 1 | სატყეო საქმე | A | 1700 |
| 2 | საფინანსო საბანკო საქმე | B | 1700 |
| 3 | ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი | B | 1700 |
| 4 | აგრობიზნესის მენეჯმენტი | B | 1700 |
| 5 | საზოგადოებრივი ურთიერთობები | A | 1700 |
| 6 | ტურიზმის მარკეტინგი და მენეჯმენტი | B | 1700 |

## უნივერსიტეტის მიღწევები

* ოქსფორდი, სოკრატეს სამიტი, 2008 წ.

– საგანმანათლებლო პროგრამებში ევროპის ხარისხის ჯილდო;

* ოქსფორდი, სოკრატეს სამიტი, 2008 წ.

– ევროპი ლაურეატის მედალი;

* მალტა, 2009 წ. – რექტორის არჩევა ევროპის უნივერსიტეტის რექტორთა კლუბის წევრად;

* დარგის ლიდერი – საქართველო, 2015 წელი

* უნივერსიტეტის უწყვეტი ავტორიზაცია, აკრედიტაციის მოპოვება 2004, 2007, 2011 წლებში.

## უნივერსიტეტის პრიორიტეტებია

- სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს
- უფასო სტაჟირება დასაქმების პერსპექტივით
- საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა
- გაცვლითი პროგრამები
- უფასო აბიტურცენტრი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის
- საუკეთესო ინფრასტრუქტურა და გარემო
- სტუდენტზე მორგებული სწავლის გადასახადი – ოთხ ეტაპად ან ინდივიდუალური გრაფიკით

შეღავათი გადასახადზე ოჯახის რამდენიმე წევრზე

ყველა პირველკურსელს საჩუქრად გადაეცემა ტაბლეტი.

**შემოხაზე პირველ ნომრად 058**

**მიიღე 250-ლარიანი ვაუჩერი და გაატარე საუკეთესო სტუდენტური წლები „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში”**

**საკონტაქტო ინფორმაცია: თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ. N9ა; ტელ: 032 2 51 94 95**
**გორი, ცხინვალის გზ. N9; ტელ: 0370 27 05 57**
**ელფოსტა: info@Sukhishvili.edu.ge www.Sukhishvili.edu.ge FB: facebook.com/sukhishviliTeachinguniversity Twiter: @Sukhishviliuni**


ჩემს მიზნებში არ შედიოდა კავშირის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა. ეს მოხდა უცებ, როცა გია ნიჟარაძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა. მე მასთან დიდი ხნის, ახლო ურთიერთობები მაკავშირებს.

**– გია ნიჟარაძე, ფარული ჩანაწერების წყალობით, სკანდალს მაინც ვერ გადაურჩა. როგორც ადვოკატს, მეგობრის დაცვა ხომ არ მოგიწევთ?**

– მე არ ვფიქრობ, რომ მას დაცვა სჭირდება. სიმართლე გითხრათ, მის მიმართ განსაკუთრებული პრეტენზიები ვერ მოვისმინე. ამ გუნდმა კარგად იცის, რამდენი გააკეთა გია ნიჟარაძემ რაგბის განვითარებისთვის. დაინიშნება აუდიტი, დაიდება დასკვნა და ამ ყველაფერზე მერე ვილაპარაკოთ. მე ვაპირებ, მუდმივად ასეთი ეჭვები რომ არ იყოს, ყოველკვარტალური ანგარიშები გაკეთდეს; საზოგადოებას ვთავაზობ, რომ ხშირად „მომაყოლონ” რევიზიებში, ოღონდ, ჩვენი კარი ღია იქნება და ღია კარის მტვრევას ნურავინ დაიწყებს, შუშებს კარგად გავწმენდ და ყველაფერი უკეთ გამოჩნდება *(იცინის).*

**– ღირდა ამ ყველაფრად ეს პოსტი?**

– დიახ, როგორ არ „ღირდა”. რაღაც-რაღაცეების პრეზიდენტი მეც ვყოფილვარ, ასე რომ, პრეზიდენტობა არ იყო აქ მთავარი. რაგბი ჩემთვის დიდი ფასეულობაა, ახლა ამ საქმის წარმატებაა მთავარი; წარმატება კი, პირველ ყოვლისა, შედეგია. აქამდე ჩვენი საზოგადოების წარმატებებში პატარა აგურები მეც მაქვს დადებული და, თუ ამ საქმეშიც შევიტან ჩემს წვლილს, ამაზე დიდი წარმატება რა იქნება. ვიცი, ამას ბევრი შრომა დასჭირდება.

**– როგორია თქვენი ცხოვრება კადრს მიღმა?**

– კადრს მიღმა ჩვეულებრივი, რიგითი ობივატელის ცხოვრება მაქვს: ხან ვეცემი, ხან – ვდგები; დაცემას ვებრძვი ადგომით, სხვა მხრივ მშვიდი ცხოვრებაა – მეგობრები, ოჯახი, ორი შვილი, რომლებიც ცოტა ირონიით უყურებენ ჩემს ახალ პოსტს. მომწონს ეს თაობა – ნაკლებად აწუხებთ, მამა კავშირის პრეზიდენტი იქნება თუ – არა, სხვა ღირებულებებით ცხოვრობენ. ვერ ვიტყვი, რომ ამ სიახლით ძალიან ბედნიერია ჩემი მეუღლე. პირველი სამი დღე საერთოდ შოკში იყო და არ ლაპარაკობდა. როდესაც გუნდში ჩემზე შეჩერდა არჩევანი, ჩემი მეუღლე ძალიან დადარდიანდა. ცუდად არის ჩვენი საქმე-მეთქი, ვეხუმრე – იცის, რომ ახლა ფირმის მთელი საქმე მასზე გადავა, თუმცა, უკვე ორი წელია, ჩვენთან მუშაობს. პროფესიით ისიც იურისტია და, იმედი მაქვს, ყველაფერს გაართმევს თავს. ბევრი სამსახური გამოიცვალა და, ეტყობა, მისი გზაც აქამდე მოდიოდა – ცხოვრებაში ზოგადად ასეა: ლოგიკურად ლაგდება ყველაფერი.

**თამუნა ნიჟარაძე**






**ი ყ ი დ ე ბ ა**

**აგარაკი მარტყოფში, 400 კვ.მ მიწის ნაკვეთით.**

**პირველი სართული:** საერთო ოთახი, სამზარეულო, ბუხარი, აბაზანა.

**მეორე სართული:** ორი საძინებელი ოთახი, ჰოლი.

**მესამე სართული:** ტერასა *(სამი მხრიდან ჩაკეტილი).*

**ფასი შეთანხმებით. მობ.: 599 10 50 50.**

**თუმცა ქართველებსა და სომხებს შორის დავა არახალია, თემაზე – რა ვისი კუთვნილებაა (ხაჭაპურით დაწყებული და თვით მცხეთის ჯვრითა და ანანურის მონასტრით დამთავრებული), ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით სამი ფაქტი გამოიკვეთა: ჯერ ერთი, „დაისური“ ცეკვა „ქართული“ სომხურ ცეკვად გასაღდა; „ყვავილების ქვეყანა“ – სომხურ სიმღერად და 27 იანვარს ერევნის არარატს სოხუმის სტადიონზე უნდა ეთამაშა. მოგვიანებით, პირველი შემთხვევა გაუგებრობით აიხსნა (სომხური ანსამბლის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათთვის უცნობმა პირმა დაარქვა „იუთუბზე“ ატვირთულს „სომხური საქორწილო ცეკვა“); მეორე – შემთხვევითობით, „ყვავილების ქვეყნის“ სომეხმა ავტორმა განაცხადა, რომ მელოდია მას დამოუკიდებლად მოუფრინდა გონებაში. მესამე შემთხვევის ამბავი კი უცნობია, რადგან საქართველოს საგარეო უწყებას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია (იმედია, რეაქცია კომენტარზე ქმედითი ჰქონდათ). იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ბუნება იმპულსური და ფეთქებადია, დიდი ალბათობით, ზემოჩამოთვლილს სწორედ უარყოფითი ემოციის გამოწვევა თუ შეეძლო, რაც ბადებს საბედისწერო რიტორიკულ კითხვას: ვისი ინტერესი შეიძლება, იდგეს ამ ფაქტების უკან და რა მიზნით? ამ თემაზე კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელთან – ზაალ კასრელიშვილთან ერთად ვისაუბრებთ.**

# ვისი ინტერესია სომხეთისა და საქართველოს სავარაუდო ომი და რატომ შეიძლება, დააბრალოს რუსეთმა სომხეთს აფხაზეთის ომის დაწყება

**– რა მიზეზით შეიძლებოდა, აქტუალური გამხდარიყო ქართველებისა და სომხეთის მოქალაქე სომხების დაპირისპირების საკითხი?**

– სანამ კითხვაზე პასუხს გაგცემდეთ, ორიოდ სიტყვით მინდა, შევახსენო მკითხველს, რომ მეათე საუკუნეში სომხეთს სახელმწიფო აღარ ჰქონდა, ისევე, როგორც ალბანელებსაც და სომხეთისა და ალბანეთის ფეოდალები საქართველოს სახელმწიფოს სთხოვდნენ დახმარებას. მეათე საუკუნემდეც რამდენჯერმე ყოფილა სომხეთი საქართველოს პროტექტორატის ქვეშ, დავით აღმაშენებელმა კი ეს ორივე სახელმწიფო დამპყრობელს გამოსტაცა, სახელმწიფოებრიობა აღუდგინა, სომხეთს ქართველებისთვის სასურველი ხელმძღვანელები დაუდგინა და აზიასთან ბუფერული სახელმწიფო შექმნა სომხეთის სახით. იქიდან მოყოლებული, საჯიბრო ჩვენ სამხრეთელებთან, ანუ სომხეთელებთან არაფერი გვაქვს და თუ ვინმე გვიბედავს და გვეჯიბრება, ეს ქართველი ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების ბრალია. სხვათა შორის, მედიასაშუალებებისაც, რადგან ქართულ სატელევიზიო ეთერებში ან თურქულ ფილმებს ვუყურებთ, ან ინდურს, ან იმას, როგორ ლანძღავენ ერთმანეთს ქართველები. კავკასიისა და საქართველოს ისტორიის შესახებ ნარკვევები კი თითქმის არ არის. მეტიც, „სვეცკი“ ქართულ ცხოვრებაში გოიმობადაა მიჩნეული საქართველოს ღირსეულ წარსულზე ლაპარაკი და კავკასიის ისტორია ხომ საქართველოს მოსახლეობის 80-მა პროცენტმა არც იცის. არადა კავკასიის ისტორია, სწორედაც რომ, ქართული დიდების ისტორიაა.



**რაც უფრო მეტ გასაჭირს გაუძლებს საქართველო (და ეს 1992-დან დღემდე გრძელდება) და რაც მეტად საინტერესო გახდება დასავლეთისთვის, მით მეტად შეეცდებიან, რომ მეზობლები აგვიჯანყონ**

რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევებს: სომხეთში ყოველთვის არსებობდა ძალა, რომელიც იყო უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების სატელიტი საქართველოს წინააღმდეგ. ასე მოხდა 1918 წელსაც, თუმცა მანამდეც რამდენჯერმე აუჯანყდნენ სომხეთის მთავრები საქართველოს მმართველებს, რომლებიც, კავკასიის ფაქტობრივი მმართველები იყვნენ, უცხო ქვეყნების წაქეზებით. თავდაპირველად, ეს იყო სპარსეთის, შემდეგ – რუსეთის სპეცსამსახურები. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ სომხეთსა და მის ფარგლებს გარეთ არიან სომეხი პოლიტიკოსები და საზოგადოებრივად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც აფასებენ საქართველოს და ერთიან კავკასიურ სივრცეში მოიაზრებენ სომხეთის პერსპექტივასა და ისტორიას, რადგან მიაჩნიათ, რომ დღეს სომხეთის სახელმწიფო აღარ არსებობს. მართალია, მას აქვს დროშა, ჰიმნი, გერბი, მაგრამ ყველა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი სომხეთში ნაყიდი აქვს რუსეთის ფედერაციას: გაზი და გაზგამანაწილებელი; წყალი და წყლის გამანაწილებელი. ატომური ელექტროსადგური, ცემენტის მწარმოებელი საბადო, კაუჩუკის საბადო, ელექტროენერგიის წარმოება და განაწილება, რკინიგზა. ამდენად, ბუნებრივია, რომ უნდათ, მიითვისონ სხვისი. მეორე საკითხია, რატომ არ რეაგირებენ ღირსეულად ქართველი ისტორიკოსები იმ ფაქტებზე, რაც ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში ხდება. რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ყველა, გაყალბებულ ისტორიას ასწავლის. არცერთ ამ ქვეყანაში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს როლი და დიდება გამოკვეთილი არ არის, მაგრამ ქართველ მეცნიერებს ამის გამო პასუხი არავისთვის გაუციათ.

**– ჩვენი მეცნიერები ვერ ჩაერევიან სხვა ქვეყნების განათლების სისტემის მუშაობაში, ალბათ, გულისხმობთ, რომ საკმარისად არ აქვეყნებენ უცხოურ ენებზე ნაშრომებს და არ ავრცელებენ კომპეტენტურ ინფორმაციას საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ?**

– რა თქმა უნდა, დავა უნდა იყოს მსოფლიოს ისტორიულ და გეოგრაფიულ საზოგადოებებში, „იუნესკოში“ და ქართველ მეცნიერებს გვერდით უნდა ედგნენ ქართველი პოლიტიკოსები. რამდენიმე ცნობილი კავკასიოლოგია მსოფლიოში, მათ შორის, რუსეთშიც. რუსეთის ყველაზე დიდი კავკასიოლოგი გარდაიცვალა, მაგრამ უნიკალური მასალები დატოვა. საოცარია, მაგრამ ყველამ, რატომღაც, პროტესტი გამოხატა სიმღერის მელოდიაზე და არავის არაფერი უთქვამს, მომღერალს რომ ხევსურული ფორმა ეცვა სომხურად გადაკეთებული. ჩვენნაირ დიდ ერს არ უნდა გვიკვირდეს და არ უნდა გვაშფოთებდეს ასეთი ამბები და მსუბუქი დატუქსვით უნდა შემოვიფარგლებოდეთ, თუკი ქართველი ისტორიკოსები და მეცნიერები სწორ მისამართებს მოძებნიდნენ მსოფლიოში და საერთაშორისო მნიშვნელობის შენიშვნებს მისცემდნენ ჩვენი კულტურისა და ისტორიული წარსულის მიმთვისებლებს. თან, ეს ხომ არ არის პირველი შემთხვევა?! გვახსოვს ხომ, „შვიდკაცას“ დისკი რომ გამოუშვეს, სომხური პოლიფონიააო?! რა რეაქცია მოჰყვა მაშინ ამას?!

**– რაღაც კი მოვიმოქმედეთ, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, რა.**

– ჩვენებს რომ რამე ღირებული გაეკეთებინათ, ამას ვეღარ გაბედავდნენ. ჩვენები სადღეგრძელოებში არიან მაგრები და ახლა სოციალური ქსელებიც შეეშველათ. დედის გინების გამო მოგკლავს ქართველი, მაგრამ არ მოგკლავს სამშობლოს გინების გამო; საბურავი და აკუმულატორი რომ მოპარო, მოგკლავს ქართველი, მაგრამ ისტორიის, სიმღერისა და ცეკვის მოპარვისთვის არ მოგკლავს.

**– მაგრამ ეს ძალიან ახლომხედველური ძარცვა იყო: ვერ მიითვისებს ვერავინ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის, „ერისიონის“ მიერ შექმნილ ქართულ ცეკვებს, ვერც ქართულ პოლიფონიას და ვერც „ყვავილების ქვეყანას“. ამდენად, ამას მიზანი აქვს და რა შეიძლება იყოს ამის მიზანი?**

– რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის, სატელიტ ძალებს იყენებენ ქართველებზე ზემოქმედებისთვის. ვიღაცას ზუსტად აქვს გათვლილი, რომ ქართველი ემოციურია. რამდენიმე თვის წინათ სირიელი ლტოლვილების საქართველოში შემოყვანის თემა წამოსწიეს ეთნიკურმა სომხებმა და საკადრისი პასუხი გავეცით ჩვენ. იმაზე მეტი, ვიდრე ვინმე ელოდა, მათ შორის, მათ პატრონებსაც. მაგრამ ჩვენ ვერ გავცემთ პასუხს ყველაფერზე; მით უმეტეს, როდესაც მეცნიერული დასკვნებია საჭირო. რა თქმა უნდა, მათ აქეზებენ; რა თქმა უნდა, აფხაზეთით გვალიზიანებენ; რა თქმა უნდა, რუსეთის სპეცსამსახურები აკეთებენ ამას.

**– რაღაც მიზანს ხომ უნდა ისახავდეს ამგვარი ქმედება? სომხეთს რაში სჭირდება საქართველოსთან ურთიერთობის დაძაბვა?**

– ვიღაცას ძალიან უნდა, რომ სომხებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა დაძაბოს და სომეხი გამოაჩინოს ფიგურანტად ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულ თემაში, აფხაზეთის ოკუპაციაში და ჩვენსა და სომხეთს შორს ჩადგეს გამშველებლად.

**– ეს რუსეთის ცნობილი ტაქტიკაა.**

– და თუკი ჩვენ შორის მომრიგებლად ჩადგება და ჩვენ ამას მივიღებთ, შემდეგ ორივეს, ერთად, შემოგვთავაზებს ძმობასა და მეგობრობას თურქეთის წინააღმდეგ. იცით, რომ „ველიკაია არმენიას“ თემატიკა მას შემდეგ, რაც რუსეთსა და თურქეთს შორის

# რა დამატებითი შემოსავალი აქვს გერმანიიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძეს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე 1978 წელსაა დაბადებული. უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია. 1999-ში დაამთავრა ბაკალავრიატი, 2001-ში კი – მაგისტრატურაც. მისი შრომითი ბიოგრაფია 2000 წელს დაიწყო, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში: თავდაპირველად (2000 წლის ივნისიდან სექტემბრამდე), საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში, ატაშედ; ხოლო შემდეგ, 2001 წლამდე, პირველი ევროპული დეპარტამენტის მესამე მდივანი იყო. 2001-2003 წლებში პირველი ევროპული დეპარტამენტის მრჩევლად იმუშავა; 2003-დან 2006-მდე კი – საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში მრჩევლად; 2006 წლიდან ამას ხორვატიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში მრჩევლის თანამდებობაც შეუთავსა. 2007 წელს კვლავ ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის მრჩევლობას დაუბრუნდა. 2008-ში ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის პირველი ევროპული სამმართველოს უფროსად დაინიშნა. 2009-2010 წლებში ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გახდა. 2010-დან ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორად დააწინაურეს. 2012 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი იყო; 2013 წელს იმავე საელჩოში საქმეთა დროებით რწმუნებულად გადაიყვანეს. ხოლო 2014 წლის 17 ნოემბრიდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა. 2010 წელს მას საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგიც მიენიჭა.



ბ-ნი გიგიაძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2010 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორმა და ოჯახის წევრებად მიუთითა: მშობლები და მამიდა. იმხანად მათი ქონება შემდეგნაირი იყო: გიგი გიგიაძეს ეკუთვნოდა 60 პროცენტი ბინისა თბილისში, გუდიაშვილის მოედანზე (250 კვ. მ.), დანარჩენ 40 პროცენტს ფლობდა დედა; ასევე, ბ-ნი გიგიაძის საკუთრება იყო ბინა ბაკურიანში (85 კვ.მ.); დედის, ნანული ბურკაძის საკუთრება კი – აგარაკი მუხათწყაროში (700 კვ.მ.) და მიწის ნაკვეთი თეთრიწყაროს რაიონში (600 კვ.მ.); მამიდას, გულნარა გიგიაძეს ეკუთვნოდა ბინა თბილისში, მცხეთის ქუჩაზე (150 კვ.მ.).

რაც შეეხება შემოსავლებს: 2009 წლის განმავლობაში გიგი გიგიაძემ, როგორც ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, 26 851 ლარი აიღო, ხოლო ქ-ნმა ნანული ბურკაძემ, როგორც კარდიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელმა, 3 000 ლარი.

ბ-ნი გიგიაძის მიერ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2015 წლით თარიღდება, რომელიც მან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში შეავსო. ის უკვე მარტო ცხოვრობს და მისი ქონების ჩამონათვალი შემდეგნაირია: ბინა ბაკურიანში, ბინა, ავტოფარეხი და სხვენი (125 კვ. მ.) თბილისში, მცხეთის ქუჩაზე და ბინა გერმანიაში, ბერლინში (58 კვ.მ.).

რაც შეეხება შემოსავლებს: 2014 წლის განმავლობაში ბ-ნი გიგიაძემ, როგორც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 63 019 ლარი მიიღო, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ (თვე-ნახევარში), 11 696 ლარი. ასევე, შემოსავალი მიიღო თავისი გერმანული ბინის გაქირავებით – 7 716 ევრო.

**ნინო ხაჩიძე**

---

ურთიერთობა დაიძაბა, მეტად აქტუალური გახდა სომეხი მეცნიერებისა და პოლიტიკოსებისთვის. მაშინ, როდესაც „ველიკაია არმენია“, როგორც ისტორიული მოვლენა, არასდროს არსებულა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მოსახლეობას ადეკვატური რეაქცია ჰქონდა და ჩვენ სისტემურად და დინამიკურად უნდა მოვახერხოთ მეზობელთან არა მარტო სამართლებრივი, არამედ – სამართლიანი ურთიერთობა. როდესაც მეზობელი ისტორიულ ფაქტს ამახინჯებს, ჯერ მეცნიერულად უნდა დავუსაბუთოთ, რომ ცდება და შემდეგ მივცეთ საფუძვლიანი შენიშვნა. რაც უფრო მეტ გასაჭირს გაუძლებს საქართველო და ეს 1992-დან დღემდე გრძელდება და რაც მეტად საინტერესო გახდება, როგორც გეოგრაფიული ტერიტორია და სახელმწიფო დასავლეთისთვის, მით მეტად შეეცდებიან, რომ მეზობლები აგვიჯანყონ. რუსეთსა და საქართველოს შორის არანაირი ინციდენტი აღარ იქნება აღქმული დასავლეთის მიერ, როგორც რუსეთის წინააღმდეგ ქართველების მიერ დაშვებული შეცდომა. ყველამ იცის, რომ რუსეთი დამნაშავეა და ჩვენი ტერიტორიები აქვს მიტაცებული – არ აქვს მნიშვნელობა სააკაშვილის გამო მიიტაცა, შევარდნაძის თუ ვინმე სხვის. ახალი კონფლიქტი, რომელიც შესაძლოა, ქართველებსა და სომხებს შორის მოხდეს...

**– უშვებთ ამის ალბათობას?**

– თუ ერევნის „არარატი“ სოხუმში ჩავა, თუ ეთნიკური სომხები აფხაზეთში თავის კულტურულ და ეთნიკურ აქტიურობას გააძლიერებენ, რა თქმა უნდა, ამას მოჰყვება რუსეთის განცხადება, რომ აფხაზეთში ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რუსეთის კი არა, სომხების მიერ იყო პროვოცირებული და სამიზნედ სომხებს გამოგვიჩენენ.

**– და რას მიაღწევს ამით რუსეთი? ჩვენთან რომ დაარეგულიროს ვითარება? მაგრამ სომხეთი ხომ უზადოდ ასრულებს რუსეთის მოკავშირისა და სატელიტის როლს?**

– ამ ეტაპზე სომხეთში არსებული ძალები და შესაძლებლობები არ ჰყოფნის რუსეთს თურქეთის წინააღმდეგ. თურქეთის წინააღმდეგ მისთვის მოკავშირედ აუცილებელია საქართველო. ვერც 100 წლის წინათ მოუგებდა რუსეთი თურქეთს ომს, რომ არა ქართველები და ვერც ახლა ვერაფერს დააკლებს.

**– აჭარის დაბრუნებაში ქართველებმა ძალიან ვიაქტიურეთ.**

– აჭარა და აფხაზეთი ქართველებმა წაართვეს თურქეთს, ახლა როდესაც ქურთების გარდა მთელ თურქეთში არიან გურჯები, ლაზები და 20 მილიონამდე ალევი, რომლებიც არავინ იცოდა, რომ ქართველები იყვნენ. ორი თვის წინათ ჩატარდა გენეტიკური ანალიზი და გაირკვა, რომ ისინი ენთიკური ქართველები არიან, ბუნებრივია, საქართველოსადმი ინტერესი გაიზარდა. აზერბაიჯანისა და საქართველოს წაკიდება ცოტა რთულია, თუმცა ამასაც ცდილობენ „გაზპრომის“ თემით. ამიტომ აქცენტი გადატანილია ქართველებისა და სომხების დაპირისპირებაზე, რომ ნერვი მოგიშალოს და მერე დაგეხმაროს ჩაწყნარებაში. ჩვენ სხვა მიზეზს ვერ ვხედავთ. არ გვგონია, რომ ეს შეიძლება, იყოს კონკრეტული პიროვნების სიხარბისა თუ სხვისი ფასეულობის მითვისების სურვილი.

**– მაგრამ გამოსავალი უაზრო აგრესია არ არის და საერთოდ აგრესია არ არის პრობლემის გადაჭრის გზა.**

– რა თქმა უნდა. როგორ შეიძლება, აჰყვე ამბიციებს იმ ხალხისას, რომლებიც ამბობენ, რომ პირამიდებიც მათი აშენებულია, ნოეც სომეხი იყო და იესო ქრისტეს გარემოცვაც სულ სომხები ყოფილან. მაგრამ ჩვენმა მეცნიერებმა საერთაშორისო დონეზე უნდა გასცენ პასუხი ასეთ უვიც პრეტენზიებს და თუ ეს სახელმწიფოებრიობასა და ერის ინტერესებს ეხება, მაშინ დარგების სპეციალისტებმა უნდა გააკეთონ კატეგორიული განცხადებები და ასეთ დროს ანგარიში არ უნდა გაეწიოს არც მეზობლობას და არც ახლობლობას, იმიტომ რომ, მთავარი ჩვენი ინტერესებია. საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, სახელმწიფო საკუთრებაში უნდა აიღოს და დააპატენტოს ყველა კერძი, ყველა სასმელი, ყველა იარაღი და ამუნიცია; ყველა ჩასაცმელი, ყველა ლექსი და სიმღერა, რაც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აუცილებლად უნდა დააპატენტოს ყველა ის ტაძარი, ეკლესია, ციხესიმაგრე, ნაგებობა, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეცხრე საუკუნიდან დღემდე აღრიცხულია და აშენებულია ქართველების მიერ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: საკუთრივ საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთსა თუ ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს. ვინმემ იცის, რომ ყაბარდოში არის ქართული ყორღანი.

**– მე ვიცი.**

– სხვებმა არ იციან. ყაბარდოელი მეცნიერები ამბობენ, ქართველებმა ააშენესო, მაგრამ ჩვენ არ გვაინტერესებს. დერბენტის კედელი ისეთივე ისტორიული მნიშვნელობისაა, როგორც ჩინეთის დიდი კედელი, რომელიც დაღესტნიდან შავ ზღვამდე, კახეთის გავლითაც კი, არსებობს. მის გალავანზე ოთხი ცხენი გვერდიგვერდ ჭენდებოდა, მაგრამ სად ჩანს ქართველების როლი ამ კედლის მშენებლობაში?! დაღესტნელმა ააშენა ჩვენს ტერიტორიაზე ისე, რომ ჩვენ ვერ დავინახეთ?! ამ დროს კი ჩრდილოკავკასიელი მეცნიერები ამბობენ, თამარ მეფემ ააშენაო და დაიხმარა ჩრდილოკავკასიელები, იმიტომ რომ, მათ ჩვენდამი პატრონყმური დამოკიდებულება ჰქონდათ. ოღონდ ჩვენ არაფერს ვამბობთ. არც გვაინტერესებს.

**ნინო ხაჩიძე**

**„ტიფლისი" და „ქერჩი" ბოლო დროის ორი ყველაზე რეიტინგული ისტორიული სერიალია, რომლებმაც ყველა თაობის მაყურებელი მიაჯაჭვა ეკრანებს და ისინი ხშირად პრეტენზიასაც კი გამოთქვამენ იმის გამო, რომ საყვარელი სერიალების ყურება კვირაში მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ. ორივე სერიალში ერთ-ერთი წამყვანი გმირის როლს მსახიობი გიორგი ცაავა ასრულებს.**

# როგორ გახდა გიორგი ცაავა ბერა ივანიშვილის რჩეული და როგორ აისრულა მან ოცნება რენი ჰარლინის დახმარებით

**გიორგი ცაავა:** თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ თეატრალურში ჩამებარებინა და დავამთავრე კიდეც ხელოვნების ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი; ოჯახს კი უნდოდა, „გეპეიში" მესწავლა და ინჟინერი გამოვსულიყავი, რაც მამაჩემის პროფესიაა *(იცინის)*. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ათი წელი ვიმუშავე ენერგეტიკაში და, თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ მეორე პროფესიაც მაქვს.

**– თქვენი პირველი როლი რა იყო?**

– პირველი როლი მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე შევასრულე ზღაპარში „კომბლე". რაც შეეხება კინოროლებს, მათ შორის ყველაზე სახასიათო იყო „მანდარინებში" შესრულებული ეპიზოდური როლი. მიუხედავად ეპიზოდურობისა, მას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მნიშვნელოვანი იყო „რენე მიდის ჰოლივუდში" განსახიერებული ჩეკისტი და, არ შემიძლია, არ აღვნიშნო „აგვისტოს 5 დღე". ამ ფილმის გადასაღებად ჰოლივუდი ჩამოდიოდა, რეჟისორი კი რენი ჰარლინი იყო, რაც, ალბათ, ყველა მსახიობის ოცნებაა. მე მაიორის როლს ვასრულებდი, პოლკოვნიკი კი ენტონი ჰოპკინსს უნდა განესახიერებინა, რამაც შოკში ჩამაგდო, ისე გამიხარდა. საბოლოოდ, ჰოპკინსმა უარი თქვა, რადგან ეს პროპაგანდისტული ფილმი იყო, მაგრამ ეს ფილმი მაინც ძალიან დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი „ტიფლისია".



**კრუნჩხვებში ვვარდებოდით, რადგან, დღის განმავლობაში საკმარისი რაოდენობით წყალი არ გვქონდა დალეული**

**– როგორ ფიქრობთ, რა არის ამ სერიალის ასეთი წარმატების მიზეზი?**

– ალბათ, თვითონ ისტორია, ძველი თბილისი და ყარაჩოღელის თემა; სიმართლე, კაცობა და ქართველობა. ადამიანები ბავშვობიდან სხვადასხვა კლასიკაზე ვიზრდებით. დათა თუთაშხია ის ფილმი იყო, რომელსაც მე ბავშვობიდან ვუყურებდი და ალბათ, მისი მიბაძვით ყველა ბიჭი ომობანას და ყაჩაღობანას ვთამაშობდით. ამიტომაცაა, რომ „ტიფლისი" ყველას მოსწონს. ბედნიერი ვარ, რომ მასში მონაწილეობის საშუალება მომეცა. ახლა მეორე სეზონის ფინალურ ეტაპს ვიღებთ.

**– მეორე სერიალი, რომელშიც მონაწილეობას იღებთ, „ქერჩია", მანაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა.**

– „ქერჩის" გადაღებები არანორმალურ გარემოში მიმდინარეობდა: ზაფხულის გადაღებების დროს 45 გრადუსში გვიწევდა თამაში თბილისის ზღვის ტერიტორიაზე. გაუსაძლის პირობებში ვიყავით. საშინელ მზეში ზამთრის სამოსი გვეცვა და მოძრაობა აუტანელი იყო. სიცხისგან ხალხი ცუდად ხდებოდა. თუმცა, ამ ყველაფერს გადაღებისას ნაკლებად, უფრო მერე ვგრძნობდით. სახლში მისვლისას კრუნჩხვებში ვვარდებოდით, რადგან დღის განმავლობაში საკმარისი რაოდენობით წყალი არ გვქონდა დალეული. ზამთარში მეორე უკიდურესობა იყო – საშინელ ყინვებში გომბორში გვიწევდა მუშაობა, რომელიც, მგონი, ყველაზე ცივი წერტილია საქართველოში. ხშირად მცირე ტრავმებსაც ვღებულობდით, მაგრამ იმდენად ჩართულები ვიყავით საქმეში, რომ მართლა ვერაფერს ვგრძნობდით და ყველანი მთელი დატვირთვით ვმუშაობდით, რადგან ამისთვის ძალიან ნატურალური გარემო გვქონდა. თვითონ თემატიკა – 1942 წელი და ომი, რომელზეც ბაბუებისგანაც გვსმენია, ბევრი წაგვიკითხავს და ბევრიც გვიყურებია, – თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან ახლოა. ამიტომ დიდი პასუხისმგებლობა გვქონდა.

**– ამ ბრძოლაში ბევრ ჩვენგანს ჰყავს ოჯახის წევრი დაკარგული. როგორც ვიცი, თქვენი ოჯახიც დაკავშირებულია ამ ისტორიასთან.**

– ჩემი დიდი ბაბუა იბრძოდა ქერჩში. ის საქართველოში დაბრუნდა და დიდხანს იცოცხლა. პირადად მე მისი მონაყოლი არ მახსოვს, მაგრამ სხვისი ნაამბობიდან ვიცი მისი ისტორიები. გადაღებების დაწყებამდე ამ ბრძოლის შესახებ ძალიან დიდი ინფორმაცია მივიღეთ, ბევრ მასალას გადავხედეთ და შევისწავლეთ. შევხვდით ომის ვეტერანებს, რომლებმაც უამრავი ისტორია გვიამბეს და ისინი ფილმშია გამოყენებული.

**– ფილმში ძალიან მკაცრი და, ამასთანავე, ძალიან მზრუნველი ხართ. ჰგავხართ თქვენს გმირს?**

– ნამდვილად მზრუნველი ტიპია, მაგრამ მკაცრი. მკაცრი იმდენად, რამდენადაც საჭიროა. ომია, ქართველი ახალგაზრდა ბიჭები არაფრის აზრზე არ არიან და ჩემი პერსონაჟი უფრთხილდება მათ, რადგან მას უკვე აქვს ბრძოლის გამოცდილება. შესაბამისად, იცის, რა არის ახალგაზრდა ბიჭების სიკვდილი და აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად უფრთხილდება მათ სიცოცხლეს. ეს ყველაფერი ძალიან ემოციურია. ბევრგან ყრუანტელი გივლის და თვალზე ცრემლი გადგება. რაც შეეხება მსგავსებას, ეს ჩვენ შორის ნამდვილად არის. ცხოვრებაშიც, ალბათ, მზრუნველი ვარ. მიყვარს ჩემი მეგობრები, ოჯახი და მათ წინაშე დიდი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული. არ ვიცი, როგორ, მაგრამ, ღვთის წყალობით, ამ ყველაფერს ვართმევ თავს. ვცდილობ, სწორად ვიცხოვრო. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მკაცრი ვარ. მყავს ორი შვილი და მაქსიმალურად ვცდილობ, მეგობრულად გავზარდო. ამას ხედავენ და აფასებენ, ამიტომ მათთან სიმკაცრის გამოჩენა არ მჭირდება. შვილებისთვის ხმამაღალი სიტყვაც კი არასდროს მითქვამს, ხელის აწევაზე საუბარიც კი არ მაქვს.

**– რამხელა შვილები გყავთ?**

– უფროსი, ნიკოლოზი, 19 წლისაა და თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კურსზე სწავლობს ანიმაციის რეჟისორობას. ალექსანდრე 11 წლისაა. ჯერ პატარაა, მეექვსე კლასში სწავლობს და ცურვაზე დადის. ის უფრო მსახიობია, ვიდრე ნიკოლოზი, უკვე რამდენიმე ფილმშიც აქვს მონაწილეობა მიღებული.

**– „ქერჩის" პროდიუსერი ბერაა, აქტიურად არის ჩართული გადაღებებში?**

– ბერა ყველა ასპექტში ჩართულია და ყველაფრის საქმის კურსშია. მასთან ძალიან ხშირი კონტაქტი გვაქვს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის ივანიშვილების ოჯახისათვის, რადგან, უამრავ ადამიანს მისცეს საშუალება, საკუთარი საქმე აკეთონ.

**– ბუნებრივია, ძალიან გაგიხარდებოდათ, როცა ბერამ თავის რჩეულად დაგასახელათ.**

– რა თქმა უნდა, გამიხარდა, რადგან ბერა ჩემი უშუალო ხელმძღვანელია, ხელოვანია და მის აზრს დიდ პატივს ვცემ; ასევე, ძალიან ვაფასებ, როგორც ადამიანს. ბერა უაღრესად თავმდაბალია და, მინდა, მას ყველაფრისთვის დიდი მადლობა გადავუხადო.

**– საქმიანი ურთიერთობის გარდა, მეგობრობაც თუ გაკავშირებთ?**

– რა თქმა უნდა, მეგობრები ვართ, ერთმანეთს ხშირად ვხვდებით და სხვადასხვა თემაზე ვსაუბრობთ, იქნება ეს კინო, მუსიკა თუ სხვა. უკვე ოთხი წელია, ვთანამშრომლობთ და ამ პერიოდის განმავლობაში ბევრ პროექტზე ვიმუშავეთ ერთად.

**– მუსიკა თქვენი ცხოვრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ბოლო ხანებში ამისთვის დრო თუ გრჩებათ?**

– მუსიკალური განათლება არ მიმიღია, თუმცა პიანინოზე, დრამზე და გიტარაზე ვუკრავ და სიმღერაც მიყვარს. მსიამოვნებს, როცა ბენდთან ერთად დაკვრის დრო და საშუალება მეძლევა. ბოლო სამი წელია, „რეგიონთან" ერთად „არტგენზე" გამოვდივარ. დრო თუ მაქვს, ვწერ კიდეც, თუმცა, ბოლო პერიოდში, მოუცლელობის გამო, ოჯახის წევრების ნახვას ვერ ვახერხებდი და უზომოდ მენატრებოდნენ. მაგრამ, ჩემი მეუღლეც ხელოვანია და ესმის, რომ მსახიობის ცხოვრება რთულია. უფალს მადლობას ვუხდი, რომ კატოსნაირი ადამიანი შემახვედრა. ის რომ არა, დღეს, შეიძლება, სულ სხვანაირი ვყოფილიყავი... მოკლედ, ასეთ დროს მუსიკისთვის ნაკლები დრო მრჩება.

**ქეთი კაპანაძე**

**პაატა გულიაშვილი, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, ზაზა კოლელიშვილი, დათო ხუჯაძე, კახი კავსაძე, ჯაბა კილაძე, მანანა ჯაფარიძე, ვაკაჭი, რომან რცხილაძე, ქეთა თოფურია, ირაკლი ფირცხალავა, მანიკა ასათიანი, ნათია წიწილაშვილი, მარიამ სანოგო, ნანუკა გოგიჩაიშვილი – ეს იმ მსახიობების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც რეჟისორმა გიორგი კიკალიშვილმა გააერთიანა ფილმისთვის „რობინზონი და ცხრა პარასკევა“. გადაღებების შესახებ რობინზონის როლის შემსრულებელს, პაატა გულიაშვილს ვესაუბრეთ.**

# იყო თუ არა პაატა გულიაშვილის ცხოვრებაში ბევრი პარასკევა და რატომ არ გამოდიოდა მეუღლე გარეთ მისი სერენადების მოსმენისას

**პაატა გულიაშვილი**: ფილმი სახალისოა და, გადაღებებიც, თავისთავად, სახალისო იყო, განსაკუთრებით ჩემთვის, რადგან, ცხრა პარასკევასთან ერთად ორი კვირა ყოფნა ძალიან სასიამოვნოა ***(იცინის).*** ყველა სილიანები და ჭუჭყიანები ვიყავით. ვნახე, როგორები არიან ეს ჩვენი „ვეზდა“ გოგოები სამი დღის დაუბანლობის შემდეგ. ჭუჭყიანი ხელებით ჭამა უკვე აღარ გვიკვირდა და, ისეთი განწყობა გვქონდა, თითქოს მართლა კუნძულზე ვიყავით. პლაჟზე რომ მივდიოდით ხოლმე, საშინელი სიბინძურე გვხვდებოდა. ბოთლებსა და პარკებს კადრში ხომ არ გამოვაჩენდით, ამიტომ, სანაპიროს დამლაგებლის ფუნქციაც შევითავსეთ. გადაღების დაწყებამდე ვიცოდით, რომ ერთი საათის განმავლობაში სანაპირო უნდა დაგვესუფთავებინა. ერთმანეთზე უკეთესი პარტნიორი გოგონები მყავდა და მინდა მადლობა ვუთხრა მათ ჩემი მოვლისთვის. ჯერ ამ კოსტიუმებში გამოწყობილები რომ დავდიოდით, ეგ იყო ერთი სანახაობა. დრუპის კოსტიუმზე იყო ერთი ამბავი. მოგეხსენებათ, რამხელაცაა და დაახლოებით ერთი ვაგონი რულონი დაიხარჯა მისთვის ***(იცინის).***

**– რობინზონის როლი შეასრულეთ, რომელსაც ერთდროულად ცხრა პარასკევა ჰყავს. გაიხსენეთ, თქვენს ცხოვრებაშიც იყო ბევრი პარასკევა ქორწინებამდე?**

– ამ მიმართულებით გამორჩეული ნამდვილად არ ვარ და ძალიან ჩვეულებრივად ვცხოვრობ. შეყვარებული ყოველთვის ვიყავი, მაგრამ „პარასკევები” არასდროს მყოლია და არც მექალთანის იმიჯი მქონია. ოჯახის ერთგული ვარ და, თუ ვინმე ქორწინებამდე ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, ერთად ვყოფილვართ იმ გარკვეულ მომენტამდე, სანამდეც ერთმანეთს ვჭირდებოდით. არაფერი განსაკუთრებული.

**– თქვენი და თქვენი მეუღლის ურთიერთობის შესახებ მომიყევით.**

– ჩვენ ერთმანეთი თბილისში, მეგობრის სახლში გავიცანით. ყველაფერი ძალიან მალე, ერთ წელიწადში მოხდა. მაშინ თელავის თეატრში ვმუშაობდი. რომ გავიცანი, იმ საღამოს დავპირდი, ყოველი დღის ორ საათზე დაგირეკავ-მეთქი და არც მომიტყუებია – დიდი ხნის განმავლობაში, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ვახერხებდი, რომ მისთვის დამერეკა. ერთი წლის თავზე ჩვენი დაქორწინება ცოტა უცნაურად მოხდა: საღამოს მეგობრებთან ერთად ვსვამდი. საუბარი ნინოზე ჩამოვარდა – ეტყობა, იგრძნეს, რომ ძალიან დამწვარი ვიყავი ***(იცინის).*** უცებ გააჩერეს მანქანა, სადღაც მივდივართო და მიმაყენეს მის სახლთან. ნინო მაშინ ბახტრიონზე ცხოვრობდა და სახლის ჩუსტებით ჩამოვიდა. უკან ველარ დავიხევდი და ვუთხარი: ან წამოხვალ, ან არა-მეთქი და ნინოც ასე ჩუსტებით წამოვიდა ***(იცინის).*** ყველაფერი სპონტანურად გადაწყდა და მას შემდეგ უკვე 11 წელია, ერთად და კარგად ვართ.

**– ცოლად შერთვამდე არ დაგჭირვებიათ რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება მის მოსახიბლავად?**

– რა თქმა უნდა, მილიონი რამ იყო. ბევრჯერ მიმღერია ღამით მის აივანთან. მახსოვს, ერთხელ, ვსვამდით და ჩვენთან ერთად მეგარმონეები იყვნენ. რატომღაც, ავიჩემე, რომ ღამის 3 საათზე უნდა წამეყვანა ეს მეგარმონეები და ვაჟაზე მათთან ერთად მემღერა ნინოსთვის. საოცარი სიჩუმე იყო და, ეს კლარნეტი რომ აჭყიპინდა, ყველამ გარეთ გამოიხედა ნინოს გარდა. მეორე დილას მითხრა: მივხვდი, რომ შენ იყავი და მაგრად შემრცხვაო. თუმცა, ეს ქორწინების შემდეგ იყო. დაქორწინებამდეც მივედი მის დაბადების დღეზე სამღერლად, მაშინაც ბახუსში ვიყავი და მაშინაც არ გამომხედა ***(იცინის)*** – ეტყობა, კარგად ვერ ვმღერი. დაბადების დღეებს რომ თავი დავანებოთ, მისთვის არასადღესასწაულო დღეებშიც მიყვარს საჩუქრების გაკეთება – სუნამო იქნება ეს, ყვავილი თუ სხვა რამ. ერთხელ მანქანა ვაჩუქე. ძალიან ძვირიან მანქანაზე არ ვამბობ, მაგრამ, არც სარეცხ მანქანას ვგულისხმობ ***(იცინის).*** მოინდომა და მართვა თვითონ ისწავლა. დავპირდი, თუ მართვის მოწმობას აიღებ, მანქანას გაჩუქებ-მეთქი. ზუსტად იმ პერიოდში რაღაც ჰონორარი ავიღე, რომელიც მანქანისთვის საკმარისი იყო, ამიტომ, გადავწყვიტე, პირობა შემესრულებინა. ზოგადად, ჩვენ ფუფუნებით არ გვიცხოვრია, მაგრამ იმ მომენტისთვის საჭიროდ ჩავთვალე, რომ ასე მოვქცეულიყავი და, ვფიქრობ, რომ ეს სწორი იყო.



**დავპირდი, თუ მართვის მოწმობას აიღებ, მანქანას გაჩუქებ-მეთქი. ზუსტად იმ პერიოდში რაღაც ჰონორარი ავიღე, რომელიც მანქანისთვის საკმარისი იყო**

**– ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა, რომ ძალიან ეჭვიანია. თქვენ თუ აძლევთ საბაბს?**

– სხვათა შორის, ეჭვიანობა ძალიან არ გამოუხატავს, მაგრამ, მე ცოტა რთული პროფესია მაქვს. ძნელია, როცა ერთი კვირით მიდიხარ ქვეყანაში, სადაც ძალიან ბევრი ლამაზი გოგოა; თან, გასტროლია, რომლის დროსაც ბოჰემურად ცხოვრობენ მსახიობებიო, ამბობენ... მაგრამ, ეგრეც არ არის. ამას ისიც ემატება, რომ ჩემს გარემოცვაში ყველანაირი ქალი ტრიალებს, სექსუალურიც და ნაკლებად სექსუალურიც. რაღაც პერიოდის შემდეგ ხვდები, რომ ეს ჩვეულებრივი თანამშრომლობა და მეგობრობაა, მაგრამ, ალბათ, ეს ყველაფერი მეუღლისთვის მაინც რთული გასაგებია. ამას ემატება დროის ფაქტორიც: საახალწლოდ 10 დღეში 24 სპექტაკლი ვითამაშეთ და, ფაქტობრივად, სახლში ვერ მხედავდნენ. ბოლო შვიდი წელია, ახალ წელს სახლში საერთოდ არ შევხვედრივარ – ხან სად მიმყავს კონცერტი და ხან სად. ნორმალური ხელფასი არსად არ არის და, როცა ოჯახი გაქვს, სხვა გზა არაა, ბევრი უნდა იშრომო. მეუღლისთვის რთულია იმის გაგება, რომ არასდროს არ ხარ სახლში, მაგრამ, რომ ვთქვა, ეჭვიანობს და ამის გამო კონფლიქტი გვაქვს-მეთქი, ტყუილი იქნება. პარასკევებზე ეჭვიანობის მომენტი არასდროს გვქონია. ცოტა ცხვირჩამოშვებული თუ გამივლის და ვხვდები, რომ მიზეზი ესაა, მაშინვე ვეუბნები, რომ არასწორი მიმართულებით ფიქრობს. მოკლედ, მექალთანე ტიპი ნამდვილად არ ვარ.

**– ფილმში მფარველად ბუბა კიკაბიძე გევლინებათ. სინამდვილეში თუ გყოლიათ მფარველი?**

– ჩემი მფარველი, უპირველეს ყოვლისა, მამაჩემია, შემდეგ კი – რობერტ სტურუა, რომლის დამსახურებაცაა, რომ მე დღეს რუსთაველის თეატრში ვარ. მან ჩემი ცხოვრების წესი შეცვალა. კარგა ხანს ქირით ვცხოვრობდით, სტაბილურად არცერთ თეატრში არ ვიყავი და ქირის გადასახდელი თანხაც არ გვქონდა. თავისუფალ თეატრში ვთამაშობდი და თითო სპექტაკლიდან სამი ლარი გვხვდებოდა. ბატონი რობერტის წყალობით, რუსთაველის თეატრში მოსვლის შემდეგ, ხელფასიც ნორმალური მქონდა და სხვა ნიშაც დავიმკვიდრე. ის ჩემი მფარველი გახდა. ეს მხოლოდ პროფესიულ ურთიერთობებს არ ეხება. ამ კაცმა იცის თავის მსახიობების მოვლა, რაც მე მაშინ პირველად ვიგრძენი. ფეხსაცმელი და ქურთუკი ჩამოუტანია ჩემთვის უცხოეთიდან და, ასევე, სხვებისთვისაც.ზოგადად ცხოვრებაზე კი რა გითხრათ: სახლი ახლაც არ მაქვს. ფინანსურად საკუთარი თავის მფარველი მხოლოდ მე ვარ და, თელავურად რომ ვთქვა, „ვირივით ვშრომობ“. თეატრში, კინოსა და ტელევიზიაში არავინ დაგელოდება – ორმოცი გრადუსით რომ იწვოდე, შენს ძალიან წარმატებულ როლს მაინც სხვას მისცემენ. ერთი-ორჯერ სასმლის გამო პრობლემა მქონდა, ამიტომ, ამ მიმართულებით თავი შევიზღუდე და წინა პლანზე ისევ შრომა წამოვწიე. დაღლილი კი ვარ, მაგრამ, შიმშილს, რა თქმა უნდა, ასე ჯობია.

**– ფილმთან დაკავშირებით თუ გაქვთ უახლოესი მომავლისთვის გეგმები?**

– ვიცი, რომ უახლოეს მომავალში ბელარუსში გადაიღებენ კვლავ ერთობლივ ფილმს, რომელშიც ქართველ კაპიტანს ვითამაშებ. ეს იქნება ფილმი ომის თემაზე და პრემიერა 9 მაისს გაიმართება. ზაფხულში კი ისევ ქართველები, აზერბაიჯანელები და ბელარუსები იღებენ ერთობლივ საბავშვო ზღაპარს. გადაღებები ლონდონში იქნება. მასში ჩემთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ: ნათია წიწილაშვილი, ლიკა ქორქია, ირაკლი ფირცხალავა, ქეთი მელუა, ვერა ბრეჟნევა, აზერბაიჯანელი მსახიობები, ჯერემი აირონსი, მისტერ ბინი და კიდევ სხვები. ასეთ მსახიობებთან თამაში ჩემთვის საამაყოა. მსახიობების შემადგენლობა პირველად რომ ვნახე, სიხარულისგან კინაღამ ჭკუიდან გადავედი და ახლაც გულის ფანცქალით ველოდები. ვნახოთ, წინ რა იქნება.

**ქეთი კაპანაძე**

# რამდენ ხანში გახდებიან მუსლიმანები დედამიწის მოსახლეობის 73 პროცენტი და რატომ არის მოსალოდნელი ევროპაში ფაშისტური ლოზუნგების გაჩენა

*ისე მოხდა, რომ დედამიწის მოსახლეობის 32 პროცენტი ქრისტიანია, 23 პროცენტი – მუსლიმანი, 15 პროცენტი – ინდუიზმს მისდევს, 7 პროცენტი – ბუდიზმს და მხოლოდ 0,2 პროცენტი – იუდაიზმს. 2013 წლის თებერვლის მონაცემებით, მსოფლიოში ისლამის მიმდევართა რაოდენობით ქვეყნების პირველი ათეული ასეთია: ინდონეზია – 221 მილიონზე მეტი, ინდოეთი – 177 მილიონი; პაკისტანი – 176 მილიონზე მეტი; ბანგლადეში – 144 მილიონი; ნიგერია – 88 მილიონი; ეგვიპტე – 79 მილიონზე მეტი; ირანი – 77 მილიონზე მეტი; თურქეთი – 74 მილიონზე მეტი; ეთიოპია – 46 მილიონზე მეტი, ალჟირი – 36 მილიონზე მეტი. მიიჩნევა, რომ პლანეტის ყოველი მეოთხე მცხოვრები მუსლიმანია, ყველაზე მეტი ცხოვრობს აზიაში – მილიარდ 200 მილიონამდე; შემდეგ ადგილზეა აფრიკა – 518 მილიონით; ევროპა მესამეზეა – 50 მილიონით, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, საერთო ჯამში – 10 მილიონზე მეტი, ხოლო ავსტრალიაში – 700 000.*



**მალთუსმა, ინგლისელმა მღვდელმა, პირველმა შენიშნა შეუსაბამობა ადამიანის საარსებო საშუალებებსა და მოსახლეობის გამრავლების ტემპებს შორის**

*აღსანიშნავია, რომ მუსლიმანური ქვეყნები ხასიათდება მაღალი შობადობით და, ამერიკელი სპეციალისტების გათვლებით, 2050 წლისთვის მათი საერთო რაოდენობა შეადგენს პლანეტის მოსახლეობის 73 პროცენტს, ქრისტიანების კი 35 პროცენტამდე შემცირდება. რიგ ქვეყნებში – დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებსა და საფრანგეთში – ისლამის მიმდევრები უმრავლესობაში იქნებიან. აშშ-ში კი ისლამი გახდება ნომერ მეორე რელიგია ქრისტიანობის შემდეგ. რაც შეეხება სხვა რელიგიების მიმდევრებს: უახლოეს ოთხ ათწლეულში არ ვარაუდობენ ბუდისტების რიცხოვნობის ზრდას (ისინი გამოირჩევიან ყველაზე დაბალი შობადობით). ვაშინგტონელი მკვლევრები იმასაც ვარაუდობენ, რომ სამომავლოდ შემცირდება ათეისტების, აგნოსტებისა და ისეთი ადამიანების რიცხვი, რომლებიც თავს არცერთ რელიგიას არ მიაკუთვნებენ, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში ასეთთა რაოდენობა გაიზრდება.*

*ამ მეტად აქტუალურ თემაზე დემოგრაფ ავთანდილ სულაბერიძეს გავესაუბრეთ.*

**– მუსლიმანურ ქვეყნებს შობადობის მაღალი ტემპი ახასიათებთ, ქრისტიანულსა და ბუდისტურს – დაბალი. საერთოდ, შობადობის მაჩვენებელს აქვს კავშირი აღმსარებლობასთან?**

– დემოგრაფთა და, საერთოდ, მეცნიერთა შორის, კარგა ხანია, არსებობს აზრი შობადობაზე რელიგიური ფაქტორის გავლენის თაობაზე და ამას ასაბუთებენ სხვადასხვა რელიგიის მქონე ხალხთა შორის შობადობის დონეში არსებული განსხვავებებით. გარკვეულწილად ეს ასეა, მაგრამ, თავის მხრივ, დამოკიდებულია ამ რელიგიის მსახურთა და მიმდევართა კონსერვატიულობაზე. ქრისტიანობის მსახურთაგან განსხვავებით, საუკუნეების განმავლობაში ბუდიზმისა და ისლამის სულიერი მამები ბევრად უფრო კონსერვატიულად უდგებოდნენ შობადობის შეზღუდვას. ამის მაგალითია თუნდაც მალთუსი, ქრისტიანული რელიგიის მსახური ინგლისელი მღვდელი, რომელმაც პირველმა შენიშნა შეუსაბამობა ადამიანის საარსებო საშუალებებსა და მოსახლეობის გამრავლების ტემპებს შორის.

მისი აზრით, სწორედ საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის იმართება ომები და ხდება ხალხთაშორის დაპირისპირება; სწორედ არაკალორიული და არასაკმარისი კვების შედეგად სუსტდება ადამიანი და იმუნიტეტდაქვეითებული ველარ სძლევს ავადმყოფობას. აქედან გამომდინარე, მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი პროგრესის შემაფერხებლად გარკვეულწილად გვევლინება შობადობის მაღალი დონე და სვამდა კითხვას: რამდენად მართებული მისაღებია საზოგადოებისათვის ქვეყნად მოვლენილი ადამიანის შიმშილით სიკვდილი ან შიმშილისგან ადამიანთა, განსაკუთრებით ბავშვთა, დასნეულებით გამოწვეული ეპიდემიებისა და მოკვდაობის მაღალი დონე. ამის პასუხად მიაჩნდა, რომ აუცილებელია შობადობის შეზღუდვა, რათა საზოგადოებამ სიღარიბეში არ იცხოვროს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მოპოვებულ უნდა იქნეს საკმაო რაოდენობის საარსებო საშუალებები, ხოლო მედიცინის განვითარებით ხელი შევუწყოთ ადამიანთა ავადობის შემცირებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას.

ქრისტიანულ სამყაროში განვითარების დონის ამაღლებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მალთუსისა და მისი მიმდევრების, ნეომალთუსიანელთა აზრის განვითარებას, რასაც მოჰყვა შობადობის დონის დაცემა. ანალოგიური რამ, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან გამომდინარე, არ უქადაგიათ სხვა რელიგიის სულიერ მამებს. მაგალითად, ისლამი ყველა მუსლიმანისგან მოითხოვს ყურანის მკაცრ დაცვას, უფრო მეტიც, ისლამის იდეოლოგია ყოველთვის მკაცრად განსაზღვრავდა ქვეყნის მმართველობას.

**– მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, შობადობის მაღალ დონეს ყოველთვის არ წაახალისებდნენ მუსლიმანურ ქვეყნებში. რატომ?**

– მე-20 საუკუნის დასასრულს ბევრი ისლამური ქვეყანა – თურქეთი, ირანი, ეგვიპტე და სხვები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათი წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელია შობადობის მაღალი დონე და, შესაბამისად, მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი. ისლამის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მაგალითად, აზერბაიჯანისა და შუა აზიის ქვეყნებში შობადობის შედარებით დაბალი დონე გამოწვეული იყო კომუნისტური იდეოლოგიის ზეწოლით რელიგიაზე. ის ყველანაირად უარყოფდა რელიგიას, რამაც საბჭოელ მუსლიმანთა შორის ისლამის გავლენა შობადობაზე გარკვეულწილად შეასუსტა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მუსულმანურ რესპუბლიკაში შობადობა ქრისტიანულ რესპუბლიკებთან შედარებით მაინც მაღალი რჩებოდა და 1980-იანი წლების დასაწყისში, ზოგიერთი რუსი დემოგრაფის გამოთვლით, 2005 წლისათვის საბჭოთა არმიაში მომსახურეთაგან 70 პროცენტამდე მუსლიმანი იქნებოდა. 1980-იან წლებში კომუნისტური ხელისუფლების მიერ შუა აზიის რესპუბლიკებში შობადობის შეზღუდვის მიზნით გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულებათა შორის ყურადღება დაეთმო ოჯახის დაგეგმვის მეთოდების დანერგვას, თუმცა ამას შედეგი არ მოუტანია, განსაკუთრებით სოფლად. სხვათა შორის, კომუნისტურმა იდეოლოგიამ ამ მხრივ ბევრად უფრო დაასუსტა ქრისტიანული, ვიდრე მუსლიმანური საბჭოთა რესპუბლიკები და, შესაბამისად, დემოგრაფიული თვალსაზრისით, ბევრად უფრო დაზარალდნენ ქრისტიანული რესპუბლიკები, რაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მოსახლეობის დეპოპულაციაში აისახა.

**– მუსლიმანურ ქვეყნებში შობადობის კლების ტენდენცია ახლაცაა შენარჩუნებული?**

– ახლა მეტ-ნაკლებად შეიცვალა, იმიტომ რომ, რელიგიას მეტი თავისუფლება მიეცა აზერბაიჯანში, შუა აზიაში. სხვა კონფესიები იქ ნაკლებადაა და არავინ ებრძვის. არასამთავრობოებიც ნაკლებად ერევიან რელიგიის საქმეებში, საქართველოსგან განსხვავებით.

**– ირანში, თურქეთში, სირიაში იგივე ხდება?**

– ის საფრთხე, რაც შენგენის ზონას დაემუქრა, გამოიწვია არაორგანიზებულმა მიგრაციამ. ორგანიზებული ჩასახლებები რომ ყოფილიყო, პროცესი უფრო მშვიდად წავიდოდა. მართალია, ამ ადამიანებს დაუნიშნეს სახელმწიფო დახმარება, მაგრამ დატოვეს ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე. რა პროფესიის ადამიანები არიან ეს ლტოლვილები? მათ არანაირი პროფესია არ აქვთ, ანუ დასაქმება შეუძლიათ მხოლოდ ძალიან მძიმე სამუშაოზე, რასაც თაკილობენ. თან, მუშაობისას გარკვეულ საათებში რელიგიური რიტუალი უნდა შეასრულონ. ამისგან შეიძლება, შორს იყოს, მაგრამ საქართველოს მაგალითს მოვიყვან იმის საჩვენებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადაპტაციის პროცესი. თავის დროზე ფშავიდან და ხევსურეთიდან დედოფლისწყაროში ჩავასახლეთ ხევსურები და ფშავლები. ორი-სამი წლის განმავლობაში დამნაშავეობა გაიზარდა და ძირითადად, ფშავ-ხევსურების გამო, იმიტომ რომ მათ არ ჰქონდათ მეურნეობის ცოდნა. არ იცოდნენ ვენახის მოვლა, ხორბლის მოყვანა, მესაქონლეობას მისდევდნენ და დრო დასჭირდათ, რომ ესწავლათ. ანალოგიურად, ევროპაში ეს ლტოლვილი ახალგაზრდობა პირდაპირ მიუშვეს, არ გაუხსნეს კურსები, რომ რამე სპეციალობა ესწავლათ, რაც გააადვილებდა ადაპტაციას. მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიციის 2-3-კაციანი ჯგუფები ლტოლვილებს არ ეკარება.

**– მუსლიმანი ლტოლვილების მიძალება ევროპაში მხოლოდ ჭარბი დემოგრაფიის შედეგია თუ სხვა მიზეზისაც?**

– ომმა განაპირობა, თუმცა ტუნისში ომი აღარ არის, მაგრამ იქ არის დასაქმების პრობლემა. ტუნისელებმა, ძირითადად, იციან ფრანგული ენა და ისინი მაინც უფრო საფრანგეთისკენ მიდიან. სირიელებმა არცერთი ევროპული ენა არ იციან და მათთვის სულერთია, რომელ ქვეყანაში მოხვდებიან. ასე რომ, მათ ადაპტაციას ენის არცოდნაც უშლის ხელს და ამიტომ ისინი ერთმანეთთან საუბრობენ, ევროპელების ენა არ ესმით. 18 მილიონი კაცი ცხოვრობდა სირიაში და 15-დან 64 წლამდე მოსახლეობა 11 მილიონია თითქმის. შობადობა მაღალია და მთელი მოსახლეობის 37 პროცენტია 15 წლამდე ასაკის ბავშვები, შრომისუნარიანი მოსახლეობა კი დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენს. შრომისუნარიანი მოსახლეობა დაუსაქმებელია და,

**ალექსანდრე ბრაგინსკის მკურნალობის მეთოდის დახმარებით შეიძლება ისეთი პრობლემებისგან თავის დაღწევა, როგორებიცაა: შარდის შეუკავებლობა, ჭარბი წონა, ოჯახური და პარტნიორული წყვილების პრობლემები, იოლად გაღიზიანება, უძილობა, იმპოტენცია, ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები ოპერაციის გარეშე, ნერვის ანთების დროს; ასევე, ცხოვრების ისეთი მხარეების მოწესრიგება, რომელზე საუბარსაც ხშირად გაურბიან. ეს შეეხება პირად ცხოვრებას, წარმატებისკენ სწრაფვას და ბევრ ისეთ სხვა პრობლემას, რომლის მედიკამენტებით მოგვარება, პრაქტიკულად შეუძლებელია. ალექსანდრე ბრაგინსკი, რომელსაც კანადაში მოღვაწეობის 40-წლიანი გამოცდილება აქვს, დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში ჩამოვიდა, მაგრამ მისი პაციენტები კმაყოფილებას ვერ მალავენ მასთან რამდენიმე ვიზიტის შემდეგ და აღიარებენ, რომ შესამჩნევი შედეგები აქვთ.**



# ალექსანდრე ბრაგინსკი – ექიმი-ჰიპნოთერაპევტი მკურნალობის უნიკალური მეთოდით

# იცხოვრებ სრულფასოვნად ნებისმიერ ასაკში

**მარიამი**: „მოეწყვეთ მოხერხებულად, თვალები დახუჭეთ!“ – ასე დაიწყო სეანსი ჰიპნოთერაპევტმა ალექსანდრე ბრაგინსკიმ და აქედან დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. ადრინდელ ყოფას ვიხსენებ როგორც ხანგრძლივ, უსიხარულო არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურიც მქონდა, შვილებიც ნორმალურად მყავდა და აღარც ვალი მემართა ვინმესი, რატომღაც ცხოვრებისადმი დამოკიდებულება მაინც შემეცვალა. ვიყავი მუდმივად გაღიზიანებული, გადაღლილი, დამწუხრებული და 48 წლის ასაკში დედაბერს ვემსგავსებოდი. ერთბაშად მეწვია დაავადების, სიბერის, სინანულისა და უაზრო ყოფის შიში. დავდიოდი ექიმებთან, ვიკეთებდი სხვადასხვა სახის ანალიზებს. სერიოზული დაავადება რომ არ აღმომაჩნდებოდა, ვიწყებდი სიარულს სხვა ექიმთან, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე, გარდა იმისა, რომ მხოლოდ ერთადერთზე ვფიქრობდი – რა მჭამა. გავსუქდი და ეს კიდევ ცალკე მთრგუნავდა. ამაზე უარესი ყოფა შეუძლებელი იყო. ანტიდეპრესანტებზე რომ გადავედი, ნერვები კიდევ უფრო დამეძაბა და მოკლე ხანში განმივითარდა კრუნჩხვები, მქონდა გულისცემის აჩქარება, ისტერიკა... ძლივს გამომიყვანეს მდგომარეობიდან, მაგრამ მისი ხელახლა გამეორების შიში აღარ მასვენებდა. მუშაობა უკვე აღარ შემეძლო. სახლიდან გასვლის მეშინოდა.

ბრაგინსკისთან რომ მივედი, ყურადღებით მომისმინა და მითხრა, რომ ეს ნევროზია და მისი მოხსნა ჰიპნოზითაა შესაძლებელი. ამიხსნა, რომ მოდუნებამდე მიმიყვანს, მაგრამ მექნება სრული კონტროლი საკუთარ აზრებსა და ნებაზე. ყველაფერს გავიგონებ და თუ მომინდება, ნებისმიერ წუთს შემეძლება სეანსის შეწყვეტა. მოდი, ვცადოთ-მეთქი, ვუთხარი არც ისე თავდაჯერებულმა.

ასე დაიწყო სეანსი და გზა ჩემი გამოჯანმრთელებისკენ. მესამე სეანსიდან მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ვიგრძენი, ხოლო მეათის შემდეგ, სულ სხვა ადამიანი გავხდი. დამიბრუნდა სიცოცხლის ხალისი, თავდაჯერებულობა. აღარ მემუქრებოდა პანიკური შეტევები. საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. რაც მთავარია, წონაში დავიკელი, იმიტომ რომ, საჭმელზე ფიქრს თავი დავანებე.

**მკურნალობს ნევროზებს, შიშებს, დეპრესიას, ალკოჰოლიზმს, ენაბლუობას**

ბრაგინსკიმ მე მომცა ფსიქოლოგიური პროგრამა და ვისწავლე საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის კონტროლი.

**ქეთი**: ჩემი პრობლემა ცოტა არ იყოს განსხვავებული გახლდათ. ექიმ-ფსიქოთერაპევტს პირადი ცხოვრების მოწყობაში დახმარებისთვის მივმართე და რამდენიმე სეანსის შემდეგ, უკვე მქონდა შედეგი. ვგრძნობდი, თუ როგორ მოდიოდა თავდაჯერება, როგორ ვსწავლობდი წარუმატებლობის ლაბირინთიდან თავის დაღწევას. ვარჯიშებს ვიმეორებდი და მეათე სეანსის შემდეგ, შემიძლია ვთქვა, რომ ექიმ ბრაგინსკის ვემადლიერები.

**ალექსანდრე ბრაგინსკი** ***(ექიმი-ფსიქოთერაპევტი და ჰიპნოთერაპევტი):*** შიში – ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ემოციაა ადამიანებში. შემუშავებული მაქვს ენერგიისა და ნების ასამაღლებელი პროგრამა, რათა ადამიანმა მართოს თავის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები, მიაღწიოს წარმატებებს და არ გახდეს საკუთარი ვნებათაღელვისა და შიშების მონა.

**ჰიპნოთერაპიის საკითხებთან დაკავშირებით დარეკეთ ნომერზე: 5 99 71-04-77.**

---

ომიც რომ არ ყოფილიყო, ისინი დასაქმების საძიებლად მაინც გავიდოდნენ ქვეყნიდან, ანუ ევროპისკენ მაინც უფრო 40 წლამდე ასაკის მოსახლეობა გავიდა. ერთია, რომ ამ ქვეყნებში მაღალია შობადობის მაჩვენებელი და მეორე, რომ დაბალია მოკვდაობის მაჩვენებელი. ყოველ 1 000 კაცზე 24 ბავშვი იბადება და ბუნებრივი მატება 18,5 ბავშვია ყოველ ათას კაცზე. თუმცა მიგრაცია ევროპისკენ სირიაში ბოლოდროინდელ მოვლენებამდეც შეიმჩნეოდა. ტუნისში უარესი ვითარებაა: იქ 70 პროცენტია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა და ისინი ყველა ხერხით ცდილობენ, გადავიდნენ გემებით ევროპაში. შობადობა ტუნისში ჩამორჩება სირიას, მაგრამ ბუნებრივი მატება მაინც 11 პროცენტია. სირიაში შობადობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია – აქ ყოველი ასი ქალი შობს 303 ბავშვს, ამასთან შედარებით, ტუნისსა და თურქეთში შობადობა მცირეა. და, მიუხედავად იმისა, რომ ტუნისსა და სირიაში მაღალია მიგრაციის დონე, მას მაინც ფარავს ბუნებრივი მატება და ამის გამო მაინც იზრდება მოსახლეობის რაოდენობა. საქართველოსთან მიმართებაში ეს მონაცემები ცა და დედამიწასავით განსხვავდება. ჩვენთან დაბალია შობადობა, შრომისუნარიანი, ანუ 15-დან 64 წლამდე მოსახლეობა, 64 პროცენტია, დაბერება კი – 16 პროცენტი, ანუ ამდენია 70 წელს გადაცილებული მოსახლეობა. 2020 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონ 600 ათასამდე იქნება. მაშინ, როდესაც თურქეთი მიაღწევს 82 მილიონს, ტუნისი – 12 მილონს, სირიაში კი 21 მილიონი ადამიანი იქნება.

**– ევროპაში რა ხდება ამ დროს?**

– ევროპაშიც გაიზარდა შობადობის მაჩვენებელი, მაგრამ, ძირითადად, ემიგრანტების ხარჯზე. საქართველოშიც გაიზარდა შობადობა. ამას ეწოდება დემოგრაფიული ფანჯარა. თუმცა ვერავინ ახსნა, რამ გამოიწვია შობადობის ზრდა. ჩვენთან პატრიარქის მოწოდების შემდეგ ბოლო წლებში 5 პროცენტითაა გაზრდილი მესამე და შემდგომი ბავშვების წილი. ევროპაში ასეთი ფაქტორი არ ყოფილა და იქ ფაქტორია მაღალი შობადობა ემიგრანტთა შორის. ჩემი აზრით, ევროკავშირში უნდა დასხდნენ და მიგრაციის ერთიანი პოლიტიკა შეიმუშაონ ყველა ქვეყნისთვის. იქ დღეს არსებული მიგრაციული პოლიტიკა იმით გამოიხატება, რომ მიგრანტებს აპურებენ, მაგრამ მათ აქვთ დასაქმების პრობლემა. ევროპელები თვითონ არიან დაუსაქმებლები და, ამდენად, მოსალოდნელია, რომ ევროპაში გაჩნდება ფაშისტური ლოზუნგები, მით უმეტეს, რომ იქ უკვე არის ეკონომიკური კრიზისი. საბერძნეთი რატომ არ უშვებს მიგრანტებს?! იმიტომ, რომ ხალხი ჰყავს დაუსაქმებელი. უნგრეთმაც არ შეუშვა, დაკეტა საზღვარი, იმიტომ, რომ პრობლემები ექმნება. იგივენაირად მოიქცა ავსტრია, შვეიცარია. არც დიდ ბრიტანეთს მიუღია ლტოლვილები. ემიგრანტების მასა, ძირითადად, მიიღეს საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ. შვედეთშიც დიდი პრობლემაა: ამდენი გაუნათლებელი ხალხი რომ ჩავიდა, დაამძიმა კრიმინოგენური ვითარება: მოიპარეს, იქურდეს. შეიძლება, იფიქრო, რომ გაჭირვების გამო, მაგრამ მათ არც შიათ და არც სწყურიათ, ბინაც აქვთ. მიუხედავად ამისა, მაინც ძალადობენ. ამ ფაქტებს სერიოზული შესწავლა სჭირდება, მით უმეტეს, რომ იმ ხალხის დეპორტაცია ძალიან ძნელი იქნება, მაშინ დაჭერა მოუწევთ. ისინი უნდა გადაანაწილონ დასაქმების კუთხით, თორემ, დაბერებულ ევროპას დაუმძიმდება საპენსიო უზრუნველყოფა, მათი ეკონომიკა ამას ვერ გაუძლებს.

**– შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ დაბერებული ევროპა ვერ გაუძლებს მაღალი შობადობით გამორჩეულ აღმოსავლელ მიგრანტებს და უახლოეს მომავალში საკუთრივ ევროპელებს გადაუსწრებენ ლტოლვილები?**

– ევროპაში დაბერების საშუალო მაჩვენებელი 16-18 პროცენტია, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპაში. მათ სოციალური დაზღვევის ისეთი სისტემა აქვთ, რომ ამდენს უკვე ველარ უზრუნველყოფენ, მით უმეტეს, რომ ლტოლვილთა დახმარებასაც იწყებენ. ამდენად, აქ ბევრი მომენტია. უნდა მისცე რაღაც სტატუსი. მოკლედ, ბევრი საორგანიზაციო პრობლემაა და ამის მოგვარებას დრო სჭირდება. ამას გარდა, ლტოლვილთა შორის ბევრი ტერორისტია. ასე რომ, ძალადობის გამოვლენის ფაქტებს, შესაძლოა, დაემატოს ტერორისტული აქტებიც. ყოველ შემთხვევაში, არაბულ სამყაროში ბევრი ფულია და თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ გარედან დააფინანსონ ტერორისტული აქტები.

**– თითქმის ტერორისტული აქტი არ იქნება, თუ გადაუსწრეს რაოდენობით?**

– ამ ეტაპზე ამის საშიშროება არ არის, მაგრამ უახლოესი ათი წლის განმავლობაში, რადგან ევროპის მოსახლეობა დაბერებულია, შესაძლოა, პირიქით, ასიმილაცია მოხდეს – არაბებისკენ. საფრანგეთს უკვე აქვს ეს პრობლემა – საფრანგეთში შობადობის გაზრდის მაჩვენებლის 40 პროცენტამდე მოდის არაბებზე. მე მხოლოდ ვარაუდებს გამოვთქვამ, რეპროდუქციული ქცევიდან გამომდინარე. ისინი სხვა ქვეყნებში უფრო მაღალი რეპროდუქციულობით ხასიათდებიან, ვიდრე საკუთარ ქვეყნებში, იმიტომ, რომ უკეთეს პირობებში მოხვდნენ.

**ნინო ხაჩიძე**

**ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ დღესაც კი, როდესაც ამ ფაქტიდან უკვე მრავალი წელი გავიდა, საზოგადოებაში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. მაგრამ, არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, ყველაფერი ნათელია და ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ზურაბ ჟვანია „ნაციონალური მოძრაობის“ მსხვერპლია. მათ რიცხვს მიეკუთვნება დავით ოქიტაშვილიც, რომელიც ჟვანიას უახლოესი მეგობარი იყო და მისი გარდაცვალების შესახებ საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირების შემდეგ, თვითონაც რეპრესიების მსხვერპლი გახდა.**

# რა მუქარისა და ძალადობის გადატანა მოუხდათ დავით ოქიტაშვილსა და მის 13 წლის ქალიშვილს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების შემდეგ და რას აკეთებდა ზურაბ ჟვანია ყოველ დილა-საღამოს

**დავით ოქიტაშვილი:** ზურაბი მაშინ გავიცანი, როცა ის მწვანეთა პარტიაში იყო. ეს დაახლოებით 1993 წელს მოხდა და დღეს თუ მე რამეს წარმოვადგენ, ეს ზურაბ ჟვანიას დამსახურებაა. სპეციალობით ინჟინერი ვარ, მაგრამ კულტურისგან შორს არასდროს ვყოფილვარ, რადგან დედაჩემი, მე და ჩემი ძმა ვცეკვავდით და ჩვენს ოჯახში, დედის მხრიდან ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი ადამიანები. ერთ-ერთი ასეთი შეკრების დროს ჩვენთან ზურაც მოხვდა. როცა მან დედაჩემი გაიცნო და ჩვენი ოჯახის კულტურისადმი დამოკიდებულება ნახა, მითხრა, რომ მე უნდა მქონოდა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობა. ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება, თუ ჩვენ ამ ადამიანებს დავაფასებთ და დავეხმარებითო. ეს ადამიანები მე ყოველთვის მიყვარდა და პატივს ვცემდი, მაგრამ ბატონი ზურაბის დამსახურებაა, რომ მე ამ სფეროში დავიწყე მუშაობა. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ზურაბ ჟვანიას დავთანხმდი და ქართულ კულტურას დავუკავშირე ჩემი საქმიანობა და არა ჩემს სპეციალობას.

**– ხშირი ურთიერთობა გქონდათ მასთან?**

– კი, ჩვენ ერთად ვმუშაობდით და ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ზურა ისეთი ადამიანი იყო, არ შეიძლებოდა გაგეცნო და მისი მეგობარი არ გამხდარიყავი. ჩვენი მეგობრობა იმდენად გაღრმავდა, რომ ერთმანეთს ნათელ-მირონობითაც დავუკავშირდით. მისმა მეუღლემ ჩემი პატარა შვილი მონათლა. ჩემი და ზურას უფროსი ქალიშვილები თანატოლები არიან და როცა ბავშვები პატარები იყვნენ, სულ ერთად ვიყავით – ხან თბილისში და ხან წყნეთში. შაბათ-კვირას ხშირად ავდიოდით მათთან და დროს ერთად ვატარებდით. ჩვენი მეგობრობა ბავშვებზეც გადავიდა და ისინი დღესაც აგრძელებენ ურთიერთობას. ზურას სამი არაჩვეულებრივი შვილი ჰყავს. მამასავით, ნამდვილი გენიოსები იზრდებიან. ისეთ სასწავლებლებში სწავლობენ, არ ვიცი, იქ საქართველოდან ვინმეს თუ უსწავლია. უფროსი 21 წლისაა და ამერიკაში სწავლობს. შუათანა – 18-ის და საქართველოს ამერიკულ სასწავლებელში იღებს განათლებას. პატარა 15-16 წლისაა, ჯერ სკოლაში დადის და არაჩვეულებრივად ხატავს. მათმა მამამ იცოდა, რა არის ნამდვილი მეგობრობა. ყოველთვის მეუბნებოდა, თუ შენი მეგობარი შენს ბედნიერებას გულწრფელად იზიარებს, მაშინ ის ნამდვილიაო. თვითონ ლხინში თუ ჭირში გვერდში დაგიდგებოდა. ჩემი მეუღლე, ირინა მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ, ბებია რომ გარდაეცვალა, მაშინ ციხისჯვარში ვისვენებდით. უკვე თბილისში მოვდიოდი, როცა ზურამ შემთხვევით დამირეკა და მკითხა, რას შვებიო, ირინაც მოიკითხა და ვუთხარი, ბებია გარდაეცვალა-მეთქი. სანამ მე ჩამოვედი, ზურამ ამ ადამიანს თავიდან ბოლომდე უპატრონა. რომ მივედი, ვნახე, რომ უამრავი ნიუანსიც კი, უკვე მოგვარებული ჰქონდა და მითხრა, ახლა შენ გაბარებო. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი ადამიანი იყო. დაბადების დღე ორივეს ცხრა დეკემბერს გვქონდა და მეგობრები ყოველთვის ორ ნაწილად ვიყოფოდით. თუმცა, მერე მივხვდი, რომ ისინი მეგობრები არ ყოფილან. სახელებისა და გვარების დასახელება აღარ მინდა, მაგრამ, როცა ზურა ცოცხალი იყო, აბსოლუტურად ყველაზე გადაყოლილი გახლდათ. თუმცა, ახლა ისინი თავიანთი მოსაზრებების გამო, სხვაგან დგანან და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მაშინ კი მეგობრებად მიგვაჩნდნენ და ერთად აღვნიშნავდით ხოლმე ყველაფერს. დაბადების დღეზე ზურა დაგვირეკავდა და გვეტყოდა, გეყოფათ მანდ ქეიფი, ახლა ჩემთან მოდითო. სულ ვჩხუბობდით, ვინ სად და რომელ საათზე უნდა წასულიყო. რამდენიმეწლიანი ჩხუბის შემდეგ, მივხვდით, რომ ამას აზრი არ ჰქონდა და შევთანხმდით, ერთი რვაში გადაიხდიდა, მეორე კი – ცხრაში. ერთხელ ერთადაც აღვნიშნეთ. საარჩევნო, დაძაბული პერიოდი იყო და დაბადების დღისთვის არავის ეცალა. ამიტომ, ოფისში აღვნიშნეთ. ერთი რამის თქმა მინდა, დღეს რომ ზურა ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენ სხვა საქართველოში ვიცხოვრებდით. არ იცით, როგორ უყვარდა ხელოვანი ადამიანები. შეიძლება, პირადად არ იცნობდა, მაგრამ ზუსტად იცოდა, ვის რისი გაკეთება შეეძლო. ერთ თათბირზე მითხრა, სასწრაფოდ უნდა გამიკეთო ისეთი სიმღერა, რომელიც ძალიან მაგარი და მასობრივი იქნებაო. იქ მყოფებმა სხვადასხვა ვარიანტი ჩამოთვალეს, ვისაც ამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ზურამ თქვა, ამას მარტო ჯემალ სეფიაშვილი გააკეთებსო, თუმცა მანამდე არ იცნობდა. ზუსტად ორ კვირაში გაგვაკეთებინა სიმღერა „გიხაროდენ“ და მან ყველანაირი რეკორდი მოხსნა. ეს სიმღერა დღესაც პოპულარულია. ზუსტად იმიტომ, რომ მან ზუსტად იცოდა, ვის რა უნდა გაეკეთებინა. ახლა რომ რეგიონებში ქუჩის კონცერტები ტარდება, ესეც ზურას იდეა იყო. პირველად რომ მითხრა, კონცერტი ქუჩაში უნდა გავაკეთოთო, ვიფიქრე, ვაიმე, ეს როგორ შეიძლება-მეთქი. მაგრამ, ზურა სხვანაირად ფიქრობდა, ადამიანი ოცი წლით წინ იხედებოდა. დღეს რომ ზურა ცოცხალი ყოფილიყო, ნაციონალური მოძრაობაც დიდი ხნის წინ შეწყვეტდა არსებობას. არც ყველასთვის კარგად ცნობილი კრიმინალი იარსებებდა და საქართველო დიდი ხნის წინ გახდებოდა ევროპული ოჯახის წევრი. მართლა საოცარი ადამიანი იყო. მისი არცერთი დილა და საღამო არ ჩაივლიდა ლოცვის გარეშე. ძალიან მორწმუნე, ადამიანობისა და მეგობრობის მაგალითი გახლდათ. საკუთარ პრობლემებს ყოველთვის გულში იკლავდა და შენამდე არასდროს მოიტანდა.



იმ საშინელებების გამო, რაც მის გარშემო ხდებოდა, რამდენჯერმე მის თვალზე ცრემლიც მინახავს, მაგრამ ცდილობდა, ეს არ შეემჩნია

**– საქართველოსთვის ძალიან რთულ პერიოდში დაიწყო თქვენი მეგობრობა. ერთად ბევრი სირთულის გამოვლა მოგიხდებოდათ.**

– მართლაც ძალიან რთული წლები იყო. მახსოვს, მაშინ რეგიონებში დავდიოდით. სოსო პავლიაშვილი ატარებდა კონცერტებს ქუჩაში და ხალხი მურაბებს გვჩუქნიდა. აფხაზეთის ომში შვილდაღუპული დედები მოდიოდნენ და დიდი უბედურება ტრიალებდა. სირთულეები მოჰყვა ზურას განცხადებას წასვლის თაობაზე. როცა ოპოზიციაში გადავიდა, საშინელ დღეში ჩააგდეს. ოფისში დენი გაუთიშეს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, აქეთ მეუბნებოდა, არ ინერვიულოო. არავის ეგონა, თუ მისი ოპოზიციაში წასვლის შემდეგ ასე ამოტრიალდებოდა მდგომარეობა. მასთან ურთიერთობის უკვე ბევრს ეშინოდა, რადგან შეიძლებოდა, საფრთხეში აღმოჩენილიყვნენ და ერიდებოდნენ. მხოლოდ რამდენიმე მეგობარს, რომლებიც მის და მისი ოჯახის გვერდით ვიყავით და ვართ, გვჯეროდა, რომ ეს ადამიანი თავის სიტყვას ისევ იტყოდა. როცა სიტუაცია კვლავ მისკენ მობრუნდა, მერე მის ოფისში ისევ რიგი დადგა და ყველა „ვაიმე, ზურას“ გაიძახოდა. ეცინებოდა, აი, ესენი არიან „მედროვე ადამიანებიო“, მაგრამ იმდენად კორექტულად ექცეოდა, მათ არაფერს ამჩნევინებდა. ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით, რომ საქართველო გაიმარჯვებდა. მოგვიწოდებდა, არ შეგეშინდეთო. ოპტიმიზმით ცხოვრობდა და მისი გვიკვირდა, მაგრამ შეიძლება, ამას ჩვენს გასამხნევებლადაც აკეთებდა. იმ საშინელებების გამო, რაც მის გარშემო ხდებოდა, რამდენჯერმე მის თვალზე ცრემლიც მინახავს, მაგრამ ცდილობდა, ეს არ შეემჩნია. ძალიან ბევრი ტალახი ესროლეს მას, მის ოჯახს, ბევრი საშინელება დასწამეს მაგრამ, ვიცი, რომ გამოძიება უკვე დასრულების ფაზაშია. საინტერესო კასეტები აღმოაჩინეს და ყველაფერი გაირკვევა. შერცხვებათ იმ ადამიანებს, რომლებმაც მის სამ შვილს არ სცა პატივი და ასე თავხედურად და გადაუმოწმებლად ილანძღებოდნენ.

**– როგორც ვიცი, თქვენზე მუქარაც ხო-**

# რა კავშირი აქვს საკრებულოს დეპუტატ თამარ ტალიაშვილს ჯულია რობერტსისთვის „ოსკარის" მომტან პერსონაჟთან

*ძლიერი, შრომისმოყვარე, ლამაზი და წარმატებული ქალბატონი – საუბარია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარეზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრზე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილეზე, პროფესორ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲢᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ. ქალბატონი თამარი, წლების განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო იურიდიულ კომპანიებთან თანამშრომლობდა, თუმცა შემდეგ საჯარო საქმიანობით დაკავდა. მის სახელს უკავშირდება არაერთი წარმატებით გატარებული რეფორმა განათლების სფეროში. უფრო დაწვრილებით მისი საქმიანობის შესახებ სტატიიდან შეიტყობთ.*

**– ქალბატონო თამარ, საერთაშორისო სამსახურში წლების განმავლობაში მუშაობდით, საჯარო საქმიანობამ რით მოგხიბლათ?**

– სტუდენტობიდან ისე აეწყო ჩემი სწავლა-განათლება, რომ გამიმართლა და რამდენიმე კონკურსში გავიმარჯვე. მოვიპოვე გრანტები, რითაც შესაძლებლობა მომეცა, სწავლა გამეგრძელებინა დანიასა და გერმანიაში. ძირითადად, ევროპულ და ამერიკულ იურიდიულ კომპანიებთან მქონდა საქმიანი ურთიერთობა. ის ხედვები და პრინციპები, რომელსაც შემდგომ ჩემი საქმიანობა დაეფუძნა საჯარო სამსახურში, სათავეს სწორედ ამ გამოცდილებიდან იღებს. მქონდა ბედნიერება, მეთანამშრომლა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ იურისტ ქალთან, ერინ ბროკოვიჩთან, რომლის საქმიანობაზეც ოსკაროსანი ფილმია გადაღებული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველივე ეს დამეხმარა საჯარო სფეროში.

**– თბილისის საკრებულოში ორ დიდ სფეროს, განათლებასა და კულტურას ხელმძღვანელობთ. როგორ ართმევთ თავს?**

– ეს ორი სფერო ორგანულად ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. კულტურა, მისი ტერმინოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე, დაკავშირებულია განვითარებასთან, აღზრდასთან, შესაბამისად განათლებასთან. მაქსიმალურად ვცდილობ, ურთიერთკავშირი ამ ორ სფეროში იყოს სინქრონული და ჰარმონიული. ჩვენ ფანტასტიკური კულტურული მემკვიდრეობა გვაქვს და ის ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც ამ ქალაქს ახასიათებს, ქმნის საშუალებას, გავამართლოთ ტიტული, რასაც რეგიონის კულტურული ცენტრი ჰქვია.



**საკრებულოში, „ქართული ოცნების" თითოეული დეპუტატის გადაწყვეტილებით, უარი ვთქვით პრემიის მიღებაზე**

**– არაერთი რეფორმა გაგიტარებიათ განათლების სფეროში, საყურადღებოა ამ მხრივ ბაღების საკითხი.**

– ეს ყოველივე განპირობებული იყო იმ ძალიან მძიმე მემკვიდრეობით, რომელიც ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით დაგვხვდა. მოგახსენებთ, რომ 47 ბაგა-ბაღი დაიხურა დედაქალაქში, მაშინ, როცა მოსახლეობის რიცხვი იზრდებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ დავგეგმეთ ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა. ამ ეტაპზე, შვიდი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს და 2016 წლის ბიუჯეტით, კიდევ 10 დაემატება. გარდა ამისა, მთელი რიგი ბაღები საჭიროებდა სასწრაფო რეაბილიტაციას, რაც წარმატებით განვახორციელეთ. გადავედით სასკოლო მზაობის პროგრამაზე. ამისთვის მოხდა აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება. დავამატეთ ფსიქოლოგებისა და ლოგოპედების შტატი, მოვაგვარეთ კვების საკითხი. კვების მენიუ მთლიანად გადახალისდა. კვებითი უსაფრთხოებისათვის ერთიანი შესყიდვის ტენდერი გამოცხადდა. შესაბამისად, მონიტორინგი უფრო გაძლიერებულია.

**– პრემიების საკითხთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? როგორც ვიცი, თქვენი სახელმწიფო დანამატი სხვადასხვა ორგანიზაციებს ერიცხებათ ქველმოქმედების მიზნით.**

– დიახ, ჩემი ყოველთვიური დანამატი საქველმოქმედო მიზნებს ემსახურება. პირდაპირ ირიცხება სხვადასხვა ორგანიზაციაში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის პირებს და მძიმე ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებს მკურნალობენ. საკრებულოში, „ქართული ოცნების" თითოეული დეპუტატის გადაწყვეტილებით, უარი ვთქვით პრემიის მიღებაზე. ასევე, დიდი რაოდენობითაა შემცირებული ადმინისტრაციული ხარჯები.

**– ოჯახი, სადაც გელოდებიან.**

– ახლახან პატარა შემეძინა. ალბათ, ნებისმიერი ადამიანისთვის ოჯახი არის ნომერ პირველი. კაცობრიობის განვითარება თანაცხოვრებიდან, ოჯახიდან იწყება. შესაბამისად, თუ ჩვენ ოჯახშივე უზრუნველვყოფთ განათლებასა და განვითარებას, უფრო მაღალი დონის სამოქალაქო საზოგადოებას შევქმნით.

**ᲔᲗᲝ ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔ**

---

**რცილედებოდა, მას შემდეგ, რაც განაცხადეთ, რომ მისი გარდაცვალების ოფიციალური ვერსიის არ გჯეროდათ.**

– მუქარა ზურას ყველა მეგობრის მიმართ იყო, მაგრამ ამის საერთოდ არ მეშინოდა. მარტო მე კი არა ჩემს ქალიშვილსაც ემუქრებოდნენ, რომელიც მაშინ 13 წლის იყო. მაგრამ ეს წარსულია და საუბარი აღარ მინდა. მხოლოდ ერთს ვიტყვი, როცა ადამიანს ემუქრები, იმის თავიც უნდა გქონდეს, რომ ბოლომდე შეასრულო. მაგრამ, ესენი იმდენად ლაჩრები იყვნენ, არიან და დარჩებიან მუდამ, რომ თვითონაც იცოდნენ, ემუქრებოდნენ მათ, ვისაც არაფერი ჩაუდენია. რაც არ უნდა ექნათ, ზურასადმი დამოკიდებულებას ვერ შეგვაცვლევინებდნენ. მაშინ, როცა ზურა ოპოზიციაში გადავიდა, სიტუაცია აირია. ვატყობდი, რომ მისი მეგობრების მიმართ რეპრესიები ხორციელდებოდა. მაშინ მე მერიაში ვმუშაობდი და არ მინდოდა, ჩემი მასთან მეგობრობის გამო ვინმეს პრობლემები შექმნოდა. ამიტომ, დავწერე განცხადება წამოსვლის შესახებ და მაშინდელ მერთან, ვანო ზოდელავასთან შევედი, ჩემი გადაწყვეტილების მიზეზიც ავუხსენი. თუმცა, მან უარი მითხრა. გაოცებული ვარ, რომ ზურას გვერდით ასეთი ადამიანები არიანო და მერიიდან არ გამომიშვა. ამას ახლა თქვენთან პირველად ვყვები.

**– თქვენ მიმართ ფიზიკური ძალადობაც განხორციელდა. გასაგებია, რომ თქვენს დამოკიდებულებას ვერ შეცვლიდნენ, მაგრამ მძიმე პერიოდის გამოვლა მოგიხდებოდათ.**

– კი, მე მცემეს, იყო მუქარა და ეს პერიოდი ოჯახმა და მეგობრებმა გადამატანინეს. ვიცოდი, რომ არ უნდა შემშინებოდა. მახსოვს, მაშინ ჩემი ტელეფონი საერთოდ გაჩერდა. არავინ რეკავდა, რადგან ყველა შეშინებული იყო, რადგან დიქტატორულ რეჟიმში ვცხოვრობდით. ყველამ იცის, ნაციონალური მოძრაობის და სააკაშვილის პერიოდში რაც ხდებოდა. გადავრჩი და ეს ღმერთის დამსახურებაა. ყველა ადამიანს აქვს თავის განსაცდელი და ჩემმა ოჯახმაც ეს განსაცდელი რაღაცნაირად გამოიარა. მე ბიძინა ივანიშვილს იმიტომ ვუხდი მადლობას, რომ მან ყველა ოჯახი იმ ძალადობასა და უბედურებას გადაარჩინა, რომელსაც ესენი სჩადიოდნენ. ვიცი, რომ დღეს ყველაფერი კარგად არაა და ძალიან ბევრი პრობლემაა, მაგრამ მარტო იმის გამო ვარ მადლობელი, რომ მათი ბატონობა ამოძირკვა, მაშინ, როდესაც თვითონ ფიქრობდნენ, რომ ყოველთვის ასე იქნებოდნენ. ჩემ მიმართ მუქარაზე საუბარი არ მინდოდა, რადგან სხვა ოჯახებმა იმდენი ტკივილი გამოიარეს, რომ ერთი დათო ოქიტაშვილის ცემა როგორმე გადასატანი იყო. მაგრამ, ყოველთვის გული მტკიოდა, როცა იძახდნენ: ეს ხომ „ნაციონალური მოძრაობის" პერიოდში მუშაობდაო. კი, ჩვენ გვჯეროდა იმ გუნდის, რომელიც ხელისუფლებაში მოდიოდა. მეც მომიწია გარკვეული პერიოდი მათთან მუშაობა, მაგრამ, როცა ამ კრიმინალურმა ორგანიზაციამ ზურაბ ჟვანია მოკლა, ჩემი მათდამი დამოკიდებულება დამთავრდა. ისინი ჩემთვის ყოველთვის მკვლელები იქნებიან. ამის შემდეგ ისინი ბევრს მლანძღავდნენ, ბევრი ტალახი მესროლეს, ბევრი სიბინძურე დაუკავშირეს ჩემს სახელს, რის გამოც მინდა ამ ადამიანებს მადლობა ვუთხრა, რადგან მათი ლანძღვა ჩემთვის ლოცვასავითაა.

**– ზურაბ ჟვანიას ოჯახთან ახლაც ახლო ურთიერთობა გაქვთ?**

– აუცილებლად. ცხრა დეკემბერს ჩემი დაბადების დღე ზურას საფლავიდან იწყება. ჩემს ოჯახში სუფრა არ იშლება, რომ პირველი მეგობრობის სადღეგრძელო არ შევსვათ ზურას თამადობით. სხვებისგან განსხვავებით, მე ყოველთვის ვიტყვი, რომ მე თუ დღეს რაღაცას წარმოვადგენ, ეს ყველაფერი ზურა ჟვანიას დამსახურებაა.

**– მის შვილებს როგორი დამოკიდებულება აქვთ ამ ამბის გარშემო არსებული უამრავი დადებითი თუ უარყოფითი შეფასებისადმი?**

– ბავშვები ბედნიერები არიან, რომ ზურაბ ჟვანიას შვილები არიან. მათ კარგად იციან, რომ უნიკალური მამა ჰყავდათ. ზურაზე ბევრს ვსაუბრობთ. ვიხსენებთ, როგორი იყო, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ისინი არც ცუდს ამბობენ და არც კარგს, ყველაფერი მათ გულში კვდება. ძალიან ზრდილობიანი და თავმდაბლები არიან, რისთვისაც დიდი მადლობა მათ დედას – ქალბატონ ნინოს და ბებიას, ქალბატონ რემას, რომლებმაც ისინი ასეთებად გაზარდეს. საერთოდ, ამ თემასთან დაკავშირებით, ზედმეტს არ ლაპარაკობენ. ელოდებიან გამოძიებას და სჯერათ, რომ მამის მიმართ ეს სიბინძურე აგორებული იყო. ოჯახმა იცის, რომ ზურა იყო მართალი და რომ ზურა მოკლულია. „ნაციონალურმა მოძრაობამ" ზურა ჟვანიას შვილებს მამა მოუკლა.

**ᲥᲔᲗᲘ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ**

**„უნდა გვახსოვდეს და გვწამდეს, რომ მაცხოვნებელი არის უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, წმიდა სამების მეორე ჰიპოსტასი, რომელიც განკაცდა იმისთვის, რომ გამოეხსნა დაცემული კაცობრიობა. იესო ქრისტეს გარეშე ცხოვრება არ არსებობს“. გახშირებული თვითმკვლელობების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# რაში ცდებიან ზოგჯერ გამოუცდელი სასულიერო პირები და შეიძლება თუ არა კვეთებულის კითხვა სხვა ადამიანის სახელზე

**– მამაო, დღეს ძალიან გახშირდა თვითმკვლელობები, განსაკუთრებით – ახალგაზრდებში. რა არის ამის მიზეზი?**

– თვითმკვლელობა არის მეექვსე მცნების დარღვევა – „არა კაც კლა“, ეს არის პროტესტი ღმერთის წინააღმდეგ და, ადამიანი, რომელიც ამას სალი გონებით სჩადის, ხელს აწერს იმაზე, რომ „მე არ მჭირდება ღმერთი, მე არ მინდა სიცოცხლე, რომელიც ღმერთმა მომცა“. ბევრი რამ ხდება თვითმკვლელობის მიზეზი. ბავშვი დაიღალა დედ-მამის ჩხუბით, აღარ უნდა სახლში მისვლა, მათთან ცხოვრება და იკლავს თავს – ჰგონია, ამ ადამიანებს გაექცევა და დასრულდება ეს წამება. ბევრი სიმსივნით არის დაავადებული, ტკივილს ვერ უძლებს და თავს იკლავს; ზოგს ფული აქვს წაგებული... მოკლედ, ბევრი მიზეზი არსებობს ამისთვის და ხშირად ამას გარემო, მშობლები, ნათესავები უწყობენ ხელს. როგორც კი შვილს შევამჩნევთ პატარა გადახრას, პატარა გადაცდომას, შეცდომას, უნდა წავიყვანოთ ექიმთან ან მოძღვართან, სადაც იქნება საჭირო, რომ მერე შველა არ დაგვიანდეს. სამწუხაროდ, დღეს ახალგაზრდები მთელი დღე წევნან საწოლში, თავზე აქვთ გადაფარებული საბანი და ყველაფრის მიმართ ინტერესი აქვთ დაკარგული. ამ დროს მშობლები კი არ უნდა ეჩხუბონ, უნდა დაინტერესდნენ მათი მდგომარეობით, მიიყვანონ ექიმთან, უმკურნალონ, რომ მერე მძიმე შედეგის წინაშე არ მოუწიოთ დადგომა. წარმოიდგინეთ, ყოველ წელს ერთი მილიონი ადამიანი იკლავს თავს – ეს საგანგაშო მაჩვენებელია. ბავშვებს პატარაობიდან უნდა ავუხსნათ, რა არის დეპრესია, ნევროზი, სასოწარკვეთილება, თორემ, ეკლესიაში უკვე ჩამოყალიბებული ადამიანები მოდიან. ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მშობლის, ასევე მოძღვრის ყურადღება. დეპრესია უმადურობიდან მომდინარეობს, როცა მას არაფრის სჯერა; როცა ფიქრობს, რომ არავის სჭირდება. ადამიანს უნდა გავუჩინოთ ინტერესი: შენ ღმერთს სჭირდები, შენ მე მჭირდები, გამომყევი, ერთად გავაკეთოთ ეს საქმე. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, ამიტომ უნდა მივმართოთ მოძღვარს, ექიმს, ფსიქოლოგს, ფსიქიატრს. უბრალოდ, ჩვენ იმდენად ამპარტავნები ვართ, დედას რომ უთხრა – შენს შვილს ფსიქიატრი სჭირდებაო, ძალიან ეწყინება. ეშმაკი თავიდან ადამიანს ეუბნება: „ღმერთი მოწყალეა, რაც გინდა, ის გააკეთე, მიხვალ და მერე გაპატიებს.“ მერე, როგორც კი მოგინდება სინანული, მარხვა, გეუბნება: „შენ აღარაფერი გეშველება, როგორ უნდა მიხვიდე ეკლესიაში, ეს როგორ უნდა უთხრა მოძღვარს?“ და ადამიანს რაღა დარჩენია თავის მოკვლის გარდა?! სამწუხაროდ, ხშირად სასულიერო პირთა შვილებიც ვარდებიან ამ ცოდვაში და თავად სასულიერო პირებიც არ ვართ ამისგან დაზღვეულნი. რადგან სასულიერო პირი ვარ და გულზე ჯვარს ვატარებ, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ განწმენდილი ვარ და არ მჭირდება ფსიქოლოგი, ფსიქიატრი. შეიძლება, მე მჭირდებოდეს კარგი, პროფესიონალი ფსიქოლოგი ან ექიმიც, მოძღვარიც უნდა ეცადოს, სანამ ადამიანის აღსარებას ჩაიბარებს, გაიცნოს ის, ფრთხილად გამოჰკითხოს ოჯახის, წინაპრების შესახებ, რას საქმიანობს... მხოლოდ ცოდვების ჩამოთვლა, ეზიარე და კარგად იყავი, არ არის მთავარი. ზოგჯერ ადამიანს ეუბნებიან – ილოცეო. თუ არ იცის ლოცვა, როგორ უნდა ილოცოს? ადამიანს ჯერ უნდა გაუჩინო შენი დახმარების რწმენა და ცივად არ უნდა უთხრა: „ილოცე, აღსარება ჩააბარე, ეზიარე“ – ამ ყველაფერს მაგიური დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს, საჭიროა დიალოგი, მასთან დაჯდომა, გასაუბრება. როცა ადმიანი ჩვენთან მოდის, უცნაურად იქცევა, უცნაურად აცვია, უცნაურად საუბრობს, არაადეკვატურია, პრეტენზიული და უმადური, იქნებ დავფიქრდეთ იმაზე, რატომ სჭირს მას ეს?



**რადგან სასულიერო პირი ვარ და გულზე ჯვარს ვატარებ, ეს არ ნიშნავს, რომ განწმენდილი ვარ, არ მჭირდება ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი**

**– ასეთებს კვეთებულებსაც უკითხავენ და ზოგჯერ ოჯახის წევრები მათი ტანსაცმლით მიდიან სასულიერო პირთან. ეს სწორი საქციელია?**

– გამოუცდელმა მოძღვარმა შეიძლება დაუსვას დიაგნოზი, რომ ის არის შეპყრობილი, მას სჭირდება ეგზორციზმი, ყველა ადამიანი შეპყრობილი ჰგონია, არადა, შესაძლოა, სულაც არ იყოს ეგზორციზმი საჭირო და სულ სხვა პრობლემებთან ჰქონდეს საქმე. შეიძლება, მას საერთოდ არ სჭირდებოდეს კვეთებულის ლოცვა და უარეს მდგომარეობაში ჩავარდეს, თავიც კი მოიკლას. რომელ ეკლესიაში ტარდება კვეთებულის ლოცვა, რომელ საათზე – ასეთი სწავლება ეკლესიაში არ არსებობს. როდესაც სერგი რადონეჟელთან შეპყრობილი მიიყვანეს, მან მამებთან ერთად ილოცა, ყველამ ერთად დაასხა ხელი და განდევნეს ეშმაკი. თითო-ოროლა ისტორია არსებობს ამის შესახებ წმიდა მამებთან, ჩვენთან კი სეანსები ტარდება – კვირაში რამდენჯერმე, გარკვეულ საათზე. ეს არის ჯანმრთელობის პარაკლისები და არა ეგზორციზმის ლოცვები. მართლმადიდებელი მამა თავად იტყვის: მე მჭირდება ეგზორციზმი, მე თავად ვარ ცოდვილი, ეშმაკეული. ქალბატონებს ხშირად შვილების, ქმრების პერანგები მიაქვთ ეკლესიაში და იმაზე ლოცულობენ – არა მგონია, ეს ჯანსაღი მდგომარეობა იყოს. ბიბლიაში წერია: თუ გინდათ ეშმაკისგან განშორება, დაემორჩილეთ უფალს, წინ აღუდექით ეშმაკს და ის გაიქცევა თქვენგან.

**– ეკლესია თვითმკვლელებს არ უგებს წესს, მათ არც პანაშვიდებს უხდიან. თუ უშვებს ეკლესია ან სულიერი მოძღვარი გამონაკლისს?**

– თუ ჩვენ არ შეგვიძლია ლიტურღიაზე, მსახურებაზე მოვიხსენიოთ ისინი, უფლება გვეძლევა, პირად ლოცვებში მაინც მოვიხსენიოთ და ეს პირადი ნუგეშია უფლის მიერ მოვლინებული. არსებობს ასეთი ტრადიცია: თვითმკვლელის ჭირისუფლებს ეძლევათ უფლება, გარდაცვლილის სახელზე გასცენ მოწყალება. ამიტომ, სანამ ისინი ამ მდგომარეობამდე მივლენ, ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ, უნდა ვილოცოთ მათთვის და, ახლა, როდესაც ისინი აღარ არიან, დავიწყეთ მათი სულებისთვის ლოცვა და უფალმა დაგვანახვა, რა გულგრილი და გულცივი ადამიანები ვიყავით, ეს გარკვეული ცოდვაა უფლის წინაშე. ეკლესიის სწავლებით – სუიციდის დედა სასოწარკვეთილება. როდესაც ადამიანს ღმერთი არ უნდა, მას ღმერთი მძლავრებითად ვერ აცხონებს. არის შემთხვევები, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სასულიერო პირებს აძლევს კურთხევას, რომ მათ ზოგიერთი თვითმკვლელისთვის აღასრულონ ლვთისმსახურება. თუ ადამიანი იყო შეურაცხადი, გონებასუსტი ან თვითმკვლელობის დროს აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა, საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა და თავის ქმედებაზე არ აგებდა პასუხს, პატრიარქის კურთხევით, ხდება მათთვის წესის აგება და პანაშვიდის გადახდა. თუმცა, ჩვენ მაინც ფხიზლად უნდა ვიყოთ ოჯახის წევრების, საკუთარი თავის მიმართ და ერთმანეთისადმი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ, რომ ამ საშინელ ცოდვამდე არ მივიდეთ. მე, როგორც სასულიერო პირი, ამ ქვეყნის მოქალაქე, ვიტოვებ ნუგეშს, რომ არსებობს რაღაც საიდუმლოება ღმერთსა და ადამიანს შორის და სანამ ის აღესრულებოდა, შეიძლება, მოასწრო უფლის წინ შენდობის თქმა, მონანია. რადგან ეს არავინ ვიცით, ამიტომ ბევრი მოძღვარი ევედრება მათი სულისთვის. სამწუხაროდ, ხშირად, როცა ასეთ დროს ადამიანები ეკლესიაში მოდიან, მხოლოდ წესის აგებას ითხოვენ, არ აინტერესებთ, საკუთარი ოჯახის წევრმა თავი რომ მოიკლა, ამაში თავად ხომ არ არიან დამნაშავეები. ასეთი მაგიური დამოკიდებულება აქვთ და, თუ წესს აუგებ, მერე დამშვიდებულები განაგრძობენ ულმერთო ცხოვრებას. ასეთი მძიმე შედეგის შემდეგ ყველა უნდა მივიდეს ეკლესიაში და დაფიქრდეს, რა როლი მიუძღვით ამ ადამიანის აღსრულებაში. ზოგჯერ გენეტიკაშიც ხდება ამ ყველაფრის გამეორება, ამიტომ კარგად უნდა გადავხედოთ ჩვენს წარსულს, ჩვენი შვილების, ოჯახის წევრების მდგომარეობას, რომ რამე არ გამოგვეპაროს.

**ნათია უტიაშვილი**

# ილორის წმიდა გიორგის სასწაულები

სოფელი ილორი შავი ზღვის პირას, ოჩამჩირის მახლობლად მდებარეობს. 1989 წლის აღწერის მიხედვით, სოფელში 2 099 ადამიანი ცხოვრობდა, ძირითადად – ქართველები.

ამ სოფელში მდებარეობს დასავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლი – ილორის წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის პირველ მეოთხედშია აგებული.

ისტორიული წყაროების თანახმად, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ტაძარი მეტად პოპულარული ყოფილა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აქ მრავალი მომლოცველი ჩამოდიოდა, რათა თაყვანი ეცა წმიდა გიორგის სასწაულთმოქმედი ხატისთვის. მიჩნეული იყო, რომ ილორის ტაძარში წარმოთქმული ლოცვა აუცილებლად შესმენილი იქნებოდა; აქ სნეულები იკურნებოდნენ, მაგრამ ილორის წმიდა გიორგის განსაკუთრებით უშვილონი ევედრებოდნენ და ვერცხლის პატარა აკვნებს სწირავდნენ. წმიდა გიორგი ყველას შეეწეოდა.

ილორის წმიდა გიორგის ხატებს უკავშირდება სასწაული, რომელსაც ამ სოფლის მკვიდრნი დღემდე არ ივიწყებენ და თაობიდან თაობას გადასცემენ. რევოლუციის შემდეგ რამდენჯერმე სცადეს ილორის ეკლესიის გაძარცვა. სოფლის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, მორიგეობით ედარაჯათ ტაძრისთვის. ყოველღამე რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი რჩებოდა ტაძრის ეზოში. შებინდებისთანავე ეკლესიის რკინის კარი ურდულებით იკეტებოდა და ზედ ილორის ტაძრისთვის საგანგებოდ დამზადებული დიდი კლიტეები ედებოდა – მასზე სხვა გასაღების მორგება თითქმის შეუძლებელი იყო.

ერთხელ ილორის ტაძარს რამდენიმე უცნობი ეწვია, თან ორი ციკანი მოეყვანათ – წმიდა გიორგის სახელზე მსხვერპლის შეწირვა მოიმიზეზეს და ტაძრის ეზოში ითხოვეს ღამისთევა. სტუმრები მიიღეს, ბუხართან გაათბეს და დასაძინებელი ადგილიც მიუჩინეს, ისინი კი ავაზაკები აღმოჩნდნენ. ტაძარი რომ დაიკეტა, იარაღი მოიმარჯვეს, დარაჯები დააშინეს, ტაძრიდან წმიდა გიორგის ორი ხატი გაიტანეს, მცველები ტაძარში გამოკეტეს და გაიქცნენ. ამ დროს ერთ-ერთი მცველთაგანი შეუმჩნევლად სამრეკლოში დამალულიყო და ავაზაკების წასვლისთანავე ზარების რეკა ატეხა. მოცვივდა ხალხი, შეიტყვეს მომხდარი და დაიწყეს თათბირი, როგორ გაჰყოლოდნენ ქურდების კვალს. მსჯელობის შემდეგ დაასკვნეს, რომ ავაზაკები შარაგზით კი არ წავიდოდნენ, არამედ ბილიკს გაჰვებოდნენ და, სავარაუდოდ, შუაღამემდე ტყეში დაიმალებოდნენ, რომ მერე სიბნელეში ადვილად დასხლტომოდნენ მდევარს. ილორელები რამდენიმე ჯგუფად გაიყვნენ და სხვადასხვა მხარეს შეუდგნენ დევნას. სწამდათ, რომ ავაზაკების დევნაში მათ წმიდა გიორგი დაეხმარებოდათ. ტყეში რომ შევიდნენ, მათკენ მიმავალი რამდენიმე კაცი შენიშნეს. ეს კაცები ის ქურდები აღმოჩნდნენ. როცა მიუახლოვდნენ და მათში ავაზაკები შეიცნეს, დანებება და ხატების დაბრუნება მოსთხოვეს. ქურდებმა დამალვა სცადეს. ილორელებმა მიწაზე დასვენებული წმიდა გიორგის ერთი ხატი შენიშნეს, მეორე არსად ჩანდა. ქურდებს სროლა აუტეხეს. სროლაში რამდენიმე ავაზაკი მოკლეს, ერთი დაჭრილი კი ცოცხლად შეიპყრეს. იქვე, შორიახლოს, წმიდა გიორგის მეორე ვერცხლის ხატი ესვენა. ხატზე ვერცხლის ფირფიტის ნაწილი აეგლიჯათ, დარჩენილ ნაწილს კი დარტყმის კვალი ემჩნეოდა. დაჭრილმა უამბო, თუ როგორ აერიათ სიბნელეში გზა და მთაში წასვლის ნაცვლად, ილორში დაბრუნდნენ. ალყაში მოქცეულებს ხატზე შურისძიება გადაუწყვეტიათ და ხატის განადგურება უცდიათ, მაგრამ ამ დროს სროლა ატყდა და პირველი ტყვიით ის მოკვდა, ვინც პირველმა დაარტყა ხატს.

ბრძოლით მოპოვებული ხატები კვლავ ილორის ტაძარში მიაბრძანეს. მთელი სოფელი შეკრებილიყო ტაძრის გზაზე და მუხლებზე დამხობილი მადლობას სწირავდა ძლევამოსილ გიორგის, რომელმაც თავისი ხატები ილორის ტაძარს დაუბრუნა.

დღეს ილორის ეს დიდებული ტაძარი კვლავ განსაცდელშია: ბაზილიკური ტიპის ეკლესიას თავზე უცხო არქიტექტურის გუმბათი დაადგეს. გარე ფასადი თეთრად გადაღებეს, თაღები კი წითლად შეაფერადეს. ტაძარს, ასევე, ქართული არქიტექტურისთვის უცხო რელიეფური ელემენტები დაურთეს. ამ ვანდალური აქტის შესახებ საქართველომ კულტურის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას ამცნო.

... სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა კირილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვის საპატრიარქო „ყველაფერს გააკეთებს ილორის ეკლესიისთვის პირვანდელი სახის დასაბრუნებლად“.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ვარ თითქმის სამოცი წლის მამაკაცი. ბავშვობაში მომნათლეს გრიგორიანული წესით. ჩემს ასაკში მართლმადიდებლად მონათვლა დაგვიანებული ხომ არ არის?**

**პასუხი:** მართლმადებლურ სარწმუნოებასთან ზიარება არასდროსაა გვიან. ცნობილია, რომ ქრისტიანობის დიდი ბურჯი, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილი ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე დიდი სიკვდილის წინ მოინათლა.

**კითხვა: როგორც გავიგე, თუ ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და ის მოუნათლავია, თან ახლომახლო სასულიერო პირი არ არის, ნათლობა შეუძლია, შეასრულოს საერო პირმაც. მართალია, თუ არა ეს და როგორ უნდა შესრულდეს ნათლობა?**



**პასუხი:** დიახ. გამონაკლის შემთხვევებში, ხდება საერო პირის მიერ მონათვლაც. ამ დროს უნდა წარმოთქვათ სიტყვები: „ნათელს იღებს მონა (მხევალი) ღვთისა (სახელი) მამისა – ამინ და ძისა – ამინ და სულისა წმიდისა – ამინ, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე – ამინ!“ თან, სამჯერ ეპკუროს წყალი მოსანათლს.

**კითხვა: საძრახისია თუ არა პირში ადამიანის ქება?**

**პასუხი:** დიახ, ერთ-ერთი წმიდა მამის თქმით: პირში ქება იგივეა, რაც ფეხის დადება სწრაფმავალი კაცისთვის.

**კითხვა: ვარ დიასახლისი და მარხვის დროს სადილის გაკეთებისას მიწევს მისი გემოს გასინჯვა. ჩამეთვლება თუ არა ცოდვად?**

**პასუხი:** გაკეთებული სადილის გემოს გასინჯვა ცოდვად არ ჩაგეთვლებათ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## მთავარეპისკოპოსი ლუკა (ვოინო-იასენეცკი)

ცნობილი ქირურგი, მთავარეპისკოპოსი ლუკა (ვოინო-იასენეცკი) ბაღში სეირნობდა, სადაც ბავშვები თამაშობდნენ. მას, რა თქმა უნდა, ანაფორა ემოსა. მეუფე მილიციელმა დაინახა და მაშინვე მივარდა: „მოქალაქევ, ამ სამოსით რატომ სეირნობთ, აქ ხომ ბავშვები არიან? დაფიქრდით, რა მაგალითს აძლევთ მათ!“

მეუფემ უპასუხა: „თქვენი აზრით, მე რომ პისტოლეტით ვიარო, უკეთესი მაგალითი ვიქნები მათთვის?“

50-იან წლებში ოფიციალურ სახელმწიფო მიღებაზე მთავარეპისკოპოს ლუკას საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი მიუახლოვდა და დაცინვით მიმართა: „აი, ახლახან საბჭოთა თანამგზავრები კოსმოსში გაფრინდნენ, ღმერთი კი იქ ვერ ნახეს. რით ახსნით ამას?“

„ქირურგი რომ ვიყავი, – უპასუხა მთავარეპისკოპოსმა, – მეც მრავალჯერ მოვახდინე თავის ქალის ტრეპანაცია, მაგრამ ჭკუა ვერც მე ვნახე იქ“.

## გიორგი მერჩულე – („წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან”)

ერთხელ, ჟამის წირვის დაწყების წინ ხანძთის მამასახლისი ეპიფანე შეიმოსა და საკურთხეველში შევიდა, რათა კვირის ღვთისმსახურება დაეწყო. ის იყო, „წმიდაო ღმერთოს“ წინა ასამაღლებელი უნდა ეთქვა, რომ საკურთხეველში მამა გრიგოლი ავიდა, კვერთხი ჩასცა თავში და დადუმება უბრძანა. შეშფოთებული ბერი დადუმდა. მოძღვარმა უბრძანა, სადიაკვნეში წასულიყო და საღვთისმსახურო სამოსი განეძარცვა. ყველა გაოცდა. ბერი კი დამორჩილდა მამა გრიგოლს, განიძარცვა და მის წინაშე დადგა. მოძღვარმა კვლავ უბრძანა, შემოსილიყო და ღვთისმსახურება დაეწყო. მანაც განიხარა და შეასრულა წმიდა მამის სიტყვები: ჯვარი გარდაისახა, ამპარტავნების სენი დაძლია და შევიდა საკურთხეველში, რათა უსისხლო მსხვერპლი შეეწირა.

ვერავინ გაბედა, ეკითხა წმიდა გრიგოლის განრისხების მიზეზი, რომელმაც ბოლოს თავადვე თქვა: „ძმანო, იხილეთ სიმდაბლით ქმნილი საქმე ეპიფანესი?! მას არაფერი დაუშავებია, რადგან მისი ღვთისმოშიშების, სიწმიდისა და სიმდაბლის გამო სულიწმიდა მარადის მასთანაა“...

ღირსმა ეპიფანემ აღასრულა წირვა და ყველა ეზიარა წმიდა საიდუმლოს, ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ბოლოს ძმებმა ერთად შესწირეს მადლი ყოვლივეს შემოქმედს – წმიდა სამებას.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

**23 იანვარს ნინი წიკლაური და თემო ტულუში დაქორწინდნენ. წყვილს ერთმანეთთან 12-წლიანი ურთიერთობა აკავშირებს, თუმცა მხოლოდ გასული წლის ზაფხულში გამოუტყდნენ ერთმანეთს სიყვარულში და დაქორწინების გადაწყვეტილებაც მალევე მიიღეს. მე მათ კიდევ ერთხელ ვულოცავ და უდიდეს ბედნიერებას ვუსურვებ.**

# როდის დამთავრდებოდა ნინი წიკლაურისა და თემო ტულუშის ურთიერთობა ფატალურად და როგორ გადაწყვიტეს მათ 12-წლიანი მეგობრობის შემდეგ დაქორწინება

**– ნინი, გაგვაცანი შენი მეუღლე, რომლის სახელი და გვარი დიდი ხნის განმავლობაში არავინ იცოდა.**

**ნინი წიკლაური**: ეს არის თემო ტულუში.

**თემო ტულუში**: ჩვენი ურთიერთობა დიდი ხნის წინ დაიწყო, ვმეგობრობდით და ბოლოს მივხვდით, რომ მხოლოდ მეგობრები არ ვიყავით.

**ნინი**: ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით, წმინდა მეგობრობა გვაკავშირებდა. სიყვარულზე საუბარი არასდროს გვქონია. პირიქით, ჩემს თაყვანისმცემლებზე ველაპარაკებოდი რა გავაკეთო-მეთქი, სულ ვეკითხებოდი რაღაცეებს.

**თემო**: მეც ჩვეულებრივი რეაქცია მქონდა, ვაწყნარებდი, ვეუბნებოდი იმას, რაც შემეძლო.

**ნინი**: არც გვახსოვს, როგორ გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ ის პერიოდი, ერთად რომ ვიზრდებოდით, კარგად მახსოვს. ჩვენი სასაუბრო თემა სხვა ფაზაში არასდროს გადასულა. თუმცა, ახლა რომ ვაკვირდები, თემო ცოტა სხვანაირად იყო განწყობილი, მაგრამ მაშინ ამას ვერ ვხვდებოდი.

**თემო**: ახლა რომ ვაფიქსირებ, რაღაც გრძნობა სულ იყო.

**ნინი**: იცი, როგორი ხასიათი აქვს? გარკვეული ფარგლებიდან არასდროს გადის. რაღაცას შეიძლება ფიქრობდეს, მაგრამ არ გეტყვის. იმდენად კარგი ურთიერთობა და მეგობრობა გვქონდა, თემოს ცოტა ადრე რომ გამოემჟღავნებინა ჩემ მიმართ თავისი გრძნობები, შეიძლება, ჩვენი ურთიერთობა გაფუჭებულიყო, ფატალურად დამთავრდებოდა. კარგი ქნა, რომ ამ ურთიერთობას მოუფრთხილდა.



**ნინი: „ისე ვიტანჯებოდით, განსაკუთრებით თემო, რადგან საერთოდ არ სძინებია, მე რომ ვიძინებდი, მერე იძინებდა“**

**თემო**: პარალელურად, ორივეს ცხოვრებაში იყო რაღაცეები, მაგრამ ყველაფერი საბოლოოდ, კარგად გადაწყდა. ზაფხულში შეიცვალა ჩვენი ურთიერთობა, როცა ნინი ამერიკაში წავიდა. ორივე მივხვდით, რომ ჩვენს თავს რაღაც დიდი ამბავი იყო, ყველაფერი თავისთავად გაირკვა – სიტყვების თქმაც არ დაგვჭირდა. მერე ჩამოვიდა ფილმში გადასაღებად და ისევ მოუწია წასვლა. პირველად რომ წავიდა, ახალი დაწყებული გვქონდა ურთიერთობა, ცოტა მარტივად გადავიტანეთ განშორება, მაგრამ მეორედ რომ წავიდა, გადაწყვეტილად ერთად ვიყავით, ისე, ერთმანეთის გარეშე რომ ვერ ძლებენ და ძალიან გამიჭირდა მის გარეშე ყოფნა.

**ნინი**: წარმოიდგინეთ, რა დონეზე უნდა ვყოფილიყავი შეყვარებული, რომ ქორწინება გადამეწყვიტა, რადგან ამ ნაბიჯის გადადგმა ყოველთვის მიჭირდა. ეს სწორედ ის გრძნობაა, რომელიც აქამდე არასდროს მქონია – ურთიერთობა, რომლითაც სიამოვნებას იღებ. თემოს იმდენი წელია, ვიცნობ, თან, ისე კარგად, რომ სულ ვეუბნებოდი: შენნაირი მინდა ვიყო-მეთქი. ძალიან მშვიდი და გაწონასწორებულია. ფაქიზი სამყარო აქვს, რომელსაც ძალიან უფრთხილდება და ასევე, გარშემო მყოფებსაც.

**თემო**: მე კი დამემატა ნინის ულევი პოზიტივი. როგორ შეიძლება, უბედნიერესი არ ვიყო.

**ნინი**: ერთად ყოფნის გადაწყვეტილება რომ მივიღეთ, ორივეს ერთნაირი რეაქცია გვქონდა: სად ვიყავით აქამდე, ამდენი წელი რატომ დავკარგეთო. ასე მგონია, რომ ღმერთმა ერთად ყველაფერი გამოგვატარა – მეგობრობაშიც გამოვცადეთ ერთმანეთი, ლხინშიც, ჭირშიც და ბოლოს გადაწყვიტა: თქვენ ღირსები ხართ, ერთად იყოთ და ჯვარი დაგწეროთო.

**– ამ ამბის შესახებ არასდროს საუბრობდი. ჯვრისწერამდე შენი მომავალი მეუღლის სახელი და გვარიც კი გასაიდუმლოებული იყო. რატომ?**

– იმდენად ვიყავი ეიფორიაში და აჟიტირებული, იმდენად მოულოდნელი იყო ეს გადაწყვეტილება, რომ ვერაფერს ვიტყოდი. თან, ჩემ ირგვლივ ყველამ იცოდა, რომ მეგობრები ვართ, რადგან თითქმის სულ ერთად ვიყავით. იმასაც ვფიქრობდი: სალომე ბაკურაძეს რომ ვუთხრა, რომელმაც ჩვენი მეგობრობის შესახებ ბევრი რამ იცოდა, იცნობდა თემოს – მე და თემო აღარ ვართ მეგობრები და ერთმანეთი გვიყვარს-მეთქი, არ მეტყვის: შენ გოგო, ნორმალური ხარო. სხვათა შორის, ამერიკაში წასვლამდე მე და სალომე ერთად ვმუშაობდით, თემოც ბოლო პერიოდში ხშირად მოდიოდა ჩვენთან და ერთხელაც სალომემ მითხრა: შემთხვევით, თემო ძალიან ხომ არ არის შენზე შენთხლეულიო. არა, ქალო, ხომ არ გაგიჟდი, ჩემი მეგობარია-მეთქი. მერე რომ დავურეკე: ვანგა ხარ თუ ვინ ხარ-მეთქი, სიცილი დაიწყო: ხომ ვამბობდი, შენ კიდევ შენი ბრუციანი თვალებით, ვერაფერს ხედავდიო. ზოგადად, პირადზე საუბარი არასდროს მყვარებია. თან, ჩემი მეგობრებისა და პირადი გამოცდილებიდან მივხვდი, რომ სიყვარულს მალვა უნდა. ამიტომაც, არაფერი მითქვამს. ჯვრისწერის დღემდე არავინ არაფერი იცოდა. პირველი შემთხვევა იყო, როცა არაფერი და არავინ მაინტერესებდა.

**– როდის გადაწყვიტეთ ჯვრისწერა?**

**თემო**: მეორეჯერ რომ წავიდა ამერიკაში და ხუთი თვე არ ჩამოვიდა, გავგიჟდი. დღე და ღამე ვლაპარაკობდით. ბოლოს ბილეთი გავუგზავნე, ჩამოდი-მეთქი.

**ნინი**: ჩვენი „ვაიბერი“, „სკაიპი“ არ გაჩერებულა. 11 საათი გვაქვს გადაბმულად ნალაპარაკები, ოღონდ იდო ჩართული ტელეფონი და თან, პარალელურად, რაღაცეებს ვაკეთებდით. მერე შემთხვევით გამეთიშა და იმის მერე, 5 საათი კიდევ ვილაპარაკეთ. ისე ვიტანჯებოდით... განსაკუთრებით თემო, რადგან საერთოდ არ სძინებია. მე რომ ვიძინებდი, მერე იძინებდა ის. ერთ დღესაც მომწერა: რაღაც გამოგიგზავნე და ნახეო. ვნახე და ბილეთი იყო – დაბრუნდიო.

**– ხელი ბილეთის გამოგზავნით გთხოვა?**

– ჰო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და არც სურვილი მქონია. იქიდანვე დავგეგმეთ ყველაფერი. მარნეულში ერთ-ერთი ეკლესიის წინამძღვარია მამა ილი (ჭილაძე), რომელთანაც ვმეგობრობ – კარგი ურთიერთობა გვაქვს. მან იცოდა ჩემი და თემოს შესახებ და ჩვენი ურთიერთობა დალოცა კიდეც. ამერიკიდან შევუკვეთე დიზაინერ მარიამ გელაძეს კაბა. პირველ დღეს ცანცარული ქორწილი გვქონდა. სულ ვამბობდი, ქორწილში „ბათინკები” უნდა მეცვასმეთქი და ბოლოს „ვალინკებიანი“ პატარძალი ვიყავი. მეორე დღეს მშობლები და ნათესავები იყვნენ. ქორწილამდე 3 დღით ადრე ჩამოვედი, მაგრამ თემომ და ჩემი ბავშვობის სამმა დაქალმა ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც მინდოდა. ყველაფერი საკუთარ თავზე აიღეს. ერთადერთი თხოვნა მქონდა: წითელი აქსესუარით ყოფილიყო ქორწილში ყველა, რადგან სადღაც წავიკითხე: წითელი ყოფილა ბედნიერების ფერი და მართლაც ყველა წითელ ფერში იყო მოსული.

**თემო**: ქორწილმა იმაზე კარგად ჩაიარა, ვიდრე ეს ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი. მთავარია, ყველამ ძალიან ისიამოვნა. თან, წინა დღეს შეგვეცვალა გეგმები.

**ნინი**: მეგობრის სახლში ვაკეთებდით, მაგრამ ამინდის გამო, გეგმები აგვერია. ერთ ღამეში გადავწყვიტეთ „მაგთი კლაბში“ გადახდა. გაგვიმართლა, რომ თავისუფალი იყო. მოკლედ, „ტუსოვკა ქორწილი“ გვქონდა, ამერიკული ქორწილი.

**– რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

– ამერიკაში წავალ თემოსთან ერთად. მის გარეშე უკვე აღარ ვაპირებ სადმე წასვლას ან ყოფნას.

**ნათია უტიაშვილი**

**ბინის ინტერიერის სწორად შერჩევა თქვენი ბედის, ფინანსური კეთილდღეობისა და კარიერული წინსვლის საწინდარია. ამიტომ, თუ ინტერიერის შეცვლა გადაწყვიტეთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ეზოთერიკოსის, ქალბატონი ნანას რჩევები, რათა თავი გაცილებით მშვიდად და წარმატებულად იგრძნოთ. თუ მას დავუჯერებთ, ბინის სწორად მოწყობა ჩვენს ცხოვრებას გაცილებით კომფორტულს გახდის.**

# როგორ შევიქმნათ კომფორტული ცხოვრება და მივაღწიოთ მეტ წარმატებას ბინის ინტერიერის სწორად მოწყობით

**ნანა**: ადამიანთა უმეტესობა სახლში შესვლისთანავე დგება ცუდ ხასიათზე, მაშინვე ახსენდება პრობლემები, ყოველ წვრილმანზე ნერვები ეშლება და აგრესია ოჯახის წევრებზე გადააქვს. როგორც ეზოთერიკოსი, გეტყვით, რომ ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიით არის დამუხტული, ამას საცხოვრებელი სახლიც შეიგრძნობს და მასზე რეაგირებს. ამიტომ, გირჩევთ, საკუთარ თავს დააძალოთ, იყოთ მომთმენი და სწორი არჩევნის გაკეთებაც შეგეძლოთ. საკუთარი ძალებით ადვილად შეძლებთ მატერიალური დოვლათის მიზიდვას, კეთილდღეობისა და იდილიის შექმნას. სახლში სულიერ განტვირთვას და ძალების მობილიზებას უნდა ვახერხებდეთ, მთელი დღის გადაღლილი ემოციები უნდა გავანეიტრალოთ, დავისვენოთ და სიმშვიდე ვიპოვოთ. თუმცა, ბევრისთვის საკმარისია, სახლის ზღურბლს გადააბიჯოს და მაშინვე ახსენდება წარუმატებლობა, პრობლემები, გაურკვეველი ურთიერთობები და ასე შემდეგ. ეს მხოლოდ თქვენი არასწორი ცხოვრების ბრალია. ამიტომ, ყველა ჩვენგანმა ისე უნდა მოაწყოს საცხოვრებელი ბინა, რომ თავი ენერგიულად, დაცულად და კომფორტულად იგრძნოს. თუ ადამიანის გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიებით არის დამუხტული, ამას სახლიც გრძნობს. ამიტომ, გირჩევთ, ცუდი განწყობა და უგუნებობა სახლის კარს იქით დატოვოთ და სახლში ღიმილით შეაბიჯოთ. პირველი კი, რაც უნდა გააკეთოთ, არ უნდა შეხვიდეთ იმ ფეხსაცმლით სახლში, რომლითაც გარეთ დადიხართ. ანუ, ფეხსაცმელი შესასვლელშივე უნდა გაიხადოთ. ის ტანსაცმელი კი, რომელიც ქუჩაში გეცვათ, გამოიცვალოთ და საშინაო ჩაიცვათ, რაშიც თავს კომფორტულად გრძნობთ. ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას კი უნდა აკონტროლოთ საკუთარი ქცევა, სიტყვები, ურთიერთობები და სურვილებიც კი. თუ ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ, ეს აღმასვლის კარმული პერიოდია და ის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ წინსვლისა და სიტუაციების დარეგულირებისთვის. არ იზარმაცოთ, აკეთეთ ბევრი საქმე და წინ წაიწიეთ წარმატების ადვილად მისაღწევად. ეს როგორც პირად ცხოვრებას, ასევე ფინანსურ სფეროსაც ეხება. კარმული აღმასვლის პერიოდში ადამიანი მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს და შეძლოს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების დემონსტრირება.

**– მართალია, რომ კოსმოსში ადამიანი საკუთარი თავისა და ბედის პროგრამას კარმული აღმავლობის პერიოდში გზავნის?**

– სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა



ვამბობდი, ამ დროს მეტად ყურადღებით უნდა იყოთ, მეტი სიფრთხილე და აქტიურობა გამოიჩინოთ-მეთქი. რაც უფრო ფრთხილად გაივლით ამ პერიოდს, გააზრებულად გადადგამთ ნაბიჯებს, მით მეტი წინსვლის საშუალება მოგეცემათ მომავალში. ზოგადად, ეზოთერიკაში არსებობს რჩევები და წესები, რომლებიც ადამიანს წარმატების მიღწევაში ეხმარება და ამ მხრივ საქმეს უიოლებს, მთავარია მათი ცოდნა. კერძოდ, საცხოვრებელ ბინაში არსებობს ზონები, რომლებიც ფინანსებზეა პასუხისმგებელი. მაგალითად, უნდა იცოდეთ, რომ სახლში მისაღები ოთახის დასავლეთ მხარეს არ დადგათ ტექნიკა და არ ჩამოკიდოთ სარკე – ამან უბარაქობა იცის, მაგრამ, თუ ამ ადგილას დადგამთ ლარნაკს და შიგ ცოცხალ ყვავილებს ჩააწყობთ, აუცილებლად მოიმატებს ფინანსური წყარო და შემოსავლებიც გაიზრდება.

**სახლში მისაღები ოთახის დასავლეთ მხარეს არ დადგათ ტექნიკა და არ დაკიდოთ სარკე, რადგან ამან უბარაქობა იცის**

ყვავილები დიდ გავლენას ახდენენ სახლის ენერგოსტრუქტურის ფორმირებაზე, კერძოდ, შთანთქავს ადამიანისთვის მავნე ენერგიებს. თუ ყვავილის ფოთლები ყვითლდება, ესე იგი, ბინაში ბნელი ძალები ჭარბობს. კარგი იქნება, თუ კაქტუსს შეიძენთ და დადგამთ ოთახში – ეს მცენარე დადებითი ენერგიის ნამდვილი წყაროა. ლარნაკში კი, რომელშიც ყვავილები ჩააწყვეთ და დადგით ოთახში, ყოველ დილა-საღამოს უნდა ცვალოთ წყალი. საერთოდ, წყალს რომ უდიდესი მაგიური ძალა აქვს, ეს უკვე ახალი არ არის. ამიტომ, სასურველია, თუ ღამით საძინებელ ოთახში ჭიქით წყალს დადგამთ, დილით კი, ახალგაღვიძებული, მას უზმოზე დალევთ. ამ მეთოდით თქვენ მთელი ღამის განმავლობაში ორგანიზმში დაგროვილ ცუდ ენერგიას ანეიტრალებთ. ასევე, აღმოსავლეთის ქვეყნებში, ყველა ოჯახში ახარებენ სახლში ხორბალს. უძველესი ტრადიციის თანახმად, ის ოჯახის შესანარჩუნებლად და მეუღლესთან ჰარმონიული ურთიერთობის დასამყარებლად არის კარგი. თუ თქვენც ასე მოიქცევით, ხორბლის ენერგეტიკა, მერწმუნეთ, აუცილებლად დაგეხმარებათ ოჯახური პრობლემების მოგვარებაში. თუ მატერიალური დოვლათის მოზიდვა გსურთ სახლში, მაშინ ხორბლით სავსე ჭურჭელში ჩაყარეთ ხურდა ფული, ჩაამატეთ ცოტა შაქარი, ასევე, ჩადეთ ერთი ცალი წითელი ვაშლი და დადგით სასტუმრო ოთახში იმ მხარეს, საიდანაც სინათლის სხივი შემოდის. ვაშლი ნაყოფიერების სიმბოლოდ აღიქმება, შაქარი – ოჯახური სიამტკბილობის, ხურდა ფული – სიმდიდრის, ხოლო ხორბალი – ამ ყველაფრის ერთად.

**– პირად საუბარში მითხარით, ოთახებში ნივთებისა და ავეჯის განლაგებას თავისი დატვირთვა აქვსო. ამაში რა იგულისხმეთ?**

– ახლავე მოგახსენებთ: კარგია, თუ მისაღები ოთახის აღმოსავლეთ მხარეს დადგამთ დივანს, სკამებსა და მაგიდას – ეს ხელს შეუწყობს ახალ კონტაქტებს და წარმატებულ ნაცნობობას, რაც საქმეში დაგეხმარებათ. არ არის აუცილებელი ძვირად ღირებული ნივთებითა და ავეჯით სახლის გადატვირთვა, მთავარია, იცოდეთ, რა სად დადგათ. მხოლოდ ლამაზი სახლი კომფორტსა და ფინანსურ დოვლათს ვერ მოგიტანთ, მისი ინტერიერი სწორად უნდა დაგეგმოთ. ის ნივთები, რომლებსაც სახლში ინახავთ, მეტწილად ჩვენს ბედ-იღბალსა და კეთილდღეობას განსაზღვრავს ფინანსებსა თუ პირად ურთიერთობებში. მაგალითად, ზარდახშა, რომელშიც სამკაულებს ინახავთ, აუცილებლად უნდა დადგათ საძინებელი ოთახის ჩრდილოეთ მხარეს; ტანსაცმლის კარადა – აღმოსავლეთით დადგით, ხოლო საწოლი – ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომ მშვიდი ძილი და სასიყვარულო პარტნიორთან კარგი დამოკიდებულება გარანტირებული გქონდეთ. ბევრი ასეთ რამეებს ყურადღებას, არ აქცევს მაგრამ, ყოველივე ეს თქვენსავე კეთილდღეობაზეა პასუხისმგებელი.

**ნონა დათეშიძე**



# როგორ უნდა მოიქცეს ქალი, როცა ხვდება, რომ საკუთარი დაქალი მისი ქმრის საყვარელია

**ადამიანის ცნობა ძალიან ძნელია. მხოლოდ საკუთარ თავს შეიძლება ენდო, ისიც ყოველთვის არა. არავინ იცის, როგორ მოიქცევა კონკრეტულ სიტუაციაში. მით უფრო ვერასდროს იტყვი, ვინ არის შენი ნამდვილი მეგობარი. რადგან, შეიძლება, სწორედ შენი მეგობარი გექცეს მტრად და განხეთქილების „ვაშლად”. როგორ უნდა მოიქცეს ცოლი, რომელიც უცებ აღმოაჩენს, რომ მისი მეგობარი ქმარსართმევს...**

**დოდოშკა** *(37 წლის):* მთელი ჩემი ცხოვრება არაპროგნოზირებადი და უჩვეულო მოვლენებით აღსავსე აღმოჩნდა. წინასწარ ვერაფერი გავთვალე და გავითვალისწინე. ვერ დავაბრალებ საკუთარ თავს იმას, რომ სულელი აღმოვჩნდი – ასე ნამდვილად არ არის. ჩემ შემთხვევაში ეს ყველაფერი ბუნებრივი იყო. ვენდობოდი ქმარსაც და ჩემს უახლოეს მეგობარსაც – ეს ხომ ასეც უნდა იყოს?! რამე განსაკუთრებული ვთქვი? ჩემი მომავალი ქმარი რომ გავიცანი, დაქალი უკვე მყავდა. ძალიან მიყვარდა და ვერასდროს წარმოვიდგენდი, ყველაზე საძულველ ადამიანად თუ იქცეოდა. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ახლაც არ მძულს. ვერ ვახერხებ, რომ შევიძულო. მიუხედავად იმისა, რომ არ დამინდო და ბოლომდე გამიმეტა. რაც შეეხება ჩემს ქმარს – ის კიდევ უარესად მოიქცა. არადა, როგორ ვენდობოდი, როგორ მჯეროდა მისი... თავი ბედნიერი მეგონა. ერთხელაც არ შემპარვია ჩემს ქმარში ეჭვი. როგორ ვიფიქრებდი, თუ შეეძლო, ხელის ერთი მოსმით დაემთავრებინა ყველაფერი, გაეწყვიტა ყველა ძაფი, რაც ჩემთან აკავშირებდა... დაევიწყებინა წარსული და ცხოვრება სხვა ქალთან „სუფთა ფურცლიდან“ დაეწყო. მერე ვისთან? – ჩემს ბავშვობის მეგობართან, ჩემს დაქალთან. ერთი წელი გავიდა, მაგრამ ჩემი ჭრილობა ისევ პირშეუკრავია. ისევ მტკივა და მტანჯავს. ჩემი ქმარი, რომელიც ჩემთვის საყრდენი უნდა ყოფილიყო, არც შეყოყმანებულა, ისე გამომიტანა განაჩენი.

**– თქვენი ქმარი ამჟღავნებდა ინტერესს თქვენი მეგობრის მიმართ?**

– ასე მარტივად რომ ყოფილიყო საქმე... ჩემთვის ძალიან დიდხანს დარჩა შეუმჩნეველი მათი წარმოუდგენელი ღალატი. შეიძლება იმიტომაც, რომ ასეთი წარმოუდგენელი იყო. ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ მე და ჩემს ქმარს ცხრა წლის განმავლობაში იდეალურად გვქონდა ყველაფერი.

**– ანუ, არ ჩხუბობდით და არც კი კამათობდით?**

– როგორ არ ვკამათობდით... რომელი წყვილი არ ჩხუბობს და კამათობს?! ასეთი რაღაც წარმოუდგენელია და მეც არ დავიწყებ აბსურდის მტკიცებას. ამ ყველაფერს აქვს თავისი კრიტერიუმი. მიმაჩნია, რომ კარგად ვუგებდით ერთმანეთს. სიყვარულიც იყო...

**– ანუ, რომ არა საბედისწერო ქალი, ერთად ბედნიერად იცხოვრებდით?**

– არ ვიცი. ახლა უკვე ძნელია ამის მტკიცება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ისინი ერთად არიან. მე კი, ორი შვილით, მარტო დავრჩი. თან, ისე საზიზღრად, გულისამრევად მოხდა ყველაფერი... ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერს ვამჩნევდი.

**– ღალატი და სხვასთან წასვლა ერთბაშად არ მომხდარა?**

– რა თქმა უნდა. მაგრამ დავაზუსტებ, სხვასთან კი არა, ჩემს დაქალთან. საღამოობით კი აგვიანებდა სახლში, მაგრამ ამას მტკივნეულად არ აღვიქვამდი. იმდენად მჯეროდა მისი, ვერც კი დავუშვი, რომ ამ დროს სხვა ქალთან ატარებდა. არც მიფიქრია, თვალთვალი დამეწყო ან შემემოწმებინა. მჯეროდა, რადგან მე და ჩემს ქმარს ერთმანეთი გვიყვარს, ჩვენ შორის ტყუილი არ იქნება. მაშინვე ვიგრძნობ, თუ მიღალატებს-მეთქი. ვერ ვიგრძენი. მხოლოდ მაშინ შევშფოთდი, როცა ჩემმა ქმარმა შაბათობით სადღაც წანწალს მოუხშირა. თავის გამართლებას კი ახერხებდა: მეგობართან ერთად სათევზაოდ ვიყავი... მანქანის ხელოსნებს დავდევდი და შემომაღამდა... სამსახურის საქმეებს გადავყევი...

**– ღამე მოდიოდა სახლში?**

– ხან მოდიოდა, ხან – არა. თუმცა, ამას ხშირად არ აკეთებდა. ეტყობა, ბოლომდე ვერ რისკავდა.

**– სად იყო ამ დროს დაქალი?**

## მეგონა, მაშინვე ვიგრძნობდი, თუ ქმარი მიღალატებდა... ვერ ვიგრძენი

– როცა უკვე ეჭვები გამიჩნდა, წარმოიდგინეთ, რომ – ჩემ გვერდით, გამაოგნებელია მისი სითავხედე... მე კი იდიოტივით ჩემს ეჭვებს ვუზიარებდი და ისინიც მომზადებულები, ყველა ზომას იღებდნენ, რომ გარკვეულ მომენტამდე საიდუმლოდ დაეტოვებინათ თავიანთი რომანი, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ეს მერე გავიგე. კაცები მაინც ძალიან სუსტები არიან „თამაშში“. ვერ „გაქაჩა“ დიდხანს ჩემმა ქმარმა. დაქალი გაცილებით ნიჭიერი აღმოჩნდა – ბოლომდე „სცენაზე იდგა“. ჩემმა ქმარმა ბოლოს ჩემი ალერსის იგნორირება დაიწყო. ვითომ ტელევიზორის წინ ჩაეძინებოდა ხოლმე და გვერდითაც აღარ მიწვებოდა. მაინც არ მინდოდა მისი ღალატის დაჯერება. ქმარმა „დახმარების ხელი გამომიწოდა“ – პირდაპირ ფაქტის წინაშე დამაყენა. ერთ დღეს, სამსახურიდან სახლში დაბრუნებულს გამაოგნებელი სურათი დამხვდა – ჩემი ძვირფასი ქმარი, უზარმაზარ სპორტულ ჩანთაში თავის ტანსაცმელსა და ნივთებს ალაგებდა. ეს ჩანთა ახალი იყო. სახლში ის მანამდე არ გვქონია. ეტყობა, წინასწარ იყიდა და მოიტანა. გავოგნდი. რას აკეთებ-მეთქი. მივდივარ, ვერ ხედავ? შენგან მივდივარ. ტყუილში ცხოვრება აღარ შემიძლია, სულ დაძაბული და გაღიზიანებული ვარ. ვწვალობ. ვიცხოვრებ იმასთან, ვინც მიყვარს და ვისთანაც მომწონსო...

**– გითხრათ, ვისთანაც მიდიოდა?**

– არა. მხოლოდ გამაფრთხილა, ისტერიკა არ გამემართა და წინ არ გადავდგომოდი. ბავშვებზე ვიზრუნებო, დამპირდა. არც მქონდა ისტერიკის მოწყობას თავი. განადგურებული ვიყავი. არ ვიცი, როგორი გამომეტყველება მქონდა, რომ ჩემმა ქმარმა მითხრა: შენ ან სულელი ხარ, ან ანგელოზი. ბოლო დროს, აღარც ვმალავდი, რომ გღალატობდი. ვფიქრობდი, მიხვდებოდი და გამაგდებდი. მაინც არაფერი გამივიდა. არ დამირეკო, თავი არ შემაცოდოო... არ მოვყები იმას, როგორი მძიმე იყო, ამეხსნა ბავშვებისთვის, რატომ წავიდა მამა...

**– არ დაინტერესდით, ვისთან წავიდა?**

– არა. ქალბატონი თავად მეახლა მეორე დღეს. ვიფიქრე, ეტყობა, გაიგო, რაც დამემართა და სანუგეშებლად მოვიდა-მეთქი. თურმე, თავად „ჯულიეტა“ მეახლა აღსარებისთვის. დაიწყო, ძალიან არ მინდოდა შენთვის ტკივილი მომეყენებინა... ძალიან მძიმე იყო ეს ჩემთვის, ბევრი ვინერვიულე. წინააღმდეგობას ვუწევდი, საკუთარ თავს ვებრძოდიო და გაშტერებული ვუსმენდი. ვერ მივხვდი, საერთოდ რაზე ლაპარაკობდა. რა ვქნა? მითხრა, რომ აღარ უყვარდი და მეც ჩემი შანსი ხელიდან აღარ გავუშვი. ოცდათვრამეტი წლის ვხდები, კაცი არასოდეს მყოლია. მეც მინდა, ბედნიერი ვიყო და შვილი გავაჩინო, მითხარით, რა უნდა მექნა, ღირსი კი იყო, თმით მეთრია, მაგრამ არ გამიჩნდა ამის სურვილი. ჩემდა გასაოცრად, აგრესია არ მქონია. ვერც ვიტირე. ადექი და წადი-მეთქი, – ვუთხარი და ოთახიდან გავედი. არ დავინტერესებულვარ, როდის და როგორ დაიწყო მათი ურთიერთობა... რისთვის მჭირდებოდა?! დამიჯერეთ, არც ახლა მაინტერესებს. რატომღაც დარწმუნებული ვარ, ვერ გაგრძელდება მათი ბედნიერება დიდხანს, იმიტომ რომ, ის ჩემს უბედურებაზე ააგეს. გული მტკივა, ნუთუ შეიძლება, კაცის გულისთვის ყველაფერს ხაზი გადაუსვა? მეგობრობა არაფრად ჩააგდო და არც ქალური სოლიდარობის განცდა გქონდეს? მე არ ვიცი, როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომელსაც ქმარმა დაქალთან უღალატა. მართლა არ ვიცი და იმიტომაც არაფერი გამიკეთებია.

**დალი მიქელაძე**

## სიამენი სიზარმაცისა

ფიქრი არაჩვეულებრივი რამაა – რაც სამყაროს ამოძრავებს, ის პროგრესის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. არ გჯერათ? სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი, გადამრთველი პულტი და ტექნიკის კიდევ ბევრი სიამე საერთოდ არ იქნებოდა, რომ არა ჩვეულებრივი, ადამიანური სიზარმაცე... დიახ, მიხვდა ადამიანი, რომ ღელეში სარეცხის რეცხვა მთელ მის ძვირფას დროს შთანთქავდა; იფიქრა, იფიქრა და – სარეცხი მანქანა გამოიგონა. ასე რომ, თქვენც შეგიძლიათ, სინჯოთ ისე იზარმაცოთ, რომ რაღაც ღირებული შექმნათ. სწორედ ესაა არსი სასარგებლო სიზარმაცისა.

არსებობს მოჩვენებითი სიზარმაცეც – რა არის ეს?! ზოგიერთ ადამიანს დღემდე ჰგონია, რომ გონებრივი შრომა შრომა არ არის; რომ ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენლები მუდმივად ზარმაცობენ და ძალიან იოლი ცხოვრება აქვთ, რაც სიმართლეს არ შეეფერება. სხვათა შორის, დადგენილია, რომ გონებრივი შრომის შედეგად ადამიანი ფიზიკურადაც იღლება, თანაც, ორჯერ უფრო მეტად, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური აქტივობისას. ტვინი ხომ მთელ ორგანიზმს ამუშავებს... თან, როცა გონება დაძაბულ რეჟიმშია, ტვინს ჯაფა ორმაგად ადგება. ამიტომ, თუ ზოგჯერ თვალებს დახუჭავთ და გონებას გამორთავთ, ნამდვილად არაფერი დაშავდება. ქალბატონებმა უნდა იცოდნენ, რომ მამაკაცის ტვინი სხვანაირად მუშაობს, ქალისა – სხვანაირად. ისინი უფრო მალე იღლებიან და ავტომატურად გამოეთიშებიან ხოლმე სამყაროს. ამ დროს ქალთან კონტაქტს აზრი არა აქვს – მაინც არ მოგისმენთ და ვერაფერს გახდებით. სამაგიეროდ, წაზარმაცება მოეწონება. შესთავაზეთ და ერთად მიიღეთ სიამოვნება, მერე კი ყველაფერზე შეგიძლიათ, ილაპარაკოთ...

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**როგორ გავიგო, ქმარი მატყუებს თუ მართალს მეუბნება? ზოგჯერ მეჩვენება, რომ ზედმეტად ვენდობი. თუ ასე განვაგრძობ, ისე მომატყუებს, ვერც მივხვდები. საყვარელიც რომ გაიჩინოს, რას გავიგებ? რა უნდა გავაკეთო, რომ უფრო მიხვედრილი გავხდე?**

**გამოხმაურება:** თქვენ ცუდ გზას ადგახართ. ასეთი ფიქრებითა და ვარაუდებით თავს დაიკომპლექსებთ. ისეთ პრობლემებს შეიქმნით, წარმოდგენა რომ არ გაქვთ. ნუ იფიქრებთ იმაზე, რომ ქმარი აუცილებლად მოგატყუებთ. ეს არ ნიშნავს სიფხიზლის მოდუნებას, მაგრამ გონიერების ფარგლებში უნდა დარჩეთ და ზღვარს არ გადახვიდეთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაქიძე**

## ის, რაც ჩვენს ხელშია...

წელი მხოლოდ ახლა დაიწყო და წინ ბევრი ჯადოსნური დღე გელოდებათ, მაგრამ იმისთვის, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვალოთ, ახალი წლის ღამეს მხოლოდ სურვილების ჩაფიქრება არ კმარა. მაგალითად, ჩაიფიქრეთ, რომ ამ წელს მაინც იპოვით ცხოვრების თანამგზავრს და აღარ იქნებით მარტო... ფიქრობთ, სასურველი პარტნიორი ლანგრით მოგერთმევათ? არავითარ შემთხვევაში! თქვენ ხომ უკვე დიდი გოგო ხართ, თოვლის ბაბუა მანამდე იარსებებს, სანამ მის როლში თქვენ თვითონ იქნებით, ანუ, საკუთარი თავის სურვილების შემსრულებელი თავადვე უნდა გახდეთ. კარგად მიმოიხედეთ გარშემო – აბა, ვის ხედავთ ისეთს, რომელიც შეიძლება ცხოვრების თანამგზავრად გამოგადგეთ? ნუ გაგეღიმებათ, უბრალოდ, ზოგჯერ ბევრი არაფერი ვიცით იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ჩვენს სიახლოვეს არიან ან საერთოდ ვერ ვამჩნევთ მათ.

შესაძლოა, ოცნების ხორცშესხმაში ხელს გვიშლიდეს ჩვენი დაშრეტილი პოტენციალი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამას აღარაფერი ეშველება, ყველაფერი მაინც ჩვენს ხელშია და პოტენციალის შევსებაც შეიძლება, თუკი დროულად მივხვდებით, როდის შევისვენოთ და აღვიდგინოთ ძალები. იყავით ყურადღებიანი და დაკვირვებული. ადამიანებთან კონტაქტი ისე უნდა მოახერხოთ, რომ მათგან პოზიტივი მიიღოთ. ზოგჯერ მიუშვით სიტუაცია – მოეშვით და გადახედეთ, რა არის თქვენს ხელში, ანუ, რა გაქვთ და რისი გამოყენება შეგიძლიათ მომგებიანად. მოკლედ, იფიქრეთ თქვენს სურვილზე და მისი განხორციელების გზებზე. დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სურვილი უკვე შესრულდა – აბა, კმაყოფილი ხართ?! ამის გაკეთება აუცილებელია – და, საჭირო დროს და საჭირო ადგილას თქვენი წარმოსახვა რეალობად იქცევა...

## გარეგნობა – ფაქიზი თემა

გარეგნობა უმნიშვნელო თემა ნამდვილად არ არის. ნუ მოიტყუებთ თავს და ნუ იტყვით, რომ გარეგნული მომხიბვლელობა არაფერში გჭირდებათ. სასრურველია, მეტისმეტად გამომწვევი არ იყოთ, მაგრამ ეფექტურობა კარგია. ანუ, შევთანხმდეთ იმაზე, რომ გარეგნობა ჭეშმარიტად ფაქიზი თემაა. თანამედროვე მამაკაცები უკვე შეეჩვივნენ იმას, რომ ქალები ძალიან ზრუნავენ საკუთარ გარეგნობაზე და დარწმუნებულებიც არიან, რომ ამას მათთვის, კაცებისთვის აკეთდებენ. ჭეშმარიტ ქალს გარეგნობა საკუთარი სიამოვნებისთვის უნდა უნდოდეს. ანუ, თუ გარეგნობაზე ზრუნავთ, ამას უპირველესად იმისთვის აკეთებთ, რომ ჯერ საკუთარ თავს მოეწონოთ. იღბალზე დამოკიდებული ვერ იქნებით, თუ საუკეთესოდ არ გამოიყურებით. გარეგნობაზე ზრუნვა საკუთარ თვალში აგამაღლებთ და პატივს მიაგებთ იმას, რაც სხვა ქალებისგან განგასხვავებთ. ანუ, კარგად დაიხსომეთ: თუ საკუთარ თავს ხელს შეუწყობთ; თუ სწორად შეარჩევთ სტილს და სამოსს თქვენი ფიზიკური მონაცემების მიხედვით მოირგებთ, ყველაფერი კარგად იქნება. ასეთ დროს მთავარი თავდაჯერებულობაა და, თუკი გარეგნობის მხრივ პრობლემა არ გექნებათ, თქვენს თავდაჯერებულობას არაფერი ემუქრება. ზოგადად, გარეგნობა არა მხოლოდ პარტნიორის ძებნაში გვეხმარება, კარიერასაც ადვილად ვიკეთებთ და ცხოვრებაც უფრო მშვენიერია.

## ფსიქოლოგია – საინტერესოა!

რისთვის დავდივართ სამსახურში? იმისთვის, რომ ვაკეთოთ საქმე, რომელიც გვიყვარს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ, არ გაგმართლებიათ. შეეცადეთ, ეს გამოასწოროთ და წარმატების კიბეზე ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლოთ.

ამბობენ, რომ ქალების 31 პროცენტი სამსახურში უფრო ბედნიერად გრძნობს თავს, ვიდრე სადმე სხვაგან.

41 პროცენტი ქალბატონებისა სამსახურის დაწყებასთან ერთად ცვლის ცხოვრებას უკეთესობისკენ. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ქალს სამსახური მარტო ფულის საშოვნელად კი არ სჭირდება, არამედ, უნდა იმისთვისაც, რომ თავი უკეთესად იგრძნოს – თავდაჯერებულად და კომფორტულად...

ქალები სამსახურში პოულობენ მეორე ნახევრებს, სიყვარულსა და მეგობრებს. ამ ყველაფერს პოულობენ კაცებიც, მაგრამ ყურადღებას ნაკლებად აქცევენ. ქალები სამსახურში გაცილებით ფამილარულები და ბუნებრივები არიან, ვიდრე კაცები. ფსიქოლოგები ამის მიზეზებზეც დუმან, მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი? მთავარი ჩვენი შინაგანი განწყობაა. აი, რატომ უნდა ვეძებოთ სამსახური, თუ ის ჯერ კიდევ არ გვაქვს – რათა მან საკუთარი თავი გვაპოვნინოს...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# როგორ გამოსახავდა ელენე ახვლედიანი ტილოზე ნაკლოვან ადამიანებს და რომელი კომპოზიტორის შვილი აიყვანა მან მძევლად

*„...ყოველთვის პრინციპული, უკომპრომისო ელენე გარეგნულად მიუკარებელი ჩანდა, მაგრამ, როდესაც დაელაპარაკებოდით, საოცარ სითბოსა და თანაგრძნობას შეამჩნევდით მის თვალებში. ამიტომ გვიყვარდა ჩვენ, მის მეგობრებს...” – ამბობს შალვა მალხაზიშვილი. ელენე ახვლედიანის დღიურები სწორედ ამ შეფასებებით და ცხოვრების იმ ეპიზოდებითაა საინტერესო, რომლებსაც დღეს შემოგთავაზებთ. (წყარო „ბურუსი“). აქედან გაიცნობთ ახლოს მხატვარ ქალბატონს, რომელმაც თავის დროზე თვით პიკასოს უთხრა პირდაპირ უარი, მიეყიდა თავისი ერთ-ერთი ნამუშევარი და რომელიც პარიზში გრეტა გარბოს იისფერმა თვალებმა გადარია.*



**ერთხელ, შევარდნაძემ, როდესაც ელენემ მას უჯარმის ულამაზესი ნახატი აჩუქა, თავი მოვალედ ჩათვალა და უთხრა, სამაგიეროდ რა შემიძლია, შეგისრულოთო. ელენემ უთხრა: „იცით ასეთი მხატვარი – ბაიახჩირი?” რა თქმა უნდა, მან არ იცოდა. „იცით, სად ცხოვრობს? სარდაფში...”**

**ირინა კალანდაძე**: „ელენე იყო ჩემი დეიდა. ჩემი სულიერი პოტენციალისა და მიდრეკილებების გამო, გამორჩეულად ვუყვარდი. ელენე ძალიან ბუნებრივი და უშუალო ადამიანი იყო, რაც ახლოს დგას ბავშვის ბუნებასთან. ის გიჟდებოდა ბავშვებზე და ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ იგი... ელენე ყიდულობდა უამრავ საჩუქარს მათთვის და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებდა. სახლშიც ძალიან ხშირად მართავდა ხელოვან ბავშვთა ნამუშევრების გამოფენებს. არ ეზარებოდა თავისი მრავალრიცხოვანი ნახატების ჩამოხსნა და ბავშვთა ნახატების გამოფენა.

არ უყვარდა ორპირი ხალხი და ნიჭი ჰქონდა ადამიანის ხასიათის გამოცნობის: თუ ადამიანი შემოვიდოდა და ელენეს სახე შეეცვლებოდა, მე უკვე ვხვდებოდი, რომ ის იყო ცუდი პიროვნება. ცნობილი ადამიანებიდანაც ბევრი ამბობს, რომ ის იყო ძალიან კაპასი და მკაცრი. მართლაც იყო ასეთი, ოღონდ, იშვიათად და დამსახურებულად. ამის მიუხედავად, არ იცოდა არანაირი წყენისა და ბრაზის გულში ჩადება. შეიძლებოდა ადამიანთან ეჩხუბა, ცოტა ხნის შემდეგ კი აღარც ახსოვდა. უკვირდა ხოლმე – როგორ ვერ შეისწავლეთ ჩემი ხასიათიო. საერთოდ, ცნობილი კრეატიული პიროვნებები ხასიათით არიან უარყოფითები... ადამიანების დახმარება მისი ერთგვარი მოვალეობა იყო, ვინ რა თხოვნითაც არ უნდა მისულიყო, თავის საქმეს მიატოვებდა და მას გაჰყვებოდა. ერთხელ, შევარდნაძემ, როდესაც ელენემ მას უჯარმის ულამაზესი ნახატი აჩუქა, თავი მოვალედ ჩათვალა და უთხრა, სამაგიეროდ რა შემიძლია, შეგისრულოთო. ელენემ უთხრა: „იცით ასეთი მხატვარი – ბაიახჩირი?” რა თქმა უნდა, მან არ იცოდა. „იცით, სად ცხოვრობს? სარდაფში...” და, მართლაც, ორ დღეში მიაკითხეს იმ მხატვარს და ბინაში შეასახლეს. ელენე ამბობდა, ხელისუფლება ვალდებულია, ხალხს ემსახუროს და, თუ ეს ავიწყდება, ვალდებული ვართ, შევახსენოთო. საკუთარი თავისთვის არასდროს არაფერს ითხოვდა. ერთხელ დაურეკეს და უთხრეს, წარდგენილი ხართ აკადემიკოსობაზე მხატვრობაშიო... გვესმოდა კიდეც, ტელეფონში თავის ნაცვლად უჩა ჯაფარიძე რომ ჩააწერინა. სახლში სულ ხალისით დადიოდა, თუმცა, საკმარისი იყო, შალი შემოეხვია, რომ უკვე ქალბატონი ხდებოდა. როცა გარდაიცვალა, ექსპერტი გაოცდა – ასეთი ლამაზი თავის ქალა ჯერ არ მინახავსო. აურაცხელი თაყვანისმცემელი ჰყავდა. მეუღლე, აპოლონ კაკაბაძე, არაჩვეულებრივი კაცი იყო და ძალიან უყვარდა ელენე, თუმცა, იგი ძალიან ეჭვიანობდა, ეჭვიანობდა ყველაფერზე და სწორედ ეს გახლდათ მათი გაყრის მიზეზი. მიუხედავად ამისა, აპოლონის გარდაცვალების შემდეგ, მის მეორე მეუღლესთან გაჩენილ შვილს სულ ელენე ედგა თავზე და ზრდიდა. ბავშვის გაჩენა არ უცდია ქმართან დაშორების შემდეგაც, რადგან პატარებთან ურთიერთობის დეფიციტს არ განიცდიდა მისი ბუნებიდან გამომდინარე... კინოში ხშირად არ დადიოდა, მაგრამ, თუ სადმე გადიოდა ფილმი „ქალი კამელიებით,” აუცილებლად წავიდოდა და ნახავდა. მან დათვალა, რომ ეს ფილმი 118-ჯერ ჰქონდა ნანახი. მისი ასეთი სიყვარული განაპირობა მთავარი როლის შემსრულებელმა გრეტა გარბომ. ეს ქალბატონი ელენე ახვლედიანმა ნახა პარიზში, კაფე „როტონდაში”. მისი ყურადღება მიიპყრო ამ ქალბატონის იისფერმა თვალებმა და მისმა არაჩვეულებრივმა გამოხედვამ. მას მერე იგი მუდამ ოცნებობდა, რომ კიდევ ენახა ეს თვალები. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ქალი იყო ცნობილი კინომსახიობი გრეტა გარბო.

ელენე ახვლედიანს არ უყვარდა ზღვა. იგი უპირატესობას ანიჭებდა მთებს და სულ ამბობდა: „განა მთები არ სჯობია ზღვას?”თითქოს ზღვა არ უყვარდა, მაგრამ, შექმნა



**როცა ელენე ახვლედიანი გარდაიცვალა, ექსპერტი გაოცდა – ასეთი ლამაზი თავის ქალა ჯერ არ მინახავსო**

შესანიშნავი სურათი – „ტუაფსე.” სამუშაო დღე ელენე ახვლედიანის სახელოსნოში დილის 6 საათიდან იწყებოდა. 10 საათიდან მასთან იწყებდა მოსვლას ხალხი და მუშაობდა შესვენებებით. მას ღლიდა ეს სტუმრიანობა, მაგრამ, ეტყობა, ეს დაღლილობა საჭირო იყო, რადგან, ილვიძებდა ახალი ენერგიით სავსე და მზად იყო, გამასპინძლებოდა სტუმრებს. ის არ ზრუნავდა, რომ საკუთარი თავისთვის გაეკეთებინა საჭმელი, სამაგიეროდ, ბევრს ფიქრობდა სხვების დაპურებაზე და ბევრ დროს ეს ართმევდა. უდროობის მიუხედავად, იგი მუდამ მზად იყო, დახმარებოდა ავადმყოფებს, მოხუცებს და ბავშვთა თავშესაფრებს. მხატვრები ხშირად გადიოდნენ ქალაქგარეთ...



**დაურეკეს და უთხრეს, წარდგენილი ხართ აკადემიკოსობაზე მხატვრობაშიო... გვესმოდა კიდეც, ტელეფონში თავის ნაცვლად უჩა ჯაფარიძე რომ ჩააწერინა**



მეუღლე, აპოლონ კაკაბაძე, არაჩვეულებრივი კაცი იყო და ძალიან უყვარდა ელენე, თუმცა, ის ძალიან ეჭვიანობდა, ეჭვიანობდა ყველაფერზე და სწორედ ეს გახდა მათი გაყრის მიზეზი

მსურს, მოგიყვეთ ერთი შემთხვევა: ერთ მხატვარს, რომელსაც დავითი ერქვა, სიცოცხლეს უმწარებდა ერთი ნაძირალა. დავითის გარდაცვალების შემდეგ ეს კაცი საპატიო ყარაულში დადგა. ელენე მივიდა და იქიდან გამოათრია...

მას ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი – გამოესახა ნაკლოვანი ადამიანი ისე, რომ უნაკლოდ მოგჩვენებოდა. ელენემ კარგად იცოდა, რომ ის ხალხს ეკუთვნოდა და, ფიქრობდა, თავისი ნამუშევრები ხალხისთვის დაეტოვებინა. მისი 100-მდე ნამუშევარი გაფანტული იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის – თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში. დანარჩენი მისი ნამუშევრები მრავლად მოიპოვება ნათესავებთან, მეგობრებთან და ახლობლებთან.

1977 წელს ლეონიდ ვიქტოროვიჩი და ელენე კიევში სპეციალურად დგამენ სპექტაკლს „ხეები ზეზეურად კვდებიან". ზამთარში კიევში იყო საშინელი ყინვა, გზა იყო მოყინული და ელენეს წაქცევის ეშინოდა, ამიტომ მისი მუდმივი კავალერი იყო ლეონიდ ვიქტოროვიჩი. ეს იყო შესანიშნავი წყვილი. ელენეს მუდამ ეშინოდა მოლიპულ გზაზე დავარდნის, ხოლო ლეონიდი მას აწყნარებდა. მისთვის შიში რომ გაეფანტა, ეკითხებოდა კოსტიუმზე, სპექტაკლზე...

შუადღისას, ყინვის მერე, მასთან ერთად სიარული შეუძლებელი იყო. როცა ელენე ერთდროულად მუშაობდა რამდენიმე თეატრში, ქირაობდა ტაქსის, სპექტაკლის შემდეგ ტაქსისტს აყოვნებდა და ეუბნებოდა: ეშმაკმა წაიღოს თქვენი ზამთარი! მე გადაგიხდი მთელი დროის საფასურს და დამხვდი თეატრთანო...

რასაც მე მოგიყვებით, მოხდა 60-იანი წლების თბილისში. სერგეი ფარაჯანოვი ელენე ახვლედიანის სახელოსნოში მივიდა უზარმაზარი სურათებით, საქაღალდით და განაცხადა, რომ რუსთაველის თეატრში „ჰამლეტს" დადგამს. იმ დროს ელენეს ბევრი სტუმარი ჰყავდა, მაგრამ სერგეის ყველაფრის თქმა შეეძლო, რაც სურდა. მან თქვა რაღაც ცუდი. ელიჩკას აუტყდა ფხუკუნი და გავიდა ოთახიდან. სერგეის არ მიუქცევია ყურადღება ელენესთვის, გაბრაზებულა და დაუწყია იატაკზე სურათების გაშლა. მეორე ოთახიდან ელენეს დაუნახავს და გამოსულა სახელოსნოში, რადგან სურათებმა ის თურმე განაცვიფრა – ისინი შესრულებული იყო დიდი ხელოვნებითა და გემოვნებით. მან აკოცა სერგეის ლოყაზე, რადგან ძალიან მოეწონა. ელენე ახვლედიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1978 წელს, იხსნებოდა მისი სახელობის სახლ-მუზეუმი. გახსნაზე ზღვა ხალხი მოვიდა, სახლთან მისვლა შეუძლებელი იყო. ამ ხალხმრავლობაში გამოჩნდა სერგეი ფარაჯანოვი, ხელში მას ბატკანი ეჭირა, უკან კი მოჰყვებოდნენ მეზურნეები, რომლებიც ძველ თბილისურ ჰანგებს მღეროდნენ. ყველამ ერთდროულად გაიცინა და დაუთმო გზა. ეს იყო ნამდვილი კადრი ფილმიდან.

„თბილისი ჩემთვის არის ელენე ახვლედიანი," – ამბობს სერგო ფარაჯანოვი".

**ალექსი მაჭავარიანი:**

„...ელენე ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ხელოვანია – პირდაპირი, მართალი პიროვნება, რომელიც მარად ვილაცაზე ზრუნავს, ეხმარება. ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. მისი სტუდია ძალიან ახლოს არის ჩემს სახლთან. თვითონაც იქვე ცხოვრობს სტუდიაში, მარტო... უზომოდ უყვარს მუსიკა, არ გამოტოვებს არცერთ მნიშვნელოვან კონცერტს, აინტერესებს ქართული მუსიკა და, რაც მთავარია, აქვს შესანიშნავი გემოვნება... ხშირად ვესტუმრები ხოლმე სტუდიაში. კარს რომ გამოღებს, რამდენიმე სიტყვას წაიბურტყუნებს, ხეირიანად ვერც გავიგებ ხოლმე, რას ამბობს და მანიშნებს: სადაც გენებოს, იქ დაჯექი, ან იდექი, თუ გინდა, დაწექი, თუ გინდა, ყირამალა დადექიო. თვითონ კი თავის საქმეს უბრუნდება. თუ მალე მოათავა, ხომ კარგი, მასთან საუბარი უაღრესად სასიამოვნოა, ხოლო, თუ სამუშაო გაუგრძელდა, შენ შენი თავის განკარგულებაში ხარ, რაც გინდა, ის გააკეთე. ელენეს სტუდიის სიმდიდრე მხოლოდ სურათებია. აქ ვერ დაინახავ ბროლს, ოქრო-ვერცხლს ან სხვა რაიმე მატერიალურ სიმდიდრეს. მას ამშვენებს ქართული ეროვნული ჯამჭურჭელი, რომელიც საოცრად უხდება თვით ელენეს, ელენე კი – მათ. რაც მთავარია, ელენეს სურათები ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე... მისი ბუნება, როგორც მხატვრისა, ჩემთვის ახლოს არის. მაგალითად, იყო დრო, როდესაც ჩემთვის გაუგებარი იყო ლადო გუდიაშვილის შემოქმედება, თუ არ ჩავთვლით მის პირველ პერიოდს, ძველი თბილისის სურათებს, რომლითაც ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი...

ელენემ დამირეკა და მითხრა, რიხტერი უნდა მოვიყვანო შენთან სტუმრადო. გამიხარდა ამ უდიდესი მუსიკოსის სტუმრობა. ბევრი ვისაუბრეთ მუსიკაზე, ხელოვნებაზე... შემდეგ მთხოვა, ჩემი რომელიმე ნაწარმოები დამეკრა. მაშინ უკვე დამთავრებული მქონდა პირველი სიმფონია და მისი მეორე ნაწილი დავუკარი. ბოდიში მოვუხადე, მე პიანისტი არა ვარ და ძალიან ნუ გამაკრიტიკებთ-მეთქი. შევატყვე, რომ მუსიკა მოეწონა. როცა დავამთავრე, მითხრა, თუ ამ ოპუსის საფორტეპიანო ვერსიას გამიკეთებთ, სიამოვნებით შევასრულებო. მართალია, ძალიან გამიხარდა, მაგრამ ახალგაზრდული მაქსიმალიზმი ხშირად უგუნურ საქციელს ჩაგადენინებს... მოგვიანებით ძალიან ვნანობდი, მაგრამ დროს უკან ვერ დააბრუნებ. მივხვდი, რომ ელენემ, რომელსაც მოსწონდა ჩემი მუსიკა, სწორედ იმიტომ მოიყვანა ჩემთან რიხტერი, რომ შემოქმედებითად დავეკავშირებინე. მე კი...

***

საღამო ხანს დამირეკა ელენე ახვლედიანმა. სასიამოვნო და სასურველი სტუმრები ჰყოლია. ძალიან მთხოვა, ჩემი მეუღლით მივსულიყავი.

– შენი ბიჭი, ვახტანგი, მძევლად აქა მყავს, თუ არ მოხვალთ, სახლში არ გამოვუშვებო, – გამოგვიცხადა და დაკიდა ყურმილი. წავედით. სტუმრად ჰყავდა სტანისლავ ნეიგაუზი, ვაჟი დიდი გენრიხ ნეიგაუზის, ბრწყინვალე პიანისტის, რომელიც ასევე დიდი მეგობარი იყო ელენესი და, საერთოდ, საქართველოსი. სტასს ახლდა ორი სტუდენტი, რომლებმაც შესანიშნავი კონცერტი გამართეს ელენეს სტუდიაში..."



აპოლონის გარდაცვალების შემდეგ, მის მეორე მეუღლესთან გაჩენილ შვილს (ბიჭს) სულ ელენე ედგა თავზე და ზრდიდა

**ეკა პატარაია**



## რომელი დაავადების დროს იწყება თმის გაჭაღარავება და ცვენა

თმის ცვენა ჰორმონულ რეგულაციასთანაა დაკავშირებული, ამიტომ, ყოველთვის უნდა შემოწმდეს ფარისებრი ჯირკვლის, ჰორმონების, პროჰესტერონისა და დიჰიდროტესტოსტერონის დონე. ეს ის ჰორმონებია, რომელთა მიზეზითაც ხდება თმის ცვენის დაწყება.

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების გამოსავლენად აუცილებლად უნდა შემოწმდეს თირეომასტიმულირებელი ჰორმონის რაოდენობა. მისმა ნაკლებობამ, შესაძლოა, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში, სიმელოტე გამოიწვიოს. ამ ჰორმონის სწორი ფუნქციონირება, შესაძლებელია, დიეტამ ან საკვები დანამატების სიჭარბემ დაარღვიოს.

როცა მამაკაცს თმა სცვივა თავის ზედა ნაწილში, გვერდებში კი უხვად აქვს, ეს ტესტოსტერონისა და მისი მეტაბოლიტის – დიჰიდროტესტოსტერონის ცვლის დარღვევებზე მიუთითებს. ასეთ დროს აუცილებელია, ჭამოთ თევზი, ხორცი, ნიორი, ხახვი, ვაშლი, ქლიავი; ქალებს კი, რომლებსაც ტესტოსტერონის სიჭარბე აღენიშნებათ, ქალური ტიპის სიმელოტე უვითარდებათ. სიმელოტის ასეთი სახე იკურნება ბიოდანამატებითა და ფინასტერილით, რომლებიც ტესტოსტერონის დიჰიდროტესტოსტერონად გარდაქმნას ბლოკავს. ამ საშუალებებს უკუჩვენება მხოლოდ ორსულობის დროს აქვს.

ხშირ შემთხვევაში, ქალებში თმის ცვენას პროჰესტერონის ნაკლებობა განაპირობებს. სწორედ ამ მიზეზის გამო, ორსულებს ხშირად აღენიშნებათ თმის ცვენა. საკვები, რომელსაც მიირთმევთ და ჰაერი, რომელსაც სუნთქავთ, გაჯერებულია ესტროგენის მსგავსი ნივთიერებებით. როცა ორგანიზმში ესტროგენები ჭარბად ხვდება, პროჰესტერონის დონე ქვეითდება, რაც სიმელოტეს იწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად ჭამეთ ბევრი ნიგოზი, თხილი, ქიშმიში, თევზი და საქონლის ხორცი.

ასევე, არ არის გამორიცხული, უეცარი გაჭაღარავება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებამ გამოიწვიოს. გაჭაღარავება პირდაპირ კავშირშია აგრეთვე ანემიასთან, ნერვული სისტემის დაავადებებთან, ვიტამინების ნაკლებობასთან და ასე შემდეგ, ხშირად კი ამის მიზეზი რკინის ნაკლებობა და ჰერპესია. რკინის ნაკლებობა თმის ცვენისა და გამელოტების მიზეზიც შეიძლება, გახდეს. ყველაზე ხშირად მოულოდნელი გაჭაღარავების მიზეზი ხდება ორგანიზმში ცილა თიროზინის უკმარისობა. ეს ცილა ძირითადად ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში შედის.

ჭაღარა მალე ერევა მათ, ვინც სხვადასხვა დიეტით იფიტავს ორგანიზმს და კრძალავს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მიღებას. საკვების შეზღუდულად მოხმარებისას ორგანიზმი განიცდის თიროზინისა და სპილენძის ნაკლებობას, არადა, სწორედ სპილენძი უწყობს ხელს ადამიანის ორგანიზმში საღებავი პიგმენტების წარმოქმნას.

## როდის დიდდება კუჭი და ამის გამო ჩნდება მოთხოვნილება ბევრ საკვებზე

კარგი მადის მქონე ადამიანებს კუჭი დღითი დღე ეზრდებათ და, შესაბამისად, უფრო და უფრო მეტი საჭმელი სჭირდებათ დასანაყრებლად. იმისთვის, რომ კუჭი ზედმეტად არ გააღიზიანოთ და საჭმლის მომნელებელი ფერმენტების გამოყოფა შეამციროთ, იკვებეთ ხშირად და მცირე ულუფებით.

სადილი და ვახშამი ერთსა და იმავე დროს მიირთვით, რადგან, ამით კუჭი მიეჩვევა, საჭმლის მომნელებელი წვენი მხოლოდ მაშინ გამოყოს, როცა ის ნამდვილად საჭიროა.

სადილამდე ერთი საათით ადრე დალიეთ ერთი ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი. ის მდიდარია ტუტე ლითონებითა და მათი მარილებით და, ამიტომ, ბლოკავს კუჭის წვენის სეკრეციას, რაც ამცირებს შიმშილის შეგრძნებას. ასევე, რაც უფრო დიდხანს გრძელდება საჭმლის მიღების პროცესი, მით მეტად ძლიერდება დანაყრების გრძნობა. არ დაგავიწყდეთ, უნდა ჭამოთ მშვიდად და აუჩქარებლად. ამ დროს დასანაყრებლად გაცილებით ნაკლები კალორია გყოფნით.

მოერიდეთ გაზიან და ტკბილ სასმელებს, რადგან ისინი პირის ღრუსა და კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებენ და შიმშილის გრძნობას იწვევენ.

ცარიელ კუჭზე მიღებული მლაშე საჭმელი, მწნილი იქნება ეს თუ მცენარეული სალათები, ზრდის მადას. ამიტომ, უმჯობესია, ჯერ მთავარი კერძი მიირთვათ და ზემოთ ნახსენები საკვები შემდეგ დააყოლოთ.

შიმშილის ცენტრს სისხლში არსებული გლუკოზა აღიზიანებს და მადის სიძლიერესაც ეს ფაქტორი განაპირობებს. ეცადეთ, გვიან საღამოს არ ჭამოთ ტკბილეული, ცომეული, მსუყე საკვები და არ დალიოთ ტკბილი წვენები.

## მხიარული ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ

ახალგაზრდებისთვის აუცილებელია თხილეულისა და სუბტროპიკული ხილის ჭამა. ასაკში შესვლის შემდეგ კი საჭიროა ბეტა-კაროტინით მდიდარი საკვები, კერძოდ, სტაფილო, მწვანილი, პომიდორი, წიწაკა, ლობიო, კარალიოკი, ვაშლი, კომბოსტო და ასე შემდეგ. ბეტა-კაროტინით მდიდარი საკვები აძლიერებს იმუნიტეტს. 50 წლის ასაკიდან აუცილებელია კალციუმის მიღება, რადგან ის ამაგრებს ძვლებს და ხელს უწყობს გულის მუშაობას. სელენი კი, რომელიც სტრესისგან გვიცავს, ბევრია ყველში.

თუ ტვინის უჯრედებს აქტიურ ვარჯიშს არ მოაკლებთ (იკითხავთ, ამოხსნით კროსვორდებს და ასე შემდეგ), არასდროს შეგაწუხებთ გულის, სასუნთქი გზებისა და ნივთიერებათა ცვლის პრობლემები.

დღეში თუნდაც ოცწუთიანი ვარჯიში სიცოცხლეს ახანგრძლივებს, გვიცავს სხვადასხვა დაავადების რისკისგან, მაგალითად, როგორიცაა წნევის ცვალებადობა, ოსტეოქონდროზი, შაქრიანი დიაბეტი, მკერდის კიბო. ასევე, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად აუცილებელია ძილის წინ საძინებელი ოთახის განიავება. მხიარული ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე დეპრესიულები. სიცილის დროს ორგანიზმი გამოყოფს ისეთ ნივთიერებას, რომელიც ებრძვის ინფექციის გამომწვევ მიკრობებს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ახალგაზრდავებს ორგანიზმს.

## არყით ბევრ დაავადებას უმკურნალებთ

დიდი რაოდენობით ალკოჰოლის სმა ადამიანის ორგანიზმს ანადგურებს და ბევრი დაავადების მიზეზი ხდება. მცირე რაოდენობით კი სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებაა.

* ფაღარათის დროს დალიეთ ერთი პატარა ჭიქა მარილიანი არაყი.

* ბუასილის დროს, 800 გრამ ჭვავის გამხმარ პურს დაასხით არაყი და დადგით თბილ ადგილას. გააჩერეთ ოთხი დღის განმავლობაში. მიიღეთ 2 ჩაის კოვზი დღეში ორჯერ, ჭამის წინ.

* ანგინის შემთხვევაში, 1 სადილის კოვზ კრაზანას დაასხით ჭიქა-ნახევარი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ორთქლზე ათი წუთი. გააცივეთ, გადაწურეთ და დაამატეთ დინდგელის 10-პროცენტიანი სპირტხსნარი – ერთ ჭიქა ნაყენზე 50 წვეთი. ეს ხსნარი გამოივლეთ ყელში.

* თრომბოფლებიტისა და ვარიკოზის დროს, 1 ჭიქა არაყში ჩაყარეთ 20 გრამი დაქუცმაცებული ცხენის წაბლი (კანის გარეშე), გააჩერეთ 5 დღე ბნელ ადგილას, დროდადრო შეანჯღრიეთ. გადაწურეთ და მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 30 წვეთი, წყალთან ერთად.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მკერდის თავებზე მაქვს თმა. თიეროტროპიული ჰორმონი მქონდა მომატებული და ამას შეიძლება გამოეწვია ჭარბთმიანობა? გთხოვთ, მირჩიეთ, რა ანალიზი გავიკეთო? თიეროტროპიულ ჰორმონზე ვიმკურნალე და ახლა ნორმაში მაქვს.**

**პასუხი**: რამდენიმე ღერის ამოსვლა ძუძუს თავზე პათოლოგია არ არის. რაც შეეხება უკვე მამაკაცური ტიპის გათმოვანებას, უნდა ჩაიტაროთ შემდეგი გამოკვლევები: სისხლის შრატში ტესტოსტერონის განსაზღვრა; სისხლის შრატში დეჰიდროეპიანდროსტერონის სულფატის (DHEA) განსაზღვრა; ანდროსტენდიონის განსაზღვრა შრატში; 17-ჰიდროქსიპროგესტერონის განსაზღვრა შრატში; კორტიზოლის განსაზღვრა; გონადოტროპინების განსაზღვრა.

**კითხვა: თუ ბავშვი სიელმით დაიბადა, რომელი თვიდან შეიძლება მისი გასწორება?**

**პასუხი**: სიელმის დროს ყოველთვის არ მიმართავენ ქირურგიულ ჩარევას. ბავშვი 3 თვის ასაკში მაინც უნდა აჩვენოთ ოფთალმოლოგს. სიელმის მიზეზისა და ფორმის დაზუსტების შემდეგ, შეირჩევა მკურნალობის მართებული მეთოდი. ზოგადად, როცა თერაპიული მკურნალობა უშედეგოა, სკოლამდელ ასაკში ხდება ქირურგიული ჩარევა.

**კითხვა: რა განსხვავება და რა მსგავსებაა ნებულაიზერსა და ინჰალატორს შორის?**

**პასუხი**: ინჰალაციის აპარატს ჰქვია ნებულაიზერი.

**კითხვა: 67 წლის ქალბატონმა გაიკეთა ქვემო კიდურების ექოდუპლექსსკანირება. დასკვნაში წერია: მარჯვენა დიდი საჩინო ვენისა და შენაკადების ვარიკოზული გაგანიერება. სარქვლოვანი უკმარისობა. მარცხენა დიდი საჩინო ვენისა და შენაკადების ვარიკოზული გაგანიერება. როგორ უნდა მოიქცეს პაციენტი – წინდაა აუცილებელი თუ მარტო მედიკამენტები?**

**პასუხი**: აუცილებელია კომპრესიული ტრიკოტაჟის ტარება და აგრეთვე მკურნალობა. მიმართეთ ანგიოლოგს.

**კითხვა: ანალიზები გავიკეთე. ერთი თვეა C ჰეპატიტზე ვმკურნალობ. ანალიზი ALT-სა და AST-ზე მაქვს აღებული. იქნებ ამიხსნათ, ეს რას ნიშნავს?**

**პასუხი**: ალანინამინოტრანსფერაზა (ALT) და ასპარტატამინოტრანსფერაზა (AST) ღვიძლის ფერმენტებია. მათი რაოდენობა სისხლში მატულობს სხვადასხვა ეტიოლოგიის ჰეპატიტების, ღვიძლის ციროზის, ღვიძლის პირველადი თუ მეტასტაზური სიმსივნეების, გამოხატული პანკრეატიტის, გულის უკმარისობის, მიოკარდიუმის გავრცობილი ინფარქტის, მიოკარდიტის, მიოზიტის, კუნთოვანი დისტროფიის, ქრონიკული ალკოჰოლიზმის, მძიმე დამწვრობისა და ტოქსინებით მოწამვლის დროს.

**კითხვა: მეტფორმინ დენკის დალევის შემდგომ, შეიძლება ამ წამალმა შაქარი დაწიოს ისე, რომ ცუდად გახდეს ადამიანი? წერია, რომ არ იწვევს ჰიპოგლიკემიას, მაგრამ მართალია ეს?**

**პასუხი**: ეს პრეპარატი არ იწვევს მკვეთრად გამოხატულ ჰიპოგლიკემიას.

**რუბრიკას უძღვება**
**ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## მთქნარება ორგანიზმისთვის სასარგებლოა

თუ დააკვირდებით, მთქნარების დროს თავს უფრო მსუბუქად გრძნობთ, ორგანიზმი დუნდება და სასიამოვნო შეგრძნება გეუფლებათ. ეს მოწმობს იმას, რომ მთქნარება ხელს უწყობს ემოციური სტრესის მოხსნას. საღამოს კი, დატვირთული დღის შემდეგ, მთქნარებით ორგანიზმი განტვირთვას ცდილობს და მშვიდი ძილისთვის ემზადება.

დაღლილობის, მოწყენილობის ან ძილის მორევის დროს თავის ტვინში შემაფერხებელი პროცესორები აღმგზნებ პროცესორებს სჯაბნიან. ნელდება ორგანიზმის სხვა ფუნქციებიც, მათ შორის – სუნთქვისაც, კერძოდ, ის უფრო ნელი და ღრმა ხდება, რის შედეგადაც სისხლში ნახშირორჟანგის მჟავა და ნივთიერებათა ცვლის სხვა პროდუქტები გროვდება, რომლებიც ზემოქმედებენ თავის ტვინის სასუნთქ ცენტრზე, რაც იწვევს მთქნარებას. ღრმა და ნელი ჩასუნთქვისას სისხლი ჟანგბადით მდიდრდება. მთქნარებაში მონაწილე პირის ღრუს, სახისა და კისრის კუნთები ხელს უწყობს სისხლის მიწოდებას, ყოველივე ეს კი აუმჯობესებს ტვინის უჯრედების სისხლით მომარაგებისა და ცვლის პროცესებს.

მთქნარებისას ადამიანი იზმორება. ამ დროს იჭიმება ხელ-ფეხი და ზურგის კუნთები, რაც ხელს უწყობს თავის ტვინის ქერქის ტონუსის შენარჩუნებას. სწორედ ამ პროცესსა და თავის ტვინის მუშაობას ააქტიურებს მთქნარება. მთქნარებისას, ორგანიზმის ყველა სისტემა მობილიზებულია. ძლიერი ემოციური დატვირთვისა და საფრთხის დროს ირთვება მექანიზმი, რომლის დროსაც ადამიანი სუნთქვას იკრავს, კერძოდ, ნელა და ღრმად იწყებს სუნთქვას, რაც იწვევს მთქნარებას. ამ დროს სისხლი ჟანგბადით ივსება, ტვინს უკეთ მიეწოდება და ორგანიზმი საბრძოლო მზადყოფნაშია.

## გაიმაგრეთ სისხლძარღვები და ნუ მოადუნებთ კუჭს

ცხოვრების არანორმალური რიტმის გამო ბევრი უჩივის ქრონიკულ დაღლილობას. არსებობს სპეციალური წესები, რომ შრომამ ძალიან არ გადაგღალოთ და თავი მხნედ და ჯანმრთელად იგრძნოთ მთელი დღის განმავლობაში. კერძოდ:

* დიდი რაოდენობით მიირთვით ის საკვები, რომელიც კალციუმით არის მდიდარი: ნედლი ბოსტნეული, ხილი, რძე, კვერცხის გული. თუ გონებრივად დატვირთული სამუშაო გაქვთ, ჭამეთ ნიგოზი, ნუში და თევზი;

* თუ საღამოს ფეხებში ტკივილი იგრძენით, ესე იგი, სისხლძარღვების სპაზმი გაქვთ. ეს ძირითადად იმათ აწუხებთ, ვისაც დიდხანს უწევს სამსახურში ფეხზე დგომა. სახლში დაბრუნებისას, დაახლოებით ნახევარი საათით ჩამოჯექით სკამზე და ფეხები მეორე სკამზე შემოაწყვეთ. ყოველ დილით კი დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა რძე, რომელშიც ერთი ჩაის კოვზი თაფლი იქნება გარეული. კარგია, ასევე, პიტნის ჩაი;

სისხლძარღვების გასამაგრებლად სასურველია, ორი კვირის განმავლობაში ჩაიტაროთ პროფილაქტიკური კურსი და უზმოზე გადაყლაპოთ დღეში ერთი კბილი ნიორი. სისხლძარღვების გამაგრებით ტვინთან და გულთან დაკავშირებული პრობლემებიც მოგეხსნებათ. ასევე, სისხლძარღვების გასამაგრებლად და ნერვული სტრესის მოსახსნელად, თბილ რძეში გახსენით კვერცხის გული, დაუმატეთ ცოტა თაფლი და დალიეთ დღეში ორჯერ.

როცა ადამიანი იღებს ერთფეროვან საკვებს, თანაც, მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით, ორგანიზმი იწყებს გაზარმაცებას და მხოლოდ ის ფერმენტი გამოიყოფა დიდი რაოდენობით, რომელიც აუცილებელია ამ ერთი სახეობის საკვების დასაშლელად. დროთა განმავლობაში ეს სიზარმაცე ისე ძლიერდება, რომ ერთფეროვანი საკვებიდან ნებისმიერ გადახვევას ორგანიზმი აღიქვამს როგორც კატასტროფას და ზარმაცი კუჭი შერეულ საკვებზე უარს აცხადებს. სწორედ ასეთივე მექანიზმი მოქმედებს ხანგრძლივი შიმშილობის დროსაც. ამიტომ, გაითვალისწინეთ, რომ ერთფეროვანი და არაკალორიული საკვების შემდეგ მრავალფეროვანი და მსუყე საკვების



მიღება არ არის რეკომენდებული, რადგან, ამ დროს, ფერმენტთა უკმარისობის გამო, ორგანიზმის მიერ მრავალფეროვანი პროდუქტის გადამუშავება ვერ ხერხდება და ეს დისკომფორტს გიქმნით, რაც თქვენს გუნებასა და შრომისუნარიანობაზე უარყოფითად აისახება.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რატომ მოიკლა თავი სერგო ორჯონიკიძემ სტალინთან შეხვედრის შემდეგ



1917 წლის 28 ნოემბერს ლენინმა „სმოლნის“ სასახლეში კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) პოლიტბიუროს გაფართოებული სხდომა მოიწვია, რომელსაც სპეციალური სტატუსით პოლიტბიუროს არაწევრებიც ესწრებოდნენ. იმ პერიოდში რუსეთის დედაქალაქი ჯერ კიდევ პეტროგრადში მდებარეობდა და ახალი რევოლუციური მთავრობა სწორედ იქ იყო დაბანაკებული. ამ სხდომის მთავარი საკითხი მთავრობის ფორმირება გახლდათ და პოლიტბიუროს არაწევრებიც ამიტომ ესწრებოდნენ. ლენინის წინადადებით, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული, შეიქმნა სახალხო კომისიათა (მინისტრთა) საბჭო. ასევე, ერთხმად დაამტკიცეს ამ ორგანოს თავმჯდომარედ ლენინი, ხოლო სახალხო კომისართა (მინისტრთა) დამტკიცებისას, დამსწრეთა ხმები გაიყო. მწვავე დისკუსია გაიმართა, რომელიც ლამის ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა და რომ არა ლენინის ავტორიტეტი, ვინ იცის, რა მოხდებოდა. მწვავე კამათის პირველი მიზეზი ლევ ტროცკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე წარდგენა იყო. ის იაკობ სვერდლოვმა წარადგინა, რაზეც, მართალია, უხალისოდ, მაგრამ ლენინიც დაეთანხმა. თუმცა, იმ პერიოდში ტროცკისთან დაპირისპირებულმა კამენევმა და ზინოვიევმა, ტროცკის ამ პოსტზე დანიშვნაზე სასტიკი უარი განაცხადეს და ეს ლევ ბრონშტეინის (ტროცკის) გამოუცდელობით ახსნეს. თან, შემხვედრი წინადადება შემოიტანეს, რომ მის მაგივრად სტალინი აერჩიათ.

– ტროცკი რომ ამერიკაში ცხოვრობდა და თქვენ, ვლადიმირ ილიჩ (კამენევმა ლენინს მიმართა), მისი არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდით, მაშინ კობა (სტალინი) რევოლუციურ რაზმებს ბარიკადებზე მიუძღოდა, რევოლუციურ მოძრაობას სიცოცხლეს სწირავდა და სწორედ ის უნდა ჩაუდგეს სათავეში ბოლშევიკურ არმიას, – თქვა კამენევმა, რაშიც ზინოვიევიც დაეთანხმა. ორჯონიკიძემ კი ქართულად ჩაილაპარაკა: ბრონშტეინი ისეთივე სარდალია, როგორც თელავში გაზრდილი ვირი – მოჭადრაკეო.

ლენინმა ბოლომდე მოუსმინა კამენევს და სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ მას სტალინმა მოუბოდიშა, სიტყვა ითხოვა და თქვა:

– ამხანაგ კამენევს მადლობას ვუხდი ჩემი შეფასების გამო, თუმცა არ ვეთანხმები ამხანაგ ტროცკის მიმართ გამოთქმულ აზრში და მიმაჩნია, რომ ლევ დავიდოვიჩს ორგანიზატორობის დიდი ნიჭი აქვს. ჩვენ კი სწორედ ასეთი ადამიანი გვჭირდება ბოლშევიკური არმიის შესაქმნელად. ბრძოლაში კი ჯარისკაცებს პროფესიონალი სამხედროები წარუძღვებიან და იმედია, ამხანაგი ტროცკი სწორად შეარჩევს კადრებს. ამიტომ, მე ვეთანხმები ამხანაგ სვერდლოვის წინადადებას და ტროცკის არჩევას მხურვალედ ვუჭერ მხარს.

ტროცკისა და სვერდლოვს სტალინის მხარდაჭერამ წამხდარი ხასიათი გამოუსწორა. ლენინმა კი თავშეკავებით თქვა:

– ამხანაგებო, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით აზრები გაიყო. მოდი, ამხანაგი სტალინიც წარვადგინოთ ამ პოსტზე და ეს საკითხი უბრალო კენჭისყრით გადავწყვიტოთ.

ტროცკისა და სვერდლოვს კვლავ წაუხდათ გუნება, რადგან იცოდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში, სტალინი გაიმარჯვებდა. ეს იცოდა სტალინმაც და თქვა:

– ბოდიშს გიხდით, ვლადიმირ ილიჩ, მაგრამ მე ამ პოსტზე ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგი ვარ. კენჭისყრა კი აუცილებლად ჩავატაროთ, რადგან ამას პროცედურა მოითხოვს.

**– სერგო, თელავში გაზრდილ ვირს ნუ დაემსგავსები, – უთხრა სტალინმა ორჯონიკიძეს**

ლენინმა, როგორც სხდომის თავმჯდომარემ, ტროცკის დანიშვნის საკითხი ღია კენჭისყრაზე დააყენა. თორმეტი არ დაეთანხმა, ექვსმა თავი შეიკავა (მათ შორის ლენინმაც) ხოლო ცამეტმა კი თანხმობა განაცხადა და სწორედ სტალინი იყო ის მეცამეტე წევრი, რომელმაც ტროცკის გზა გაუხსნა სამხედრო მინისტრობისკენ.

შესვენებამდე სტალინი ერთხმად აირჩიეს ეროვნებათა საქმის სახალხო კომისრად და ლენინმა ერთსაათიანი შესვენების გამოცხადების შემდეგ, პირველმა დატოვა ოთახი. ტროცკი და სვერდლოვი კი ისე გავიდნენ, რომ არათუ მადლობა უთხრეს სტალინს, არამედ არც კი შეუხედავთ მისთვის.

სტალინი და ორჯონიკიძე გვერდიგვერდ ისხდნენ. კამენევი და ზინოვიევი კი ოდნავ მოშორებით. ისინი ქართველებს მიუახლოვდნენ და ერთხმად უთხრეს სტალინს:

– ჭკვიანი კაცი ხარ, კობა და ასეთ ინტრიგანსა და ამპარტავანს მხარი როგორ დაუჭირე, – შემდეგ გაბრაზებული ტანდემი ოთახიდან გავიდა, ორჯონიკიძემ კი უკვე ქართულად უთხრა წამომდგარ სტალინს:

– მართლები არიან. რა ბუზმა გიკბინა და ამ ამერიკელს ამხელა ძალა როგორ დააპატრონებინე, შენთვის კი სასაცილო თანამდებობა აირჩიე?

სტალინი და ორჯონიკიძე ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ – ერთმანეთთან შეხუმრებულები და ზოგჯერ არც უხეშ გამოთქმებს ერიდებოდნენ ერთმანეთის მიმართ. ამიტომ, სტალინს ეშმაკურად ჩაეცინა და ქართულადვე მიუგო ორჯონიკიძეს:

– შენი თქმის არ იყოს, თელავში გაზრდილი ვირი მოჭადრაკე ვერ გამოვა და ახლა სწორედ იმ ვირს ჰგავხარ.

– რატომ? – შეცბა ორჯონიკიძე.

– იმიტომ, სერგო, რომ წინ ვერ იხედები და მოვლენების განჭვრეტის უნარი მოგიჩლუნგდა, – თქვა სტალინმა და პაპიროსი გააბოლა, – ჩვენ მრავალეროვან ქვეყანას ვაყალიბებთ და ჩემი თანამდებობა, სწორედაც რომ, მნიშვნელოვანია ამ საქმისთვის. ტროცკი კი უფსკრულის პირას დგას. მსოფლიო ომს შიდა ომი შეცვლის და ისე განვითარდება მოვლენები, რომ სამხედრო კომისარს თავბედს აწყევლინებს თავისი თანამდებობა. ავტორიტეტს დაუგდებს და როცა მიხვდება, თუ რა სისულელე ჩაიდინა, უკვე გვიან იქნება. თანაც, ნუ ფიქრობ, რომ ხიშტიანი ჯარისკაცია ქვეყნისა და პოლიტიკის მთავარი დამცველი... უფრო ძლიერი ორგანო გაჩნდება, რომელიც უკვე ჩვენს ხელში იქნება, – თქვა სტალინმა და კარისკენ გაემართა.

მოგვიანებით, სერგო ორჯონიკიძის მეუღლე თავის გამოუქვეყნებელ მემუარებში, რომელიც დახურულ არქივებში აღმოჩნდა, წერდა: „სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე, სერგომ სტალინთან 1917 წლის 28 ნოემბრის საუბარი გაიხსენა და მითხრა:

– ახლაღა მივხვდი, რომ კობა ჯერ კიდევ მაშინ უმზადებდა მყარ ფუნდამენტს თავის მომავალ, ურყევ ხელისუფლებას და ჯერ კიდევ მაშინ არყევდა პატივმოყვარე, ამპარტავანი ტროცკის ავტორიტეტს. სწორედ კობამ შეაგდო ტროცკი იმ ცეცხლში, რომელმაც ბრონშტეინის (ტროცკის) ავტორიტეტიდან ფერფლიღა დატოვა. ტროცკიმ, მართალია, შექმნა წითელი არმია, მაგრამ მისმა სისასტიკემ სახალხო სიძულვილი და უკურეაქცია გამოიწვია. იმავდროულად კი, სტალინისა და ძერჟინსკის მიერ შექმნილ „ჩეკას“ მიზანში ჰყავდა ამოღებული ტროცკი, მისი გუნდი და აკონტროლებდა მათ. ყოველივე ამის პარალელურად, ერთი შეხედვით, ეროვნებათა საქმეთა უბრალო კომისარი სტალინი, მყარ ურთიერთობებს ამყარებდა სხვადასხვა ერებთან და ბოლოს მათი მმართველი, მათი მეფე გახდა. კობა, ძალიან ვერაგი და ეშმაკი კაცია და მე მეშინია მისი...“

ერთ-ერთი ვერსიით, სერგო ორჯონიკიძის თვითმკვლელობა სტალინთან წარმოქმნილი კონფლიქტის შედეგი იყო. ეს კონფლიქტი კი იმან გამოიწვია, რომ ორჯონიკიძეს უახლოეს პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინის მხილება უნდოდა ძველი ბოლშევიკების განადგურების საქმეში. სტალინმა კი ეს გაიგო. დაიბარა და უთხრა, ასეთი რამ არ გაეკეთებინა.

**ნიკა ლაშაური**

# როგორ აატანინა ლავრენტი ბერიამ მელიტონ ქანთარიას რაიხსტაგზე წითელი დროშა

საყოველთაოდ გავრცელებული აზრია, რომ სტალინურ სახელმწიფოში ყველა გადაწყვეტილებას, იქნებოდა ეს საგარეო პოლიტიკის საკითხები თუ „დიდი თეატრის“ რეპერტუარი, მხოლოდ და მხოლოდ სტალინი იღებდა და ყველა მისი განკარგულება უსიტყვოდ სრულდებოდა ისე, რომ მცირე კორექტივების შეტანასაც კი ვერავინ ბედავდა. თუმცა, ბოლო წლებში ჩატარებულმა, ადრე გასაიდუმლოებულმა საარქივო კვლევებმა ცხადჰყო, რომ ეს ასე არაა და მხოლოდ ერთადერთი ადამიანი ახერხებდა დამოუკიდებლად მოქმედებას. ეს გახლდათ ლავრენტი ბერია.

პროფესორი ანდრეი პარშევი წერს: „ლავრენტი ბერია მთელ საბჭოთა იმპერიაში, რა თქმა უნდა, სტალინის შემდეგ, ყველაზე ძლევამოსილი ადამიანი იყო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, სტალინის უახლოეს გარემოცვაში ლავრენტი ბერია ყველაზე ნიჭიერი, გონიერი და პროგრესული ადამიანი იყო და ათი თავით ჯობდა კოლეგებს (სტალინის გამოკლებით). ბერია ძალიან ეშმაკი და საზრიანი გახლდათ და ისე შეეძლო საქმის მოწყობა, არც მწვადი დაეწვა, არც შამფური და წყლიდანაც მშრალი ამოსულიყო. თან, საბჭოთა ბელადის შექებაც დაემსახურებინა.

სტალინის მეუღლის, ნადეჟდა ალილუევას დის ქმარი, ბერზინი, საქართველოს პოლიტიკური სამმართველოს („ოგეპეუ“) უფროსი იყო. ბერია კი საქართველოს ცეკას პირველი მდივანი და სტალინის ლოთი და გარყვნილი სიძე ყელში ჰყავდა ამოსული. ის უხეშად ერეოდა ბერიას საქმეებში და როგორც პირველმა მდივანმა შეიტყო, მის ადგილსაც კი უმიზნებდა. სხვა შემთხვევაში, ასეთ უგუნურ თავხედს ბერია თვალის დახამხამებაში მოსპობდა. სტალინის სიძეს კი, როგორც ბერიამ უთხრა თავის ყოფილ მოადგილეს, სერგო გოგლიძეს – უფრო ნატიფი მიდგომა სჭირდებოდა და სწორედ მას დაავალა ბერზინის „გამოჭენება“. ბერიამ გოგლიძე კაბინეტში დაიბარა და უთხრა:

– ზეგ თბილისში ოდესის „მიუზიკ-ჰოლი” ჩამოდის. მათ დასში სულ ნარჩევი გოგონებია. ბერზინი არ გამოტოვებს მათ სპექტაკლს და ქალებთანაც გაერთობა. სწორედ ეს დაგეხმარება მის გამოჭენებაში და მიდი, იმოქმედე...

მართლაც, ქართველი „ჩეკისტების“ ძალისხმევის შედეგად, ბერზინი ჯერ სპექტაკლს დაესწრო, შემდეგ პირდაპირ კულისებში „დაითრია“ კორდებალეტის ორი მოცეკვავე გოგონა და ისინი ამჟამინდელი სასტუმრო „მერიოტის“ ლუქსში „გააქანა“. თუმცა, ღამის სამ საათზე საცვლების ამარა, მთვრალი ბერზინი იმ დროს დააკავა ქუჩის რიგითმა მილიციელმა, როდესაც „ოგეპეუს“ უფროსი გაქცეული კორდებალეტის მოცეკვავეებს რუსთაველის გამზირზე მისდევდა. გოგონებმა მილიციისთვის მიცემულ ჩვენებებში დაწერეს, რომ ბერზინი მათ სადომაზოხისტურ სექსს სთხოვდა. ნახევარ საათში ეს ჩვენებები უკვე ბერიას ჰქონდა. დილით კი მან სტალინს დაურეკა. ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ჰკითხა:



– როგორ მოვიქცე, ამხანაგო სტალინ?

– საკნიდან გამოათრიონ და საცვლებით მოსკოვში გამოუშვი, ეგ ძაღლისშვილი, – ასე უპასუხა სტალინმა ბერიას და საცვლებისამარა ბერზინი სამუდამოდ მოაშორეს საქართველოდან.

ამ შემთხვევიდან ერთი თვის მერე ბერია საქმეებზე იყო ჩასული მოსკოვში. სტალინსაც შეხვდა და საბჭოთა ბელადს მისთვის უთქვამს:

– შენ ძალიან მოხერხებული კაცი ხარ, ლავრენტი პავლოვიჩ და ბერზინი ოსტატურად მოიშორე. თუმცა, ის ლოთი ამის ღირსი იყო...

ბერზინთან დაკავშირებით სტალინისა და ბერიას აზრები ერთმანეთს დაემთხვა. მაგრამ, იყო შემთხვევები, როდესაც მათი აზრები რადიკალურად განსხვავდებოდა და მოხერხებულმა ბერიამ მაინც თავისი გაიტანა, აჯობა სტალინს... ასე მოხდა, რაიხსტაგზე წითელი დროშის ატანის დროსაც.

**ბერიამ დეკანოზოვი დაიმარტოხელა და უთხრა: რაიხსტაგზე წითელი დროშა ქართველმა უნდა დაამაგროს, მისი გვარი იაზე უნდა მთავრდებოდეს და წარმოშობით სამეგრელო-აფხაზეთიდან უნდა იყოს**

1945 წლის 23 აპრილს, როდესაც წითელი არმია ბერლინის ქუჩებში იბრძოდა, სტალინმა თავის კაბინეტში შეკრებილ პოლიტბიუროს წევრებს მკაფიოდ განუცხადა:

– უახლოეს დღეებში დამხობილი გერმანიის რაისტაგის შენობაზე წითელი დროშა უნდა აფრიალდეს და უმნიშვნელოვანესია, ეს დროშა იქ ყოჩაღმა რუსმა ჯარისკაცმა აიტანოს...

ბელადმა პირადად ბერიას დაავალა ამ მოვლენის კურატორობა და უთხრა:

– დროშის დამაგრების მომენტი კინო და ფოტოკამერებზე უნდა აღიბეჭდოს და მთელ მსოფლიოს მოედოსო.

სტალინის დავალების შესრულებას ლავრენტი ბერია იმავე დღეს შეუდგა. მან თავის კაბინეტში დაიბარა ცნობილი კინოდოკუმენტალისტი რომენ კარმენი თავის გადამღებ ჯგუფთან ერთად, აგრეთვე, გაზეთ „პრავდის“ ჟურნალისტები და ფოტოკორესპონდენტები, მათ შორის კონსტანტინე სიმონოვიც, რომელმაც შემდგომში დიდი სტატია გამოაქვეყნა „პრავდაში“ და აუხსნა მათ ყველაფერი. ბერია 26 აპრილს სპეციალური თვითმფრინავით ბერლინში გადაფრინდა. მას თან ახლდა დეკანოზოვიც, რომელიც ომამდე გერმანიაში ელჩად მუშაობდა, იმ პერიოდში კი ბერიას მოადგილე იყო.

შემდგომში ბერიასთან ერთად დახვრეტილი დეკანოზოვის გასაიდუმლოებულ დღიურებში ვკითხულობთ: „1945 წლის 29 აპრილს ლავრენტი პავლოვიჩმა დამიმარტოხელა და მითხრა:

– რაიხსტაგზე დროშა ქართველისა და რუსის „სვიაზკამ“ უნდა აიტანოს. მედროშე ქართველი უნდა იყოს. აუცილებლად მისი გვარი ია-ზე უნდა მთავრდებოდეს და წარმოშობით სამეგრელო-აფხაზეთიდან იყოს. მეავტომატე კი სუფთა რუსი იქნება. მიდი, იმოქმედე. დღესვე მომიძებნე ასეთი წყვილი. ხვალ კი დამხობილ რაიხსტაგზე წითელი, საბჭოთა დროშა უნდა ფრიალებდეს...

სულ რაღაც სამიოდე საათის შემდეგ, მე უკვე სოფელ ჯვრის მკვიდრს, უმცროს სერჟანტს, მელიტონ ქანთარიასა და მეავტომატე ეგოროვს მივაგენი. მეორე დღეს კი მელიტონ ქანთარიამ რაიხსტაგის სახურავზე წითელი დროშა დაამაგრა და ეს მოვლენა არა მარტო ყველა საბჭოთა გაზეთმა, არამედ მოწინავე მსოფლიო პრესამ პირველ გვერდებზე გააშუქა“.

ბერია მოსკოვში 1 მაისს, დილით, საპირველმაისო დემონსტრაციის დაწყებამდე დაბრუნდა. მან სახლში შესვლაც ვერ მოასწრო და პირდაპირ მავზოლეუმის ტრიბუნისკენ გაემართა, სადაც სტალინთან ერთად, საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელებიც იმყოფებოდნენ. ბერია კოლეგებს მიესალმა და მისთვის უჩვეულო ადგილზე, მარცხენა კიდეზე, კიბეებთან შეჩერდა. სტალინმა ბერია ხელით მოიხმო. გაზეთ „პრავდის“ ნომერი უჩვენა, რომელიც შინელიდან ამოაცურა და ჰკითხა:

– ლავრენტი პავლოვიჩ, ეს მედროშე ნამდვილად ქართველი მელიტონ ქანთარიაა თუ „პრავდელებს“ აერიათ მისი ვინაობა?

– არა, ამხანაგო სტალინ, „პრავდელებს“ არაფერი არევიათ და მედროშე გმირი საბჭოთა მეომარია. მეავტომატე რუსი გმირი ჯარისკაცი ეგოროვი კი, მამაცურად უკაფავდა მას გზას რაიხსტაგის სახურავისკენ, – მიუგო ბერიამ სტალინს, რომელმაც პაუზის შემდეგ ბერიას უთხრა:

– გმირობას სათანადო დაფასება სჭირდება და დღესვე იზრუნე, რომ ისინი მოსკოვში ჩამოიყვანონ გმირობის მისაღებად...

რამდენიმე დღის შემდეგ სტალინმა ეგოროვს პირადად დააბნია მკერდზე გმირის ვარსკვლავი. ლავრენტი ბერიამ კი სოფელ ჯვრის მკვიდრს, უმცროს სერჟანტს, მელიტონ ქანთარიას მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი დააბნია და გულაჩუყებული, გაოცებული სტალინის თვალწინ გადაეხვია მას“.

**გვერდი მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### დუდაური

**დუდაური** მოხსენიებულია დავით გარეჯის ყმების ნუსხაში, რომელიც კახთა ხანმა და „ქართველთა ბატონმა" განუახლეს გარეჯს. მათზე დავა ჰქონიათ საგინაშვილებს. მათი მამული და სასახლე საცილებელი შეიქმნა ზაალ საგინაშვილსა და ნინოწმინდისა და გარეჯის წინამძღვრის, ონოფრეს შორის. სამართლისთვის მიმართეს ხანს, რომელმაც საქმის გადაწყვეტა სახლთუხუცესს, კახეთის მდივანს, ონანას დაავალა. მისი განჩინებით კი, საგინაშვილებს **დუდაურის** შვილებზე უფლება არ ჰქონდათ. ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის დროს გარეჯის მონასტრისთვის უნდა ეხადათ: რვა საპალნე ღვინო, ოცი ლიტრი ლებანი, ორი ლიტრი სანთელი.

ხოდაშენში მცხოვრები **დუდაური** გიორგი მეფემ დავით გარეჯის მონასტერს შესწირა.

საქართველოში 212 **დუდაური** ცხოვრობს: თბილისში – 87, დუშეთში – 64, ახმეტაში – 29. არიან სხვაგანაც.

### გულაბერიძე

**გულაბერიძე** უძველესი ქართული გვარსახელია. ის ორი სახელისგან არის წარმომდგარი – **გულა** და **ბერი.**

ამ გვარის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ნიკოლოზ **გულაბერიძის** ალაპი. ეს არის ერთერთი უძველესი ალაპი, რომელიც ჩაწერილია ჩვენამდე მოღწეულ ჯვრის სამონასტრო მატიანეში; ალაპთა მეორე, მთავარ წიგნში, არის ნიკოლოზ **გულაბერიძის** – მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის, ქართლის კათალიკოსყოფილის ალაპი.

ნიკოლოზ **გულაბერიძე**, ანტონ ქუთათელსაღირაძესთან ერთად, იყო ხელმძღვანელი საეკლესიო კრებისა, რომელიც თამარ მეფის მოწვევით, 1184-1185 წლებში გაიმართა. ნიკოლოზმა ბევრი ილვაწა მთაწმინდის მონასტერში. იქ დიდ მშენებლობას აწარმოებდა და 1210 წელს გარდაიცვალა.




საქართველოში 122 **გულაბერიძე** ცხოვრობს: ხელვაჩაურში – 116, ბათუმში – 5, ქობულეთში – 1.

### ბაიდარაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბაიდო. ბაიდარი** ისტორიული მხარეა ქვემო ქართლში. **ბაიდარი** სოფელია მარნეულის რაიონშიც.

სავარაუდოდ, **ბაიდარაშვილი** სადაურობის აღმნიშვნელი გვარი უნდა იყოს, ისევე, როგორც დილმელიშვილი, რაჭველიშვილი, თბილელი, მანგლელი და ასე შემდეგ.

„თონეთელმა ალექსანდრე მჭედლიშვილმა 1875 წელს დიდი ენაგეთის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ჩხიკვთაში მცხოვრებ ანდრია **ბაიდარაშვილის** ასულ მაგდალინაზე".

სოფლის მორიგი აკლებისას, საგინაშვილები კახეთში გახიზნულან და იქ ჭავჭავაძეებთან დანათესავებულან. ამას ადასტურებს საფლავის ქვების წარწერები მაწევანსა და სამებაში. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უკანვე, აღბულაღის რაიონში დაბრუნებულ საგინაშვილებს კახეთიდან თან წამოუყვანიათ იქაური გლეხები, გვარად **ბაიდარაშვილები**.

გადმოცემით, **ბაიდარაშვილები** დაახლოებით ხუთი თაობის წინ გადმოსულან სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგიდან. სოფელში ამჟამად **ბაიდარაშვილთა** ორი შტოა, კერძოდ: კორელაანი და ზანდარაანი. კორელაანთ თიკუნი მომდინარეობს ოთხი ძმისგან – სოლომონის, ივანეს, სანდროსა და გიგასგან. მათი მამა იყო ზაქრო **ბაიდარაშვილი**. ამ შტოს შთამომავლები საგინაშვილთა კარის მოსამსახურეები ყოფილან. ურთიერთსიახლოვე საგინაშვილ-**ბაიდარაშვილებს** ბოლო დრომდე შემორჩათ.

ზანდარაანთ **ბაიდარაშვილები** ჩხიკვთაში, ტბისსა და თბილისში ცხოვრობენ.

საქართველოში 225 **ბაიდარაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 105, თეთრი წყაროში – 85, რუსთავში – 18. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგავის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ლვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

4 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;***

5 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„იულიუს კეისარი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;***

6 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ლისისტრატე"** - (ბილეთის ფასი - 6 - 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება დავით საყვარელიძისა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

7 თებერვალი, **კვირა** 12.00 - **„კონკია"** - (ბილეთის ფასი - 7 - 15 ლარი), (დიდი სცენა) - მუსიკალური ზღაპარი. რეჟისორები: რობერტ სტურუა, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10წთ;***

7 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.***

## მარჯანიშვილის თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8. ტელ.: 2 955-966.**

2 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„უსახელო ვარსკვლავი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ანკა ვასაძე, კონსტანტინე როინიშვილი, დემეტრე სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ;***

3 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ;***

3 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სახლი ღრუბლებში"** - (ბილეთის ფასი - 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ვანო იანტბელიძე, გია აბესალაშვილი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10წთ;***

4 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;***

5 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„უსახელო ვარსკვლავი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ანკა ვასაძე, კონსტანტინე როინიშვილი, დემეტრე სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ;***

6 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ტოიბელე და მისი დემონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოგა თავაძე. მონაწილეობენ: ანა ვასაძე, მალხაზ აბულაძე, ნათია გუბენკო, პაატა პაპუაშვილი, მარლენ ეგუტია, გიგა გოგიჩაძე, ნიაზ ხუციანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

7 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ;***

### *ახალი სცენა*

2 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„შევხვდებით სამოთხეში"** - (ბილეთის ფასი - 14, 16 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

3 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14, 16 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ;***

4 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„შეცდომათა კომედია"** - (ბილეთის ფასი - 14, 16 ლარი), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ზურა ინგოროყვა, ონისე ონიანი, დათო ხახიძე, ზაზა იაქაშვილი, ჯაბა კილაძე, ნათია არბოლიშვილი, ანა სანაია, ქეთი კანტიძე, ეკა ნიჟარაძე, ირმა ბერიანიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;***

5 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„დაანებე ჩემს ცოლს თავი!"** - (ბილეთის ფასი - 16 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ვასიკო ოდიშვილი, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, დონარა გვრიტიშვილი, ქეთი ცხაკაია, ზურა ბერიკაშვილი, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15წთ;***

6 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„მეორედ მოსვლა"** - (ბილეთის ფასი - 14, 16 ლარი), რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი - თემო კუპრავა. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, კონსტანტინე როინიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

7 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„თავისუფალი პეპლები"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), რეჟისორი: ანი ხიდეშელი. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, ანუკა გრიგოლია, თაკო ბერიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

1 თებერვალი, **ორშაბათი** 19.00 - **„საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები..."** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 9 ლარი), რეჟისორი: ნიკა ჩიკვაიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

2 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;***

3 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45წთ;***

5 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ;***

6 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ;***

7 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

5 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„უდღეური დღეობა"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნინი ჩაკვეტაძე. მონაწილეობენ: იაკო ჭილაია, ქეთი ასათიანი, ნინო კარდანახაშვილი, ზაზა ვაშაყმაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ;***

6-7 თებერვალი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„ჩვენი პატარა ქალაქი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მზია არაბული, კოკო როინიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, ნატალია შენგელაია, ნინო ჩხეიძე, ნიკა წერედიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, დარეჯან ხაჩიძე, დარეჯან ჯოჯუა, ბექა ჯუმუტია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50წთ.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

2-3, 7 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი, კვირა** 19.00 - **„საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: სოფო ხალვაში, თიკა ფაცაცია, არჩილ სოლოღაშვილი, სალომე ყიფიანი, ტატო ჩახუნაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;***

4 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მედეა"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ ჩარკვიანი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, დავით ბეშიტაშვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი, მარინა ჯოხაძე, ანა წერეთელი, თეონა ლეჟავა, გიგი ქარსელაძე, ირაკლი კაკაბაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ;***

5-6 თებერვალი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„მერი პოპინსი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, ლაშა რამიშვილი, გიორგი ყველაშვილი, სალომე ყიფიანი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

2 თებერვალი, **სამშაბათი** 15.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

2-3 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 12.00 - **„სალამურა"** - (ბილეთის ფასი - 8, 10, 12, 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

3 თებერვალი, **ოთხშაბათი** 15.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

4 თებერვალი, **ხუთშაბათი** 12.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

4-5 თებერვალი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 12.00, 15.00 - **„დაბადების დღე"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ საბაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ;***

6 თებერვალი, **შაბათი** 12.00 - **„სამეფო ძროხა"** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

6 თებერვალი, **შაბათი** 13.00 - **„წითელქუდა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბალათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

6 თებერვალი, **შაბათი** 15.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;***

6 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ჯუჯა ცხვირი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიორგი თავაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ;***

7 თებერვალი, **კვირა** 13.00 - **„ივანანამ რა ჰქმნა?!"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბალათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;***

7 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„კუკარაჩა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: შალვა გაწერელია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ.***

## ორშაბათი 1 თებერვალი

**06.30** მუსიკა I არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **10.50, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "მუსიკოლოგოსი" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ჩემი ადგილი მზის ქვეშ**" **03.00** "პირადი ექიმი" **03.50** "კომუნიკატორი".

**06.30, 19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილა მშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.45** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **22.00** ქ.მხ/ფ. "**შემთხვევითი პაემნები**" **23.30, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ჯუნა**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი".

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **1** სერ. **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ "**ნოკაუტი**" (მ.დაგლასი) **01.50** მხ/ფ "**ანგარიშსწორება**" (პ.ჯამატი) **03.45** ერთხელ საქართველოში **04.05** მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" (ა.ეკჰარტი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** დ/ფ "მთასაყდარი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი "**ბნელ ოთახში**" **17.35** დ/ფ "ავთანდილ ცოტნიაშვილი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ხსოვნა**" I სერ. **19.25** თვენი-ღირსი ასურელი მამა ანტონ მარტყოფელი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ "ხომლი ფშავ-ხევსურეთი" IV **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## სამშაბათი 2 თებერვალი

**06.30** მუსიკა I არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **16.45** "ეკონომეტრი. **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.50** ეპოქის ფრაგმენტი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**სამეფო**" (ჯ.ფოკსი) **03.00** "პირადი ექიმი. **04.00** "კომუნიკატორი.

**06.30, 19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილა მშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.45** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ჯუნა**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი".

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.55** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **2** სერ. **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** მხ/ფ "**შავ-თეთრი**" (ა.ჩადოვი) **00.00** მხ/ფ "**სიმამაცის კანონი**" (რ.სანჩესი) **02.05** მხ/ფ "**ნოკაუტი**" (მ.დაგლასი) **03.35** ერთხელ საქართველოში **04.15** მხ/ფ "**კეთილი ჯონი**" (ა.საიფრედი).

**06.10** სპექტაკლი **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** საქართველოს ქალაქები-ზესტაფონი **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება "დეკორატიული ხელოვნება"–ქეთი დარსაველიძე **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**ხსოვნა**" I სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დოკ. ფილმი " ჯუმბერ ჯანდიერი-უკვდავი სულის შემოქმედი" **16.30** მგზავრები წუთისოფლისა "სამაჩაბლო" **17.10** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **17.30** დ/ფ"სვეტიცხოველი" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** სიმღერის კვალდაკვალ "რაჭა" **20.00** ღია აუდიტორია "მინდია უგრეხელიძე" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** ჩვენი ფონდი **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 35-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

### 1 – 7 თებერვალი

*დარბაზი 1*

11.30, 13.40, 15.50, 18.00 - **„კუნგ ფუ პანდა 3"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

20.10 - **„ბილწი ბაბუ"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*

22.30 - **„13 საათი: ბენგაზის საიდუმლო ჯარისკაცები"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

*დარბაზი 2*

12.45 - **„აუტანელი არდადეგები"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

14.45 - **„როკი: მემკვიდრეობა"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.*

17.00 - **„ბილწი ბაბუ"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*

19.30 - **„გაყინული შადრევნების წელიწადი"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ;*

22.00 - **„რობინზონი და ცხრა პარასკევა"**; *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ;*

*დარბაზი 3*

12.15 - **„მამიკო სახლშია"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

14.30 - **„გაყინული შადრევნების წელიწადი"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ;*

17.00 - **„ცელქი დები"**; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

19.35 - **„13 საათი: ბენგაზის საიდუმლო ჯარისკაცები"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

22.35 - **„რევენანტი"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

*დარბაზი 4*

11.30, 14.15, 22.25 - **„მეხუთე ტალღა"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;*

16.45, 19.35 - **„დიდი აფიორა"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00 - **„მომღერალი თახვები 4"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

16.05 - **„13 საათი: ბენგაზის საიდუმლო ჯარისკაცები"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

19.10 - **„რევენანტი"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

22.25 - **„ბილწი ბაბუ"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*

(ბილეთის ფასი: 8 - 14 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00, 17.10 - **„კუნგ ფუ პანდა 3"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

19.15 - **„13 საათი: ბენგაზის საიდუმლო ჯარისკაცები"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

22.15 - **„გოგონა დანიიდან"**; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

*დარბაზი 2*

14.15 - **„მომღერალი თახვები 4"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

16.30 - **„გოგონა დანიიდან"**; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

19.00 - **„რევენანტი"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

22.15 - **„13 საათი: ბენგაზის საიდუმლო ჯარისკაცები"** (ინგლისურად ქართ. ტიტრებით); *ხანგრძლივობა: 2სთ. 35წთ;*

*დარბაზი 3*

12.15 - **„მომღერალი თახვები 4"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

14.30, 19.30 - **„ჯოი"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ;*

17.00 - **„გოგონა დანიიდან"** (ინგლისურად); *ხანგრძლივობა: 2სთ;*

22.00 - **„დიდი აფიორა"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.*

(ბილეთის ფასი: 8 - 14 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.



# ხორციანი და ბოსტნეულიანი გამომცხვარი





**საჭირო ინგრედიენტები: ცომი:** 200 გრამი ფქვილი, 2 ცალი მოზრდილი კვერცხი, 100 გრამი კარაქი, 1 სადილის კოვზი ცივი წყალი.

**შიგთავსი:** 2 ცალი პომიდორი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი სტაფილო, 2 თავი ხახვი, 250 გრამი უცხიმო ხორცი, 150 გრამი არაჟანი, 1 ცალი კვერცხი, 100 გრამი მაგარი ყველი, ნახევარი კონა მწვანე ხახვი, 2 ჩაის კოვზი მარილი (გემოვნებით), შავი პილპილი, ზეთი, ცოტა მარგარინი ან კარაქი.

**მომზადების წესი:** კარაქი წვრილად დაჭერით და მოაყარეთ ფქვილი. დაუმატეთ 2 ცალი გათქვეფილი კვერცხი და შეურიეთ 1 სადილის კოვზი წყალი. მოზილეთ ცომი, თანაც მოზილეთ ხელით. უფრო რბილი და ნაზი ცომი გამოვა. გააჩერეთ ცოტა ხნით. ამასობაში მოამზადეთ შიგთავსი. ხორცი დაჭერით მოგრძო, წვრილ ნაჭრებად. შებრაწეთ ზეთში ყველა მხრიდან, 1 ცალ წვრილად დაჭრილ ხახვთან ერთად. უყავით ცოტა მარილი და პილპილი. ცალკე, ზეთში მოშუშეთ ბოსტნეული – ჩხირებად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, სტაფილო და პომიდორი.

ცალკე ჯამში არაჟანში შეურიეთ კვერცხი და აურიეთ. უყავით ცოტა მარილი და პილპილი. ფორმას ბოლომდე წაუსვით მარგარინი ან კარაქი. ცომი გააბრტყელეთ, მიეცით მრგვალი ფორმა. ნაპირები ცოტა აუმაღლეთ. ცომის ფსკერზე მოათავსეთ ხორცი ხახვით. ზემოდან მოაყარეთ ბოსტნეული. სოუსის ნახევარი მოასხით ბოსტნეულს ზემოდან... დარჩენილ სოუსს შეურიეთ გახეხილი ყველი და ცოტა ათქვიფეთ. მეორე ხახვი დაჭერით თხელ ნახევარრგოლებად და შეურიეთ მეორე ფენა ბოსტნეულს. ზემოდან მოაყარეთ მწვანე ხახვი და მოასხით დარჩენილი სოუსი. გამოაცხვეთ ცხელ აირღუმელში 40 წუთის განმავლობაში. უჩვეულო არომატის და ძალიან გემრიელი კერძია.

# ბრინჯით ფარშირებული ქათამი





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ქათამი. **მარინადისთვის:** 1 ჩაის კოვზი შერეული სუნელები, 1 ჩაის კოვზი ტკბილი წიწაკა, 4 კბილი ნიორი, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით, ცოტა მწარე წიწაკა.

**შიგთავსი:** 1 ჭიქა დაჭრილი და ჩაშუშული კომბოსტო, 1 ჭიქა ბრინჯი, 4 მარცვალი შავი პილპილი, 2 კბილი ნიორი, მარილი.

**მომზადების წესი:** შეურიეთ მარინადის ინგრედიენტები ერთმანეთში. ბრინჯი მოხარშეთ და შიგთავსის ინგრედიენტებიც ერთმანეთს შეურიეთ. ქათამი გარეცხეთ, შეაშრეთ და კარგად წაუსვით მარინადი. ამოავსეთ შიგთავსით. ამოკერეთ. შეუკარით ფეხები ძაფით და მოათავსეთ 200 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში ერთი საათის განმავლობაში. ღუმელში შედგმიდან ნახევარი საათის შემდეგ ტაფაზე დაღვრილი ცხიმი კოვზით ისევ ზემოდან მოასხით ქათამს და ასე გაიმეორეთ რამდენჯერმე სრულ შეწვამდე.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# ღვეზელი გოგრითა და ვაშლით





**საჭირო ინგრედიენტები: გულსართი:** 400 გრამი გოგრა, 2 ცალი მჟავე ვაშლი, 100 გრამი კარაქი, 75 გრამი შაქარი, 1 ჩაის კოვზი დარიჩინი, 0,5 ჩაის კოვზი კოჭა, 0,5 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული მუსკატის კაკალი.

**ზემოდან წასასმელი:** 1 ცალი კვერცხის ცილა, 1 სადილის კოვზი შაქარი.

**ცომი:** 100 გრამი კარაქი, 50 გრამი შაქარი, 1 კვერცხის გული, 1 სადილის კოვზი არაყანი, 1,5 ჭიქა ფქვილი, 0,5 ჩაის კოვზი ვანილის შაქარი, 1 შეკვრა გამაფხვიერებელი, 3 სადილის კოვზი დაფხვნილი ორცხობილა.

**მომზადების წესი:** კარაქი წინასწარ დაკეპეთ დანით და ისე მოაყარეთ ჯერ შაქარი, მერე ფქვილი. ისე ასრისეთ, რომ ფხვნილად იქცეს. დაუმატეთ კვერცხის გული, არაყანი, ვანილის შაქარი და გამაფხვიერებელი. მოზილეთ ცომი. შეახვიეთ საკონდიტრო ცელოფანში და მოათავსეთ 30 წუთით მაცივარში.

გოგრის რბილობი დაჭერით წვრილად. ვაშლი გაჭერით ოთხად, მოაშორეთ კურკები და დაჭერით თხელ ფირფიტებად. ტაფაზე გაადნეთ კარაქი, შეურიეთ შაქარი, ურიეთ 5 წუთის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე. ჩაუმატეთ გოგრა და შუშეთ 15 წუთი. ჩაუმატეთ ვაშლი, დარიჩინი, კოჭა და მუსკატის კაკალი. კიდევ ხუთი წუთი შუშეთ, თან ურიეთ. გადმოიღეთ ცეცხლიდან და გააცივეთ. შეგიძლიათ, ბლენდერში მოათავსოთ და პიურედ აქციოთ.

გამოსაცხობ ფორმას წაუსვით ცოტა კარაქი. მოაყარეთ ორცხობილის ფხვნილი ან ჩააფინეთ პერგამენტის ქაღალდი. ცომი გამოიღეთ მაცივრიდან და გაყავით ორ ტოლ ნაწილად. ერთი ნაწილი ცოტათი უფრო დიდი უნდა იყოს ზომით. დიდი ნაწილი გააბრტყელეთ და მოათავსეთ ფორმაში. ნაპირები ცოტათი ამოუწიეთ.

წაუსვით შიგთავსი – გოგრისა და ვაშლის პიურე. დანარჩენი ცომი გააბრტყელეთ. დაჭერით ზოლებად და ღვეზელს ზემოდან ბადისებურად „მოაქსოვეთ." ზემოდან წაუსვით გათქვეფილი ცილა და შაქარი. გამოაცხვეთ 200 გრადუს ტემპერატურაზე, აირღუმელში 45 წუთის განმავლობაში.

სუფრასთან მიტანის წინ მოაყარეთ შაქრის პუდრი.

# ფუნთუშა ამერიკულად







**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ხორცის ფარში, 3 ნაჭერი პური, 100 მილილიტრი რძე, 2 კვერცხი, 50 გრამი ფხვიერი ყველი, 1 კონა ოხრახუში, ცოტა მარილი, ცოტა შავი პილპილი, 150 გრამი დაჭრილი ბეკონი.

**სოუსი:** 4 სადილის კოვზი კეტჩუპი, 2 სადილის კოვზი ყავისფერი შაქარი, 2 სადილის კოვზი მდოგვი.

**მომზადების წესი:** პურის ნაჭრები ჩაალბეთ რძეში. ჯამში მოათავსეთ ხორცის ფარში და შეურიეთ რძეში დამბალი პური რძიანად. კარგად აურიეთ. დაუმატეთ ორი კვერცხი, გახეხილი ყველი, მარილი, შავი პილპილი და წვრილად დაჭრილი ოხრახუში. ყველაფერი აურიეთ ძალიან კარგად. გამოსაცხობ ტაფაზე გაშალეთ პერგამენტის ქაღალდი. მოათავსეთ მასზე ფარში და ხელით მოზრდილი ფუნთუშის ფორმა მიეცით. ზემოდან დაფარეთ ბეკონის ნაჭრებით.

სოუსისთვის ერთმანეთს შეურიეთ ინგრედიენტები და მიღებული სოუსის დიდი ნაწილი მოასხით „ფუნთუშას". მოათავსეთ 180 გრადუსზე 40 წუთის განმავლობაში. შემდეგ გამოიღეთ, მოასხით დარჩენილი სოუსი. კიდევ 20 წუთით გააჩერეთ აირღუმელში და მზად არის.

# სალათა ლორითა და ბროწეულით – თაკო ცქვიტინიძისგან





*მიყვარს კერძების მომზადება, მით უმეტეს – ოჯახის წევრებისთვის. ვცდილობ, ჯანსაღი პროდუქტებით ვიკვებოთ და, მიმაჩნია, რომ მსუბუქი, გემრიელი და წესების დაცვით მომზადებული საკვები ყველასთვის აუცილებელია. შემოგთავაზებთ სალათის რეცეპტს, რომელიც მარტივადაც მზადდება, მსუბუქიცაა, გემრიელიც და სასარგებლოც.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ახალი ისპანახის ფოთლები, 4 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ცალი ბროწეული, 150 გრამი ლორი, 3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი ძმარი „ბალზამიკო," მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კვერცხი მოხარშეთ, მოაშორეთ ნაჭუჭი და გაჭერით შუაზე. ამოაცალეთ გული. ცილა წვრილად დაჭერით, გული კი დასრისეთ. ლორი პატარა კუბიკებად დაჭერით და ტაფაზე ზეითუნის ზეთში შებრაწეთ, დაუმატეთ „ბალზამიკო" და დაახლოებით 2 წუთის მერე გადმოდგით ცეცხლიდან. სასალათე ჯამში მოათავსეთ მსხვილად დაქუცმაცებული ისპანახის ფოთლები, მოაყარეთ მოხარშული კვერცხის ცილა, ლორი, კვერცხის გული და ბროწეულის მარცვლები. უყავით მარილი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ჭარხლის წვნიანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ჭარხალი, 200 გრამი სტაფილო, 200 გრამი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 50 გრამი კარაქი, 200 მილილიტრი თეთრი მშრალი ღვინო, 800 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 100 მილილიტრი მსუბუქი ნაღები, ცოტა ზეთი, 1-2 სადილის კოვზი პირშუშხა, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სტაფილო, კარტოფილი და ჭარხალი გაფცქვენით და საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით. ხახვი წვრილად დაკეპეთ. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი და დაჭრილი ბოსტნეული 3 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაასხით ღვინო და 3 წუთი ადუღეთ. დაუმატეთ პირშუშხა, ბულიონი და თავდახურული ხარშეთ 30 წუთის განმავლობაში. წვნიანი ბლენდერით ათქვიფეთ, მოაყარეთ მარილი, პილპილი და სუფრაზე მიტანის წინ თითოეულ ულუფაში კოვზით ნაღები ჩაასხით.



# სალათა მაკარონით, კრევეტებითა და ბარდით

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი ზამბარისებური მაკარონი, 500 გრამი კრევეტები, 200 გრამი დაკონსერვებული მწვანე ბარდა, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი მაიონეზი, 1 ლიმონის ცედრა, 2.5 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 1 კბილი დაკეპილი ნიორი, 1/2 ჩაის კოვზი მარილი, მწიკვი წიწაკა, 80 გრამი ისპანახის ფოთოლი, 1 საშუალო კონა კამა.



**მომზადების წესი:** მაკარონი მარილწყალში მოხარშეთ დაახლოებით 15-20 წუთი. ხარშვისას, 10 წუთის მერე, იმავე წყალში მოათავსეთ კრევეტები და ბარდა. 3 წუთის შემდეგ ყველაფერი გადაწურეთ, მოათავსეთ თასში და შეურიეთ წიწაკა, ზეთი, მაიონეზი, ლიმონის წვენი, ცედრა, ნიორი, მარილი, ისპანახის ფოთლები და დაჭრილი კამა.



## თმის სამაგრი – „რეტრო“

დახედეთ სურათებს – ხომ ძალიან ლამაზი თმის სამაგრია?! ძველებური, რეტროს სტილის, დახვეწილი და მშვენიერი. მისი გაკეთება ძალიან ადვილია. სილიკონის წებო, მაქმანი და ატლასის ბაფთა დაგჭირდებათ. ფერი თავად შეარჩიეთ. ძველ თმის სამაგრზე ისე დააწებეთ ბაფთა და მაქმანი, როგორც სურათებზეა ნაჩვენები.





## ჟაკეტი ჟაბოებით

ჩვეულებრივი ჟაკეტი მარტივად შეგიძლიათ გადააქციოთ დახვეწილ და გამოსასვლელ მოსაცმელად. თუ კერვა ცოტათი მაინც გეხერხებათ, ამას შეძლებთ. ყურადღებით დახედეთ სურათებს – წინა მხარეს ჟაბოებს დააკერებთ, რომელსაც წინასწარ აანაოჭებთ. სასურველია, ჟაბოები შიფონის იყოს და ორმაგი – ასე უფრო ლამაზია. რაც შეეხება ჟაკეტის ზურგს, შეგიძლიათ, ჟაბოზე ოდნავ მუქი ფერის ლენტი გამოიყენოთ ბაფთად და ბოლოშიც მაქმანი შემოაკეროთ.

30-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 3 თებერვალი

**06.30** მუსიკა | არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ქესლი"** **19.00** "ტელებ-ლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.50** "ეპოქის ფრაგმენტი" **23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ **"მთვარე პარადორის თავზე"** **03.00** "პირადი ექიმი" **03.50** "კომუნიკატორი".

**06.30, 19.45, 20.05** სერ. **"აღთქმა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილა მშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.45** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. **"სხვისი სხეული"** **11.05** სერ. **"ქუჩეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00** სერ. **"კარმელიტა"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. **"ბერძენი ქალი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. **"ჯუნა"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი".

**06.00, 14.40** სერ. **"ორი ბედი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ოცი წუთი"** **11.20** სერ. **"კონტრაქტის პირობები"** **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. **"თანხმობა"** 3 სერ. **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ **"პატრიოტთა თამაშები"** (შ.ზინი) **02.30** მხ/ფ **"სიმამაცის კანონი"** (რ.სანჩესი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტია-ნული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან "დავით არსენიშვილი" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** ჩვენი ფონდი **16.00** კონცერტი **17.10** თვენი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ხსოვნა"** II სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 4 თებერვალი

**06.30** მუსიკა | არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ქესლი"** **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ **"სამხრეთული ამბები"** **03.50** "პირადი ექიმი" **04.40** "კომუ-ნიკატორი".

**06.30, 19.45, 20.05** სერ. **"აღთქმა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილა მშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.45** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.35** პსპ (პირდაპირი) **18.55** სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. **"სხვისი სხეული"** **11.05** სერ. **"ქუჩეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00** სერ. **"კარმელიტა"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. **"ბერძენი ქალი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. **"ჯუნა"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი".

**06.00, 14.40** სერ. **"ორი ბედი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. **"ოცი წუთი"** **11.20** სერ. **"კონტრაქტის პირობები"** **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. **"თანხმობა"** 4 სერ. **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ **"ფირმა"** (ე.ჰარისი) **02.40** მხ/ფ **"პატრიოტთა თამაშები"** (შ.ზინი) **04.30** მხ/ფ **"დაგვიანებული საჩუქარი"**(ბ.მერფი).

**06.15** ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "ვარდი" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ხსოვნა"** II სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "პუანტესია" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაცი-ური ფილმი **15.50** ჩვენი ფონდი **16.20** კონცერტი **17.35** დ/ფ **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** სიმღერის კვალდაკვალ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფ-უტკრეობაზე **21.45** ფსალმუნის განმარტება **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## პარასკევი 5 თებერვალი

**06.30** მუსიკა | არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** **12.30** "ადამიანი კამერით" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ქესლი"** **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" **21.30** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ **"დრაკულა"** (ფ.ლანჯელა) **03.00** "პირადი ექიმი" **04.00** "კომუნიკატორი".

**06.30, 19.45, 20.05** სერ. **"აღთქმა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილა მშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.45** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი | **29 01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. **"სხვისი სხეული"** **11.05** სერ. **"ქუჩეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **14.05, 16.05, 17.05, 1.30** სერ. **"კარმელიტა"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 3.00** სერ. **"ბერძენი ქალი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე"

**20.45**, **22.30** სერ. **"ჯუნა"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი".

**06.00**, **14.40** სერ. **"ორი ბედი"** **07.30**, **08.00**, **08.30**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **01.35** ქრონიკა **07.35**, **08.10**, **08.35**, **10.05** იმედის დილა **10.05** სერ. **"ოცი წუთი"** **11.20** სერ. **"კონტრაქტის პირობები"** **12.30** დღის **16.00** სერ. **"თანხმობა"** **5** სერ. **17.35**, **19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ **"გენერლის ქალიშვილი"** (მ.სტოუ) **01.45** მხ/ფ **"ფირმა"** (ე.ჰარისი) **04.15** ერთხელ საქართველოში **04.45** მხ/ფ **"დაგვიანებული საჩუქარი"** (ჯ.ბროლინი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "მოქვი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** მოკ. მხ/ფ **"მტრედები"** **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** მსოფლიო ხალხთა ზღაპრები-რატომ აქვს კურდღელს დიდი ყურები **15.40** კონცერტი **16.35** მიწათმოქმედი "თესლი" **17.00** მოკ. მხ/ფ **"ნისლა"** **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სიმღერის კვალდაკვალ **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები "რუსუდან ქვლივიძე" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სვანეთი-ფესვთა ღაღადი" I ფ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" **00.35** დ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე-ტყემალაძეები" **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

## შაბათი 6 თებერვალი

**08.00** "წიგნების თარო" **08.30** "პირადი ექიმი" **09.30** ან/ფ "ბანდოლეროს თავგადასავალი" **11.00** საბ/ფ **"ბატების მწყემსი გოგონა"** **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.15** "გურმანია" **12.45** ქართ. მხ/ფ **"მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ"** **13.55** **რაგბი**. ევროპა **2016**. **საქართველო – გერმანია** (პ/ტრ ავჭალის სტადიონიდან) **16.10** დ/ფ "თოფ გიარი" **17.00** "მუსიკოლოგოსი" **17.30** დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" **18.40** შემოდგომის თბილისი **2015** სტრავინსკი სიმფონია I **19.30** "წიგნების თარო" **20.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **21.00** "ადამიანი კამერით" **21.30** "ტრანსმისია" **22.00** "ბრაუზერი" **22.15** "წითელი ზონა" **23.15** მხ/ფ **"ფროსტი ნიქსონის წინააღმდეგ"** (ფ.ლანჯელა) **01.20** მხ/ფ **"იესო ქრისტე-სუპერვარსკვლავი"** (ტიტ.) **03.10** "მუსიკოლოგოსი" **03.40** "ხანმოკლე XX საუკუნე" **04.10** "ადამიანი კამერით".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30**, **09.00** ანიმაცია **11.00** ექიმები **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** მხ/ფ. **18.30** იღბლიანი ბორბალი **19.30** გააცინე და მოიგე **23.00** მხ/ფ. **01.00**, **03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00**, **10.00**, **11.00**, **14.00**, **18.00**, **19.00**, **23.30**, **2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.30** დოკ/სერ. "ბარტ ვულფი" **9.30**, **0.00** სერ. **"სახლი შროშანებით"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** სერ. **"ლამაზი ცხოვრება"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.00**, **1.30** სერ. **"კარმელიტა"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **18.30** დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **19.05**, **1.00** სერ. **"ბერძენი ქალი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.30**, **22.30** სერ. **"მხსნელი სიყვარული"** **21.30** თოქ-შოუ "SWAT-ანალიზი".

**06.15** სერ. **"ორი ბედი"** **08.00** მხ/ფ **"ნამდვილი მამაკაცი"** **10.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **02.20** ქრონიკა **11.15** რისკ რისკფაქტორი **11.45** ილო ბეროშვილის შოუ **13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ. **"ორი ბედი"** **16.00** სერ. **"თანხმობა"** **6** სერ. **17.35**, **19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.00** ქრონიკის სტუდია **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ – 5"** **1** სერ. **23.00** Victoria's Secret-ის ფეშენ შოუ **- 2015** **01.00** მხ/ფ **"სახელმწიფოს მეთაური"** (ბ.მაკი) **02.40** ერთხელ საქართველოში **03.20** მხ/ფ **"გენერლის ქალიშვილი"** (მ.სტოუ).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ღვთის სახლი **06.40** თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" **06.50** ეპოქის სახელები **07.20** მოგზაურობა სამშობლოში "სვანეთი-ფესვთა ღაღადი" I ფ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15**, **19.00**, **22.00**, **00.35** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **10.50** კვირიაკე **11.00** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **12.10** მხ/ფ **"მისი მსახურის და"** **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** თაობა ზეტი **16.40** დ/ფ "გამჭოლი მოქმედება" მიხეილ თუმანიშვილი **17.20** გაცოცხლებული წარსული **18.10** დ/ფ **18.35** საქართველოს სამართლის ისტორია **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** დეკორატიული ფლორა "ანთურიუმ ანდრე" **19.35** ქართული ალბომი **20.00** ქრისტიანული ხელოვნება **20.50** სიბრძნისმეტყველება **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების სალონი **22.20** შუადღის სტუმარი **22.40** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ **00.05** დროის ჩანაწერები **00.35** სიახლენი **01.45** მხ/ფ **"პიანისტი"** I ნაწ.

## კვირა 7 თებერვალი

**08.00** "წიგნების თარო" **08.30** "პირადი ექიმი" **09.30** ან/ფ "მახინჯი იხვის ჭუკი ჯადოსნურ ტყეში" **10.30** საბ/ფ **"მზეთუნახავი და ურჩხული"** **12.00**, **16.00** მოამბე **12.15** "გურმანია" **12.45** "ფერმა" **13.15** ქართ. მხ/ფ **"ხევისბერი გოჩა"** **15.00** "დღე მუზეუმში" **15.30** "სიტყვების თამაში" (გ/ჩვ) **16.10** "ვაშინგტონი დღეს" **16.30** დ/ფ "თოფ გიარი" (ოთხშ/გ/ჩვ) **17.30** მხ/ფ **"ჰადსაქერის შემცვლელი"** (ტ.რობინსი) **19.30** "წიგნების თარო" **20.00** "კვირის მოამბე" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.40** "უცნობი მუსიკა" **23.10** "ბრაუზერი" **23.25** მხ/ფ **"შეყვარებული შექსპირი"** (გ.პელტროუ) **01.30** მხ/ფ **"ღამე მაკულას ბარში"** (ლ.ტაილერი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია **09.00** ქ.მხ/ფ. **"ფიროსმანი"** **11.00** ეკი ვოკი **12.00**, **15.00**, **18.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **13.30** იღბლიანი ბორბალი **15.30** მხ/ფ. **"REAL STEEL"** **18.30** ექიმები **20.00** კომედი შოუ **21.00** P.S. **23.00**, **01.00** მხ/ფ.P.S. დაიჯესტი.

**7.00**, **10.00**, **11.00**, **14.00**, **18.00**, **19.00**, **23.30**, **1.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.30** დოკ/სერ. "ბარტ ვულფი" **9.30**, **1.30** სერ. **"სახლი შროშანებით"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** სერ. **"ლამაზი ცხოვრება"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.00**, **16.00** სერ. **"კარმელიტა"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **18.00** "კონტაქტი" **18.30** დოკ/ფ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" **19.00**, **2.30** სერ. **"ბერძენი ქალი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.30** სერ. **"მხსნელი სიყვარული"** **22.00** მინი/სერ. **"ვაშლის ბაღი"**.

**05.15**, **14.40** სერ. **"ორი ბედი"** **07.00** მხ/ფ **"მითი"** (ჯ.ჩანი) **09.00** მხ/ფ **"მრბოლელად დაბადებული"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **02.20** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5"** **1** სერ. **13.00** სტუმრად იუმორინასთან **16.00** სერ. **"თანხმობა"** **7** სერ. **17.30** ერთი ერთში საუკეთესო ნომრები **19.30** რისკფაქტორი **20.30** ილო ბეროშვილის შოუ **21.30** ერთხელ საქართველოში **22.00** მხ/ფ **"შიშის საფასური"** (მ.ფრიმენი) **01.15** მხ/ფ **"მეომრის გზა"** (ჯ.რაში) **02.55** ერთხელ საქართველოში **04.20** მხ/ფ **"მრბოლელად დაბადებული"** (ჯ.კროსი).

**06.10** მუს.პაუზა **06.20** მოკ. მხ/ფ **"სერენადა"** **07.10** მულტ.ფილმი "მულანი" **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** სიახლენი **10.25** ივერიის ეკლესია **10.40** შუადღის სტუმარი **10.00** სიბრძნისმეტყველება **11.15** ქართული ალბომი **11.40** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **12.15** მხ/ფ **"მე ვხედავ მზეს"** **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05**, **18.05**, **21.05**, **00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** ქართული ან/ფ **15.40** მუს.პაუზა **15.55** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.40** ბავშვები მუზეუმში **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** მხ/ფ **"აქედანა და შენამდე"** **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.05** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება **23.15** საქართველოს სამართლის ისტორია **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ **"პიანისტი"** II ნაწ.

# როგორ შევიგრძნოთ საყვარელი ადამიანის განწყობა ტელეპათიურ დონეზე



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

კურტ ვონეგუტი

***კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი ტელეპათიურად შეიგრძნობს საკუთარი რჩეულის განწყობას, ამისთვის კი არსებობს პერიოდები, როცა ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება სასიყვარულო ურთიერთობების თვალსაზრისით. ასტროლოგიურად, ეს პერიოდები ყოველ წელს ერთი და იგივეა და არ იცვლება.***

**ვერძებისთვის** ტელეპათიური ნიჭი ძლიერდება 22 ივლისიდან 22 აგვისტომდე. ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი ტელეპათიურად კარგად „იჭერს" მისი მისამართით გამოხატულ სითბოს – გრძნობს, ვინ არის მის მიმართ რომანტიკულად განწყობილი. ამიტომ, გირჩევთ, გამოხატოთ მის მიმართ სითბო და ამით გააძლიეროთ მასთან სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობა.

**კუროებისთვის** ტელეპათიური ნიჭი ძლიერდება 23 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე. კუროს ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები საუბრით გრძნობენ ტელეპათიურ „გზავნილს" და ხვდებიან, არის თუ არა მეორე ადამიანი მათ მიმართ რომანტიკულად განწყობილი. ისინი სწორედ სიტყვების ინტონაციაში იჭერენ ამ განწყობას.

**ტყუპებისთვის** ტელეპათიური ნიჭი მძაფრდება 22 სექტემბრიდან 22 ოქტომბრამდე. ამ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები ტელეპათიურად ძალიან კარგად იჭერენ გრძნობებს. თავად არიან ამის ინიციატორები და, რასაც გასცემენ, იმასვე იღებენ. მეორე ადამიანის რეაქცია კი ტელეპათიურად აჩვენებს, არის თუ არა ის მისთვის მისაღები.

**კირჩხიბებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 22 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე. შეიძლება, თამამად ვთქვათ, რომ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს სხვათა აზრების ამოცნობა შეუძლიათ ინტუიციურ დონეზე. იფიქრეთ მასთან სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობებზე და ის ამას უსიტყვოდ მიგიხვდებათ.

**ლომებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 22 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე. ლომის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან სასიყვარულო ურთიერთობებში ტელეპათიური იმპულსები სიზმრის სახით მოდის და ამ დროს ღამის მინიშნებებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

**ქალწულებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 21 დეკემბრიდან 20 იანვრამდე. ამ ნიშნით დაბადებული ადამიანი საჭიროებს ხშირ კონტაქტებს – ისინი ასე უფრო კარგად გრძნობენ, არის თუ არა მათ მიმართ რომანტიკულად განწყობილი მეორე ადამიანი.

**სასწორებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 20 იანვრიდან 19 თებერვლამდე. სასწორის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის საჭიროა ფიზიკური კონტაქტი, რათა ინტუიციურად დაიჭირონ და სწორად აღიქვან სასიყვარულო განწყობა.

**მორიელებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 19 თებერვლიდან 21 მარტამდე. ისინი აკვირდებიან ქცევას და ინტუიციურად და ტელეპათიურად ადვილად იჭერენ, არიან თუ არა მათ მიმართ სასიყვარულოდ და რომანტიკულად განწყობილნი.

**მშვილდოსნებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 21 მარტიდან 20 აპრილამდე. მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი გულდასმით აკვირდება მის გვერდით მყოფთა მანერებსა და ქცევას ურთიერთობის დროს. ამით ისინი უსიტყვოდ იგებენ, ვინ უფრო რომანტიკულად არის მათ მიმართ განწყობილი.

**თხის რქებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 20 აპრილიდან 20 მაისამდე. თხის რქები თავად გამოხატავენ გრძნობებს და ამის შემდეგ ტელეპათიურად ინტუიციით გრძნობენ, როგორ რეაგირებს მათი რჩეული. ამით ისინი ადვილად ხვდებიან, რამდენად ძლიერია მათ მიმართ გამოხატული სასიყვარულო გრძნობა.

**მერწყულებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 20 მაისიდან 22 ივნისამდე. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს აქვთ უნარი, ამოიცნონ სხვების აზრები, ტელეპათიურად შეაყვარონ მეორე ადამიანს თავი და გრძნობები ინტუიციურ დონეზეც კი გამოხატონ.

**თევზებისთვის** ტელეპათიური შეგრძნებები მძაფრდება 22 ივნისიდან 22 ივლისამდე. ისინი აკვირდებიან ემოციებს და ამით უტყუარ ინფორმაციას იღებენ ინტუიციურ დონეზე. ტელეპათიურად კი ადვილად ხვდებიან, არის თუ არა სასიყვარულო ურთიერთობებისთვის მზად მეორე ადამიანი.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **ჩემი შვილი დაიბადა 2003 წლის 19 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე. რა არის მისი კარმული მისია და რომელი პროფესიები მოუტანს წარმატებებს მომავალში? ასევე, რა უნდა გააკეთოს პრობლემების დასაძლევად?**

პასუხი: თქვენი შვილის კარმული მისიაა წარმოაჩინოს დადებითი თვისებები. სხვათა შორის, კარმული მისიის შესრულება მას მისცემს საშუალებას, ადვილად დაძლიოს პრობლემები ცხოვრებაში. ის უნდა იყოს შეუპოვარი, ორგანიზებული, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ფულის ყაირათიანი მხარჯველი და გადამწანილებელი. ამავდროულად, უნდა ისწავლოს საიდუმლოს შენახვა. ჯერ ნაბიჯი გადადგას და მერე თქვას სათქმელი. უნდა ემსახუროს სამშობლოს და იყოს პატრიოტი; დაიცვას ადათწესები და ტრადიციები; უნდა შექმნას სტაბილური ნათესაური კავშირები. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია. დაეყრდნოს დიპლომატიას, შეძლოს შუამავლის როლის შესრულება ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შორის. დაეყრდნოს ინტუიციასა და კომუნიკაბელურობას. ამით ის გადალახავს ნებისმიერ პრობლემას და ადვილად მიაღწევს წარმატებებს. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის წარმატებულია და მისაღები: ხელოვნების ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო სფერო; ისტორია, პედაგოგიური მოღვაწეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ფოტოგრაფია, არქეოლოგია. თუ ბარიერებსა და წინაღობებს გადალახავს, წარმატებები ელის შემდეგ პროფესიებში: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ტურიზმი, სპორტი, ქორეოგრაფია, მეცნიერება, კვლევითი სფერო.

კითხვა: **დავიბადე 1999 წლის 7 მაისს, დილის საათებში. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები და წარმატების მომტანი ცხოვრებაში?**

პასუხი: უცხოეთი თქვენი კარმული მისია არ არის, თუმცა, არც ცუდია. იქ გამგზავრება და ძალების მოსინჯვა ნამდვილად ღირს. რაც შეეხება ქვეყნებს, თქვენთვის მისაღებია: პორტუგალია, ბრაზილია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, პაკისტანი, კუნძული მალტა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, ჩრდილო და დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ინგლისის დასავლეთი ნაწილი, კანადა, საბერძნეთი, კუნძული სარდინია, ნორვეგია.

კითხვა: **დავიბადე 2001 წლის 19 იანვარს, ღამის 3 საათზე. რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები?**

პასუხი: თქვენთვის კარგია და მისაღები: დრამატურგია, სცენარისტობა, რეჟისურა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, აუდიო-ვიდეო სისტემები, სოციოლოგია, ავიაციის ბიზნესი, სამეცნიერო კვლევა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო-საგამომგონებლო საქმე, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, პედიატრია.

## ვერძი

ჩანაფიქრების განხორციელების დროა. კარგია ახალი კავშირები და ინფორმაციის მიღება. ადვილად გაუმკლავდებით რთულ სიტუაციებს. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალი სასიყვარულო პარტნიორის მიმართ, რათა არ დაუშვათ შეცდომა.

## კურო

მეტი ყურადღება მიაქციეთ სახლის საქმეებს. საყვარელი ადამიანი ყველაფერში მხარში დაგიდგებათ. რთულ სიტუაციებში ეცადეთ, ფრთხილად იმოქმედოთ და გაითვალისწინოთ თანამოაზრეების რჩევები. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## ტყუპები

იმუშავეთ შემოქმედებითად. ყური უდგეთ გავლენიანი ადამიანების რჩევებს. არ არის გამორიცხული, მეგობრობა დიდ სიყვარულში გადაიზარდოს. რომანტიკული შეხვედრები დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. კარგია მოგზაურობა.

## კირჩხიბი

წარმატების გამო ეიფორიაში ნუ ჩავარდებით და იყავით პრაქტიკული. ნუ გაიფუჭებთ საქმეებს მეგობრული შეხვედრების გამო. ნუ ინერვიულებთ წვრილმანების გამო, რათა არ გაუარესდეს ჯანმრთელობის მდგომარეობა. არ გირჩევთ უცხოეთში მოგზაურობას.

## ლომი

მოვლენები გონივრულად და დინჯად გააანალიზეთ. არ არის გამორიცხული, წამოიწყოთ ფარული სასიყვარულო ურთიერთობა. კონტაქტები ძირითადად საქმიანი იქნება და შემოსავალს გაზრდის. საქმე შეასრულეთ სწრაფად და ამით დაიმსახურეთ შექება.

## ქალწული

ბევრ დროს წაგართმევთ სახლისა და ოჯახის საქმეები. გამონახეთ დრო პირადი ურთიერთობებისთვისაც. ეცადეთ, ფინანსები წესრიგში გქონდეთ და უმიზნოდ არ გაფლანგოთ. მოსალოდნელია ფარული ვნება, რის გამოც წარსულ ურთიერთობას შეექმნება საფრთხე. იყავით ოპტიმისტი.

## სასწორი

ახალი იდეები შეგიშლით ხელს, მიზანმიმართულად იმოქმედოთ. აპატიეთ ახლობლებს შეცდომები და ნუ იქნებით ზედმეტად მკაცრი. ხშირად დაისვენეთ და მეტი დრო დაუთმეთ საქმეებს. კარგია მოგზაურობა და უცხოელებთან კონტაქტი.

## მორიელი

ადვილად გაართმევთ თავს ძველი საქმეების დასრულებას და ამით კარგ გასამრჯელოსაც დაიმსახურებთ. დაფიქრდით, რისი შეცვლაა საჭირო ცხოვრებაში. სასიყვარულო ურთიერთობა გაუმჯობესდება. არ გირჩევთ მოგზაურობას. კარგია ვარჯიში.

## მშვილდოსანი

საქმეში ინიციატივა საკუთარ თავზე აიღეთ და მიაღწევთ სასურველ მიზანს. გამოიყენეთ მოვლენები თქვენი ცხოვრების უკეთ მოწყობისთვის. კარგია ცოდნის გაღრმავება. ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ახალი კავშირების დამყარება. არ არის გამორიცხული, გზაში დაწყებული ნაცნობობა დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.

## თხის რქა

საქმეში გაუგებრობებს ადვილად მოაგვარებთ. ოჯახში კი ნუ დაგეგმავთ ცვლილებებს. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, რადგან თქვენი ენერგოპოტენციალი კლებას იწყებს. არ გირჩევთ მოგზაურობასა და შეხვედრებს, რათა პრობლემებს აარიდოთ თავი.

## მერწყული

პროფესიულ სარბიელზე ბევრი ახალი იდეა გექნებათ, თუმცა წინასწარ დაგეგმეთ ყველა ნაბიჯი და ისე იმოქმედეთ. სასიყვარულო სფეროში დიდი წარმატებები გელით. კარგია, თუ დროს დასვენებისთვისაც გამონახავთ. წესრიგში გქონდეთ საბუთები.

## თევზები

კოლეგებში თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზრდება. გაგიადვილდებათ პარტნიორებთან მუშაობა და ახალი გეგმების რეალიზება. კარგია მეგობრული კავშირების აღდგენა. ერიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას, რათა არ მოგიხდეთ ვალების აღება. არ გირჩევთ მოგზაურობას.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 8 თებერვალი, 14 : 35 სთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

შესაძლებელია, იპოვოთ ახალი შემოსავლის წყარო. მოქმედების დროს მოერიდეთ ემოციებზე დაყრდნობას. ატარეთ წითელი, შავი, მწვანე, ყვითელი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ონიქსი, მარჯანი ან ზურმუხტი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ ინტიმურ კონტაქტებს, საბუთების გაფორმებას, ახალი საქმის დაწყებას. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ მატყუარა ადამიანებთან კონტაქტს. დაიცავით დიეტა. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას, სესხის აღებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას. ატარეთ წითელი, ყვითელი, შავი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, მარგალიტი ან ქრიზოპრაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია გეგმების დასახვა, მასაჟი, თმის შეჭრა, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის.***

### ოთხშაბათი

ყურადღება მიაქციეთ მთავარი საკითხების მოგვარებას. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს. გამოავლინეთ მებრძოლი სულისკვეთება. ატარეთ იისფერი, წითელი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, ლაზურიტი, აკვამარინი ან წითელი იასპი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, ვაჭრობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### ხუთშაბათი

ნუ გაუმხელთ საიდუმლოს სხვებს. ბევრი იმოძრავეთ და ივარჯიშეთ. ატარეთ წითელი, ყვითელი, იისფერი, კრემისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ბრილიანტი, ნეფრიტი, საფირონი, აკვამარინი ან ლაბრადორი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს. მოიმატებს ინტუიცია. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, უცხოელებთან კონტაქტი, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა, ვაჭრობა, გაცვლითი ოპერაციები, ახალი კავშირები, სასიყვარულო კონტაქტები. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ექიმებთან კონსულტაცია და მკურნალობის დაწყება. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი

კარგია მეგობრული კონტაქტები, ტექნიკის შეძენა, ახალი იდეების რეალიზება. მოერიდეთ მსხვილ ხარჯებსა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, მწვანე ან ნაცრისფრი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, ოპალი, რუხი ტოპაზი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურები, საფინანსო ოპერაციები. სუსტდება ძვლები, სახსრები, ხერხემალი, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვი;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ იმპულსურობას, აგრესიის გამოვლენას, კონფლიქტებს; გამოავლინეთ მეტი ტაქტი და დიპლომატია. მაღალია ტრავმების ალბათობა. ნუ გადაწყვეტთ მნიშვნელოვან საკითხებს. ატარეთ ვარდისფერი, წითელი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი ან ციტრონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# წაიყვანე ჩემი ცოლი



**ჯოზეფ ჰადსონი**

პიტერ ფინი შლეგივით შევარდა თავისი ფსიქოთერაპევტის კაბინეტში, გზად მომხიბვლელ მდივან გოგონას ჩაურბინა.

– ნაძირალა ხარ და ნაბიჭვარი! მე თქვენ გამოგიჭირეთ, ყველაფერი ვიცი!

დოქტორი ვიკი განცვიფრდა, მაგრამ თავის ხელში აყვანა მოახერხა:

– პიტერ, განა დღეს სეანსი გვქონდა ჩანიშნული? რა მოხდა?

– მომწყინდა შენთვის საათში ასი დოლარის გადახდა და გულის გადაშლა, მომწყინდა! მით უმეტეს, იმ ყველაფრის შემდე, რაც შევიტყვე, ნაბიჭვარო! რა სულელი ვიყავი, არა?! ჩემი ძვირფასი ცოლი მეუბნებოდა, საშაბათობით და პარასკეობით ბრიჯის სათამაშოდ დავდივარო, სინამდვილეში კი „ელ-გრეკოს" ერთ-ერთ ნომერში შენთან ერთად ნებივრობდა. ადრე უნდა მივმხვდარიყავი ამას – გლორიას ხომ კარტი არასდროს ჰყვარებია!

– პიტერ, დამშვიდდი. მოდი, ვილაპარაკოთ. დაჯექი... დივანზე წამოწექი... ეგ რა არის, რევოლვერი? ფინ, შენ ხომ კინოვარსკვლავი ხარ, როლში ხარ?

– არა, შენი მოკვლა მინდა, ნაძირალავ! – პიტერ ფინმა რევოლვერი ფსიქოანალიტიკოსისკენ მიმართა, – ახლა გესვრი!

– მოიცა, მომისმინე. შეგიძლია, მითხრა, როდის გაგიჩნდა ჩემი მოკვლის სურვილი?

– რა თქმა უნდა. გადალებები გაგვიგრძელდა და ძალიან დავიღალე. ჯორჯმა დაიჟინა, „ელ-გრეკოში" შევიდეთ და ცოტა დავლიოთო. იქ, ბარში, საუბარი კინოს იმ ვარსკვლავებზე დაიწყეს, რომლებიც „ელ-გრეკოში" დადიან ან ყოფილან... წარმოგიდგენია, ნაბიჭვარო? თითქოს მე იქ არ ვიყავი. ვილაც არარაობას მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე მე... როგორ არ გავმწარებულიყავი?

– აჰა, ესე იგი, ყურადღება არ მოგაქციეს და ამან გაგამწარა? მესმის შენი, – მშვიდად და თანაგრძნობით დაუქნია თავი ფსიქოანალიტიკოსმა.

პიტერი ისევ აენთო:

– მე რამაც გამამწარა, ახლავე გეტყვი – ბარმენმა გლორიაც ახსენა. ყურადღებით მომისმინე, ეი, შენ, ნაბიჭვარო... გლორიაზე თქვა: აქ ყოველ სამშაბათს და პარასკევს მოდის ვილაც ზორბა, ლიპიან მამაკაცთან ერთად, თხასავით წვერი და ჟღალი თმა რომ აქვსო.

– და, ეგრევე იფიქრე, რომ ეს მე ვარ? – ფსიქოანალიტიკოსმა ნერვიულად გადაისვა ხელი ჟღალ თმაზე და გრძელი, მართლაც თხასავით წვერი აუთრთოლდა.

– დიახ, ვიფიქრე, წყეულო წვერიანო! თურმე, როგორი მზეთუნახავია ჩემი ცოლი... ამიტომ ვიხდიდი საათში ას დოლარს? ამიტომ მაყოლებდი ჩემი და ჩემი ცოლის ინტიმური ცხოვრების დეტალებს? – პიტერ ფინმა რევოლვერის ტარს ხელი მოუჭირა და კბილები გააღრჭიალა, – როგორ არ მოგიღო ბოლო?

– მომისმინე, პიტ, შენ დასკვნები ემოციური ფონის გავლენით გააკეთე, ხომ ასეა?

– დავუშვათ, ასეა, მაგრამ ეს ცვლის იმას, რომ შენ ჩემი ცოლის საყვარელი ხარ, გასიებულო ღორო?

– პიტ, შენ ხომ ყოველთვის არ მიგაჩნდი გასიებულ ღორად?

კინოვარსკვლავი შეყოყმანდა და დივანზე ჩამოჯდა.

– არა, რა თქმა უნდა, – თქვა ხანმოკლე პაუზის შემდეგ.

– ხედავ, პიტ, შენ ჩემ მიმართ აგრესია არ გაქვს. მე არც მსუქანი ვარ და ეს იცი. ბარმენის მონაჩმახმა გაგაღიზიანა და აფექტურ მდგომარეობამდე მიგიყვანა – ეს ბუნებრივი რეაქციაა.

– ჰო, ბუნებრივია, რომ შენ ხარ ის კაცი, ვისთანაც ცოლი მღალატობს.

– პიტ, შეეცადე, დამშვიდდე, დივანზე კარგად მოეწყვე, ეგ იარაღი მანდ დადე და ერთად გავაანალიზოთ სიტუაცია: დიახ, გლორია ძალიან ლამაზი ქალია; დიახ, მე მას ვიცნობ, მაგრამ, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ღალატში დაგვდო ბრალი. ისეთი საცოდავი გამომეტყველება გაქვს... მშვიდად ხარ? მითხარი, მშვიდად ხარ?

პიტერმა ამოიოხრა:

– ჰო, მგონი, მშვიდად ვარ. კარგი, ახლა ავდგები და წავალ.

– ძალიან კარგი, პიტ, ძალიან კარგი.

– ველარაფერი გავიგე. ძალიან დავიბენი. მართალი ხარ, აჯობებს, სახლში წავიდე და გამოვიძინო.

ერთი საათის შემდეგ პიტერ ფინი ფსიქოთერაპევტს თავაზიანად გამოემშვიდობა და მოუბოდიშა კიდეც კაბინეტში უცერემონიოდ შეჭრის გამო. გასვლისას ლამაზ მდივანს უცნაურად გაუღიმა და წავიდა. დოქტორი ვიკი თითქოს ამას ელოდა, მაშინვე ტელეფონს მივარდა და ნომერი აკრიფა:

– ძვირფასო, ჩვენი გეგმები უნდა შევცვალოთ. ახლა აქ შენი ქმარი იყო და მან ყველაფერი იცის. არა, რა თქმა უნდა, ჩვენს შეხვედრებზე უარის თქმას არ ვაპირებ, მხოლოდ დრო და ადგილი უნდა შევცვალოთ. ჰო, ერთი კვირა მოვიცადოთ, მერე კი „ელ-გრეკოს" ნაცვლად „ესტრაგონში" შეგხვდები. გლორია, ხომ იცი, ეს სადაა? – ფსიქოანალიტიკოსმა ქალის პასუხის მოსმენა და ტელეფონის გათიშვაც ვერ მოახერხა – კაბინეტის ზღურბლზე პიტერ ფინი იდგა და უღიმოდა, თუმცა ხელში რევოლვერი აღარ ეჭირა...

– მომისმინე, პიტ, ეს ის არ არის, რაც შენ იფიქრე.

– ნუთუ?! – დაცინვით მიუგო პიტმა, – და, რა იცი, მე რა ვიფიქრე? შენი თავი ძალიან მაგარი ვინმე გგონია, მაგრამ ასე არ არის. გგონია, ნახევარი წელი ტყუილუბრალოდ გიყვებოდი გლორიას შესახებ? მე ვგრძნობდი, ნელ-ნელა როგორ ინტერესდებოდი მისით და ჩემი გეგმის ნაწილი ხდებოდი, მაგრამ, ფაქტები არ მქონდა. ძალიან ეშმაკი ხარ. გლორიას ფეხდაფეხ დავდევდი, მაგრამ ვერაფერში გამოგიჭირეთ. არასდროს ოფისიდან არ ურეკავდი...

– შენ, შენ რა იცი? – ფსიქოანალიტიკოსს ხმა ჩაუწყდა.

პიტერმა გაიცინა:

– ვიცი, ეს მშვენიერი არსება მეხმარებოდა ამაში, – მიუთითა მდივანზე, – ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და აუცილებლად შევირთავ ცოლად, როცა გლორიას გავეყრები. ო, შენ არ იცნობ გლორიას ისე, როგორც მე ვიცნობ. ორი წელია, მთელ ფულს, რასაც გადაღებებზე ვშოულობ, ღრუბელივით ისრუტავს. ვიცოდი, გაყრას თუ მოვინდომებდი, შარვლის ამარა დამტოვებდა, მაგრამ, მისი ღალატი ყველაფერს ცვლის. გმადლობ, მეგობარო, ძალიან დამეხმარე... შენი და გლორიას სატელეფონო ჩანაწერი უკვე მაქვს – ეს ის არის, რაც მჭირდებოდა. შეგიძლია, მშვიდად იყო, შენს მოკვლას არ ვაპირებ. პრინციპში, არც ვაპირებდი. ეს სპექტაკლი ანკესზე შენს წამოსაგებად გავითამაშე და გამომივიდა.

– რა, ესე იგი, არ მომკლავ?

– რა თქმა უნდა, არა. ეს ის „სიცრუის თეორია" იყო, შენ რომ ექსკლუზიური მეთოდი გგონია. ხედავ, როგორ მაგრად გამომივიდა? წაიყვანე ჩემი ცოლი, მაგრამ, ჯიბეს გაუფრთხილდი – მას დოლარები სჭირდება, თუმცა, ნელ-ნელა თავადვე გაერკვევი... დარწმუნებული ვარ, გლორია სრულად ამოიღებს შენგან იმ ფულს, რაც მე ექვსი თვის განმავლობაში სულელურ სეანსებში გადაგიხადე...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ცოლები და საყვარლები

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №49-4(786)**

ცალმხრივი სიყვარული ქუჩაზე ერთმიმართულებიან მოძრაობას ჰგავს, რომელზეც მოულოდნელად შემოიჭრება დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი... ხომ წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება იქ მოხდეს?! ხშირ შემთხვევაში, გარდაუვალია შეჯახება, რომელიც, შესაძლოა, ლეტალური შედეგით, ანუ სიკვდილითაც დასრულდეს...



ისინი პირდაპირ შემოსასვლელში გადაეხვივნენ ერთმანეთს. იდგნენ და ისეთი ვნებით კოცნიდნენ, თითქოს სამყარომ არსებობა შეწყვიტა, თითქოს მათ შორის არანაირი გაუგებრობა არ ყოფილა... ეს დიდი ხნის დაგროვებული ლტოლვის, ერთმანეთთან სიახლოვის დაუოკებელი სურვილის აფეთქებას ჰგავდა. კაცმა ხელში აიტაცა ქალი და თითქმის სირბილით აიარა კიბე, საძინებლის კარი ფეხით შეაღო და საწოლისკენ გააქანა... მერე დიდხანს იყო ორი სხეული ერთმანეთზე შეზრდილი, ხანგრძლივი, თავბრუდამხვევი სიამოვნებისთვის...

ლევანმა სიგარეტს მოუკიდა და ქალს მიაწოდა.

– თურმე, როგორ მომნატრებიხარ... – უთხრა ღიმილით, მისკენ გადაიხარა და ტუჩებში აკოცა, – სულელი ვიყავი...

– ჰო, სულელი იყავი, ამაში გეთანხმები, მაგრამ, არ გეგონოს, ამ აღიარებით გამოძვრე. ძალიან ვარ გაბრაზებული.

– მაშინ, ხშირად უნდა გაგაბრაზო. ასეთი სექსი არასდროს გვქონია... – ლევანმა ქალს თმაში შეუყო ორივე ხელი და სახე სახეზე მიადო. ნანამ უხეშად მოიშორა და წარბი შეიკრა.

– სად იყავი?

– არსად... – ლევანმა სიგარეტი გააბოლა და ქალს მზერა მოარიდა.

– რას ნიშნავს – არსად? სამი კვირა არსად იყავი? გინდა, ეგ ტყუილი დამაჯერო? ლევან, იცოდე, ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

– საყვარელო, მე არ გატყუებ... მართლა... მაშინ ჩემს დაბრუნებას აზრიც არ ექნებოდა.

– ჰმ, აპირებდი კი, საერთოდ, დაბრუნებას? საზიზღარო! რობერტისთვის რომ არ დაგერეკა, არც გამოჩნდებოდი.

არა, არა, ვერ დაგეთანხმები. შენთან დაბრუნება რომ არ მდომოდა, არც დავრეკავდი. ამაზე არ გიფიქრია?

– ლევან, არ მჯერა, რომ დაბრუნება გინდოდა! არ მჯერა...

– ნანა, ნუ გავაფუჭებთ ამ არაჩვეულებრივ ღამეს. ძალიან მომენატრე.

– სად იყავი, მითხარი...

– არსად-მეთქი, ხომ გითხარი? სანაპიროზე ვათევდი ღამეს, ან – მანქანაში... იცი, როგორ მიჭირდა?

– ნაშიმშილარს და ქუჩაში ღამენათევს არ ჰგავხარ.

– ნანა, უსამართლო ნუ იქნები. შეხედე, შენი ნაჩუქარი საათიც არ გამიყიდია... არც მანქანა... ბარში ჭურჭელი გავრეცხე რამდენჯერმე და უფასოდ მაჭმევდნენ საჭმელს. სულ შენზე ვფიქრობდი...

– ამის ღირსი ხარ – ჭურჭელს უნდა რეცხავდე ბარში... ყველაზე ჭუჭყიან ბარში... ვერ შეიფერე ის პირობები, რომელიც მე შეგიქმენი. გაგანებივრე და, სამაგიერო იმით გადამიხადე, რომ მეჩხუბე და გამექეცი...

– ძალიან ვნანობ, – სიტყვა გააწყვეტინა ლევანმა და მოეხვია. ნანა ჯერ წინააღმდეგობას უწევდა, მერე დანებდა, მოეშვა და მის ალერსს მიენდო. კაცი უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, რომ ბოლო მომენტში ნანა ისევ დაუსხლტა ხელიდან.

– რა ვქნა, რაღაც მაიძულებს, რომ შენი არ მჯეროდეს... სამი კვირა მარტო იყავი სანაპიროზე? სულ მარტო?

– აბა, შენ რა გგონია, ლამაზმანების მთელი არმია მეხვია თავს? კარგი, რა, ნანა, ვის ვჭირდები აქ, ამ უზარმაზარ ქვეყანაში შენ გარდა?

– კარგია, თუ მიხვდი მაგას, – ნიშნის მოგებით მიუგო ნანამ.

– ყოველთვის ვიცოდი.

– მაშინ, რას ჰგავდა შენი საქციელი? რატომ მოიქეცი ისე, როგორც მოიქეცი?

– ხომ გითხარი, სულელი ვარ-მეთქი.

– ეს პრობლემას ვერ შველის, ლევან, მე შენს გამოხტომებს ველარ ავიტან! – ხმა გაიმკაცრა ქალმა.

– მე კი შენს უაზრო და უსაფუძვლო ეჭვიანობას ველარ ავიტან, – მოუჭრა ლევანმა, რომელიც უკვე დარწმუნებული იყო, რომ ქალი მას ძნელად შეელეოდა.

– მოიცა, ეგ რას ნიშნავს? ასე, თვალდახუჭული უნდა გენდო?

– დიახ, უნდა მენდო, იმიტომ, რომ მიყვარხარ. შენ გამო ცოლი მივატოვე – აღარ გახსოვს?

– ჩემ გამო მიატოვე ცოლი? მე კი მგონია, რომ ამერიკაში წამოსვლისთვის და კარგი ცხოვრებისთვის გააკეთე ეს.

ლევანმა სიგარეტი ბრაზით დასრისა საფერფლეზე და ასადგომად წამოიწია.

– სად მიდიხარ? – პრეტენზიული ტონით ჰკითხა ნანამ.

– თუ ჩემთან ასეთი ტონით განაგრძობ ლაპარაკს, აუცილებლად წავალ, თანაც, ახლა უკვე სამუდამოდ. შეურაცხყოფილი ვარ. სხვათა შორის, იმ სალამოსაც შეურაცხყოფილი ვიყავი და იმიტომაც გავიქეცი. რომ დავრჩენილიყავი, შენ უარესებს მეტყოდი და ძალიან მაგრად ვიჩხუბებდით.

– ახლაც ვიჩხუბებთ, იმიტომ, რომ გასაქცევად ხარ მზად.

– ნანა, მე შენ მიყვარხარ! შეიძლება, როცა გაგიცანი ასე არ იყო, მაგრამ, დამიჯერე, თავიდანვე ვიგრძენი, რომ განსაკუთრებული ქალი იყავი. ნუთუ ვერ ხვდები, როგორი გრძნობა მაქვს შენ მიმართ?

– არ ვიცი... ზოგჯერ ეჭვი მეპარება. არადა, უნდა დავრწმუნდე. აუცილებლად უნდა დავრწმუნდე.

ლევანმა ორივე ხელი დაუჭირა და თვალებში ნაზად ჩახედა:

– მომისმინე, ნანა... ასე არაფერი გამოვა, ყველაფერს გავაფუჭებთ. არადა, შეგვიძლია, ბედნიერები ვიყოთ, ძალიან ბედნიერები.

– მეც მხოლოდ ეს მინდა. შენ შეიძლება გგონია, რომ ძალიან იოლი ცხოვრება მქონდა, მაგრამ ასე არ არის. არავის აქვს უფლება, განმსაჯოს ან მისაყვედუროს. ახლა შემიძლია, პირობები მე ვუკარნახო იმას, ვინც ჩემ გვერდით იქნება, თუნდაც ეს საყვარელი მამაკაცი იყოს..

– ამით რისი თქმა გინდა?

– იმის, რომ ქმარს ოფიციალურად ვშორდები, მაქსიმუმ ერთ თვეში ყველაფერი დასრულდება. მე და სტივმა უკვე ვილაპარაკეთ.

– მერე?! – ლევანს სული შეუგუბდა პასუხის მოლოდინში.

– მერე ის, რომ მინდოდა,შენზე დავქორწინებულიყავი, – ნანა გაჩუმდა და კაცს გამომცდელად შეხედა.

– ახლა აღარ გინდა?

– არ ვიცი... შენზეა დამოკიდებული.

– ელოდები, რომ გკითხავ, მე რა უნდა გავაკეთო ამისთვის? არა, ნანა, გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო, დამოუკიდებლად.

– რომ გითხრა, გადავიფიქრე-მეთქი, წახვალ?

– მე მარტო მაშინ წავალ, თუ ჩემზე უსაფუძვლოდ იეჭვიანებ ან მეტყვი, რომ არ მიყვარხარ და აქ კარგი ცხოვრებისთვის ჩამოვედი.

– პირობა უნდა მომცე, რომ დააფასებ ჩემს ნდობას.

– ნანა... მიყვარხარ და ეს პირობაზე მეტია.

– მომეხვიე, ლევან, მომეხვიე და ხელი

არასოდეს გამიშვა... შენ არც კი იცი, როგორ მჭირდები, – ამოისლუკუნა ქალმა და ლევანს ჩაეხუტა.

***

კახას ისევ ეძინა, როცა მისმა მობილურმა ტელეფონმა დარეკა. ჯერაც გამოუფხიზლებელმა, ანგარიშმიუცემლად დააჭირა ღილაკს თითი და უკმაყოფილო, ნამძინარევი ხმით ჩასძახა:

– რომელი ხარ, საათი არ გაქვს სახლში?

– ლევანი ვარ, ძმაკაც! ჰო, ვიცი, რომ მანდ ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ, მერე ვეღარ დაგირეკავდი. უნდა დაგელაპარაკო, საქმე მაქვს!

– ლევან, შენ ხარ? ნამდვილად?

– ჰო, რა იყო, ბიჭო, ამერიკიდან გირეკავ! ჰე, გაიღვიძე ახლა. გეუბნები, სერიოზული საქმე მაქვს-მეთქი!

– რა ვიცი, იმდენი ხანია, არ დაგირეკავს, ხმაც კი დამავიწყდა შენი.

– არ გინდა, რა! მე აქ წამოწოლილი არა ვარ და არც უფასო ტელეფონი მიდევს თავთან. ხომ დაგირეკე, როცა ჩამოვედი.

– ჰო, ხუთი თვის წინ, ისიც, ორი სიტყვით მითხარი, კარგად ჩავედიო და სულ ეგ იყო, – როგორც იქნა, გამოფხიზლდა კახა, ლოგინზე წამოჯდა, შიშველი ფეხები საწოლიდან გადმოკიდა და სიგარეტს მოუკიდა.

– ბიჭო, იმისთვის არ დამირეკავს, რომ შენი საყვედურები ვისმინო. არ არის ისე მარტივად საქმე, როგორც მეგონა, სანამ აქ ჩამოვიდოდი, მაგრამ, მგონი, ახლა უნდა გამიმართლოს.

– რა იყო, ნანამ თავის მემკვიდრედ გამოგაცხადა თუ თეთრ სახლში მიგიპატიჟა ობამამ?

– ღადაობ, ხო? დამიჯერე, მართლა სხვანაირადაა ყველაფერი.

– ჰო, კარგი, დაგიჯერე, რომ სხვანაირადაა. მერე? შენთვის ამით რამე იცვლება?

– კახა, შენი დახმარება მჭირდება და ცოტა სერიოზულად მიუდექი იმას, რასაც ახლა გეტყვი.

– ყურადღებით გისმენ, – ირონიულად გაეცინა კახას და ლევანმაც იფეთქა:

– რა იყო, ბიჭო, წამოვედი და ჩვენი მეგობრობა დამთავრდა?

– რა გინდა? დამირეკე, გამაღვიძე, რაღაც სისულელეებს ჩმახავ და კიდევ მე აღარ მახსოვს მეგობრობა?

– ჰო, ვერ გირეკავდი, მაგრამ, მქონდა მიზეზი. .მომისმინე, კახა, თეოსთან ხომ არ ყოფილხარ?

თეონას ხსენებაზე კახას ჟრუანტელმა დაურბინა. უსიამოვნო განცდამ საბოლოოდ გამოაფხიზლა.

– შენს თეონაზე მეუბნები? შენს ცოლზე?

– ჰო, რა იყო. იქნებ ნახე... შემთხვევით...

– არა, არ მინახავს, – იცრუა კახამ და აწრიალდა, – რა გინდოდა?

– ბიჭო, არც კი ვიცი, როგორ გითხრა, – ლევანი გაჩუმდა და კახას გამალებით დაუწყო გულმა ცემა, შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა და სანამ მეგობარი სათქმელს ბოლომდე ეტყოდა, ნერვიულობისგან მთელი სხეულით აკანკალდა. ვერაფრით დაუშვა, რომ შეიძლებოდა ლევანს რაღაცნაირად გაეგო თეონასთან მისი ვიზიტების ამბავი.

ლევანმა ამოიოხრა და განაგრძო:

– მოკლედ, მე ნანას ცოლად ვირთავ და, წარმოდგენა არ მაქვს, თეოს როგორ ვუთხრა ეს ამბავი.

– რა? ნანას ირთავ ცოლად? ოფიციალურად ქორწინდები მასზე?

- ჰო, შე ჩემა, აბა, ცოლად შერთვა რას ნიშნავს? რა ვქნა, არ გამოვიდა სხვანაირად. . აქ საბუთის გარეშე არავის სჭირდები, ნანა კი ქმარს გასცილდა და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

– მესმის, რა თქმა უნდა, შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა.

– არ გინდა ირონია, როგორც გითხარი, იოლად აქაც არაფერი მოდის, მხოლოდ მანდიდან ჩანს ყველაფერი ნათელ ფერებში.

– კარგი, გავიგე, მაგრამ, ჩემგან რას ითხოვ? თეონასთან მივიდე და ვუთხრა, შენს ქმარს ცოლი მოჰყავს-მეთქი? ვერ გავაკეთებ ამას.

– ჰო, ძნელია, მაგრამ, მეც რომ ვერ დავურეკავ? რა გავაკეთო, არ ვიცი...

– ნუღარ იფიქრებ ამაზე, მოიყვანე ნანა ცოლად და იცხოვრეთ ბედნიერად.

– ასეთი უსინდისო გგონივარ? – ეწყინა ლევანს, – შენ გგონია, თეონა არაფერს ნიშნავს ჩემთვის? არ არის ასე.

– მე არაფერი არ მგონია, – კახას გაღიზიანება დაეტყო. ლევანს რომ თეონას ფეხმძიმობის ამბავი სცოდნოდა... და, უცებ მიხვდა: თეო კარგად მოიქცა, როცა გადაწყვეტილება მიიღო, რომ ლევანისთვის ბავშვის ამბავი დაემალა.

– კარგი, მესმის შენი. ეს ჩემი მოსაგვარებელი პრობლემაა, არ უნდა დამერეკა.

– რატომ, მშვენიერი ახალი ამბავი მითხარი, მოსალოცად გაქვს საქმე.

– ვხვდები, რას ფიქრობ ახლა ჩემზე, მაგრამ, დაგიმტკიცებ, რომ ცდები. ფეხზე მყარად დავდგები და თეონასაც მივხედავ, აი, ნახავ.

– ჰო?! საინტერესოა. ალბათ, ფულს გამოუგზავნი, ან – მანქანას, რომ შენი გაქცევა რამენაირად გაამართლო. მეეჭვება, თეონამ ოდესმე ეს გაპატიოს, თუმცა, შენ ალბათ არც არაფერში გჭირდება...

– კარგი, ვეცდები, კიდევ დაგირეკო.

– ქორწილი როდის გაქვთ? ნანას მიულოცე.

– კახა, იცოდე, ჩვენ შორის არაფერი შეცვლილა და არც შეიცვლება, რა დროც არ უნდა გავიდეს და რაც არ უნდა მოხდეს! – ლევანმა ტელეფონი გათიშა.

კახამ ამოიოხრა, შუბლი მოისრისა და სიგარეტს მოუკიდა. ერთბაშად გულზე მოეშვა და მოულოდნელად შვება იგრძნო – ახლა უკვე შეეძლო, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მისულიყო თეონასთან, როცა მისი ნახვა მოუნდებოდა და შორსმიმავალი გეგმებიც გასჩენოდა. არანაირი ვალდებულება აღარ ჰქონდა ლევანის მიმართ. მან თავად თქვა უარი თეონაზე და ნანაზე დაქორწინებით მოიჭრა უკან დასაბრუნებელი გზა.

ოთახში შემოსულმა ნანამ სველი თმიდან პირსახოცი მოიხსნა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა

– ვის ელაპარაკებოდი? – ჰკითხა ლევანს ცუდად დაფარული ეჭვით.

– კახას დავურეკე თბილისში.

– ჩვენ შესახებ უთხარი?

– ჰო.

– მერე?

– მოგილოცა. თეონასთან ვერ მივა – არ შემიძლიაო.

– კარგი. პრინციპში, ასეთი პასუხი მოსალოდნელიც კი იყო. მაგრამ, შენი ყოფილი ცოლი შტერი თუ არ არის, დიდი ხანია, მიხვდებოდა, რომ, არ ღირს, დაგელოდოს, მით უმეტეს, თუ ოფიციალურად არც კი ყოფილხართ ცოლ-ქმარი – უბრალოდ, ერთად ცხოვრობდით.

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? – ლევანი მოიღუშა და ქალს წყრომით შეხედა, – თეონასთან დამნაშავე ვარ და ამას უკვე აღარაფერი ეშველება. წამოსვლამდე უნდა მეთქვა სიმართლე.

– მერე, გეთქვა, – მხრები აიჩეჩა ქალმა, – მე ხომ არ შემიშლია ხელი? არც ის მითქვამს, გამოეპარე-მეთქი, მაგრამ, ასეთები ხართ კაცები – გამბედაობა გაკლიათ. მე ხომ პირდაპირ ვუთხარი სტივს, რომ შენ გამო ვეყრებოდი, მით უმეტეს, რომ დასაკარგი გაცილებით მეტი მქონდა.

– ნანა, არ გინდა, რა, ისედაც საშინელ გუნებაზე ვარ. მოდი, საუბრის თემა შევცვალოთ.

– კარგი, მაშინ ჩვენს ქორწილზე დავილაპარაკოთ, – გაიცინა ნანამ და თვალები მინაბა, – ძალიან, ძალიან ლამაზი და მდიდრული წვეულება გვექნება, მე ასე გადავწყვიტე.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# სილამაზის 4 ასაკი

*20 წლიდან 30 წლამდე – საჭიროა კანის გაწმენდა და დატენიანება.*

*30 წლიდან 40 წლამდე – აუცილებელია მკვებავი და დამცავი კრემები.*

*40-დან 50 წლამდე – საჭიროა კანის გამკვრივება და ნაოჭების გასწორება.*

*50 წლიდან ზემოთ – საჭიროა კანის დაჭიმვა და გაბაცება.*

***ეს ზოგადი რჩევებია. უფრო დაწვრილებით კი სხვადასხვა ასაკში თავის მოვლის პროგრამებს ქვემოთ შემოგთავაზებთ:***

## 1. პროგრამა „20+“

**მოვლა**

თქვენი მთავარი ამოცანაა, კარგად გაიწმინდოთ კანი დღეში 2-ჯერ, დილაობით კი წაისვათ თქვენი კანის ტიპის შესაფერისი დამატენიანებელი კრემი. დანარჩენისთვის (ნაოჭებთან ბრძოლა და ტონუსის შენარჩუნება) კანს საკუთარი ძალებიც ეყოფა.

**რაციონი**

ყოველდღიურად უნდა მიირთვათ B ჯგუფის ვიტამინების შემცველი პროდუქტები: ავოკადო, კურაგა, ლეღვის ჩირი, რომელთა წყალობითაც კანი დიდხანს შეინარჩუნებს ჯანსაღ, სასიამოვნო ელფერს.

**მაკიაჟი**

შეგიძლიათ, ხშირად ჩაატაროთ ექსპერიმენტები – ამაში ასაკი გიწყობთ ხელს, ოღონდ, გახსოვდეთ: მხოლოდ ერთი აქცენტი უნდა იყოს მკვეთრი – ან ტუჩები, ან თვალები, რომ მაკიაჟი დახვეწილად გამოიყურებოდეს.

## 2. პროგრამა „30+“

**მოვლა**

კანის დაბერება 25 წლის ასაკიდან იწყება. ამიტომ, პირველი ნაოჭები თქვენს ასაკში – ნორმალური მოვლენაა. მაგრამ მათმა რაოდენობამ სწრაფი ტემპით რომ არ დაიწყოს მატება, გამოიყენეთ ის კრემები, რომლებიც ხელს უწყობს კანის უჯრედების აქტიურად განახლებას.

**რაციონი**

სახის კანისთვის ლამაზი ფერის მისანიჭებლად და წონის კორექციისთვის რაციონში ჩართეთ ანანასი – ის დიდი რაოდენობით შეიცავს ასკორბინის მჟავას.

**მაკიაჟი**

შუქის ამრეკლავი ნაწილაკების შემცველი ტონალური კრემი ვიზუალურად ფარავს წვრილ ნაოჭებს. გაითვალისწინეთ, რომ ძალიან მკვეთრი მაკიაჟი მოდაში აღარ არის და, თანაც, ვულგარულ იერს მოგანიჭებთ.

## 3. პროგრამა „40+“

**მოვლა**

ეს ის ასაკია, როცა ყოველდღიურად, დილიდან საღამომდე უნდა იზრუნოთ სახის კანზე.



იმისათვის, რომ სახის ოვალი იყოს გამოკვეთილი, გამოიყენეთ ლიფტინგის ეფექტის მქონე კოსმეტიკური საშუალებები; ხოლო თუ ამასთან ერთად ისინი შეიცავენ კოლაგენსა და ჰიალურონის მჟავას, უფრო ადვილად გაუმკლავდებით ნაოჭებს.

**რაციონი**

მიირთვით ცხიმიანი ჯიშის თევზეული, ოღონდ, მოხარშული. ისინი არც გაგასუქებთ და, ამასთან, კანი სრულფასოვნად გამოიკვებება. სახის ფერის გასაუმჯობესებლად კი ხშირად მიირთვით პომიდორი და სტაფილო.

**მაკიაჟი**

როგორც წესი, მაკიაჟი გაიკეთეთ კარგად გაწმენდილ სახეზე, ძილის წინ 1-2 საათით ადრე კი აუცილებლად ჩამოიბანეთ თბილი წყლით ან გაიწმინდეთ კოსმეტიკური რძით და წაისვით შესაფერისი მკვებავი.

ტონალური კრემი უნდა იყოს თქვენს კანზე ნახევარი ტონით ბაცი ან ნახევარი ტონით მუქი. თქვენს ასაკში მაკიაჟის წასმისას სასურველია, მეტი აქცენტი გააკეთოთ ტუჩებზე და არა თვალებზე – ასე უფრო ვნებიანი და ეფექტური გამოჩნდებით. ლაწვებზე ღია ფერის რუჟი წაისვით და წამწამებს ძალიან ნუ დაიტუშავთ.

## 4. პროგრამა „50+“

**მოვლა**

მონაცვლეობით გამოიყენეთ კანის გამამკვრივებელი და ნაოჭების გამსწორებელი კრემები და შრატი – ის გაცილებით უფრო ღრმა და ინტენსიურ ზემოქმედებას ახდენს. ასევე, შრატი შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ BB-კრემით, რომელიც ითავსებს მოვლისა და ტონალურის ფუნქციებს.

**რაციონი**

კანისთვის სიმკვრივის შესანარჩუნებლად ყოველდღიურად მიირთვით სალათის ფოთლები, მწვანე ფერის ბოსტნეული, რომლებიც მდიდარია ანტიოქსიდანტებით, მაგალითად: ბროკოლი, მწვანე ბარდა, ისპანახი და ასე შემდეგ.

**მაკიაჟი**

მაკიაჟი გაიკეთეთ ტონალური კრემის წასმის შემდეგ; გადაისვით სილიკონებიანი პუდრი პრაიმერი. ის ასწორებს და ჭიმავს კანს და თანაბარს ხდის მის ფერს. თქვენს კანზე ერთი ტონით მუქი პუდრი წაისვით ლაწვებზე (რუჟის ნაცვლად). ასაკის მატებასთან ერთად, სახის ეს მონაკვეთები ოდნავ დუნდება და ეშვება, მაგრამ მსუბუქი კორექცია, რუჟთან ერთად ნიღბავს ამ ხარვეზს.

ცხადია, ამ რჩევების პარალელურად, არ უნდა დაგავიწყდეთ ყოველდღე სახის გაწმენდა, მკვებავები, დატენიანება, ნიღბები, მასაჟები და სხვადასხვა მეთოდით მოვლა, რაც ხელს შეუწყობს თქვენს კანს, უფრო დიდხანს გამოიყურებოდეს ახალგაზრდულად.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: გამოიყენება თუ არა გრეიპფრუტი კოსმეტოლოგიაში (სახლის პირობებში) და თუ გამოიყენება – როგორ?**

**პასუხი:** გრეიპფრუტს კოსმეტოლოგიაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს, მაგალითად, მისი ახალგამოწურული წვენით შეგიძლიათ გაიბაცოთ ჭორფლი და პიგმენტური ლაქები: დაასველეთ მასში დოლბანდის ტამპონი და კარგად გაიწმინდეთ პრობლემური ადგილები; გარდა ამისა, გრეიპფრუტის წვენში თანაბარი პროპორციით შერეული მინერალური წყალი შესანიშნავი მატონიზებელი საშუალებაა კანისთვის – ის ავიწროებს ფორებს და ამცირებს კანში ცხიმების გამომუშავებას; ძალიან აახალგაზრდავებს კანს შემდეგი შემადგენლობის ნიღაბი, რომელიც ორ კვირაში ერთხელ უნდა გაიკეთოთ: ერთმანეთს კარგად შეაზილეთ ნახევარ-ნახევარი ჩაის კოვზი არაჟანი, სტაფილოს წვენი და ბრინჯის ფქვილი, 1 სადილის კოვზი გრეიპფრუტის წვენი და წაისვით სახეზე, ყელსა და დეკოლტეს ზონაზე. ჩამოიბანეთ 20 წუთის შემდეგ და შემშრალებისთანავე გადაისვით თქვენი მკვებავი.

**კითხვა: თუ შეიძლება, ცოტა დაწვრილებით მიამბეთ, რა დანიშნულება აქვს C ვიტამინს კანისთვის?**



**პასუხი:** C ვიტამინი კანის დაბერების საწინააღმდეგო ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მას განსაკუთრებით ძლიერი ზემოქმედება აქვს კანის უჯრედებზე და ხელს უწყობს კოლაგენის უფრო ინტენსიურ გამომუშავებას, რის შედეგადაც ჩვენი კანი ხდება უფრო მკვრივი და ელასტიკური. გარდა ამისა, C ვიტამინი ეხმარება კანს პიგმენტაციის პრობლემების გადაწყვეტაში, აძლევს კანს ცოცხალ ელფერს.

**კითხვა: მაინტერესებს, ზამთრის სეზონზე კანის დასაცავად საჭიროა თუ არა უფრო მეტი ცხიმიანობის მქონე მკვებავის გამოყენება?**

**პასუხი:** ბევრს ჰგონია, რომ, რაც უფრო ცხიმიანია კრემი, მით უკეთ იცავს ის კანს სიცივისგან. სინამდვილეში კი ძალიან ცხიმიანი (მაგალითად, მცენარეულ ზეთებზე დამზადებული) კრემები კანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევს, რადგან კეტავს ფორებს; ასევე, ხელს უშლის მკვდარი კანის ნაწილაკების მოშორებას ზედაპირიდან, რის გამოც სახის კანი იწყებს აქერცვლას, იღებს მორუხო ფერს და დუნდება. ეს რომ არ მოხდეს, უმჯობესია, შეარჩიოთ მკვებავი კრემების შედარებით უფრო მსუბუქი ანალოგები. გამონაკლისია ხანგრძლივი სეირნობა ან სპორტული ღონისძიებების ჩატარება ზამთრის სიცივეში – ამ დროს შეგიძლიათ, ჭარბად ცხიმიანი კრემის წასმა.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## სიყვარულმა დამღალა

გაგეცინებათ და, ცოტა დავიღალე ამდენი სიყვარულით. ანუ, სულ ვიღაც მიყვარს და სულ ვიღაცას ვუყვარვარ, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიანაც მსიამოვნებს (აბა, ვის არ სიამოვნებს მუდმივად გოგოების, თანაც, საუკეთესო გოგოების ყურადღების ცენტრში ყოფნა!) ეს კი, ჩემი ღრმა რწმენით, იმით არის გამოწვეული, რომ ძალიან მხიარული და ხალისიანი ყმაწვილი გახლავართ; მიყვარს „ტუსოვკები", ცეკვა, სიმღერა, „პახოდებში" სიარული, ანეკდოტების მოყოლა, გოგოების გაცინება და გამხიარულება, უვნებელი „სიგიჟეების" მოწყობა.... მოკლედ, არ ვტრაბახობ, მაგრამ, მართლა კაი ტიპი ვარ, თან, არც სასმელი მიყვარს და მოსაწევი – მით უმეტეს. იციან ეს გოგოებმა და იმიტომაც მეხვევიან ბუზებივით. ჩემს საძმაკაცოში ზოგიერთს შურს ეს ამბავი (ამას კანით ვგრძნობ), რადგან, მე სულაც არ ვცდილობ, „ვიყიდო" ჩემი პოპულარობა, რადგან საამისოდ, როგორც იტყვიან, გროშ-კაპიკიც კი არ გამაჩნია, ისინი კი (ის ზოგიერთი შურიანი) კანიდან ძვრებიან, საკმაოდ დიდ ფულს ახარჯავენ გოგოებს, მაგრამ ის გოგოები მაინც ჩემკენ გამორბიან. ერთხელ ერთმა გოგომ ყველას თანდასწრებით მითხრა, მართლა ძაან კაი ტიპი ხარ, ვგიჟდები შენნაირ ბიჭებზეო; მეორემ კი „შეუსწორა" – მაგისნაირი ბიჭები არ არსებობენ, ეგ ერთია მხოლოდო. ამაზე ზოგიერთი შურიანი ბიჭი დაიბოღმა და თქვა: კაი ტიპი კი არა, ჩვეულებრივი ჭკუამხიარული ცანცარაა და გოგოებსაც ზუსტად ეგეთი ცანცარები უყვართო. ამ სიტყვების გამო იმ ბიჭს კინაღამ თვალები ამოჰკორტნეს გოგოებმა, მე კი უხერხულად ვიგრძენი თავი (გოგოების შეფასების გამო) და შევეცადე, ისევ ჩემი მხიარულებით, ცეკვითა და სიმღერით გამენეიტრალებინა სიტუაცია, რაც, პრინციპში, შევძელი კიდეც, მაგრამ სახლში მაინც ცოტათი გულნატკენი დავბრუნდი, რადგან, მე, მაგალითად, არასდროს არავისი არ შემშურებია და არც შემშურდება, რადგან საერთოდ არ ვარ შურიანი ადამიანი. და, საერთოდაც, ძალიან ჩვეულებრივი ვარ, ბუნებრივი, ყოველგვარი ნიღბისა და თამაშის გარეშე. არ ვიცი, შეიძლება, გოგოები გრძნობენ ამას და იმიტომაც გიჟდებიან.



ხომ ამდენ გოგოს მოვწონვარ და ვუყვარვარ, მაგრამ მე გამორჩეული და განსაკუთრებული დამოკიდებულება არცერთის მიმართ არ მაქვს – ყველა ერთნაირად მიყვარს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვა, შეყვარებული არ მყავს. მართალია, რამდენიმეს (სხვადასხვა დროს და არა ერთმანეთის პარალელურად, ცხადია – მე ხომ წესიერი კაცი ვარ) რამდენჯერმე შევხვდი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვიპოვე „ის" – ერთადერთი და განუმეორებელი; რატომღაც, ყველა ერთნაირად მეგობრად და დაქალად მიმაჩნია. ან, უარესი მემართება: მგონია, რომ მივაგენი იმას, ვისაც მთელი ცხოვრებაა (თუმცა, რა მთელი ცხოვრება, ჯერ მხოლოდ 20 წლის ვარ, მაგრამ მაინც), ვეძებ; გამიხარდება, გადავირევი და უცებ აღმოჩნდება, რომ ისიც ისეთივე ჩვეულებრივი გოგოა, როგორიც ბევრი სხვა. არა, შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ, უბრალოდ, ჩვეულებრივია, არაფრით განსხვავებული, არაფრით განსაკუთრებული... მე კი, იცით, როგორს ვეძებ? აი, ისეთს, „მოიისფროს"... ჩემი ძმაკაცი მეუბნება, ასეთი გოგოები აღარ არსებობენ, მეცხრამეტე საუკუნეში გადაშენდნენო, მაგრამ მე არ მჯერა; უბრალოდ, ძალიან ცოტანი არიან და პოვნაა საჭირო...

ისე, გამოგიტყდებით და, ხანდახან ვგრძნობ ხოლმე, რომ არა მარტო გოგოების სიყვარულმა, იმ „მოიისფროს" ძებნამაც დამღალა – ვაითუ, მართლა აღარ არსებობენ და მე კი სიბერემდე არ შევეშვა მათ ძებნას?!

**სანდრო, 20 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# როგორი ხასიათი გაქვთ?

*კარგია, როცა საკუთარ ხასიათს კარგად იცნობ – ადამიანებთან ურთიერთობაც გიმარტივდება და წარმატების მიღწევაც. იქნებ არც ისე კარგად იცით, როგორი ბუნება გაქვთ. იყავით გულახდილი.*

**1. როგორი დამოკიდებულება გაქვთ სიახლეებისადმი?**

ა) ყველა სიახლეს იმედით ვხვდები – 0 ქულა;

ბ) ნორმალური, ჩვეულებრივი – 2 ქულა;

გ) ვერ ვიტან სიახლეებს – 4 ქულა.

**2. გახასიათებთ გეგმების ბოლო მომენტში შეცვლა?**

ა) არა – 4 ქულა;

ბ) არც ისე ხშირად ვაკეთებ ამას – 0 ქულა;

გ) დიახ, რა თქმა უნდა – 2 ქულა;

**3. გიტაცებთ კოლექციონერობა?**

ა) დიახ – 4 ქულა;

ბ) მხოლოდ წიგნების, რომ წავიკითხო – 2 ქულა;

გ) არა. არც საშუალება მაქვს და არც ხალისი – 0 ქულა.

**4. როცა ცუდ გუნებაზე ხართ, ამას სხვებიც გრძნობენ?**

ა) გააჩნია, ჩემ გვერდით ვინ არის – 2 ქულა;

ბ) თამაში არ მეხერხება და რა ვქნა – 4 ქულა;

გ) არასოდეს არავინ – 0 ქულა.

**5. რა აზრის ხართ ჭეშმარიტ მეგობრობაზე?**




ა) არ მჯერა მეგობრობის – 0 ქულა;

ბ) მეგობრობა არაჩვეულებრივია – 4 ქულა;

გ) რამდენჯერმე იმედი გამიცრუვდა – 2 ქულა.

**6. სხვადასხვა პროფესიაზე გიფიქრიათ?**

ა) აუცილებელია. აბა, სასურველი როგორ უნდა შეარჩიო? – 2 ქულა;

ბ) სულ პროფესიის შეცვლაზე ვფიქრობ – 0;

გ) არა – 4 ქულა.

**7. რთული პრობლემის გადასაჭრელად ვისი იმედი გაქვთ?**

ა) არავისი – 0 ქულა;

ბ) მეგობრების – 2 ქულა;

გ) მხოლოდ საკუთარი თავის – 4 ქულა.

**შედეგები ნახეთ, როცა ქულებს დაითვლით:**

*0-8 ქულა: საკუთარ თავში ჩაკეტილი, ეჭვიანი ადამიანი ხართ. არც სხვისი გჯერათ და არც საკუთარი თავის. გირჩევთ, უფრო მეგობრული და კონტაქტური გახდეთ. ხშირად გაიღიმეთ. მით უფრო, როცა მარტო არ ხართ. ღიმილი თქვენ მიმართ ყველას კეთილგანწყობილს გახდის.*

*10-20 ქულა: დინჯი ხართ და კეთილი. თუმცა, ზოგჯერ ყოველდღიური პრობლემები წონასწორობას გაკარგვინებთ. შეეცადეთ, წვრილმან პრობლემებს უფრო მშვიდად შეხვდეთ. ეს ცხოვრებას ბევრად გაგიიოლებთ.*

*22-28 ქულა: ძალიან პოზიტიური ადამიანი ხართ – გაწონასწორებული, კეთილი, სერიოზული... ძალიან გიადვილდებათ სხვებთან ურთიერთობა და არც მათ უჭირთ თქვენთან კონტაქტი. შეეცადეთ, ასეთად დარჩეთ.*

**ელენე წულუკიძე**

# დედაქალაქის გადასარჩენად

● **გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №50-4(486)**

ზურაბ გეგეშიძეს დონალდ ონილი ახლდა, რომელიც ჯერ რატის მიესალმა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– ძალიან ენერგიული ადამიანი ყოფილხა-



რთ, რატი. როგორც ვიცი, რაც ჩვენთან გადმოხვედით, ჯერ არ გძინებიათ, სულ მუშაობთ და მუშაობთ.

– ამას უყურე, რა ენაწყლიანად მეტყველებს ქართულად, – გადაუჩურჩულა გაოცებულმა კაკუბავამ ჩიტოს, როდესაც ამერიკელის ქართულ ლაპარაკს მოჰკრა ყური. რეზომ ღიმილით დაუკრა თავი კაკუბავას. რატიმ კი ამერიკელს მიუგო:

– დიახ, მისტერ ონილ, ჯერჯერობით ვერ მოვახერხე დასვენება. იმდენი საქმეა, რომ ამის დრო არ მომეცა.

– ჰოდა, აქედან რომ სამსახურში დავბრუნდებით, ბატონ სოსოსთან გიშუამდგომლებთ, რომ ხვალ დილამდე სახლში გაგიშვათ. დასვენება აუცილებელია, – უთხრა რატის ამერიკელმა და ღიმილით დაამატა: – და, კიდევ ერთი, რატი (ამერიკელი შენობით ლაპარაკზე გადავიდა), გუშინ ხომ გთხოვე, დონალდი დამიძახე-მეთქი. ჩვენ, ამერიკელები უბრალო ხალხი ვართ, ისევე, როგორც თქვენ – ქართველები.

– კარგი, მისტერ დონალდ, – გაეღიმა რატის.

– რატი! – ონილს წყენა აღებეჭდა სახეზე.

– კარგი, დონალდ, შევთანხმდით, – თქვა რატიმ.

– შევთანხმდით და აღარ დავარღვიოთ, – თქვა ონილმა და ჯერ კაკუბავას ჩამოართვა ხელი, შემდეგ ჩიტოს და ბოლოს იკითხა:

– აბა, რა ხდება, მეგობრებო, სადაა გვამი და რატომ ფიქრობთ, რომ მკვლელობაა?

– ბრძანეთ, ბატონო ვარლამ, – უთხრა რატიმ კაკუბავას და მან ამერიკელს უთხრა:

– ბატონო ონილ, გვამს შუა თავის ქალაზე ძლიერი დარტყმის კვალი აქვს, რასაც მისი დასიებული თვალების ქუთუთოებიც ადასტურებს და ასეთი ვარაუდი ამიტომ გამიჩნდა. თუმცა, საბოლოო სიტყვა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებზეა და ზუსტ პასუხს გაკვეთა გვიჩვენებს.

ონილი, კაკუბავასთან და გეგეშიძესთან ერთად, ცალთვალა კუჭკუჭას სადგომში შევიდა. გარეთ დარჩენილმა ჩიტომ კი რატის უთხრა:

– ვინაა, შე ჩემა, ეს ონილი, ასე სუფთად რომ ბაზრობს ქართულად? ვარლამს ლამის თვალები გადმოსცვივდა გაოცებისგან.

– „ეფბეერის“ წარმომადგენელია საქართველოში, – ხმადაბლა მიუგო რატიმ ძმაკაცს.

– კაროჩე, ვარლამმა მითხრა, თუ მართლა სახლში გაუშვებენ დასასვენებლად, „მოდულიდან“ რომ გამოვა, დამირეკოსო. რაღაც საქმე აქვს შენთან, გაიგე?

– გავიგე. გამოდიან, – მიუგო რატიმ რეზოს და ონილს მიაპყრო მზერა, რომელმაც კაკუბავას უთხრა:

– გამორიცხული არაა, რომ მაწანწალებმა ერთმანეთში იჩხუბეს და მკვლელობაც ამიტომ მოხდა. ვფიქრობ, ამ საქმეს თქვენ და პოლიციამ უნდა მოჰკიდოთ ხელი და მოკვლევის შედეგები გაგვაცნოთ, შემდეგ კი უკვე ჩვენ ჩავერთვებით, თუ, რა თქმა უნდა, ეს საჭირო გახდა, – ონილმა მარჯვნივ გაიხედა, მათკენ მომავალ მანქანებზე მიანიშნა კაკუბავას და დაამატა: – აი, როგორც ვხედავ, პოლიციაც მოვიდა, ალბათ, ექსპერტებიც არიან და ისინიც ჩაერთვებიან.

– დიახ, ბატონო ონილ, – მშვიდად მიუგო კაკუბავამ ამერიკელს და რატის არ გამოჰპარვია, რომ მის ყოფილ უფროსს ამერიკელი არ მოეწონა.

ონილმა იგივე გაუმეორა ბუხუტი ბაქრაძესა და ვანო გურგენიძეს, რომელსაც ქეთიც თან ახლდა და გოგონას დანახვაზე რატის გული აუჩქარდა. ქეთი კი თვითონ მივიდა რატისთან. რეზოს მიესალმა და რატის ჰკითხა:

– როგორ ხარ, რატი?

– კარგად, ქეთი. შენ?

– მეც კარგად. შენ, რა, არ გძინებია?

– არა.

– დაისვენე, თორემ გამოიფიტები. ახლა გავრბივარ. დამირეკე, ხომ?

– კარგი.

ქეთი გურგენიძეს გაჰყვა, რომელიც რატის შორიდან ხელის აწევით მიესალმა. ჩიტომ კი რატის ჰკითხა:

– დაგევასა ქეთი?

– შენ საიდან იცნობ?

– ბიჭებისგან გამიგონია, ისეთი უკარება და ზაევოიაო, რომ, თურმე, მტრისას. ისე, ვერაფერს დაუწუნებ, მაგარი გოგოა.

– აბა, აბა, გეყოფა...

– რა მეყოფა, შე ჩემა. ცუდი რა ვთქვი, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა ჩიტომ.

– იტყვი და... – რატიმ აღარ დაასრულა, რეზომ კი ეშმაკური ღიმილით მიუგო:

– კარგი, კარგი, ნუ იმუქრები. საცოლე ბიჭი ხარ და, თუ ივაჟკაცებ, ერთი კარგი პურიც ვჭამოთ.

– წავედი, ჩიტო, ონილი მეძახის, – უთხრა რატიმ რეზოს და თვალით ანიშნა, კაკუბავას დანაბარები მახსოვსო. შემდეგ განცალკევებით მდგარ გეგეშიძესთან და ონილთან მივიდა. ორიოდე წუთის შემდეგ რატი „ზეემვეთი“, ონილი და გეგეშიძე კი მაიორის მანქანით „მოდულის“ შენობისკენ გაემართნენ.

სამსახურში რომ მივიდნენ, ონილმა თქვა:

– თქვენ პოლკოვნიკთან ადით. მეც მალე მოვალ და ერთად შევაჯეროთ ფაქტები.

– ალბათ, ნიუმენსას მოიყვანს, – გადაულაპარაკა გეგეშიძემ რატის და, როცა მარტო დარჩნენ, რატიმ უთხრა: – დაძახებას დარეკვა არ ერჩივნა?

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა მაიორმა და ორივენი სოსო ჯაფარიძის მისაღებში შევიდნენ. შემდეგ კაბინეტის კარი შეაღეს და მარტო მყოფ პოლკოვნიკს ეახლნენ.

ათიოდე წუთში ონილი და ნიუმენიც გამოჩნდნენ, მაგიდას მიუსხდნენ და ნიუმენმა პირდაპირ რატის უთხრა:

– აი, ისევ შევხვდით ერთმანეთს. აბა, რა ხდება, მეგობრებო, რა სიახლეებია?

– თქვი, რატი, – უთხრა ჯაფარიძემ პეტრიაშვილს და რატიმ თქვა:

– როგორც ბატონმა სოსომ დამავალა, მოკლული აბრეზას საქმეს მოვკიდე ხელი. ჯერ მარკეტის გამყიდველ ქალს გავესაუბრე, მაგრამ მისგან ახალი არაფერი შემიტყვია. შემდეგ კი ერთი მაწანწალა დავკითხე, გაბო ჰქვია. გამახსენდა, რომ წუხელ სწორედ მან მითხრა, აბრეზა „მორკინალთან“ ვიღაცეებს მანქანაში ჩაუჯდაო და ამ ინფორმაციის დაზუსტება მინდოდა. გაბოს კი არც მანქანის მარკა ახსოვს და არც ის ადამიანები. შემდეგ გაბოს გაახსენდა, რომ გუშინ აბრეზა და ცალთვალა კუჭკუჭა, ანუ ის მაწანწალა, რომელიც ამ დილით მე აღმოვაჩინე მოკლული, ერთად იყვნენ და, შეიძლება, მან, ანუ კუჭკუჭამ მოგაწოდოს ინფორმაციაო. კუჭკუჭასთან რომ მივედი, ის, სამწუხაროდ, მოკლული დამხვდა.

– რა იცით, რომ მოკლულია? იქნებ მაწანწალებმა ერთმანეთში იჩხუბეს და მკვლელობაც ამის გამო მოხდა? – თქვა ნიუმე-

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

ნმა, შემდეგ კი დაამატა: – უფრო სწორად, იმის თქმა მინდა, რა იცით, რომ ეს მკვლელობა, თუ მართლა მკვლელობაა, ჩვენს საქმესთანაა კავშირში? მაწანწალები მთელ მსოფლიოში ჩხუბობენ ხოლმე ერთმანეთში და მკვლელობებიც ხდება. ასეა ამერიკაშიც.

– თითქმის ასპროცენტიანია, რომ მკვლელობაა. მეც დავათვალიერე იმ მაწანწალას გვამი და მგონი, ასეა, – უთხრა ნიუმენს ონილმა. ნიუმენმა კი მიუგო:

– დავუშვათ, ასეა, მაგრამ, ჩვენს საქმესთან კავშირი რით დასტურდება?

– ამ საქმეს რატი იკვლევს, – თქვა ონილმა და ნიუმენმა ახლა რატის ჰკითხა:

– რამე ფაქტები გაქვთ ამის დასტურად?

– კონკრეტული ფაქტები ჯერ არა, მაგრამ სავარაუდოა, რომ მკვლელებმა კვალის დაფარვის მიზნით მოკლეს კუჭკუჭა, ანუ, იმიტომ, რომ მას გამოძიება აბრეზას მკვლელობის კვალზე არ გაეყვანა.

– ეს მხოლოდ ვარაუდია, ბატონო რატი, ჩვენ კი ფაქტები გვჭირდება, – უთხრა ნიუმენმა პეტრიაშვილს და ჰკითხა: – გეტყობათ, რომ არ გძინებიათ, ხომ?

– დიახ, – მიუგო რატიმ.

– ვფიქრობ, დასვენება არ გაწყენდათ, – თქვა ნიუმენმა, ონილმა კი დაამატა:

– რატისაც ვუთხარი წეღან და, მინდა, ბატონ სოსოს ვთხოვო, რომ ეს ენერგიული ყმაწვილი ხვალ დილამდე გაათავისუფლოს. ხვალიდან კი რატი ახალი ენერგიით შეუდგება სამსახურს.

– თუ მეტი კითხვა არ გაქვთ რატისთან, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. წავიდეს და დაისვენოს, – თქვა ჯაფარიძემ.

– მეტი კითხვა არ მაქვს, დაისვენოს, – მიუგო პოლკოვნიკს ნიუმენმა.

– თავისუფალი ხარ, რატი. ხვალ დილით გელოდები, – უთხრა ჯაფარიძემ პეტრიაშვილს და გაუღიმა.

რატი წამოდგა. კაბინეტში მყოფთ დაემშვიდობა და კარისკენ გაემართა. ჯაფარიძემ კი მას სიტყვა დააწია:

– რატი, შეგიძლია, მანქანა წაიყვანო.

– გმადლობთ, ბატონო სოსო, – მიუგო რატიმ პოლკოვნიკს და კაბინეტი დატოვა.

„მოდულის“ შენობიდან გამოსულ რატის თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. მიუხედავად იმისა, რომ უძინარი იყო, საერთოდ არ გრძნობდა დაღლილობას და მზად იყო მუშაობის გასაგრძელებლად. მან ტელეფონზე კაკუბავას ნომერი აკრიფა და უთხრა:

– გამოვედი, ბატონო ვარლამ.

– რუსთაველზე რომ „ანტრეა“, იქ მოდი, გელოდებით, – მიუგო კაკუბავამ და ტელეფონი გათიშა.

***

შუა რუსთაველის გამზირზე მდებარე პატარა კაფე სანახევროდ იყო ხალხით სავსე. ვარლამ კაკუბავა და რეზო ჩიტაძე ყრუ კედლის კუთხესთან მდგარ მაგიდას უსხდნენ და ჩაის სვამდნენ. რატი მაგიდას უხმოდ მიუჯდა და კაკუბავამ ჰკითხა:

– რა მოვატანინო?

– არაფერი, – მიუგო რატიმ.

– ისედაც სკილეტი ხარ და უფრო გამოიფიტები. გეჭამა რამე.

– არ მინდა, ბატონო ვარლამ. მაძღარ კუჭზე ძილი მერევა.

– ჩაისაც არ დალევ ან ყავას? წვენი?!

– არა, არა, – კატეგორიულად იუარა რატიმ.

კაკუბავამ კი რეზოზე მიანიშნა რატის და უთხრა:

– შენს ძმაკაცს მაინც მიბაძე, ბიჭო, ჭამას არ მაზავს. ისეთი მადა აქვს, ერთი სიამოვნებაა მისი ცქერა.

ჩიტოს ჩაეცინა, კაკუბავამ კი სერიოზული სახე მიიღო და თავის ყოფილ ხელქვეითს უთხრა:

– ახლა საქმეზე გადავიდეთ. აქ ტყუილად არ დამიბარებიხარ, მინდა გაგაფრთხილო.

– გამაფრთხილოთ? – გაუკვირდა რატის.

– ნუ მაწყვეტინებ, შე მამაძაღლო. ჰო, უნდა გითხრა, რომ დიდი დაკვირვება და ყურადღება გმართებს, ამერიკელები რაღაცას წიომნობენ. სიმართლე გითხრა, ეგ ქართულად მოლაპარაკე ონილი არ მომწონს. ძალიან შინაურულად გექცევა, არადა, ასაკსა და თანამდებობას რომ თავი დავანებოთ, სულ რაღაც ოცდაოთხი საათია, რაც გიცნობს და, რაში დასჭირდა შენთან ასე დაახლოება? პირველ რიგში ამაზე იფიქრე. მე ვერ ვხვდები, იქნებ შენ მოტვინო.

ჩიტომ კაკუბავას პაუზით ისარგებლა და თქვა:

– თვითონ არ ახსნა ეს? არ გახსოვთ, რომ თქვა, ამერიკელები უბრალო ხალხი ვართო?

– თქმა ერთია, მაგრამ, რამდენად სწორი თქვა – მეორე, – მიუგო რეზოს კაკუბავამ და რატის მიუბრუნდა: – ახლა, რაც შეეხება წიომნობას, გასაგებია, რომ ყველაფრის გასაიდუმლოება უშიშროებაში ახალი ხილი არაა. გასაგებია ისიც, რომ თბილისში მოკლული ტერორისტის ამბის გამხელა ჯერჯერობით არ უნდათ და, არც ის მიკვირს, რომ ყველა ექსპერტიზას „ეფბეერი“ ატარებს, მაგრამ, რაში დასჭირდათ ვაშინგტონიდან ასე სასწრაფოდ აგენტთა „ოთხეულის“ გამოგზავნა? ბოლობოლო, სტამბულის ფილიალიდან ჩამოიყვანდნენ ხალხს.

– ვაშინგტონში, ალბათ, უფრო კვალიფიციური ხალხი ჰყავდა, – თქვა რეზომ.

– შეიძლება, მაგრამ, არა მგონია, რომ მთავარი ეს იყოს, – თქვა კაკუბავამ.

– აბა, რა? – იკითხა რატიმ.

– რა და, ვფიქრობ, ვაშინგტონელ აგენტებს სპეციალური დავალება აქვთ მიღებული და ასე სასწრაფოდ იმიტომ ჩამოფრინდნენ თბილისში.

– ამ სიშორეზე ფრენასა და დროის დაკარგვას ერთი ზარი არ ჯობდა? – თქვა რატიმ და დაამატა: – დარეკავდნენ და დავალებას ისე მისცემდნენ. ბოლო-ბოლო, სტამბულიდან ჩამოიყვანდნენ აგენტებს და ამდენ დროს არ დაკარგავდნენ გზაში.

– ეს ლოგიკაა, რეალობა კი, შეიძლება, სულ სხვა იყოს. რადგან ასე არ გააკეთეს, ესე იგი, ისე იყო საჭირო, როგორც ქნეს. ანუ, სწორედ ვაშინგტონიდან უნდა გამოეგზავნათ ხალხი და სწორედ ის ადამიანები, ვინც თბილისში ჩამოვიდნენ.



– ვთქვათ, მართალს ბრძანებთ, ბატონო ვარლამ, მაგრამ რისთვის დასჭირდათ ეს?

– სწორედ ეგ მაინტერესებს და, ვფიქრობ, რომ სერიოზულადაა საქმე. ასე რომ, ძალიან ფრთხილად და ყურადღებით იყავი. ნუ მოდუნდები და, თუკი დაგჭირდით, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში დაგვირეკეთ მე და რეზოს.

– გმადლობთ, ბატონო ვარლამ, ასე მოვიქცევი.

– წეღან რეზოსაც ვეუბნებოდი, სანამ შენ მოხვიდოდი, – თქვა კაკუბავამ და დაამატა: – ისე მომეჩვენა, რომ იქ, კუჭკუჭას ბარაკთან, ეგ ონილი ცდილობდა, დავერწმუნებინეთ, რომ თითქოს ცალთვალას მკვლელობა აბრეზას მკვლელობასთან არაა კავშირში. არადა, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ცალთვალა კუჭკუჭა სწორედ აბრეზას გამო მოკლეს.

– იმავეს ცდილობდა არნოლდ ნიუმენიც, – უთხრა რატიმ კაკუბავას.

– ეგ ვინღაა? – ჰკითხა ვარლამმა.

– ვაშინგტონური ოთხეულის წევრი. ჩემი აზრით, ამ ჯგუფის უფროსია. ეს არავის უთქვამს, მაგრამ, საქციელზე ეტყობა, რომ ასეა.

– მოკლედ, ჩემო რატი, როგორც შევთანხმდით, ისე მოვიქცეთ. შენ ფრთხილად და ყურადღებით იქნები. ჩვენ კი, თუ რამ ახალი გავიგეთ, გაგაგებინებთ.

– კარგი, შევთანხმდით, – მიუგო რატიმ კაკუბავას. ვარლამმა კი უთხრა:

– ახლა სახლში წადი და დაისვენე. ერთად გასვლა არაა საჭირო. პირველი შენ გადი და ჩვენ მერე წავალთ. აბა, ნახვამდის.

– ნახვამდის, – მიუგო რატიმ. „ანტრედან“ გამოვიდა და სახლისკენ გაემართა.

დღის სამი საათი სრულდებოდა, რატი პეტრიაშვილმა სახლში რომ ფეხი შედგა და დედამისს უთხრა:

– დედი, ძალიან მშია და მეძინება. სანამ შხაპს მივიღებ, რამე მომიმზადე.

– კი, დედიკო, ახლავე, – მიუგო დედამ და სამზარეულოსკენ გაემართა.

რატიმ ჯერ შხაპი მიიღო, შემდეგ ჭამა, ბოლოს კი დაწვა და უმალვე ჩაეძინა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# რა საფრთხეში ჩააგდო ადარნასე მეფემ ქვეყანა ცოლთან გაყრით და რა მისწერა გრიგოლ ხანძთელმა გარდაცვლილ მონაზვნებს

აშოტ კურაპალატს სამი ვაჟი დარჩა – ადარნასე (ადარნერსე), ბაგრატი და გუარამი (გვარამი). ადარნასე აშოტ პირველის უფროსი ვაჟი გახლდათ. თუმცა, სახელმწიფოს ძმები ერთად მართავდნენ. შემდეგში, უმთავრესობა მის მომდევნო ძმას, ბაგრატ პირველს მიუღია, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორმა კურაპალატის ტიტული მიანიჭა. ძმებს შორის დიდი სიყვარული იყო, ყოფილან ისინი „ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება“, და ალბათ, ეს ყველაფერი მოხდა, უფროს ძმასთან შეთანხმებით. უფრო თუ დავაზუსტებთ, სამივე ძმის შეთანხმებით, რადგან მათი უმცროსი ძმა, გუარამიც ხელმწიფე გამხდარა და მამფალის ტიტულს ატარებდა. მამფალის ტიტულიც იმავე პრინციპითაა ნაწარმოები, როგორც დედოფალი (დედა უფალი - დედოფალი, მამა უფალი - მამფალი). ანუ, მამფალი თითქმის იმავეს ნიშნავს, რასაც მეფე. ამგვარად, სამივე ძმა ინოდებოდნენ ხელმწიფედ, ასეთი ტიტული კი მეფეებს და მეფის მსგავსი ძალაუფლების მთავრებს, სუზერენებს ჰქონდათ მაშინ. ანუ, ისინი — ხელმწიფენი ერთად მეფობდნენ.



ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ძმები უხვად ეხმარებოდნენ გრიგოლ ხანძთელს მონასტრების მშენებლობაში. უდაბნოს ვარსკვლავს მოუნათლავს ადარნასეს ძე გურგენი და ბაგრატის ძე დავითი.

ადარნასე ხელმწიფეს მამაზე ნაკლები თავგადასავალი არ ჰქონია სიყვარულში. მას ჰყავდა საყვარელი და მისი მოთხოვნით თავის კანონიერ ცოლს გაშორდა. მისი მეუღლე იყო ბაგრატ შაროელის ასული, რომელიც ადარნასემ გაუშვა უკან, ოჯახში, აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში). ბაგრატ შაროელი ყოფილა „ხელმწიფე“. ანუ ბაგრატ შაროელი აფხაზეთის მაშინდელი ერთ-ერთი ხელმწიფე ყოფილა, ანუ ერთ-ერთი დიდებული მთავარი.

ადარნასეს მეუღლე ძლიერი ოჯახიდან იყო, ამიტომ შეიძლება, მომხდარიყო დაპირისპირება ოჯახებსა და სამთავროებს შორის. თუ იმ დროს პოლიტიკური ქორწინება მტრობის შეწყვეტის, დაზავებისა და შეთანხმების, მშვიდობის გამო ხდებოდა, ოჯახის შეურაცხყოფა შეიძლება გამხდარიყო მტრობის დაწყების საფუძველი, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების დაწყების მიზეზი.

გრიგოლ ხანძთელი არ იყო მხოლოდ სასულიერო პირი, ბერი, მღვდელი და არქიმანდრიტი. ის გახლდათ მთელი ქვეყნის გულშემატკივარი, საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერებისთვის უდიდესი მოღვაწე. მან კარგად იცოდა, რომ მეფის თუ მთავრის მოქმედებაზე დამოკიდებული იყო ბევრი რამ. იცოდა ქართული ეკლესიის ვარსკვლავმა, რომ მთავრის ქმედება გადამდები შეიძლება, გამხდარიყო ქვეშევრდომებისთვისაც. ის არა მარტო სულზე ზრუნავდა, არამედ ქვეყანაზეც, საზოგადოებაზეც. ამიტომ, როგორც კი შეიტყო ადარნასეს სიყვარულის შესახებ, თავისი მოვალეობისამებრ, მრავალგზის ამხილა ხელმწიფე, როგორც ადრე მამამისი, დიდი აშოტ პირველი კურაპალატი. თუმცა, ადარნასეზე არაფერმა გაჭრა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ახსოვდა მამამისის უიღბლო სიყვარულის ამბავი. ბოლოს მან სხვა ცოლი მოიყვანა.

მაშინ ქართული ეკლესიის მნათობმა, გრიგოლ ხანძთელმა უწინასწარმეტყველა ადარნასეს.

„ვინაიდან არ ისმინე ჩემი, ღვთის გლახაკის სიტყვა, მძიმე დაავადება შეგეყრება, და შენი ძეები, რომლებიც გყავს, ისინიც დაავადდებიან, იგვემებიან ეშმაკისგან. ვერ განიკურნებით, ვერც შენ და ვერც შენი შვილები, სანამ უსამართლოდ გაძევებული ქალი არ შეგინდობს. თუ გარდაცვლილი იქნება, მის საფლავზე უნდა მიიღონ შენდობა შენმა შვილებმა. ხოლო ის მეძავი, ვინც დაგიყოლია ასეთ საქმეზე, პასუხს აგებს და ქრისტე მას დასჯის მისი უკეთურებისთვისო“.

ადარნასე ბაგრატიონს ძალიან შეეშინდა და ფეხებში ჩაუვარდა წმიდანს შენდობის თხოვნით. მამა გრიგოლმა წამოაყენა და უთხრა: „ქრისტემ შეგინდოს. მაგრამ, ეს იცოდე, ჩემი ნათქვამი აღესრულება თავის დროს, რათა ყველამ გულისხმა ჰყოს, რა ელის ურჩობის გამო“.

მართლაც, რამდენიმე დღეში ადარნასეს სახსრების დაავადება დაემართა, ნიკრისის ქარს რომ უწოდებენ და ტკივილებისაგან მწარედ იტანჯებოდა. გაახსენდა მამა გრიგოლის ნათქვამი და შეშინებულმა სასწრაფოდ გააგზავნა თავისი მსახური, სახელად კუპრა, ყოფილ მეუღლესთან, შენდობის სათხოვნელად.

ადარნასეს გაგზავნილი კუპრა მივიდა და ნახა თავისი ყოფილი დედოფალი მონაზვნად აღკვეცილიყო. ეცვა უბრალო მონაზვნის ჩოხა, ზემოდან სქემით იყო მოსილი, ზურგზე ბლომად შეშა ჰქონდა მოკიდებული და მიჰქონდა. სახელად ბევრელი უწოდებიათ თავიდან, მერე კი – ანასტასია. შემდეგში მის საფლავზე თურმე ადამიანები იკურნებოდნენ.

**ადარნასემ ბაგრატიონს ძალიან შეეშინდა და ფეხებში ჩაუვარდა წმიდანს შენდობის თხოვნით**

იცნო ადარნასეს წარგზავნილმა ყოფილი დედოფალი, ჩაუვარდა ფეხებში და შენდობა სთხოვა თავისი ხელმწიფის მაგიერ:

„ქრისტეს ნების მყოფელო, გევედრები, შეიწყალე ღვთისგან სამართლიანად დასჯილი ჩემი ხელმწიფე შენი მადლით და ნუ წყევლი, არამედ შეუნდე ცოდვები“.

დედოფალყოფილმა უპასუხა:

„გეფიცები ქრისტეს, არასდროს ამოსულა ჩემი პირიდან წყევლა და არც მას ვწყევლი. ქრისტემ შეუნდოს ყოველი ცოდვა და განკურნოს სულითა და ხორცით“.

როცა კუპრა დაბრუნდა თავის ბატონთან, ადარნასე განკურნებული დახვდა. გამოჯანმრთელებულიყო ზუსტად იმ დღეს, როცა მსახურმა ყოფილი დედოფალი იხილა.

რამდენიმე წელიწადში ადარნასეს ძეები – გურგენი (რომელიც შემდგომში კურაპალატი გახდა) და სუმბატი დაავადნენ და ძალიან იტანჯებოდნენ. ადარნასემ გააგზავნა ისინი ფერსათში. ალბათ, აქ იგულისხმება უფრო იმერეთის სოფელი ფერსათი, და არა მესხეთის მთაზე მდებარე ფერსათის მთა. იმერეთში, სოფელ ფერსათში (ახლანდელ ბაღდათის რაიონში) ყოფილა დედათა მონასტერი.

უფლისწულებს ეცვათ საგლახაკო ტანსაცმელი და თან წაილეს დიდძალი შესაწირავი. იმ დროს უკვე იცოდნენ, რომ ნეტარი ანასტასია გარდაცვლილიყო და უფლისწულები მის საფლავზე მივიდნენ სალოცავად. მართლაც, დედის საფლავზე ლოცვის შედეგად, ისინიც გამოჯანმრთელდნენ და განკურნებული დაბრუნდნენ შინ.

ადარნასეს საყვარელი კი ფსიქიკურად დაავადდა და „განცოფნა“. სხვა განსაცდელებიც ეწვია მას. საშინელი შესახედავი გამხდარა და მისი სიტყვების მოსმენა შეუძლებელი ყოფილა. ცოტათი რომ მოეგო გონს, წავიდა დედა ფებრონიასთან მერეს მონასტერში. ფეხებში ჩაუვარდა ნეტარ ფებრონიას, ტირილით აღიარა თავისი დანაშაული და გოდებით ევედრებოდა, რათა მამა გრიგოლ ხანძთელისთვის ეთხოვა პატიება მის მაგიერ.

დედა ფებრონიამ წერილი მისწერა უდაბნოს ვარსკვლავს და სთხოვა, ეპატიებინა. მაგრამ, მამა გრიგოლმა არ ინება და უპასუხა:

„დიდი განსაცდელი დაატყდება თავს, რადგან საცთურად ექმნა ღვთისმსახურ ხელმწიფეს და გააშორა კანონიერი ცოლი. განთქმული იყო მისი სახელი, როგორც მეძავის. და თან სისხლი დააქცია უდანაშაულო ჭაბუკის. მიეგება მას თავის საქმეების მიხედვით, სიკვდილამდე“.

ეტყობა, იმ საცოდავ ქალს ვილაც ახალგაზრდის სიკვდილშიც მიუძღოდა ბრალი.

ნეტარი ფებრონია დაეთანხმა მამა გრიგოლს. თუმცა, არ გააძევა უბედური ქალი და ნუგეში სცა სასოწარკვეთილს.

სიკვდილამდე მერეს მონასტერში დარჩა გაუბედურებული ქალი. ძალიან დაავადებული იყო ფიზიკურად და იტანჯებოდა, მაგრამ ცოცხალი იყო. როცა გარდაიცვალა ხელმწიფის ყოფილი სიყვარული, დედა ფებრონიამ ბრძანა, დაეკრძალათ კეთილმორწმუნე მონაზვნების გვერდით, რადგან დიდი ბრალეულია და იმ მონაზვნებმა გაამართლონ ქრისტეს წინაშეო.

და მაშინ მოხდა სასწაული თურმე, რადგან დამარხული მეორე დღეს აკლდამის კარებთან იპოვეს, და ასე მოხდა სამჯერ. ეს ყველაფერი აუწყეს მონასტრის წინამძღვარს, დედა ფებრონიას. ის იმ დროს უკვე ძალიან მოხუცებული იყო და ვერ შეძლო მისვლა სასაფლაოსთან. ამიტომ გადაწყვიტა, ყველაფერი მიეწერა მამა გრიგოლისთვის, რადგან ის არის ამ საქმეში უმთავრესიო.

და მისწერა წერილი.

„წმიდაო მღვდელო, საღმრთოო მოძღვარო, მორწმუნეთა სიმტკიცეო და ხელმწიფეთა მამხილებელო. მოვიდა დრო შენდობისა. წყალობა ჰყავ განწირული დედაკაცისადმი“.

როგორც კი წაიკითხა წერილი მამა გრიგოლმა, ცრემლით მადლობა უთხრა ღმერთს და გარდაცვლილ მონაზვნებს, ვის გვერდითაც ასაფლავებდნენ იმ ქალს, მისწერა:

„ქრისტეს მოყვარენო, ნეტარნო, დამსახურებულნო, მე გლახაკი გრიგოლი და დედა ფებრონია მადლობელი ვართ, რადგან ვიხილეთ თქვენი სამართლიანი სასჯელი იმ ქალზე. ახლა კი გევედრებით, ითხოვეთ იმ საწყალობელი დედაკაცისთვის შენდობა. და ჩვენთვისაც მეოხ იყავით. ამენ!“

გრიგოლ ხანძთელის წერილი წაიკითხეს მონაზვნების საფლავებთან. მას შემდეგ ის ქალი დამარხეს და ამოთხრილი აღარავის უნახავს.

**გიორგი მახობეშვილი**

**მსოფლიოს ყველა გამოცემაში, სადაც საუკეთესო მევიოლინეების შემოქმედება განიხილება, აუცილებლად შეხვდებით ქართველ ვირტუოზს, ლიანა ისაკაძეს, რომელიც ჯერ კიდევ 3 წლის ასაკში მიუჯდა ფორტეპიანოს და მას მერე მისი სიყვარული მუსიკის მიმართ თანდათან გაღრმავდა. ის განსაკუთრებული არტისტიზმითა და შესრულების მანერით გამოირჩევა, რის გამოც კიდევ უფრო მეტად ახერხებს მაყურებლის მოჯადოებას. ლიანა ისაკაძის სახელს უკავშირდება ყველასთვის კარგად ცნობილი ფესტივალი – „ღამის სერენადები“. ქართველმა ვირტუოზმა „ფეისბუქის” საშუალებით გააერთიანა მუსიკოსები მსოფლიოს მასშტაბით. ქალბატონი ლიანა თავისი შემოქმედების მნიშვნელოვან ეტაპებზე, ოჯახსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.**

# რატომ ეშინია ლიანა ისაკაძეს საქართველოში ჩამოსვლა და რა გამოუქვეყნა მას მეუღლემ

**– „ფეისბუქ ვირტუოზების” შექმნის იდეა როგორ მოგივიდათ?**

– როდესაც „ფეისბუქზე” დავრეგისტრირდი, ვნახე, რომ ამ სოციალურ ქსელს ძალიან ბევრი მუსიკოსი იყენებდა აქტიურად, მაშინ ვიფიქრე, რომ შემექმნა ასეთი გაერთიანება და სახელიც შესაბამისი მოვუფიქრე. ამ იდეამ მთელ მსოფლიოში გამოიწვია დაინტერესება და აღფრთოვანება. შარშან ჩვენ გვქონდა კონცერტი ლონდონის „კადოგან ჰოლში.” ინგლისელებს იუმორთან ცოტა სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ და, ვიფიქრე, ამ სახუმარო სახელწოდებას ვერ გაიგებენ-მეთქი, ამიტომ, გადავარქვი სახელი და დღეს ჰქვია საერთაშორისო კამერული ანსამბლი „ვირტუოზები”, სადაც უკრავს ბევრი ცნობილი მუსიკოსი ამერიკიდან და ევროპიდან. წელს პირველად, უკვე თბილისშიც გაიმართა ფესტივალი და ჩვენ დავეხმარეთ სიმსივნით დაავადებულ პატარებს. თბილისში ჩამოსვლისა და კონცერტებში მონაწილეობის მიღების სურვილი ძალიან ბევრმა კარგმა მუსიკოსმა გამოთქვა. წლევანდელ ფესტივალზე მონაწილეობდნენ ისეთი ვირტუოზები, როგორებიც არიან: ჩაიკოვსკის კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი დენის შაპოვალოვი, დირიჟორი ცეზარ ალვარესი, ერიკ გუსტაფსონი, პარიზის ორკესტრის დირიჟორი მაქსიმ ტორტელიე და მეც, რა თქმა უნდა.

**– როდის დააარსეთ ფესტივალი „ღამის სერენადები” და როგორ გაგრძელდა ამ ფესტივალის ისტორია?**

– ეს ფესტივალი 1982 წელს დავაარსე ბიჭვინთის ეკლესიაში და „ღამის სერენადები” მოცარტის „პატარა ღამის სერენადის” სიყვარულით დავარქვი. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ეს იყო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფესტივალი – გადაჭედილი იყო როგორც ქართველებით, ისე უცხოელი ტურისტებით. აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო, 1989 წელს მომიწია ბიჭვინთაში ფესტივალის შეწყვეტა და ამის შემდეგ ხან გონიოში, ხან ბათუმის საზაფხულო თეატრში იმართებოდა, თუმცა მე ეს მაინცდამაინც არ მომწონდა, რადგან, მახსოვს, ბათუმში მუდმივად ხმაური იყო, რაც ძალიან გვიშლიდა ხელს. შარშან გადავწყვიტე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ახალაშენებულ სამუსიკო სკოლაში ჩამეტარებინა და ძალიან გულდაწყვეტილი დავრჩი. რატომღაც, მეგონა, რომ ბევრი მსმენელი მოვიდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. ასევე იყო ლიზა ბათიაშვილის კონცეტზეც, სადაც სულ 60 მსმენელი ყოფილა მისული.

**– როგორია თქვენი ცხოვრების რიტმი?**

- არანორმალური განრიგი მაქვს, მთელი ცხოვრება გამოთიშული ვარ რეალობიდან, მუსიკის გარდა ვერაფერზე ვფიქრობ. ძალიან ექსტრემალი ადამიანი ვარ, მუსიკაც ერთგვარი ექსტრემია და, ალბათ, ყველა მუსიკოსს ახასიათებს რისკი. მდინარეში და აუზში პირდაპირ თავით ვეშვები ხოლმე და ამის გამო ორმოცჯერ მაინც ვარ სიკვდილს გადარჩენილი. საბედნიეროდ, ღმერთი მუდმივად მიცავს და მმფარველობს – მე ამას ვგრძნობ, სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენელია, ამდენჯერ გადაურჩე უბედურებას. ერთხელ, მოსკოვის გარეუბანში, მდინარე „მოსკვა რეკაში” ვცურავდი, უცებ პლატინამ წამიღო, წყალი ტურბინისაკენ მიზიდავდა, საბედნიეროდ, მოულოდნელად ელექტრობა დაზიანდა, თორემ, იქ თუ მოვხვდებოდი, ჩემგან კატლეტი გაკეთდებოდა. არ მახსოვს, როგორ მოვახერხე ნაპირზე გამოსვლა, მთლიანად ლურჯი ვიყავი და ვერაფერს ვხედავდი.



ორმოცჯერ მაინც ვარ სიკვდილს გადარჩენილი

**იმდენად მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი, რომ, ცოტა არ იყოს, მეშინია მანდ დიდხანს დარჩენა – არ მინდა, ისეთ რამეს შევესწრო, რაც წარმოდგენას შემიცვლის ჩემს ხალხსა და ქვეყანაზე**

**– ხშირად ახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას?**

– საოცრად დატვირთული ვარ. ჩემი კონცერტების გამო იმდენად ხშირად მიწევს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაფრენა, რომ საერთოდ აღარაფრისთვის მრჩება დრო. აგარაკი მაქვს გრასში, კანთან ახლოს და იქაც კი ვერ ვახერხებ ჩასვლას. განუწყვეტლივ მიწევს მოგზაურობა. საქართველოში ხშირად ვერ ჩამოვდივარ. სიმართლე გითხრათ, იმდენად მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი, რომ, ცოტა არ იყოს, მეშინია მანდ დიდხანს დარჩენა – არ მინდა, ისეთ რამეს შევესწრო, რაც წარმოდგენას შემიცვლის ჩემს ხალხსა და ქვეყანაზე.

**– საქართველოდან შორს რა გენატრებათ ყველაზე მეტად?**

– ყველაზე მეტად მენატრებიან ჩემი მეგობრები, რომლებიც მანდ მყავს. საბედნიეროდ, თითქმის ყოველდღე ვახერხებ რაღაც დროის გამონახვას მათთან დასარეკად და ამით ცოტათი მაინც ვივსებ ამ დანაკლისს.

**– თქვენს მეუღლეზე მოგვიყევით.**

– არ ვიცი, რა გითხრათ. წელს, 1 სექტემბერს, ერთად ყოფნის 50 წელი შეგვისრულდა და, მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამია. ეს თარიღი ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ შორის უდიდესი სიყვარულია. მე მაქვს ასეთი ჩვევა: როდესაც მარტო ვარ გასტროლებზე, როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავ, მაშინვე ვიწყებ წერას. თუ იმ მომენტში არ მაქვს ფურცელი, ვწერ ყველაფერზე, რაც ხელში მომხვდება: ბილეთებზე, ხელსახოცებზე... ჩემი მეუღლე აღმოჩნდა გენიალური პოეტი, ესეისტი, ფილოსოფოსი, შეკრიბა ჩემი ყველა ჩანაწერი და, მიუხედავად ჩემი პროტესტისა, გამოსცა, სახელწოდებით „მედიტაცია”. მე ავტომატურად ვწერ ხოლმე რუსულ ენაზე, მან ეს ყველაფერი მსოფლიო ლიტერატურის დონეზე თარგმნა ქართულად და ინგლისურადაც.

**– თბილისში როდის იგეგმება თქვენი კონცერტი?**

– ჯერ ზუსტად არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ 4 სექტემბერს ჩემს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით ოპერის თეატრში ატარებენ კონცერტს, რომელზეც ბევრი ჩემი მეგობარი აპირებს ჩამოსვლას და მონაწილეობის მიღებას. სიმართლე გითხრათ, მე დიდად აღფრთოვანებული არ ვარ ამ ინიციატივით, მაგრამ, რას ვიზამ....

**ნინო კანდელაკი**

# ვინ იყო ცნობილი ქართველი მძარცველი, მეტსახელად „მაიორი“, რომელმაც გალინა ბრეჟნევა გაძარცვა



### ბურჟუაზიის ბორკილები

მოსკოვის ელიტური კამპანია, ქალაქის ცენტრში მდებარე ფეშენებელური საცხოვრებელი სახლის უზარმაზარ ბინაში იყო შეკრებილი. მდიდრული სუფრა გაეშალათ და ისე გნიასობდნენ, ლამის სქელი კედლები ზანზარებდნენ. ვლადიმირ ვისოცკის მთელ ხმაზე აწეული სიმღერები კი ქუჩის ბოლოშიც ისმოდა ფართოდ გამოღებული ფანჯრებიდან. უკვე ბინდდებოდა, როდესაც მოსამსახურე გოგონამ კარზე ზარის ხმას მოჰკრა ყური. გააღო და ზღურბლზე მილიციის ფორმაში გამოწყობილი ოთხი მამაკაცი დაინახა. ერთ-ერთმა მილიციელმა, რომელსაც მხრებზე მაიორის სამხრეები ჰქონდა, მოახლეს ჰკითხა:

– ეს, თუ არ ვცდები, ვიქტორ ბოგდანოვის ბინა უნდა იყოს.

– არ ცდებით, – მოკლედ მოუჭრა მოახლე გოგონამ მაიორს.

– შეიძლება, შემოვიდეთ? – იკითხა მაიორმა.

– რატომ, რაშია საქმე?

– ვიქტორ ვასილიევიჩს უბედურება შეემთხვა და მის ვაჟს ვიქტორ ვიქტოროვიჩს უნდა შევატყობინოთ ამის შესახებ, – ლამის ჩურჩულით აუწყა მაიორმა თავზარდაცემულ გოგონას, რომელმაც მასიური მუხის კარს ფოლადის ჯაჭვი მოხსნა და მილიციელები ბინაში შეუშვა. თვითონ კი თვალები აუცრემლდა.

ბოგდანოვ-უფროსი ცნობილი საბჭოთა მეცნიერი იყო და იმ დღეს აგარაკზე იმყოფებოდა. მისი ერთადერთი ვაჟი კი – ბოგდანოვ-უმცროსი, თავის ელიტურ მეგობრებთან ერთად, მორიგ ხმაურიან წვეულებას მართავდა.

როგორც კი კარი მიიხურა, მილიციელებმა პისტოლეტები ამოაცურეს და მოახლეს უბრძანეს, კრინტი არ დაეძრა. შემდეგ უზარმაზარ სასტუმრო ოთახში შევიდნენ. ერთ-ერთმა მილიციელმა მაგნიტოფონი გამორთო. მაიორის სამხეებიანმა კი შეკრებილ საზოგადოებას ასე მიმართა:

– სმენა იყოს და გაგონება. აბა, ბობოლა მშობლების მიერ განებივრებულო ახვრებო, გათავისუფლდით ბურჟუაზიის ბორკილებისგან და მაგიდაზე დააგროვეთ თქვენი ძვირფასი სამკაულები და ფული. ცოცხლად, ცოცხლად, თორემ ადგილზევე გაგათავეთ.

ოცივე მოქეიფემ სასწრაფოდ შეასრულა მძარცველის ბრძანება და მაგიდაზე ძვირფასეულობის გროვა დადგა, რომელიც ერთ-ერთმა მძარცველმა ტყავის ტომარაში ჩაყარა. ფული კი მეორე ტომარაში განათავსა. მხოლოდ ერთი მოქეიფე, შეზარხოშებული ქალი არ დაემორჩილა მძარცველებს. მან „მარლბორო“ გააბოლა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მძარცველებს უხეშად უთხრა:

– სირებო! იცით, სად მოხვედით და რას სჩადიხართ?

– ენა დაიმოკლე, შე ძუკნავ, თორემ ტვინს გაგასხმევინებ, – შეუღრინა ქალს მაიორისსამხრეებიანმა, ქალმა კი არ დაუთმო:

– კრეტინო, მე გალინა ბრეჟნევა ვარ, ლეონიდ ილიჩის ქალიშვილი!

ქალის სიტყვების მიუხედავად, გალინა ბრეჟნევაც „გაასუფთავეს ბურჟუაზიის ბორკილებისგან“ და მისმა უნიკალურმა სამკაულებმაც შავ ტომარაში გადაინაცვლა. ამის შემდეგ მილიციის ფორმაში გამოწყობილმა მძარცველებმა სასწრაფოდ დატოვეს პროფესორ ბოგდანოვის ბინა, რომელიც სულ რაღაც ასიოდე მეტრის დაშორებით მდებარეობდა ლეონიდ ბრეჟნევის საცხოვრებელი სახლიდან და რომელსაც გაძლიერებულად იცავდნენ.

### მეტსახელად „მაიორი“

ბოგდანოვის ბინაში, კუტუზოვის გამზირზე მომხდარი ძარცვა 1974 წლის 31 მაისს განხორციელდა და ამ შემთხვევამ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „კაგებეს“ თოთხმეტი პასუხისმგებელი პირი შეიწირა. მათ შორის იყო ხუთი გენერალი. მთელი მოსკოვი – „კაგებე“ და მილიცია ფეხზე დადგა და ყოველ კუთხე-კუნჭულში ეძებდნენ მილიციისფორმიან მძარცველებს. მათ 796 ათასი მანეთის ღირებულების სამკაულები, 53 ათასი ნაღდი ფული გაიტაცეს და უკვალოდ გაქრნენ. იმავე საღამოს ჩატარებული, მაღალკვალიფიციური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ მაიორისსამხრეებიანი მძარცველი, ორგზის ნასამართლევი, ორი თვის წინ ციმბირის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეული ბოროტმოქმედი, 34 წლის შალვა ამირანის ძე ჭაბუკიანი, მეტსახელად „მაიორი“ იყო. დანარჩენი სამი მძარცველის ვინაობის დადგენა ასე სწრაფად ვერ მოხერხდა. თუმცა, მილიციას მათი ფოტორობოტები ჰქონდა და ამის მიხედვით ეძებდნენ.

„მაიორის“ მამა – ამირან ჭაბუკიანი ცნობილი სამხედრო ექიმი გახლდათ. მას მთელ მოსკოვში კარგად იცნობდნენ და პატივს სცემდნენ. თუმცა, ის ცრუ დასმენის გამო 1949 წელს დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, სადაც ჭლექით გარდაიცვალა. ქმრის დარდს გადაჰყვა შალვას დედაც და 1950 წელს ათი წლის პატარა შალვა დაობლდა. ბავშვი ინტერნატში გაამწესეს და 1954 წელს სწორედ იქ მიუვიდა მამის რეაბილიტაციის ცნობა. 1955 წელს კი, 15 წლის შალვამ მკვლელობა ჩაიდინა და თავში რკინის ჯოხის ჩარტყმით მოკლა ის ცრუ დამსმენი, ვინც მისი ოჯახი გაანადგურა. მცირეწლოვან ყმაწვილს ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ერთი წლის მერე მცირეწლოვანთა კოლონიიდან გაათავისუფლეს, მაგრამ ზედამხედველობის ქვეშ დატოვეს. მიუხედავად ამისა, შალვა ბოროტმოქმედების გზას დაადგა და მძარცველი გახდა. შავ სამყაროში კი ავტორიტეტი მოიპოვა და მათ წრეებში ერთ-ერთ წონიან ფიგურად იქცა. „მაიორი“ ძალიან რისკიანი იყო და კოლონიიდან გაქცევისას ექვსი მავთულხლართიანი წინაღობა გადალახა, რომლებშიც მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. შემდეგ ტაიგაში ორმოცი კილომეტრი ფეხით მშიერ-მწყურვალმა გაიარა და მოსკოვში დაბრუნდა. იქ კი მორიგი რისკიანი საქმე ჩაიფიქრა და წარმატებითაც განახორციელა.

## შალვა ჭაბუკიანი „ბელი ლებედიდან“ გალინა ბრეჟნევამ გაათავისუფლა

„მაიორის“ ძებნის გამო, მოსკოველმა ძალოვნებმა ლამის მთელი მოსკოვური შავი სამყარო დააპატიმრეს. მართალია მერე, თითქმის ყველა გამოუშვეს, მაგრამ, შალვა ჭაბუკიანს უკვე კოლეგებიც განუდგნენ და დასჯით ემუქრებოდნენ. ამგვარად, „მაიორი“ ორ ცეცხლშუა მოექცა და გადარჩენის შანსი თითქმის არ ჰქონდა.

1974 წლის 3 ივლისს, ანუ ბოგდანოვის ბინაში განხორციელებული ძარცვიდან 34-ე დღეს, „მაიორი“ მილიციამ „მცირე არბატზე“ მდებარე, ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში, ერთი გასროლის გარეშე აიყვანა. იქვე, ამოიღეს ყველა ნაძარცვი ძვირფასეულობა და 52 ათასი მანეთიც. ანუ, მას და მის მეგობრებს მხოლოდ ათასი მანეთი ჰქონდათ დახარჯული. იქვე აიყვანეს დანარჩენებიც და როგორც შემდეგ გაირკვა, მძარცველთა ოთხეული ერთმა ცნობილმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა დააბეზღა მილიციაში.

სასამართლომ შალვას თანამზრახველებს 6-6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა და ციხეში გაამწესეს. „მაიორს“ კი 15 წელი დაუმატეს და სოლიკამსკის ცნობილ „ბელი ლებედში“ მოათავსეს, რათა სიცოცხლე იქ დაესრულებინა. თუმცა, 1976 წელს „მაიორს“ ყველა ბრალდება მოუხსნეს, ციხიდან გაათავისუფლეს და ის მოსკოვში დაბრუნდა, რაც წარმოუდგენელი ჩანდა, რომ არა ერთი რამ... „მაიორი“ გალინა ბრეჟნევას მოსწონებია. სწორედ მას უხლაფორთია ჭაბუკიანის ციხიდან გათავისუფლებისთვის. სამოცდაათიანი წლების მიწურულსა და ოთხმოციანების დასაწყისში „მაიორს“ ხშირად ხედავდნენ გალიას გვერდით.

მაიორი“ 1983 წელს გაურკვეველ ვითარებაში, მოსკოვში გარდაიცვალა.

**ნიკა ლაშაური**

# დედისა და ცოლის გაუპატიურების მცდელობისთვის მამა-შვილმა მეზობელი მოკლა



მამა-შვილი – 57 წლის უშანგ დ-ძე და 27 წლის კახა დ-ძე სამართალდამცველებმა მეზობლის, 60 წლის პეტრე ა-ოვის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. საქმის მასალების მიხედვით, მათ განზრახ მკვლელობის მიზნით, საკუთარი ბინიდან გამოიყვანეს პეტრე ა-ოვი და დანით გულ-მკერდის არეში დაჭრეს, თუმცა გარდაცვლილს ერთი ჭრილობა ყელშიც ჰქონდა მიყენებული. დაკავებულმა უშანგი დ-ძემ პირველი ჩვენების მიხედვით განაცხადა, რომ მისი შვილი, კახა დ-ძე დანაშაულის მონაწილე არ იყო და მეზობელი მხოლოდ მან დაჭრა. თუმცა, თვითმხილველთა ჩვენებებით და საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით, გამოძიების მიერ დადასტურდა კახა დ-ძის დანაშაულებრივი ბრალიც – მამა-შვილმა ელექტრიკოსი მეზობელი ცოლის თვალწინ მოკლეს.

როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, დანაშაულის მოტივი იყო პეტრე ა-ოვის მიერ დაკავებულთა ოჯახის წევრის, მაგდა მ-შვილის მიმართ ჩადენილი ქმედება. ამონაწერი მოწმის, მარინა ბ-ძის ჩვენებიდან: „მე უშანგის ოჯახის ახლო მეზობელი ვარ. გარდაცვლილი პეტრე ა-ოვი ჩვენგან მოშორებით, ქუჩის დასაწყისში მდებარე ჩიხში ცხოვრობდა. პეტრე ხელმარჯვე კაცი იყო. თუ ოჯახში ვინმეს ელექტროგაყვანილობა ან წყლის მილები დაუზიანდებოდა, დასახმარებლად ყველანი პეტრეს მივმართავდით. უბანში საჭირო კაცი იყო, მაგრამ კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდა. ერთი-ორ მეზობელს მასთან ისეთი კონფლიქტიც მოუხდა, რომ ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ჩემი მეუღლე ხშირად ამბობდა, პეტრე ოჯახში შესაშვები კაცი არააო. ერთ დღეს მაგდა გამომიტყდა, პეტრე ორი დღე ჩვენთან მუშაობდა, სახლში არც ჩემი მეუღლე იყო და არც შვილი. ის კი ძალიან ცუდად მომექცა, აბაზანაში გამომკეტა და სექსუალური კავშირის დამყარება სცადაო. მაგდა ძალიან იყო გამწარებული. მეც ვურჩიე, რომ ქმრისა და შვილისთვის მომხდარის შესახებ არაფერი ეთქვა. მით უფრო, ამის შესახებ უშანგის არ უნდა გაეგო. ჯერ ერთი, ცოლის შეურაცხყოფას ვინ აპატიებდა, ამას გარდა, უშანგის საკმაოდ რთული ხასიათი ჰქონდა. ამ ინციდენტმა ისე ჩაიარა, მომხდარის შესახებ მაგდას ოჯახში არავის არაფერი გაუგია. ცოტა ხნის შემდეგ მაგდამ ისევ შემომჩივლა, რომ პეტრეს ქუჩაში გადაეყარა და მამაკაცმა მას კიდევ შესთავაზა ინტიმური კავშირის დამყარება: ჯერ ლაზღანდარობა დაიწყო, მერე მეზობლის ბაღის გავლის დროს, წელზე ხელი შემომხვია და კოცნა დამიწყოო. მაგდა ფიქრობდა, რომ ამჯერად აღარ ეპატიებინა მეზობლისთვის შეურაცხყოფა და შვილისთვის მაინც ეთქვა, თუმცა საბოლოოდ, მაინც გადაიფიქრა. ამის მიუხედავად, ეს ინციდენტი მაგდას ქმარ-შვილისთვის მაინც გახდა ცნობილი.”

საქმის მასალების მიხედვით, რაც დადასტურდა მაგდა მ-შვილის ჩვენების მიხედვით, კახა დ-ძემ დედას მომხდარის შესახებ ინფორმაცია თავად უამბო. ამონაწერი მაგდა მ-შვილის ჩვენებიდან: „ერთ საღამოს კახა სახლში ნასვამი მოვიდა, ცალკე გამიყვანა და მითხრა: ყური მოვკარი, პეტრეს შენთვის შეურაცხყოფა მოუყენებიაო. ისიც მითხრა, ეჭვი ერთი კვირის წინ ავიღე, რომ გელაბუცებოდა, მაგრამ აქამდე არაფერი ვთქვიო. მე სასტიკად უარვყავი ეს ამბავი, მაგრამ კახამ გამომტეხა, რომ მეზობელი მამაკაცი საყვარლობას მთავაზობდა. ჩუმად ვსაუბრობდით. ვთხოვე, რომ ჩემს მეუღლეს არაფერი გაეგო. ცოტა ხანში ჩემი მეუღლეც გამოვიდა გარეთ. მე სხვა თემაზე გადავიტანე საუბარი და კახა სახლში შევიყვანე. ალბათ ერთი საათი იქნებოდა გასული კახა და უშანგი ეზოში დავინახე, რაღაცაზე საუბრობდნენ. ეჭვი ავიღე, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რაზე საუბრობდნენ. ცოტა ხანში სახლში შევედი და წამოვწექი, თავი ცუდად ვიგრძენი მაღალი წნევის გამო. ჩამძინებოდა, ქუჩიდან ხალხის ხმაურმა გამაღვიძა. გარეთ რომ გამოვედი, ქუჩაში უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. დავინახე, ერთი მეზობელი კახას იჭერდა, მეორე – უშანგის. ვიღაცეები მოსდევდნენ ქუჩაში. ისეთი არეულობა იყო, ვერაფერს მივხვდი. მერე გავიგე, კახამ თურმე პეტრე გამოიყვანა სახლიდან. ქუჩაში კი ურთიერთშელაპარაკების დროს, ის დანით დაჭრეს.”

როდესაც შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები და სასწრაფო სამედიცინო სამსახური მივიდა, პეტრე ა-ოვი უკვე გარდაცვლილი იყო. მამაკაცს გულ-მკერდის არეში დანით ოთხი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

## მამამ შვილის მიერ ჩადენილი მკვლელობა საკუთარ თავზე აიღო

მომხდარის შესახებ დეტალები პეტრე ა-ოვის მეუღლის მარინა ა-იანისგან გახდა ცნობილი: „ახალი დაღამებული იყო, ეზოში ვიღაც რომ შემოვიდა და პეტრეს დაუძახა. პეტრეს დახმარება ყველა მეზობელს ხშირად სჭირდებოდა, ამიტომ ცუდი არაფერი მიფიქრია. სიბნელის მიუხედავად, თვალი მოვკარი, რომ კახა დ-ძე იყო. ჩემს გასაგონად პეტრეს უთხრა: შუქი გამიფუჭდა და უნდა დამეხმაროო. ეზოს კართან ლანდი შევნიშნე, მივხვდი, რომ კახა მარტო არ იყო. პეტრე სახლიდან გამოვიდა. მე ყურადღება არ მიმიქცევია მათთვის და სახლში შევედი. ასე, ათ წუთში ქუჩიდან ხმაური მომესმა. ჩხუბი ჩვენი სახლის კართან იყო. გარეთ გამოვვარდი. დავინახე, რომ პეტრე და უშანგი ერთმანეთს ეჭიდებოდნენ. უშანგის ხელში დანაც შევნიშნე, რომელიც რაღაც მომენტში, ხელიდან გაუვარდა. ჯერ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. პეტრე ერეოდა უშანგის, უცებ ძირს დააგდო და ზემოდან მოექცა. ამ დროს დავინახე კახა, რომელიც მამას მიეხმარა. მან უკვე ძირს დავარდნილ პეტრეს დანა ორჯერ მოუქნია. ბოლოს კი თავში წაავლო ხელი და დანა ყელში გამოუსვა. ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. მე მივვარდი მათ, კახამ კი მამა წამოაყენა, უკან მოტრიალდა და მომაკვდავ ჩემს ქმარს მუცელში წიხლი ჩაარტყა. მიშველეთ, მიშველეთ, ვყვიროდი. ჩემს ყვირილზე ხალხი გამოვარდა. ჩემმა ქმარმა ჩემს ხელებში დალია სული.”

სამართალდამცველებმა უშანგ დ-ძე რამდენიმე საათში დააკავეს. მან ჩადენილი დანაშაული აღიარა. თავიდან განაცხადა, რომ კახა დ-ძე ინციდენტს შემთხვევით შეესწრო და ის უდანაშაულო იყო. თუმცა, თვითმხილველთა განცხადებითა და დაზარალებული ქალის ჩვეენების მიხედვით, გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ პეტრე ა-ოვი სახლიდან სწორედ მან გაიტყუა და მამაკაცს ორი ჭრილობა ცოლის თვალწინ მიაყენა. დამნაშავე მამა-შვილმა დანაშაული აღიარა, დანაშაულის მოტივი მათი მხრიდან შურისძიება იყო – მათ სასამართლო პროცესზეც განაცხადეს, რომ გარდაცვლილს დედის და ცოლის შეურაცხყოფა და სექსუალური ძალადობის მცდელობა არ აპატიეს. ჩვენების მიხედვით, მათ პეტრე ა-ოვის განზრახ მკვლელობა დაგეგმილი არ ჰქონდათ, თუმცა სასამართლომ ეს არ გაიზიარა და განზრახ მკვლელობისთვის გასამართლებულ მამა-შვილს, 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩ | ხ | ე | ი | ძ | ე | | | |
| | უ | ბ | ა | ნ | ი | | | | |
| ი | რ | უ | ნ | ა | ნ | ა | | | |
| | ჩ | რ | ე | მ | ი | დ | ა | ლ | ვ |
| ე | ხ | | | ტ | რ | ი | ო | დ | ი |
| ს | ე | ვ | დ | ა | | მ | | ი | |
| | ლ | ი | ა | ვ | გ | ე | ი | მ | ი |
| მ | ა | ს | რ | ა | | თ | რ | ი | ა |
| ე | | ო | დ | | | | | ტ | ს |
| გ | უ | ც | ა | ე | ვ | ი | | რ | ა |
| ა | | კ | ნ | | ი | ხ | ს | ი | მ |
| ფ | ო | ი | ე | | ც | რ | უ | | ა |
| ო | ნ | რ | ლ | | ი | ა | | ი | ნ |
| ნ | ი | ი | ი | ა | ნ | დ | ე | ბ | ი |
| ი | კ | | | ლ | ი | ა | ნ | ა | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 1 | 4 | 2 |
| 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 1 | 2 | 7 | 4 | 8 | 9 | 3 |
| 2 | 6 | 5 | 8 | 3 | 1 | 4 | 7 | 9 |
| 7 | 1 | 9 | 5 | 4 | 2 | 6 | 3 | 8 |
| 4 | 3 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 2 | 1 |
| 5 | 2 | 6 | 9 | 1 | 7 | 3 | 8 | 4 |
| 1 | 8 | 4 | 3 | 2 | 6 | 9 | 5 | 7 |
| 9 | 7 | 3 | 4 | 8 | 5 | 2 | 1 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 5 | 7 | 6 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 | 5 | 4 | 8 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 2 | 5 | 1 | 9 | 3 |
| 1 | 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 5 | 2 | 9 | 4 | 1 | 3 | 6 | 8 | 7 |
| 6 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 4 | 5 | 8 | 2 | 7 | 6 | 9 | 3 | 1 |
| 3 | 9 | 7 | 5 | 4 | 1 | 8 | 6 | 2 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** **1. ბგერა. 2. „სახელმწიფო – ეს მე ვარ“. 3. ვლადიმირ ვისოცკის გარდაცვალების დღე. 4. ბირთვული პოლიგონი. 5. ჰომეროსის „ილიადას“. 6. ბერძნულ-რომაული – ჭიდაობის სახეობა. 7. ფულადი ბანკნოტი – ერთდოლარიანზე ვაშინგტონია გამოსახული, ასდოლარიანზე – ფრანკლინი. 8. ცეკვაზე. ბაირონი, კოჭლობის გამო არ ცეკვავდა. 9. საქსოფონი. 10. ხალიფა.**

# შესაძლებელია თუ არა, მზის სისტემაში ისეთი ცვლილება მოხდეს, რომ დედამიწაზე კატასტროფა გამოიწვიოს

*კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერები – მაიკლ ბრაუნი და კონსტანტინ ბატიგინი ირწმუნებიან, რომ მზის სისტემაში არსებობს მეცხრე პლანეტა, რომელიც დედამიწაზე 10-ჯერ დიდი ზომისაა და მზიდან იმაზე შორს მდებარეობს, ვიდრე პლუტონი. ისინი აცხადებენ, რომ ახალი პლანეტა ფიზიკურად ჯერ არ დაუნახავთ, თუმცა მოჰყავთ მონაცემები, თუ რა გავლენას ახდენს მისი გრავიტაცია მათთვის კარგად ნაცნობ სხვა ციურ სხეულებზე. უახლოეს წარსულში ასტრონომები არა მხოლოდ მეცხრე, არამედ მეათე პლანეტასაც ეძებდნენ, თუმცა, მათი პოვნის შემდგომ ისინი გიგანტი პლანეტების სათვალავიდან გამორიცხეს და ამიტომ დარჩა რვა პლანეტა. ამ საკითხთან დაკავშირებით ასტრონომ შალვა საბაშვილს მივმართეთ.*



ეს ძალიან კატასტროფული მოვლენაა და მისი ნაკვალევი დედამიწაზე არსებობს

**შალვა საბაშვილი:** ადამიანი უხსოვარი დროიდან იცნობს ხუთ პლანეტას: მერკურს, ვენერას, მარსს, იუპიტერსა და სატურნს, მეექვსედ უკვე დედამიწა შეგვიძლია მივათვალოთ, რადგან მას დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდნენ და, ვერ გაეგოთ, რა იყო. ტელესკოპის გამოგონებამ შესაძლებელი გახადა ისეთი ციური სხეულების აღმოჩენა, რომლებიც მიუწვდომელი იყო შეუიარაღებელი თვალისთვის. სწორედ ტელესკოპის მეშვეობით იპოვეს 1782 წელს პლანეტა ურანი. აღმოჩნდა, რომ ურანის ორბიტა არ შეესაბამებოდა მისსავე რეალურ, დანაკვირვებ ორბიტას. ასტრონომებმა დაასკვნეს, რომ მზის სისტემაში არსებობდა სხვა უცნობი პლანეტა, რომლის მიზიდულობას შეშფოთება შეჰქონდა ურანის მოძრაობაში; ეს პლანეტა 1851 წელს აღმოაჩინეს და ნეპტუნი უწოდეს. ის მეშვიდე პლანეტა იყო, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ, ჰელიოცენტრული თეორიის მიხედვით, დედამიწა მზის ირგვლივ მოძრავ პლანეტად გამოცხადდა, ნეპტუნმა პლანეტებს შორის მერვე ადგილი დაიკავა. მორიგი ცვლილება პლანეტათა რაოდენობამ 1930 წელს განიცადა, როცა ნეპტუნის მოძრაობის შეშფოთებათა ანალიზის მცდელობისას აღმოაჩინეს მეცხრე პლანეტა – პლუტონი. ის დედამიწაზე 450-ჯერ მსუბუქია და ამიტომ ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს სხვა პლანეტების მოძრაობაზე. პლუტონის აღმოჩენის შემდეგ მეათე პლანეტის ძიებაზე გადავიდნენ. თეორიულად ის შეიძლება ყოფილიყო ან მზესთან მერკურზე უფრო ახლოს, სადაც მისი პოვნა გაძნელებული იქნებოდა მზის გამოსხივების ძლიერი ფონის გამო, ან – მერკურზე უფრო შორს. უკანასკნელ შემთხვევაში, პლანეტის აღმოჩენაში ხელის შემშლელი იქნებოდა მისი სიმკრთალე, რასაც მასზე მზიდან დაცემული გამოსხივების სიმცირე გამოიწვევდა. ასტრონომებმა კვლევა-ძიების შედეგად აღმოაჩინეს მეათე პლანეტაც, რომელსაც სედნა დაარქვეს. მათი ინფორმაციით, სედნა ძალიან ნელა ბრუნავდა საკუთარი ღერძის გარშემო, რაც შესაძლებლობას ქმნიდა, რომ მას ჰყავდა თანამგზავრი. როგორც შემდგომ დადგინდა, სედნას ზომა პლუტონის ზომის ნახევარს არ აღემატებოდა. ზოგი მეცნიერი აპირებდა, სედნა მეათე პლანეტად გამოეცხადებინა, რომ არა 2003 წლის აღმოჩენა: პოლმარის ობსერვატორიის 122-სანტიმეტრიანი ტელესკოპით ჩატარებული ცის მიმოხილვის დროს აღმოაჩიეს კიდევ ერთი პლანეტა, რომელსაც შემდგომ ლილა უწოდეს. ამ პლანეტამ, თავისი მახასიათებლებით, მეათე პლანეტის ადგილი დაიკავა და სედნა გიგანტ პლანეტათა სისტემიდან გამოირიცხა. საბოლოოდ, მიუხედავად ამ კვლევა-ძიებებისა, ზოგი მეცნიერის გადაწყვეტილებით, პლუტონსა და ლილას მათი სიმცირის გამო ჩამოერთვათ მეცხრე და მეათე პლანეტების სტატუსები და მზის დიდ პლანეტებად მხოლოდ პირველი რვა აღიარეს, თუმცა, პლუტონს დღესაც ვერ ელევიან, რადგან მას ასტროლოგები იყენებენ.

**მცირე ზომის პლანეტა მაშინ ხდება ცნობილი, როცა დედამიწას მოუახლოვდება. ამ დროს რაიმე ზომის მიღება უკვე დაგვიანებულია**

**– ახლახან კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერებმა წარმოადგინეს მზის სისტემაში მეცხრე პლანეტის არსებობის მტკიცებულება. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

– ეს ჯერ არ დადასტურებულა. აღნიშნული პლანეტა რომ არსებობდეს, მისი მასა გიგანტ პლანეტებთან შედარებით მაინც პატარა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უკვე აღმოაჩენდნენ.

**– დავუშვათ, მართლაც დადასტურდა მზის სისტემაში მეცხრე პლანეტის არსებობა, ეს დედამიწას რამე საფრთხეს შეუქმნის?**

– საფრთხის წარმოსაქმნელად მთავარი პლანეტის აღმოჩენა არ არის. ეს პლანეტა ხომ მანამდეც არსებობდა და დღემდე არანაირი ცვლილება არ მოუხდენია. თუ რამეზე მოახდენდა ზეგავლენას, აქამდეც გამომჟღავნდებოდა. ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ, თუ ამ პლანეტას დიდი ორბიტა აქვს და იშვიათად ახლოს მოდის დედამიწასთან, მისი ზემოქმედება უფრო მეტი იქნება, ვიდრე სხვა პლანეტებისა. მზის სისტემაში პლანეტები ისეა განლაგბული, რომ ერთმანეთს არ დაეჯახება. თითოეული მათგანი მზის გარშემო მდებარეობს, სხვადასხვა ორბიტაზე იმყოფება და ამიტომ მათი შეჯახების ალბათობა არ არსებობს.

**– ასტეროიდების შემთხვევაში როგორაა?**

– არის შესაძლებლობა, რომ დედამიწას რომელიმე ასტეროიდი დაეჯახოს – მსგავსი შემთხვევები წარსულშიც არაერთი ყოფილა. ეს ძალიან კატასტროფული მოვლენაა და მისი ნაკვალევი დედამიწაზე არსებობს. მაგალითად, ციმბირში არის 100-კილომეტრიანი ღრმული, რომელიც დაახლოებით 200 მილიონი წლის წინათ გაჩნდა. შუა ამერიკაშიცაა მსგავსი ღრმული, რომელიც არის ნაშთი იმ დიდი დაჯახებისა, რამაც დინოზავრების გადაშენება გამოიწვია. 250 მილიონი წლის წინათ დედამიწაზე სამნაწილიანი ასტეროიდი ჩამოვარდა და, როგორც მეცნიერები ამბობენ, ცოცხალი არსებების 75 პროცენტი გაანადგურა. ასტეროიდი დედამიწას ეჯახება დიდი სიჩქარით. დღეს დაზღვეული ვართ იმ თვალსაზრისით, რომ დიდი პლანეტები ყველა ცნობილია და საფრთხეს არ წარმოადგენს. რაც შეეხება მცირე ზომის პლანეტებს, ისინი მაშინ ხდებიან ცნობილები, როცა დედამიწას მოუახლოვდებიან, ამ დროს კი რამე ზომების მიღება დაგვიანებულია.

**– ინტერნეტით ვრცელდება ხოლმე ინფორმაცია პლანეტათა გადაადგილების შესახებ.**

– ყველაფერი ცვალებადია, მაგალითად, დედამიწის შემთხვევაში, ორბიტის დახრა და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ცვალებადობა ძალიან ნელა მიმდინარეობს, ზოგიც პერიოდულია. მზის სისტემა მდგრადია, ამიტომ, ისეთი ცვლილება, რომელსაც შეიძლება კატასტროფული ვუწოდოთ, არ მოხდება.

**ეთო ხურციძე**

---

# ვის „გამოექცა“ მოსკოვიდან თბილისში მარიამ მათურელი და რატომ უთხრა მან მოსკოვში ცნობილ ბიზნესმენს ცოლობაზე უარი

**(63-ე გვერდიდან)**

წარმატებული ბიზნესმენი, რომელიც მუდმივად ჩემ გვერდით იყო. ინტერესდებოდა ჩემი საქმით, ჩემი ზრდით, განვითარებით, უხაროდა ჩემი წარმატებები. ჩემზე დიდი იყო ასაკით და მუდმივად მანებივრებდა ყურადღებით, სიურპრიზებით: ყვავილებით, სამკაულებით. ფიქრობდა, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვიყავით შექმნილები. მაგრამ, იმ დროს პატარა ვიყავი, ჩემი წარმატებები დღითი დღე იზრდებოდა, მე მხოლოდ კარიერაზე ვფიქრობდი და მას როგორც უფროს მეგობარს, ისე ვუყურებდი. ერთ საღამოს მან მთხოვა, შევხვედროდი, ხელი მთხოვა, ბრილიანტისთვლიანი ულამაზესი ბეჭედი მაჩუქა. ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ მე იმდენად არ ვიყავი მზად ოჯახის შესაქმნელად და თან, არც მიყვარდა, რომ უარი ვუთხარი. სხვათა შორის, საკმაოდ ცუდი რეაქცია ჰქონდა. ამ ყველაფერს მოჰყვა სხვა ეტაპი, რაზეც ვერ ვილაპარაკებ, თუმცა ცოტა შეშინებული ვიყავი.. საბოლოოდ ყველაფერი დალაგდა.

**– ამის გამო ხომ არ გამოიქეცი საქართველოში და შენი კარიერის გაგრძელება აქ გადაწყვიტე?**

– კი, ამის გამო გამოვიქეცი – ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. მე სულ მინდოდა საქართველოში დაბრუნება. ჩემი პირველი კოლექციაც ხომ აქ შეიქმნა. ახლა ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. უკვე მყავს სანდო გუნდი, რომელთა დახმარებითაც თბილისში ძალიან მალე გავხსნი ატელიე-შოუ რუმს. იქ შეიქმნება როგორც ჩემი ახალი კოლექციები, ასევე პირად, ინდივიდუალურ შეკვეთებზეც ვიმუშავებთ. ვიცი, რომ ქართველი ხალხი მელოდება, მოსწონთ ჩემი კაბები და მეც მათ უამრავ ლამაზ ფერს, სინაზეს, ქალურობასა და სიყვარულს ვაჩუქებ.

**ნათია უტიაშვილი**

**ქართული პრეპარატის – „კამელინის“ სამკურნალო თვისებებითა და მკურნალობის შედეგებით დაინტერესებულ მკითხველს არაერთხელ მივაწოდეთ მის შესახებ საინტერესო ინფორმაცია. დღეს კი მინდა ვისაუბროთ, თუ რა ეფექტურია მისი გამოყენება გრიპის დროს, რომელიც ზამთრის პერიოდში განსაკუთრებულად გვიტევს. პირადად მე, ზამთარში „კამელინი“ არაერთხელ გამოვიყენე და მთელი სეზონის განმავლობაში ვირუსებისგან საიმედოდ ვიყავი დაცული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებობს „კამელინის“ ფორმა „კამელინ ფლუ“ – სპრეი, რომელიც სწორედ გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებების, ანთებითი პროცესების სამკურნალოდ გამოიყენება.**

# „კამელინი“ ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და იმუნური სისტემის გამაძლიერებელია. მისი გამოყენება გრიპოზული დაავადებისა და პროფილაქტიკის მიზნით იდეალური საშუალებაა

კობა გურიელიძე *(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):* გრიპი – ეს მძიმე ვირუსული დაავადებაა და ხასიათდება მაღალი სიკვდილიანობით, განსაკუთრებით პატარა ბავშვებისა და ხნიერი ადამიანების შემთხვევაში. გრიპის ეპიდემია ყოველ წელიწადს, განსაკუთრებით კი ზამთრის პერიოდში, ასნებოვნებს დედამიწის მოსახლეობის თითქმის 15 პროცენტს. გრიპოზული ინფექციის დროს ზიანდება ორგანიზმის პრაქტიკულად ყველა სისტემა, განსაკუთრებით კი – იმუნური. მაგალითად, ბავშვები და მოხუცები, რომლებმაც გადაიტანეს ეს დაავადება და სისუსტეს გრძნობენ, ძალზე მგრძნობიარენი არიან სხვადასხვა ვირუსული და ბაქტერიული დაავადების მიმართ.

**– როგორია „კამელინით“ მკურნალობის შედეგები გრიპის დაავადების დროს ან პროფილაქტიკისთვის გრიპის თავიდან ასაცილებლად?**

– კვებეკის, მონრეალის, ბერნის, ილინოისის, ბრაზილიის სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში დადგინდა, რომ „კამელინი“ შესანიშნავი ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და იმუნური სისტემის გამაძლიერებელი, ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატია და მისი გამოყენება გრიპოზული დაავადებისა და მისი პროფილაქტიკის მიზნით, იდეალური საშუალებაა. იმ შემთხვევაში, როცა ვირუსი უკვე უჯრედშია, „კამელინი“ ხელს უშლის მის გამოსვლას ინფიცირებული კერიდან და სხვა უჯრედებზე გავრცელებას. ამავე დროს, ორგანიზმის იმუნიტეტს საშუალებას აძლევს, გაანადგუროს უჯრედში ლოკალურად შემოჭრილი ვირუსები. რაც ყველაზე მთავარია, „კამელინის“ საშუალებით ვირუსს ხელი ეშლება, თავისი დამანგრეველი გენეტიკური მონაცემები ჩანერგოს ორგანიზმის ჯანმრთელ უჯრედში. რაც მთავარია, პრეპარატს არ აქვს გვერდითი მოვლენები, აძლიერებს ადამიანის იმუნიტეტს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის დაავადების სამკურნალოდ.

**– უკვე რამდენიმე ხანია, გასაყიდად გამოვიდა „კამელინ ფლუ“, რომელიც გამოიყენება ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიც არის გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებები, ანთებითი პროცესები. შესაბამისად, თუ არის ეფექტური მათი გამოყენება დღეს ძალიან გავრცელებული გრიპოზული დაავადების სამკურნალოდ?**

– პრეპარატში არის ის კომპონენტები, რომლებიც ლორწოვან გარსზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჩერებს პრეპარატის აქტიურ ნივთიერებებს და, შესაბამისად, ეს უფრო მეტ ეფექტურობას იწვევს. როდესაც პირის ღრუში არის ბაქტერიული, სოკოვანი კერები, „კამელინ ფლუ“ ძალიან მალე აქრობს პროცესს. ასე რომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, სპრეიში ჩაგვედო და გაგვეთვალისწინებინა ის თვისებები, რაც „კამელინის“ აქტიურ მოლეკულებს ახასიათებს: ანტიბაქტერიული, ანტისოკოვანი, ანთების საწინააღმდეგო და რეგენერაციული პროცესები. რაც მთავარია, როგორც „კამელინის“ სხვა ფორმებს, ასევე სპრეისაც, სხვა წამლებთან მიმართებაში უკუჩვენება არ აქვს და მისი გამოყენება შეიძლება თითქმის ყველა მედიკამენტთან ერთად. თუ კლასიკური თერაპია ამ დაავადებებს კურნავდა



გარკვეულ პერიოდში, „კამელინთან“ კომბინაციაში შედეგი უფრო ეფექტური იყო, გართულებები პრაქტიკულად არ ყოფილა და გამოჯანმრთელებაც უფრო მალე ხდებოდა. რაც მთავარია, ამ პრეპარატს არ გააჩნია გვერდითი მოვლენები.

**– როგორც ცნობილია, ძალიან კარგია „კამელინის“ პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება. წელიწადის რომელ დროს არის სასურველი პროფილაქტიკისთვის „კამელინის“ გამოყენება?**

– კარგია გაზაფხულის დადგომისა და ზამთრის პერიოდში, როცა ადამიანი ვიტამინების ნაკლებობას განიცდის – ამ დროს იმუნიტეტი, თავისთავად, ქვეითდება. ასევე, კარგია დაავადების გადატანის შემთხვევაში, როდესაც იმუნიტეტი მოშლილია. ამ დროს სასურველია, მიიღოთ კაფსულები – ბრწყინვალე შედეგს იძლევა, მალე აღადგენს იმუნიტეტს. მინიმუმ ერთი კურსი ძალიან კარგია განსაკუთრებით მძიმე გრიპოზული დაავადების გადატანის შემდეგ.

როდესაც „კამელინზე“ ვსაუბრობთ, არ შემიძლია, არ შევეხო მის გამოყენებას ისეთი მძიმე დაავადების სამკურნალოდ, როგორიც არის სიმსივნე. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ საინიექციო ფორმის „კამელინი მ-1-ის“ გამოყენება შესაძლებელია ყველა სტადიის კიბოს დაავადების დროს, სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში, „კამელინი მ-4“ – სანთლების და „კამელინი მ-2“ – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე.

**ნათია** *(32 წლის):* ჩემს დეიდას, რომელიც უკვე დიდი ხანია, უცხოეთში ცხოვრობს, ცოტა ხნის წინ დაუსვეს კუჭის სიმსივნის დიაგნოზი. მაშინვე დაიწყო მედიკამენტებით მკურნალობა, მაგრამ, არცთუ კარგი შედეგი ჰქონდა. დიდი ხანია, თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ, „კამელინის“ შესახებაც არაერთი სტატია მქონდა წაკითხული. ამიტომ, როგორც კი შევიტყვე დეიდას მდგომარეობა, მაშინვე „კამელინი“ გამახსენდა, მის მწარმოებელთან გავიარე კონსულტაცია, დეიდასაც ვკითხე და მისი თანხმობის შემდეგ გავუგზავნე პრეპარატი. მაშინვე დაიწყო მკურნალობა და შედეგი უკვე აქვს: აღარ აწუხებს ტკივილები, ენერგიულიც გახდა, ძალაც დაუბრუნდა. „კამელინით“ მკურნალობის შეწყვეტას არ აპირებს. ცოტა ხანს შეისვენა და ახლა უკვე მკურნალობის მესამე კურსს იტარებს. რაც მთავარია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესია, არანაირი გართულება არ ჰქონია, პირიქით, წინ და წინ წამოვიდა. რაც მთავარია, ჩვეულებრივად მუშაობს, შრომისუნარიანობაც აუმაღლდა და ტკივილებიც აღარ აწუხებს.

**მარინა** *(30 წლის):* დედაჩემი უცხოეთში ცხოვრობს და მუშაობს. მოგეხსენებათ, ვინც უცხოეთში საქმიანობს, მათ უმეტესობას ფიზიკური შრომა უწევს. შესაბამისად, დედაც ხშირად ძალიან გადაღლილია, ენერგიის ნაკლებობას განიცდის და იმუნიტეტიც დაქვეითებული ჰქონდა. თან, დაახლოებით ათი წლის წინ ფიბრომის ოპერაცია გაიკეთა, სამი წლის წინ კი დაუსვეს საშვილოსნოს სიმსივნის დიაგნოზი, პირველი სტადია. მაშინვე გავუგზავნე „კამელინის“ ინიექცია. მანამდე პირადად მე, ბუასილის გამო, „კამელინის“ სანთლები გამოვიყენე, მიშველა და საოპერაციო არ გავხდი. ამიტომ, ექიმთან კონსულტაციების გავლის შემდეგ გადავწყვიტე, დედასთვისაც გამეგზავნა „კამელინის“ ნემსები. მაშინვე დაიწყო მკურნალობა და მალევე იგრძნო ენერგიის მომატება. სამი კურსი ჩაიტარა და თავს აშკარად უკეთ გრძნობს, იმუნიტეტიც მოუძლიერდა, მადაც მოემატა.

***P.S. ვისაც სურს დამატებითი ინფორმაციის მიღება „კამელინის“ შესახებ, დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი). მისამართი: ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №49.***

**ნათია უტიაშვილი**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 10 განსხვავება





# რომელი თავი რომელ კისერს ეკუთვნის



# სასაცილო რვაფეხა



ასეთი სასაცილო რვაფეხა ძალიან ადვილი გასაკეთებელია. ბავშვი მშვენივრად, თქვენი დახმარების გარეშე მოახერხებს ამას. მიეცით მას საღებავები, ტუალეტის ქაღალდის მუყაოს მილაკი და ფლომასტერები.

ჩაჭერით მილაკი ერთ მესამედზე რვა ადგილას მაკრატლით და რვაფეხას „ფეხები“ გაუშალეთ. შეღებეთ თქვენს შვილთან ერთად და, როცა გაშრება, მიახატეთ ან მიაწებეთ თვალები და დაუხატეთ პირი. შეგიძლიათ, თქვენს რვაფეხას მძივებიც დააწებოთ და ასე მორთოთ.

# იპოვეთ შესაბამისი ჩრდილი






# რიცხვრებუსი

,,3, 1,,, 5,,, ,,,5



**სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ კიდევ ერთი სეზონი დასრულდა. ახალ სეზონს მაყურებელი მარტში იხილავს. მანამდე კი, სერიალის ერთ-ერთი მუდმივი პერსონაჟის, ქეთის როლის შემსრულებელ სალომე შარვაძეს ვესაუბრეთ, რომლის გმირმაც ბოლო სერიაში შესამჩნევი ცვლილებები განიცადა.**

# რა უხერხულ სიტუაციებში აღმოჩენილა სალომე შარვაძე და რაზე ნერვიულობდა ის მოტაცებისას

**– სალომე, ბოლო სერიაში შენი პერსონაჟი ცოტა შეიცვალა. პირველად შეეწინააღმდეგა ქმარს და პირვლად ჰქონდა კოცნის სცენა.**

– ჰო, მის ხასიათში ცვლილება მოხდა. კოცნის სცენა არც ამ სერიალში და არც სხვაგან, აქამდე არ მქონია. როცა ცოლ-ქმარს თამაშობ, არაბუნებრივია, რომ მსგავსი რამეები არ ხდებოდეს, მაგრამ ქეთი და ზაზა ისეთი პერსონაჟები არიან, მსგავსი სცენის საჭიროება აქამდე არ ყოფილა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საჭირო გახდა, მაგრამ გიორგი ლიფონავა ამ ყველაფერს ყოველთვის ისე აკეთებს, რომ გამაღიზიანებელი არ იყოს და მგონი, არც ჩემს შემთხვევაში ყოფილა ასე. არ ვიცი, სხვა მსახიობები როგორ ფიქრობენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი სცენები საკმაოდ რთულია. თუმცა, ისეთი სცენაც არ მქონია, რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი ან ფიქრი ღირდეს.

**– მეუღლეს როგორი რეაქცია ჰქონდა?**

– ერთად ვუყურეთ სერიალს, მაგრამ ამაზე განსაკუთრებული რეაქცია არ ჰქონია. მეუღლეს წინასწარ ვუთხარი, რომ მსგავსი სცენის თამაში მომიწევდა, რადგან ჩემგან ამას მიჩვეული არაა. არიან მსახიობები, რომლებსაც ხშირად უწევთ მსგავს სცენებში თამაში და ეს მათი მეუღლეებისთვისაც ძალიან ჩვეულებრივია.

**– მეუღლე რა სფეროში საქმიანობს?**

– პროფესიით იურისტია, მაგრამ ახლა სხვა, თავის საქმითაა დაკავებული. ძალიან კარგი ადამიანია და ერთმანეთს არაჩვეულებრივად ვუგებთ. უპირველესად, მეგობრები ვართ და ჩვენი ერთად ცხოვრება ძალიან კომფორტულია. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, საკმაოდ დაკავებული ვარ და ყველაფერში ხელს მიწყობს. ზოგჯერ გადაღებები დილამდე გრძელდება და ამ დროს ბავშვთან ისაა. ალბათ, ამიტომაცაა მასთან ცხოვრება ასეთი კარგი. უკვე რვა წელია, ერთად ვართ და ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის.



**ეკლესიაში მხოლოდ ჩვენ მივედით, თან მამა აკაკისთან, რომელიც, მგონი, ყველაზე მკაცრი მამაოა. გაგიჟდა კაცი, მეჯვარეები სად არიანო და უკან გამოგვიშვა**

**– თქვენი ურთიერთობა როგორ დაიწყო?**

– ერთმანეთი შემთხვევით გავიცანით. 20-21 წლის ვიყავი და იმ დროს ოჯახის შექმნას საერთოდ არ ვგეგმავდი. ჩემს ცხოვრებაში ძალიან მოულოდნელად გამოჩნდა და სულ რაღაც რვა თვეში დავქორწინდით. ამ დროის განმავლობაში, ალბათ, სულ ორი თვე ველაპარაკებოდით ერთმანეთს, დანარჩენ დროს სულ ვჩხუბობდით *(იცინის).* მაგრამ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა ხვდები – ეს ზუსტად ის ადამიანია, რომელიც გინდა მთელი ცხოვრება გვერდით გყავდეს.

**– მაშინ შენ უკვე პოპულარული გოგო იყავი.**

– კი. სერიალებში 18 წლიდან გამოვჩნდი. ყველა მცნობდა და ბევრი „პაკლოვნიკიც“ მყავდა *(იცინის).* მაგრამ, როცა ნახავ ადამიანს, რომელიც ყველაზე კარგია და ხვდები, მასთან ერთად ცხოვრება გინდა, ადვილად იღებ გადაწყვეტილებას. თუმცა, სანამ რამეს გადავწყვეტდი, სამი თვე ძალიან ბევრი ვიფიქრე. ასე რომ, ერთ დღეში არ გავთხოვილვარ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ უკვე რვა წელია, ერთად ვართ და არცერთხელ ისეთი კონფლიქტი არ გვქონია, ის წასულიყო, ან – მე. ჩვენს ურთიერთობაში თავიდანვე ძალიან ბევრი დამთხვევა იყო. ჩვენი გემოვნება იმდენად ემთხვეოდა ერთმანეთს, რომ ეს მაგიჟებდა კიდევაც *(იცინის).* ერთმანეთი რომ გავიცანით, ტელეფონზეც კი ორივეს ერთნაირი ზარი გვეყენა. სადაც არ უნდა წავსულიყავი, ისიც იქ მხვდებოდა. იმიტომ კი არა, რომ სპეციალურად მოდიოდა, უბრალოდ, ასე ემთხვეოდა. სანამ ცოლად გაყოლას გადავწყვეტდი, მანამდე მომიტაცა. ვუთხარი, ერთმანეთს ვერ ვუგებთ და დავიშალოთ-მეთქი. გნახავ და დავილაპარაკოთო. შევხვდი და მითხრა: მცხეთაში რაღაც საქმე მაქვს, წავიდეთ და თან, გზაში ვილაპარაკოთო. დავთანხმდი. გზებში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ იმდენხანს მივდიოდით, მივხვდი, რომ მცხეთაზე ცოტა შორს უნდა ვყოფილიყავით. მოტაცებამ კი გამიელვა თავში, მაგრამ ხომ არ ვკითხავდი, თან ვიცი, ისეთი ტიპი არაა, რომ ეს გაეკეთებინა. ჩემზე ბევრად დიდი და სერიოზულია. მოკლედ, ვერ ვკითხე, ხომ არ მიტაცებ-მეთქი *(იცინის).* გავიხედე ფანჯარაში და ვხედავ, აბრაზე ზესტაფონია გადახაზული. როცა დავრწმუნდი, რომ მიტაცებდი, ვუთხარი: თუ მართლა პატივს მცემ და გიყვარვარ, მოაბრუნე მანქანა და უკან წავიდეთ-მეთქი. მთელ მის სამეგობროს სცოდნია, რომ ცოლი მოჰყავდა და ბათუმში ელოდნენ, მაგრამ რომ ვთხოვე, მომაბრუნა და სახლში წამომიყვანა. მისი საქციელი დავაფასე. ზოგი ამას არ გააკეთებდა და იმაზე იფიქრებდა, ამდენმა ხალხმა იცის, რომ ცოლი მომყავს და თავს ხომ არ შევირცხვენო. თუმცა, ის პატიოსნად მოიქცა – შენ თუ ასე გინდა, კარგიო და უკან წამოვედით. თან, სულ გალურჯებული ვიყავი და რაც ყველაზე სასაცილოა, მიტაცებდნენ და ამ დროს იმაზე ვნერვიულობდი, ხვალ ახალ სერიალში პირველი გადაღებები მაქვს და რომ ვერ მივიდე, ლიფონავას რა ვუთხრა-მეთქი *(იცინის).* ამ ამბიდან სამი თვის განმავლობაში არ ველაპარაკებოდი, ბევრი ვიფიქრე და ბოლოს თვითონ დავურეკე. მერე ყველაფერი ტრადიციულად გავაკეთეთ – ნიშნობაც გვქონდა და ქორწილიც.

**– თქვენი შვილი უკვე 7 წლისაა, როგორი გოგონაა?**

– ვაიმე, ძალიან პრანჭიაა. გარეთ პომადის გარეშე არ გადის *(იცინის).* მართა კეთილი, საყვარელი და ბავშვურია. ძალიან უყვარს კითხვა, რაც უზომოდ მიხარია. სათამაშოები დიდად არც არასდროს მოსწონდა. არც ის მომენტი აქვს – ვაიმე, დედაჩემი ესა და ესაა. ყველაფერს ჩვეულებრივად აღიქვამს.

**– სკოლაში მაინც არ ამაყობს დედით?**

– როცა სკოლაში ერთად მივდივართ, ყოველთვის ვაგვიანებთ, რადგან ბავშვები განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავენ, მაგრამ თვითონ მართა არ უსვამს ხაზს – აი, დედაჩემი ვინააო. მაგრამ ადრე იყო ხოლმე შემთხვევები, როცა ჩემს საჩვენებლად სახლში ბავშვები მოჰყავდა *(იცინის).* წარმოიდგინე, სახლში რომ ხარ „პოლის ჯოხითა“ და აწეწილი თმით, სახლს ალაგებ, კარს გააღებ და იქ მთელი უბნის ბავშვები დგანან *(იცინის).* არ დაიჯერეს, დედაჩემი რომ ხარ და ამიტომ წამოვიყვანე – აი, ნახეთ, თუ ის არააო და ჩემს თავს აჩვენებდა *(იცინის).*

**– მომავალ პროფესიაზე არაფერი უთქვამს?**

– რას ჰქვია, არ უთქვამს?! კაბებს ხატავს და აწერს: ფასი – 50 000 ევრო, 10 000 ევრო *(იცინის).* კოლექციას აკეთებს და პაემნისა და სინაზის კაბა უკვე შექმნილი აქვს. იტალიურ სკოლაში დადის და გადაწყვეტილი აქვს, მილანში წავიდეს და კაბების დიზაინი ისწავლოს. სახლებიც უნდა გავალამაზოო.

**– როგორც ვიცი, ხშირად ვარდები უხერხულ და სახალისო სიტუაციაში. შეგიძლია, რამდენიმე მათგანი გაიხსენო?**

– გამორიცხულია, რაიმე არ დამემართოს, როცა რაღაცისთვის განსაკუთრებულად ვემზადები. ერთხელ ქორწილში მივდიოდი. თეთრი, ულამაზესი კაბა უნდა ჩამეცვა, რომელიც ქიმწმენდიდან გამოვიტანე და მანქანიდან გადმოვედი თუ არა, მაშინვე ტალახში ჩამივარდა. ჩემი ქორწილის დღეს ჯვრისწერაზე დაგვაგვიანდა. სამწუხაროდ, პატრიარქი გველოდა, უნდა დაველოცეთ, მაგრამ ველარ მივასწარით. მე და ჩემს მეუღლეს ქორწინებამდე დაწინდვა გვინდოდა, რაც ეკლესიურ ნიშნობას ნიშნავს. თუმცა, მაშინ წარმოდგენა არ გვქონდა, როგორ სრულდებოდა ეს რიტუალი და ეკლესიაში მხოლოდ ჩვენ მივედით. თან, მამა აკაკისთან, რომელიც, მგონი, ყველაზე მკაცრი მამაოა. გაგიჟდა კაცი, მეჯვარეები სად არიანო და უკან გამოგვიშვა *(იცინის).* წარმოდგენაც არ გვქონდა, თუ მეჯვარეებიც იყო საჭირო, თუმცა, მერე არმია გვყავდა *(იცინის).* ერთხელ, მარტო მე და მართა ვიყავით ბათუმში და სანაპიროზე ბავშვი დავკარგე. მაშინ ხუთი წლის იყო. საშინელი ამბავი ავტეხე: ვაიმე, ბავშვი დაიხრჩო-მეთქი და გამწარებულები ვეძებდით. აღმოჩნდა, რომ ვიღაც გოგოსთან მისულა და უთქვამს, დედამ ცურვა არ იცის და წყალში ჩამიყვანეო. ჰოდა, ის გოგო აცურავებდა. იმდენი ვინერვიულე, იქიდან ორი კილო ჩამოვედი.

**ქეთი კაპანაძე**

**ერეკლე დეისაძისა და თიკო სადუნიშვილის ერთად ყოფნამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ეს უბრალოდ, ხუმრობაა. ზოგის აზრით, ეს ყველაფერი პროვოკაციაა და მხოლოდ, მეგობრები არიან, ზოგი კი, მიიჩნევს, რომ ისინი ერთად არიან... ჩვენ გადავწყვიტეთ, ერეკლე დეისაძეს დავკავშირებოდით და გადაგვემოწმებინა ეს ხმები. ასევე, ბევრი პროვოკაციული სიახლეა ერეკლეს ცხოვრებაში, რასაც ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რატომ ფიქრობს ერეკლე დეისაძე თიკო სადუნიშვილის გვარზე გადასვლას და რატომ დაურიგა მან თავის კონცერტზე მსმენელს მარიხუანა

**ერეკლე დეისაძე**: თიკო გავიცანი მონასტერში, სადაც ხანდახან მივდივარ, ან ვილაცას ჩავაკითხავ ხოლმე. იქ ბევრი ძმაკაცი მამაო მყავს, ბევრთან გამოვნახე საერთო ენა – იმათთან, ვისთანაც უნდა გამომენახა. თიკო იქ თავის მეგობრებთან ერთად ამოვიდა, დედა პარასკევასთან მეგობრობს. მერე, როცა დავმეგობრდით, მივხვდით, რომ ბევრი საერთო იდეა, აზრი გვქონდა და შეიკრა რაღაც, ჩვენი ახალი სივრცე. ჩვენთან „სახლში" მოდიოდნენ ჩვენი მეგობრები და ზაფხულში მოხდა ისე, უცებ რაღაც შეიკრა და მივხვდით, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს და უპირველესად, ჩვენ ვართ ძალიან ახლო მეგობრები. ჯვრისწერა და ოფიციალობები არ გვქონია.

**– ქუთაისში იყავით ერთად, სადაც თიკოს შენი ოჯახის წევრები გააცანი.**

– ქუთაისში ვიყავით ერთად. იქ თიკომ თავის გადაცემა ჩაწერა. იქიდან წავედით ლეჩხუმში, სადაც მეგობრის სახლში, მთის ძირას ვიყავით. იქ ერთი დღე გავჩერდით, მარიხუანა მოვწიეთ... თიკოს „კუბდარები" მოუნდა და ვიცოდი, რომ ლენტეხშია კარგი კუბდარი. იქ დეიდაჩემი ცხოვრობს. დავურეკე, მოვდივარ, გაგვიმზადე-მეთქი და წავედით სვანეთშიც. გვიყვარს ასე, ქალაქიდან გასვლა რაიონებში. თიკოს ჩემი ოჯახი გავაცანი, ადვილად დამეგობრდნენ. ჩემი ოჯახის წევრები ისეთები არიან, ჩემს ყველა გადაწყვეტილებას პატივს სცემენ. მთავარია, მე ვიგრძნო თავი კარგად. იგივე მიდგომაა თიკოს ოჯახის მხრიდანაც. ჩვენ დამოუკიდებელი ადამიანები ვართ და ხვალ, ზეგ არ ვიცით კიდევ, რა იქნება. საახალწლოდ თიკოს შვილმა დათიმ „ცეპი" და ჯვარი მაჩუქა. ჩემი ძალიან კარგი მეგობარია. ძალიან მიყვარს და ვიცი, მაგარი ბიჭი იქნება.

**– რომანტიკულია თქვენი ურთიერთობა?**

– ხშირად ვუძღვნი ლექსებს, სიმღერებს. ვეტყვი ხოლმე ხალხში: „ეს სიმღერა შენ". მასაც უხარია, მეც მიხარია. ყოველი დღე სიურპრიზია ჩვენთვის. ყოველთვის გვაქვს, რაღაც ახალი, რასაც ერთმანეთს ვუზიარებთ და ძალიან ვავსებთ. ახალ წელს გავუკეთე ასეთი სიურპრიზი და მაგრად გავერთეთ – სტუმრად გვყავდა სანდრო კაკულია, გუკა რჩეულიშვილი. ძალიან კარგი ახალი წელი იყო. განსაკუთრებით იმით, რომ წინა დღეს ვუთხარი, ხვალ აუცილებლად მოთოვს-მეთქი და მოთოვა. ეს იყო მისთვის უდიდესი სიურპრიზი. მითხრა, ნოსტრადამუსი ხარო. სულ მაქვს ის მომენტი, როცა რაიმეს დარწმუნებული ვიტყვი, მისრულდება. ამას წინათ სტამბულში ვიყავი. ორი კვირა ვერ ვნახე და ძალიან მომენატრა. რაც უნდა მოხდეს, არასდროს ვკამათობთ. მე მაქვს ის პოზიცია, რომ უკან არასდროს ვუბრუნებ, რაც არ უნდა მითხრას. არასდროს არ გვქონია ექვიანობის მომენტი. ექვი მაშინ ჩნდება, როცა შენ უკვე ამ ადამიანისგან გაქცევის სურვილი გაქვს.

ამ ურთიერთობის მთავარი „მულამი" ისაა, რომ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება ასე, ცალკე აღებული არ არის. ახლა ახალი კლიპის სცენარს ვწერთ ერთად. თიკო მაგრად მეხმარება და დარწმუნებული ვარ, ჰიტი იქნება. ვეკითხები, აქ ასე ხომ არ აჯობებდა... ორივე ვართ ჩართული. თიკო ჩემი ყველაზე მაგარი მეგობარი და „პადელნიკია", იმიტომ რომ, სადაც მე ვმოღვაწეობ და თუ რამეს ვაკეთებ, თიკო ყოველთვის ჩემ გვერდითაა. ყველაფერს ერთად ვფიქრობთ, ერთად ვაკეთებთ. ჩემს პროზას ნაკლებად იცნობს, უფრო ლექსები და სიმღერები იცის. ჩემს ლექსებს არც სჭირდება დაწერა, „დეისაძის ხალხურები" ყველამ იცის. შეიძლება, უცებ მოვისროლო ფრაზა და ხვალ და ზეგ სადმე, კედელზე დაწერილი დამხვდეს. ასე, მაგალითად: „დედა ვერელი, მამა ვაკელი, რა დაგაკელი, რა დაგაკელი". თიკო დეისაძეც კი გახდა, რადგან რაღაც სიახლე სჭირდებოდა ცხოვრებაში... მერე მე დავფიქრდი, მე ხომ არ ვარ ცოტათი სადუნიშვილი-მეთქი. ახლაც ვფიქრობ, ერეკლე სადუნიშვილი – თიკო დეისაძე... ჯერ არ ვარ ჩამოყალიბებული. მაგას მართლა არ მაპატიებენ, ერთი გვარი ჰქონდა ქართული და ქალის გვარზე გადავიდაო.



**ამ წიგნით იმის ჩვენება მინდა, თუ როგორ ფეხებზე ჰკიდია ხალხს ის ომი, რომელიც ვითომ ჩვენ ყველას გვაწუხებს. მაქვს ახალი სიმღერები, კლიპები. „რაც მამას უნდას" მსგავსი პროვოკაციული სიმღერაც არის**

## თიკო გავიცანი მონასტერში

**– ახალ სიმღერებს წერ, ახლახან წიგნი გამოეცი... ისევ პროვოკაციულ შემოქმედებით სვლებს უნდა ველოდოთ შენგან?**

– 2016 წელს ვეძახი მოსავლის აღების წელს. 25 დეკემბერს მქონდა პირველი სოლო კონცერტი დიდ „გალერიში", რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა. ეს კონცერტი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ზევიდან „შეკეთებული" მარიხუანა გადმოვყარეთ, რითაც ხალხი ძალიან ბედნიერი იყო. ამით გამოვეხმაურე დეკრიმინალიზაციის პროცესს, რომელიც დაწყებულია და წინ ველარაფერი აღუდგება, რადგან საზოგადოება ამისთვის მზადაა. წინა პრემიერმა თქვა, რომ სანამ ის იქნებოდა პრემიერი, ეს არ მოხდებოდა. მაგრამ, ახლა აღარ არის პრემიერი, ეს პროცესი დაწყებულია. ახლახან გამოვიდა ჩემი ახლი რომანი, სახელად „რუსული არდადეგები", რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება და ამ ომის ჩემეული ვერსიაა. ამ წიგნში ჯავშანტექნიკა თბილისიდან ორმოც კილომეტრში კი არ გაჩერდა, არამედ ქალაქში შემოვიდა და აი, რა ხდება ვაკე-ვერაზე. არიან პოლიტიკოსთა ცოლები, რომლებიც თავისებურად უმკლავდებიან ამ ომს. როდესაც ქალაქში დადის მძიმე ტექნიკა, ესენი მოისყიდიან ვიღაც მამაოებს, რომლებიც დადიან და აკურთხებენ კორპუსებს, რომ ბომბებისგან დაიცვას ვაკე და ვერა. მოკლედ, ტარანტინოსეული სცენარით ვითარდება. ამ წიგნით იმის ჩვენება მინდა, თუ როგორ ფეხებზე ჰკიდია ხალხს ის ომი, რომელიც ვითომ ჩვენ ყველას გვაწუხებს. რეალურად, ეს ომი ეხება იმათ, ვინც იქ ცხოვრობს და იბრძვის, სამშობლოსთვის სწირავს თავს. გვახსოვს, ხალხით სავსე რესტორნები იმ პერიოდში, სადაც ხინკლებისა და ქაბაბების ცვენა იყო, იქ კი – ტყვიების. მე მინდოდა, ეს სურათი მეჩვენებინა და ძალიან საინტერესო აღმოჩნდა უცხოელთათვის. გერმანულად თარგმნიან ფრანკფურტის ფესტივალისთვის.

**– საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან ხშირად ხარ გაკიცხვის ობიექტი. მზად ხარ ისევ მძაფრი კრიტიკისთვის?**

– მე ვერ მქოლავენ. ჰგონიათ, რომ მქოლავენ და პირიქით, იმ რეაქციებით მაძლიერებენ. ამ ქვეყანას აქვს მოსახდელი ბატონები, რომელიც უნდა მოიხადოს. წიგნის სახით იქნება ეს თუ მუსიკის, არ აქვს მნიშვნელობა. რაც მეტ რეაქციას გაუშვებ, მით მეტად შემობრუნდება საზოგადოება ჯანსალი აზრისკენ. ხშირად მაქვს საჯარო ლექციები – ილიას უნივერსიტეტში, თავისუფალ უნივერსიტეტში, სადაც მიწვევენ სტუდენტები. ეს განაპირობა იმან, რომ მე ლაპარაკი არ მეზარება. ზევიდან არავის ვუყურებ და არ ვეძახი, თქვე ბნელებო და ჩამორჩენილებო-მეთქი... ყველასთან უშუალო ურთიერთობა მაქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვანისთვის, გარდა იმისა, რასაც წერს და მღერის, უნდა იყოს მაგალითის მიცემა...

**– პოლიტიკაში მოსვლას ხომ არ გეგმავ?**

– მგონია, რომ პოლიტიკაში უკვე ვარ. მე ვერცერთ პარტიაში ვერ წარმომიდგენია თავი. ყოველთვის ვერიდები, ვილაცის გავლენის ქვეშ ვიყო. ჩემი პარტია იქნება ის, რომ სამოქალაქო საზოგადოება იყოს ჯანსალი. ისე ჯერ ნაცობას მაბრალებდნენ, მერე ივანიშვილმა მოისყიდაო. მაგრამ, რეალურად, ეს ბრალდებები ბრალდებად დარჩა, რადგან ხალხი ხედავს, სად ვარ და რას ვაკეთებ.

**ხათუნა კორთხონჯია**



დედამიწის უმაღლესი მწვერვალი

სივრცე დედამიწის თავზე

ჭიდაობის ხერხი, ილეთი

ფოლადის ბაგირი ...

... მონტანი

ავსტრიელი კომპოზიტორი (1756-1791)

ქცევის გარეგნული ფორმა

შხამიანი ყვითელყვავილებიანი ბუჩქი

ქართველი ფოტოხელოვანი, ალპინისტი

ერთგვარი გეომეტრიული ფიგურა

წამლის ჩასაწვეთებელი მინის მილაკი

ერთგვარი მუსიკალური საკრავი

ერთგვარი ხილი

ოთახი მატარებელში

სიმღერის ერთ-ერთი წვრილი ხმა

პირის ნაცვალსახელი

ჟურნალგაზეთების ერთობლიობა

სარკმლიანი ოთხთვალა ეტლი

აზროვნების ორგანო

ქართული გაზეთი

ქურციკი, ანუ ...

რბილი ლითონი

იტალიელი კინორეჟისორი

ხარისხი, თანრიგი

ქართველი კომპოზიტორი

ილიას მეუღლის სახელი

პოეტი ... გელოვანი

ერთგვარი სიმებიანი საკრავი

უდედმამო, ანუ ...

ვაჟიშვილი, ანუ ...

ჯამლი, ანუ ...

ქალის სახელი

მოჩვენებითი რამ

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | 1 | 2 | 1 | 3 | 3 | 2 | 1 | | | | | 1 | | | | |
| | | | | | | 1 | | | | 2 | 2 | 3 | 7 | 8 | 2 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | | |
| | | | | | | 4 | 4 | 2 | 6 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | 1 | 2 | 4 | 4 | 7 | 6 | 6 | 6 | 7 | 7 | 4 | 4 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | 1 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 6 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 16 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 9 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 7 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 13 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებში.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 4 | 3 | 2 | | 9 | | 5 |
| 1 | 3 | | 6 | | 7 | | 2 | |
| | 5 | | 9 | | | | 3 | 1 |
| 5 | 1 | | 2 | | 9 | | 6 | |
| | | 3 | | 6 | | 2 | | 8 |
| 9 | 6 | | | 7 | 8 | 1 | | 3 |
| | 2 | | | 1 | | | 4 | 9 |
| 8 | 4 | 6 | 5 | | 3 | 7 | | |
| | 9 | | 7 | | 2 | | 8 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 7 | | | 4 | | | 9 |
| | | 3 | | 5 | | 8 | | |
| 1 | 2 | | | | | | | 7 |
| | | | 7 | | 8 | | 3 | 6 |
| 9 | 7 | | 6 | | | 5 | | |
| | 8 | | | 2 | | | | 4 |
| 2 | | 8 | | | | | | 3 |
| | | | 3 | | | | | |
| | | 1 | 4 | 8 | 2 | 6 | | |

**ეგრეთ წოდებული „ღორის გრიპის“ შედეგად ამ სეზონზე საქართველოში უკვე რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა და ბევრია დაავადებული. თუმცა, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, მათი რაოდენობა ზღვრის პიკს საგრძნობლად ჩამოუვარდება, ამიტომ ეპიდემიის საშიშროება ჯერჯერობით არ დგას. გამომდინარე იქიდან, რომ ეს გრიპი იწვევს მძიმე გართულებებს და, უკიდურეს შემთხვევაში – გარდაცვალებასაც, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რა სიმპტომებით ვლინდება ის, როგორ ხდება მკურნალობა და რა გზებითაა შესაძლებელი მისი თავიდან არიდება.**

# რა უნდა გავაკეთოთ ღორის გრიპის თავიდან ასაცილებლად და განსხვავებულია თუ არა მისი და სხვა გრიპების მკურნალობის მეთოდები

**ირაკლი ქარსელაძე** ***(დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი. ეპიდემიოლოგი):*** არსებობს გრიპის A, B და C ტიპები, რომლებსაც, თავის მხრივ, უამრავი ქვეტიპი აქვთ. A ტიპის გრიპის ერთ-ერთი ქვეტიპია H1N1, ეგრეთ წოდებული „ღორის გრიპი“. ღორის გრიპის ცირკულაცია მსოფლიოში პირველად 2009-2010 წლების გრიპის სეზონზე დაიწყო. მომდევნო სეზონებში ცირკულაციაში იყო სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც.

**– დღეს როგორი მდგომარეობა გვაქვს საქართველოში?**

– საქართველოში გრიპზე ეპიდზედამხვედველობა ხორციელდება დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ. აღნიშნული ზედამხვედველობა გულისხმობს სტატისტიკური ინფორმაციის დათვლას, მატება-კლების ტენდენციების განსაზღვრას, რაც ხორციელდება საყრდენი ბაზების საშუალებით. საყრდენი ბაზები კი მოიცავს წინასწარ შერჩეულ პოლიკლინიკებსა და კლინიკებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აღნიშნული ზედამხედველობა აპრობირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაში. საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით 100 000 მოსახლეზე მაჩვენებელი 333-ს შეადგენს. შედარებისთვის რომ წარმოვიდგინოთ, ეპიკზღვარი არის 100 000 მოსახლეზე 500 ადამიანი. შესაბამისად, ეპიდემიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჯერჯერობით მაჩვენებელი სეზონისთვის დამახასიათებელია. მოგეხსენებათ, რომ აქტიური გრიპის სეზონი საქართველოში იანვარ-თებერვალია და წინა ორი წლის განმავლობაშიც, ამ დროისთვის ზუსტად იგივე მაჩვენებლები გვქონდა, რაც წელს.

**– წელს ამ ვირუსით რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა, რამ გამოიწვია ასეთი შედეგი?**

– ამ დროისთვის დადასტურებულია გარდაცვალების 6 შემთხვევა. საყურადღებოა, რომ მათ შორის 5 შემთხვევა ლაბორატორიულად დადასტურებული H1N1-ია და ერთი – H3N2. აქედან გამომდინარე, გართულებების შემთხვევაში, ნებისმიერი გრიპის ვირუსი რისკს წარმოადგენს. გარდაცვლილი პაციენტები მიეკუთვნებოდნენ რისკ-ჯგუფებს. არსებობდა რამდენიმე წამყვანი ფაქტორი, რომლებმაც მათი გარდაცვალება გამოიწვია, მათ შორის იყო ძირითადი ქრონიკული დაავადებების არსებობა, ექიმთან დაგვიანებული მიმართვა და, შესაბამისად, დაგვიანებული მკურნალობა.

**– რა სიმპტომებით ვლინდება ღორის გრიპი და თუ არის შესაძლებელი მისი ჩვეულებრივი გრიპისგან განსხვავება?**

– პაციენტისთვის გრიპებს შორის დიდი განსხვავება არ არის. ღორის გრიპი ისევე იწვევს გართულებებს, როგორც სხვა გრიპი. როგორც მოგახსენეთ, ერთი მოქალაქე H3N2-ით გარდაიცვალა. შესაბამისად, გართულებებს და შესაძლო ლეტალურ შედეგებს იწვევს ასევე B ტიპის გრიპი და გრიპის ყველა ქვეტიპი. განსხვავება არც კლინიკურ სიმპტომებშია. მათი დასაწყისი არის მწვავე და ხასიათდება მაღალი ტემპერატურითა და ხველით. შემდგომ მოდის მეორადი სიმპტომები: საერთო სისუსტე, თავის ტკივილები, ღებინების შეგრძნება და ასე შემდეგ. ეს სიმპტომები ახასიათებს ზოგადად გრიპის ვირუსს, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეტიპის იქნება ის. გართულებები ძირითადად შეიძლება გამოიხატოს პნევმონიით, ანუ ფილტვების ანთებით. გარდა ამისა, იწვევს ქრონიკული დაავადებების გამწვავებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**– რომელი დაავადებების დროსაა ეს გრიპი განსაკუთრებით სახიფათო და როგორია საფრთხე ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით?**

– ნებისმიერი ქრონიკული დაავადება, რომელიც მოქმედებს ადამიანის იმუნურ სტატუსზე და სწევს მას დაბლა, შეგვიძლია, რისკ-ჯგუფში შევიყვანოთ, იქნება ეს დიაბეტი, ღვიძლის ქრონიკული დაავადებები, სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები თუ სხვა. ასაკს რაც შეეხება, ზოგადად, გრიპის ვირუსი განსაკუთრებით მგრძნობიარეა დაბალი ასაკისა და 65 წელს გადაცილებულ ადამიანებში, თუმცა ის ერთნაირად საშიაშია ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის და ცალსახად ერთის გამოყოფა არ შეიძლება. კონკრეტულად, წელს ლეტალური შედეგები საშუალოდ მაღალ ასაკში გვაქვს.



**ვინც ღორის გრიპი უკვე გადაიტანა, მისმა ორგანიზმმა, სავარაუდოდ, ანტისხეულები გამოიმუშავა და ამ გრიპის მიმართ იმუნიტეტი აქვს**

**– თუ ღორის გრიპი ერთხელ უკვე გაქვს გადატანილი, ეს იმუნიტეტს გამოგიმუშავებს?**

– დიახ, ზოგადად, გრიპის ვურუსს ახასიათებს დიდხნიანი იმუნიტეტის დატოვება. ვინც ის უკვე გადაიტანა, აქვს, მან, სავარაუდოდ, ანტისხეულები გამოიმუშავა და ამ გრიპის მიმართ იმუნიტეტი აქვს.

**– რა უნდა იყოს ჩვენი პირველი ნაბიჯი აღნიშნული სიმპტომების შენიშვნისას?**

– აუცილებლად უნდა გაიაროთ ექიმთან კონსულტაცია. აუცილებელი არაა სასწრაფოს გამოძახება, ამ საქმეში უკვე რამდენიმე პოლიკლინიკაა ჩართული და ისინი 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ. შეგიძლიათ, მიმართოთ ოჯახის ექიმს. ღორის გრიპის მკურნალობის გზები არაფრით განსხვავდება სხვა სეზონური გრიპების მკურნალობის მეთოდებისგან, თუმცა, ინდივიდუალურ შემთხვევებში, ექიმის მიერ ხდება საჭირო მეთოდის განსაზღვრა.

**– თავდაცვის გზები როგორია?**

– თავდაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა იმუნიზაცია, ანუ გრიპზე აცრა. ეს უნდა მოხდეს სეზონის დასაწყისში, დაახლოებით სექტემბერში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში გვყავს გრიპიანი პაციენტი, უნდა ვეცადოთ მის იზოლირებას და მოვათავსოთ ცალკე ოთახში, რადგან გრიპი წვეთოვანი ინფექციაა, რომელიც დაცემინებითა და დახველებით ორ მეტრ რადიუსზე ვრცელდება. აუცილებელია ნიღბები, პაციენტის ოთახის სველი წესით დალაგება და ხშირი განიავება. გრიპის ვირუსის ძირითადი გადამტანი ხელებია, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი ხელების ხშირად დაბანაა.

**– ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ანტივირუსული საშუალებების გამოყენება. ამის გაკეთება დამოუკიდებლად შეგვიძლია თუ აქაც ექიმის ჩარევაა საჭირო?**

– პროფილაქტიკის მიზნით ანტივირუსული საშუალებების მიღება ცოტა სპეციფიკურია, რადგან გრიპის ვირუსი შეიძლება იმ კონკრეულ მომენტში არ დაგემართოს. შესაბამისად, გამოდის, რომ ანტივირუსული საშუალება მთელი გრიპის ვირუსის სეზონის განმავლობაში უნდა ვსვათ. ის იმ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ პროფილაქტიკისთვის, თუ რისკ-ჯგუფებს მივეკუთვნებით. მაგალითად, კონტაქტი გვაქვს დაავადებულ პაციენტთან. ზოგადად, პროფილაქტიკისთვის კარგია ნებისმიერი საშუალება, რომელიც იმუნიტეტს ასწევს, იქნება ეს ჯანსალი ცხოვრების წესი, სწორი კვება, ანუ ვიტამინებით გაჯერებული პროდუქტები და ასე შემდეგ.

**– ბოლო დღეებში, ბავშვები სკოლებიდან და ბაღებიდან დაითხოვეს. ეს პროცესი რამდენ ხანს გაგრძელდება?**

– ბავშვები სკოლებიდან და ბაღებიდან კი არ დაითხოვეს, დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ გამოცხადდა რეკომენდაცია, რომ, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ბაღსა და სკოლაში კონკრეტულ დღეს გააცდენდა ბავშვების 20 პროცენტზე მეტი, სამი დღით შეწყვეტილიყო სწავლა. შესაბამისად, რამდენიმე სასწავლო დაწესებულებამ სწავლა შეწყვიტა, თუმცა მიზეზი მხოლოდ გრიპით მოავადეთა გაცდენები არ იყო. ამას დაემატა გზების დაკეტვა და კიდევ სხვა მიზეზები.

ეს პროცესები გაგრძელდება მანამ, სანამ გრიპი იქნება აქტიურ ფაზაში, ანუ მატების ტენდენციაში – როგორც გასული წლების სეზონების გამოცდილება გვიჩვენებს, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე კვირა, თუმცა, ამ ეტაპზე ამომწურავი პროგნოზების გაკეთება შეუძლებელია.

**ქეთი კაპანაძე**

# რას იწვევს ცხვირში ჩასაწვეთებელი პრეპარატების მუდმივი გამოყენება და როგორ გადადის ჰაიმორიტი ცხვირიდან ყურში

***ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით იზრდება დაავადებათა რიცხვი, მათ შორისაა ჰაიმორიტი, რომელსაც საკმაოდ არასასიამოვნო სიმპტომები ახასიათებს და, თუ დროულად არ ვიმკურნალებთ, შესაძლოა, მძიმე შედეგებამდე მივიდეთ. რა არის ჰაიმორიტი, როგორ მივხვდეთ, რომ ჩვენი ჩივილების მიზეზი ეს დაავადებაა და როგორ ვიმკურნალოთ, ამის შესახებ ოტორინოლარინგოლოგი, ქალბატონი ნინო ჯანგვაძე გვესაუბრა.***

**ნინო ჯანგვაძე**: ჰაიმორიტი არის ჰაიმორის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება. ჰაიმორის ღრუ არის თვალბუდესა და ზედა ყბას შორის არსებული ღრუ, რომელშიც არის ლორწოვანი გარსი. ჰაიმორიტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს: ვირუსული გაციება, ალერგიული ფონი, ცხვირის ძგიდის გამრუდება... როდესაც ბუნებრივი სავალი დახშულია, არ ხდება ჰაიმორის ვინტილაცია და ვითარდება ჰაიმორიტი. ხშირად, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კბილების ინფექციის დროს ხდება ჰაიმორის ღრუს დაზიანება და ჰაიმორიტის განვითარება. კბილის დაბჟენის დროს, შესაძლოა, გაიხვრიტოს ჰაიმორის წიაღი და უცხო სხეულის შიგნით შეღწევამ გამოიწვიოს ანთებითი პროცესი. ეს პრობლემა განსაკუთრებით შემოდგომასა და გაზაფხულზე იმატებს – როცა ვირუსული ფონი იზრდება და ინფექციები ვრცელდება, ამ პერიოდში უფრო ხშირია სინუსიტების მომატება.

**– როგორ მივხვდეთ რომ ჰაიმორიტი გვაქვს?**

– როგორც წესი, ჰაიმორიტის დროს ცხვირიდან იწყება შესქელებული ლორწოვანი გამონადენი, ხშირად ჩირქის სახით. თუმცა, შესაძლოა, ცხვირიდან საერთოდაც არ იყოს გამონადენი, მაგრამ, შეგვაწუხოს თავის ტკივილმა, რომელიც თავის დახრისას განსაკუთრებით მძაფრდება ხოლმე. ჰაიმორიტს ახასიათებს მაღალი ტემპერატურაც. არის შემთხვევა, როდესაც ჩირქი გადადის ცხვირ-ხახაში, ასეთ დროს ადამიანს აქვს ძლიერი ყელის ტკივილი. ჰაიმორიტს ახასიათებს თვალბუდესა და ზედა კბილებზე ზეწოლაც. შესაძლებელია ჰაიმორიტის ცხვირიდან ყურში გადასვლაც; როდესაც ცხვირ-ხახაში მიდის ლორწოვანი გარსის ანთება, ცხვირის უკან გამოდის ევსტახის ლულები, რომლებიც უზრუნველყოფს შუა ყურის ვენტილაციას; თუ შეშუპდა, შუა ყური ჩაიკეტება და ვითარდება ჩირქოვანი ოტიტი.

**– რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ, თუკი დროულად არ ვუმკურნალებთ ჰაიმორიტს?**

– თუ არ ვიმკურნალეთ, ყველაზე საშიში, რაც ქრონიკულმა ჰაიმორიტმა შეიძლება გამოიწვიოს, არის მენინგიტი, ანუ ტვინის გარსის ანთება. თვალბუდის ღრუს ქვედა კედელი არის ჰაიმორის ღრუს ზედა კედელი; მუდმივი ანთებითი პროცესისა და ჩირქის შედეგად, ადრე თუ გვიან, თვალბუდის კედელი განილევა, ძვალი შეიჭმევა და ჩირქი ავა თვალში. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, რომ გამოიწვიოს თვალის საკმაოდ მძიმე დაზიანება – ასეთ დროს თვალი მოდის წინ და, თუ არ ვიმკურნალებთ, შესაძლოა, მხედველობის მკვეთრი გაუარესება გამოიწვიოს.



ხშირად, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კბილების ინფექციის დროს ხდება ჰაიმორის ღრუს დაზიანება და ჰაიმორიტის განვითარება

**– როგორ შევუშალოთ ხელი ჰაიმორიტის განვითარებას?**

– როგორც კი ცხვირში გავიჭედებით და გაგვიჭირდება სუნთქვა, თუ მაშინვე დავიწყებთ ცხვირში გამხსნელი წვეთების გამოყენებას და არ მივცემთ ბუნებრივ სავალ გზებს ჩაკეტვისა და დაბლოკვის საშუალებას, ამით შევძლებთ ჰაიმორიტის განვითარების თავიდან აცილებას.

**– როგორ ვუმკურნალოთ ჰაიმორიტს?**

– სახლის პირობებში ხშირად მკურნალობენ ყოჩივარდას ნაყენით, რომელიც იწვევს წვას და, როგორც წესი, მისი ჩაწვეთების შემდეგ მოსდით ცრემლები. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ცხვირში ჩასაწვეთებელი პრეპარატების დანიშნულებაა, რომ გახსნას ბუნებრივი სავალი და მოახდინოს ჩირქის ევაკუაცია. როდესაც ჰაიმორიტი გრძელდება 2 კვირაზე მეტხანს, დიდი შანსია, რომ ჩამოყალიბდეს ქრონიკული ჰაიმორიტი და ყოველ გაციებაზე ჰაიმორის ღრუში ჩადგეს ჩირქი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეს დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება და საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა. ოპერაციის დროს ვაფართოებთ და ვასუფთავებთ ჰაიმორის ღრუს კედლებს.

**– რა შემთხვევაში იყენებენ ცხვირში ჩასაწვეთებელ პრეპარატებს მუდმივად და რა უკუჩვენება შეიძლება გამოიწვიოს ამან?**

– ცხვირში არის სამი ნიჟარა: ქვემო, შუა და ზედა. ძირითადად პრობლემურია ქვედა ნიჟარა. როდესაც ქვედა ნიჟარა გაფუებულია და არ ხორციელდება სრულყოფილი სუნთქვა, ასეთ დროს ხშირად იყენებენ ცხვირის წვეთებს, რომელიც ხელს უწყობს ნიჟარების შეჭმუხნას, მაგრამ ეს არ არის მკურნალობა, ასეთ დროს ადამიანები დამოკიდებულები ხდებიან იმ წვეთებზე და, რეალურად, არ მკურნალობენ. ექიმები ამას კატეგორიულად ვკრძალავთ. ნებისმიერი პრეპარატის ცხვირში მუდმივად ჩაწვეთება იკრძალება. მკურნალობაც, მაქსიმუმ, 7-დან 10 დღემდე გრძელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაზოკონსტრიქტორი, რომელიც მუდმივად ჭმუხნის ნიჟარებს, დროთა განმავლობაში იწვევს თავის ტკივილს, წნევის ცვალებადობას, უკიდურეს შემთხვევაში – განილევა ლორწოვანი გარსი და ოპერაციაც კი შეუძლებელი გახდება.

**– არის თუ არა ჰაიმორიტი 21-ე საუკუნის დაავადება?**

– დიახ. გამონაბოლქვი, ცუდი ეკოლოგიური პირობები, ალერგენების მომატება, არაჯანსაღი საკვები – ეს ყველაფერი ხდება ლორწოვანის გაფუების მიზეზი, რაც ხელს უწყობს ჰაიმორიტის განვითარებას.

**ნინო კანდელაკი**


წიგნი, რომელიც ყველა ოჯახში უნდა იყოს

პირველად საქართველოში!




გამოვიდა საოჯახო წიგნი „სამკურნალო პროფილაქტიკური სამზარეულო".
მისი შეძენა შეგიძლიათ საეკლესიო მაღაზიებში.

# ბრძნული აზრები

**ბირკე**: დიპლომატია არის პატრიოტული ხელოვნება, გასამრჯელოს ფასად იცრუო შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ბალზაკი**: ადამიანს ვერავინ მოატყუებდა, თვითონ რომ არ იტყუებდეს თავს.

**ტალეირანი**: არცერთი განშორება ისე მძიმე არ არის, როგორც ხელისუფლებასთან დამშვიდობება.

**შოუ**: მშვიდობა მიზანი არ არის, მხოლოდ გამოსავალია.

**მაკიაველი**: როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი უნდა შევიკავოთ იმაზე მსჯელობისგან, სამართლიანია თუ არა ესა თუ ის გადაწყვეტილება; ანგარიში არ უნდა გავუწიოთ არავითარ თვალსაზრისს და მივიღოთ მხოლოდ ისეთი დებულება, რომელიც ხელს უწყობს მისი არსებობისა და თავისუფლების შენარჩუნებას.

**დე გოლი**: თუ ფრანგ ხალხს არ შესწევს იმის ძალა, რომ დაუხმარებლად აღორძინოს ქვეყანა, მაშინ იგი ღირსია, აღიგავოს პირისაგან მიწისა.

**კენედი**: წესიერი ადამიანები ვერ დასხდებიან გულხელდაკრეფილნი და ვერ უყურებენ, როგორ ანადგურებს სხვა ადამიანებს სახელმწიფო.

**იუნგი**: ვალი ყველა სხვა მახეს ჰგავს: მასში მოხვედრა სავსებით ადვილია, მაგრამ გამოსვლა – საკმაოდ ძნელი.

**თაგორი**: სულელსა და უმეცარს ხუთი ნიშანი აქვს: უმიზეზოდ გული მოსდის; ლაპარაკობს უმიზნოდ; ბოდიშს იხდის და არ იცის, რისთვის; ერევა ისეთ საკითხებში, რაც მას საერთოდ არ ეხება და, ვერ ასხვავებს, ვის სურს მისთვის კარგი და ვის – ავი.

**ტურ ჰეიერდალი**: შეიძლება იყოს 20 წლის გენიალური პოეტი, ქიმიკოსი, ფიზიკოსი და ასე შემდეგ, მაგრამ, არ შეიძლება, იყოს 20 წლის გენიალური მმართველი.

**ლაო ძი**: განათლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიბრძნეს, მმართველს კი სიბრძნე უფრო სჭირდება, ვიდრე ჭკუა.

**მარკუსი**: ბელადი მაშინ ჩნდება, როცა უკვე არსებობენ მისი მიმდევრები.

**მუხრანი**: იცის რა ცოტამ და რაოდენ მისაბაძია, სევდას, ვაებას იმედი რომ ებრძვის პაწია.

**ოთარ ჭილაძე**: მწერლობაში რომ გამოჩნდე, ან სხვაზე კარგი უნდა შექმნა რამე, ან შენზე კარგი უნდა მოსპო.

**გოეთე**: თუ ადამიანმა დაიწყო თავისი ორგანიზმის ან სულიერი მდგომარეობის შესწავლა, იგი აუცილებლად ჩათვლის თავს ავადმყოფად.

**გრაფი**: სარკე, რომლისაც ქალებს ნამდვილად სჯერათ – მამაკაცის თვალებია.

**მორგანი**: ქალს შეუძლია, მოატყუოს ასი მამაკაცი, მაგრამ ერთი ქალის მოტყუებასაც ვერ შეძლებს.

# თუ გამოიცნობთ

1. ჩვეულებრივ, ჰაერში გადაადგილება უფრო ადვილია, ვიდრე წყალში. თვითმფრინავის სიჩქარე საათში რამდენიმე ათასი კილომეტრია, გემისა – მაქსიმუმ, ასი კილომეტრი. **რა მოძრაობს წყალში ხუთჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ჰაერში?**

2. ერთი ლეგენდის თანახმად, ლუდოვიკო მეთოთხმეტის მიერ წარმოთქმული ფრაზის პასუხად მისმა ფავორიტმა ქალბატონმა თქვა: „ალბათ, მართლაც ასეა, მაგრამ თქვენო უდიდებულესობავ, როგორ შევიყვარო მთელი სახელმწიფო?" **რა წარმოთქვა ლუდოვიკომ?**

3. ელდარ რიაზანოვი იხსენებდა, რომ 1980 წლის ივლისის ბოლოს, ერთ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში იმ დროს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები იმართებოდა, ტაგანის მოედანზე მდებარე თეატრთან („ტაგანკასთან") ურიცხვი ხალხი შეიკრიბა. მიუხედავად ასეთი არაჩვეულებრივი ხალხმრავლობისა, პრესას და ტელევიზიას ეს არ გაუშუქებია. მხოლოდ „ვეჩერნაია მოსკვამ" განათავსა ცნობა იმ მოვლენის შესახებ, რამაც ხალხის თავმოყრა გამოიწვია. **რა მოვლენა იყო ეს?**

4. ფიზიკოსებმა (ბირთული ფიზიკის სპეციალისტებმა) მიწას, რომელიც მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შემდეგ ყვითლდებოდა, „ლიმონის ქვეყანა" („სტრანა ლიმონია") უწოდეს. **დაასახელეთ, რა ადგილია ეს?**

5. ალექსანდრე მაკედონელმა სპარსელების დამარცხების შემდეგ ხელში ჩაიგდო თვალმარგალიტით მოჭედილი ოქროს ზარდახშა, რომელშიც ინახავდა თავის ყველაზე დიდ „სიმდიდრეს". **რას?**

6. თავიდან სპორტის ამ სახეობას ბერძნული ერქვა, მერე ისე უწოდებდნენ, როგორც ახლა; მოგვიანებით, ფრანგული შეარქვეს, ხოლო შემდეგ – კლასიკური. **რა ჰქვია მას ახლა?**

7. ფრანკლინიც და ვაშინგტონიც ისტორიული პიროვნებები არიან. ძნელია თქმა, რომლის მოღვაწეობა იყო უფრო შედეგიანი და სასარგებლო. მაგრამ, არის ერთი მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ფრანკლინი ასჯერ სჯობს ვაშინგტონს. **რა არის ეს?**

8. 1813-1818 წლებში ინგლისური საზოგადოების სალონებში და მეჯლისებზე ყველაზე მოდური და სასურველი პიროვნება იყო ბაირონი. ბევრი მამაკაცი ცდილობდა, ყველაფერში მისთვის მიებაძა და სწორედ ამიტომ ამბობდნენ უარს... **რაზე?**

9. არსებობს მისი 14 ნაირსახეობა, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია ბარიტონი, ტენორი, ალტო და სოპრანო. მისი სამშობლოა ბელგია. **რა არის ეს?**

10. ეს სიტყვა არაბულად „მოადგილეს" ნიშნავს. თუმცა, ყოველთვის მმართველთა ტიტულად იხმარებოდა და აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ისინი ალაჰის მოადგილეები იყვნენ დედამიწაზე. **რა სიტყვაა ეს?**

***პასუხები იხილეთ 49-ე გვერდზე***

# რა მოხდა ამ დღეს

## 1 თებერვალი

1851 – ნავსადგურ კილის აკვატორიაში (გერმანია) გამოსცადეს მსოფლიოში პირველი წყალქვეშა ნავი „Le plongeur-Marine".

1951 – ბირთვული ბომბის მესამე გამოცდა ნევადაში გადაიცა პირდაპირ სატელევიზიო ეთერში.

## 2 თებერვალი

962 – გერმანიის მეფე ოტო პირველმა, რომის პაპ იოანე მეთორმეტის ლოცვა-კურთხევით, დააარსა „საღვთო რომის იმპერია".

1852 – ლონდონში ფლიტ-სტრიტზე გაიხსნა მსოფლიოში პირველი საზოგადოებრივი საპირფარეშო.

1947 – ბაზარზე გამოვიდა „პოლაროიდის" ფირმის პირველი ფოტოაპარატები, სურათის მომენტალური გამჟღავნებითა და დაბეჭდვით.

## 3 თებერვალი

1863 – თავისი პირველი იუმორისტული ნაწარმოები გამოაქვეყნა სემუელ კლემენსმა – ფსევდონიმით მარკ ტვენი.

1930 – პირველად ინდოეთის უმაღლესი საბჭოს წევრი გახდა უმდაბლესი კასტის წარმომადგენელი.

## 4 თებერვალი

1906 – ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში გადაწყვიტეს დამნაშავეთა იდენტიფიკაციისას თითის ანაბეჭდების გამოყენება.

1971 – ბანკროტად გამოცხადდა ფირმა „როლს-როისი".

## 5 თებერვალი

1816 – რომში შედგა პრემიერა ჯოაკინო როსინის ოპერისა „სევილიელი დალაქი".

1983 – დანიაში ქალაქ ოდენკში, მაკულატურის გროვაში შემთხვევით იპოვნეს მოცარტის უცნობი სიმფონია.

1991 – ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეს ეწოდა – ბიშკეკი.

## 6 თებერვალი

1191 – რომი პაპმა კლიმენტი მესამემ დაარსა ტევტონთა ორდენი.

1901 – პარიზს რკინიგზის სადგურებზე პირველად გაჩნდა ტელეფონის ჯიხურები.

## 7 თებერვალი

1914 – ჩარლი ჩაპლინი პირველად გამოჩნდა ეკრანებზე თავისი ჩვეული სახით – ტროსტით, პატარა ულვაშებით, შლაპით.

1922 – მარია კიური გახდა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ქალი წევრი.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1 . მb7; მფd5. 2. ლe4≠**



**მერაბ გეგეჭკორის ანეკდოტები**

შუა გაგანია ომის დროს, გურული სანგარშია და განწირული ხმით ყვირის:

– ექიმიი... ექიმიიი.. ჩქარა ექიმიი!..

– რა გჭირს, დაგჭრეს?

– არა, ძამა, მარა, აქანე ისე სროილობენ, რო დევიჭრა, მერე სა ვეძიო ექიმი?

***

შვილი მიირბენს დედასთან და ეკითხება:

– დედა, მე ნაშვილები ვარ?

– არა, შვილო, ეგრე რომ ყოფილიყო, როგორ გგონია, შენ აგირჩევდი?

***

სვანს ეკითხებიან:

– დათვლა იცი?

– კი, ვიცი.

– აბა, თუ იცი, მითხარი, ორმოცის მერე რა მოდის?

– წლისთავი!

***

სომეხი მამა-შვილის საუბარი:

– მამა, მთვარეზე ვინმე ცხოვრობს?

– რავი, შვილო, შუქი კი სულ უნთიათ და...

***

ჭიჭიკია უყვება ძმაკაცს:

– ბიჭო, პანაშვიდზე მივდიოდით და ჩემმა ცოლმა ისეთი ძვირიანი ყვავილები მაყიდინა, რომ შევედით, მკვდარმა ტაში შემოსცხო.

***

მეზობელი კაცების საუბარი:

– ჩემი ცოლი კარატეზე შევიდა.

– მერე?

– რა მერე... ვისწავლე სახლის დალაგება, დარეცხვა, დაუთოება, იატაკის გამოწმენდა და ჭურჭლის დარეცხვაზე ხომ საერთოდ ვაბოდებ...

***

სვანი გრამატიკის გაკვეთილზეა. მასწავლებელი სვამს კითხვას:

– აბა, ბავშვებო, მე ვიბან, შენ იბან, ის იბანს... რა დროა?

სვანი:

– ახალი წელი!

***

საკანში შესულ ზედამხედველს პატიმრები შესჩივლებენ:

– გურული სხვა საკანში გადაიყვანეთ რა...

– რატომ?

– ანეკდოტებს ყვება და არ გვაძინებს.

– ღამით ყვება?

– არა, დღე ყვება, მაგრამ რაჭველი მთელი ღამე იცინის.

**ვლად არამოვის ანეკდოტები**

– რა ქნა შენმა შვილმა გამოცდაზე? სად მოხვდა?

– გვერდებში!

***

მამას ეკითხება ბავშვი:

– მამი, რატომ გამოიგონეს თეთრი შოკოლადი?

– იმიტომ, რომ ზანგმა ბავშვებმაც შეძლონ პირის მოთხუპნა.

***

წარწერა გურულის ჭიშკარზე: „ზარი არ მუშაობს, გაალიზიანეთ ძაღლი!“

***

ერთი გურული ეუბნება მეორეს:

– შენს ცოლს რომ დევინახავ, ძამა, სულ მიხარია.

– რეიზა გიხარია კი მარა?

– რეიზა და იმიზა, ჩემი ცოლი რომ არაა.

***

სომეხი ბავშვი ეუბნება მამას:

– მამა, ახალ წელს ნაძვის ხე გვექნება თუ ისევ ტირილი მოვრთოთ?

***

ბიჭი გოგოს:

– ნინი, ცხოველები გიყვარს?

– კი, ძალიან.

– ხოდა, გამომყევი ცოლად, იცი, რა საქონელი ვარ?!

***

– ექიმო, მითხარით, გრიპი მაქვს?

– დიახ.

– ღორის?

– დიახ.

– დარწმუნებული ხართ?

– აბსოლუტურად. მხოლოდ ღორს შეეძლო, დილის 6 საათზე გამოვეძახე, იმის გამო, რომ თერმომეტრზე სიცხე 36,7 გრადუსს უჩვენებდა.

***

– ჭიჭიკია, რა საერთოა ჭკვიან ქერა გოგოსა და უცხოპლანეტელს შორის?



– ამბობენ, რომ ის არსებობს, მაგრამ არავის უნახავს.

***

– გუშინ პირველად წავედი სანადიროდ.

– მერე?

– 13 გასროლის შემდეგ, იხვი მოკვდა... სიცილით.

***

– სკოლაში შრომის მასწავლებელსა და ფიზკულტურის მასწავლებელს შორის მოხდა ჩხუბი.

– მერე?

– გაიმარჯვა შრომის მასწავლებელმა. კარატე კარატეა, მაგრამ ჩაქუჩი მაინც ჩაქუჩობს.

## როგორ გაიხსნა მსხვილი დანაშაული პანაშვიდზე

ავლაბარში ერთი კაცი ცხოვრობდა, ვინმე ვანო ქონდარელი, რომელსაც „აბლაბუდას“ ეძახდნენ. მოშავო ტიპი იყო, მაგრამ სერიოზულს არაფერს აშავებდა და არ ვაწუხებდით. აბლაბუდა რომ გარდაიცვალა, მის პანაშვიდებზე რიგრიგობით დავდიოდით გადაცმული ოპერები, თან, ყველაფერს ფარულად ვიღებდით. ვიცოდით, რომ იქ შავებიც მივიდოდნენ და იქნებ ძებნილ ბოროტმოქმედს გადავყროდით და დაგვეჭირა.



ერთ-ერთ პანაშვიდზე მე ვმორიგეობდი. საღამოა. პანაშვიდი დაიწყო და ხალხის ნაკადმა ნელნელა იმატა. განსვენებულის მეუღლე კუბოსთან იჯდა და რაც უფრო მეტი ხალხი მოდიოდა, ხმასაც შესაბამისად უწევდა და გოდებდა. როცა სამძიმარზე ცნობილი ნარკომანი „პანტა“ მოვიდა, იმ ქალმა ასეთი ფრაზით ამცნო გარდაცვალებულს მისი გამოჩენა: „ადე, აბლაბუდ, პანტას შეეგებე და შენებურად უთხარი: ორ-ორი კუბი შევიშხაპუნოთო“. ერთი სიტყვით, აბლაბუდას ცოლის ფრაზებზე სიცილს ძლივს ვიკავებდით.

პანაშვიდი უკვე მთავრდებოდა, როდესაც ოთახში ერთი შავგვრემანი კაცი შემოვიდა და ცოლმა აბლაბუდას დაატირა: „ადე, ადე, აბლაბუდ! შენი ზახარა მოვიდა. შეეგებე და შენებურად უთხარი: „სტო ტისჩი ჩამომიბეჭდეო...“ კაცი ამ სიტყვებზე შეცბა. კუბოს წრე დაარტყა და სწრაფად წავიდა. ჩვენ მას გავყევით. ასიოდე მეტრში დავაკავეთ და მილიციაში წავიყვანეთ. ის კაცი ვინმე ზახარ შაროევი იყო, რომელსაც სახლში ფულის საბეჭდი დაზგა აღმოვუჩინეთ. როგორც გაირკვა, შაროევი და აბლაბუდა ყალბ ფულებს ამზადებდნენ და რუსეთში ავრცელებდნენ.

**ნოდარ ხვადაგიანის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

### აბა, წავედით, ბიჭებო!

– გამარჯობა, ნიაზ! – მიესალმა ნაცნობი.

– გაგიმარჯოს. იცი, რა? პურმარილი – შენი, ღვინო – ჩემი, – მიახალა უცებ.

– კი, შენი ჭირიმე! – გაუხარდა ნიაზთან მოსალოდნელი ქეიფი ნაცნობს.

– გამარჯობა, ნიაზ! – მიესალმა კიდევ ერთი.

– გაგიმარჯოს. მოდი აქ.

მივიდა.

– იცი, რა? ღვინო – შენი, პურმარილი – ჩემი. მოდის?

– უჰ, შენი ჭირიმე, – აღფრთოვანდა მეორეც.

– აბა, წავედით, ბიჭებო! – ნიაზმა ორთავეს მოჰხვია ხელი.

**მომღერალმა დათო ფორჩხიძემ, ჯგუფ „სახის“ შემდეგ, მუსიკალური კონკურსის – „ვოისის“ სამგზის ჩემპიონობით დაამახსოვრა საზოგადოებას თავი. ამჟამად ის თავის ბენდთან ერთად „იმედზე,“ „ილო ბეროშვილის შოუში“ უკრავს; აქვს სტუდია დათო ხუჯაძესთან ერთად, სადაც ბავშვები ვოკალში იღებენ განათლებას. როგორც დათო ამბობს, შოუ-ბიზნესის აყვავებას აპირებს საქართველოში, რასთან დაკავშირებითაც უკვე სერიოზული გეგმები აქვს.**

# რა დალი დაასვა დათო ფორჩხიძეს „ვოისში“ მუშაობამ და რატომ არ იცოდა მან, რომ სიმღერის მოპარვა შეიძლება

**დათო ფორჩხიძე**: სულ ვაპირებ შოუ-ბიზნესის აყვავებას სიმღერების დაწერით. ძველი ყველაფერი მომბეზრდა. სიახლე მინდა გავაკეთო, რისთვისაც ძალიან სერიოზულად ვემზადები, რომ შევქმნა ახალი სიმღერები, რომლებიც იქნება აქტუალური, თანამედროვე და იქნება ქართულ ენაზე. თუ მოვახერხებთ იმას, რომ მსმენელი ამისკენ მოვაბრუნოთ, რატომღაც, მგონია, რომ ეს იქნება უნიკალური შემთხვევა.

**– არის დღეს მოთხოვნა, რომ ახალი ქართული სიმღერები გაკეთდეს? გაამართლებს ეს მიდგომა?**

– რაღაცას რომ გააკეთებ და არ გაიყიდება, მაშინ შეიძლება თქვა, რომ მოთხოვნა არ არისო. აი, მე, მაგალითად, კარგი ბენდი და მომღერლები მყავს. ჩავატარეთ კონცერტი და პირველი 45 წუთი ვასრულებდით ცნობილი უცხოური სიმღერების ქავერებს, რაც მაღალ დონეზე გვაქვს გაკეთებულ-გარჩეული. საერთოდ არ აგვყვა მსმენელი, რომელთა უდიდესი ნაწილი იყო პატარა ასაკის. მომდევნო 45 წუთი მთლიანად „სახის“ რეპერტუარს დავუთმეთ და ყველა ამღერდა და აცეკვდა. ერთი მომენტია, რა: სიმღერა კარგი უნდა დაწერო და გააპიარო. ამას წინათ ვიყავი კრის ბოტის კონცერტზე. არ წავედი დიდი ენთუზიაზმით – ასე თუ ისე, ვიცი ეს ადამიანი. იმ მუსიკოსებმა, რომლებიც იქ უკანა ფონზე უკრავენ, ისეთი დონე აჩვენეს, რომ წამოვედი, ვფიქრობდი: იმათაც მუსიკოსები ჰქვიათ და მეც-მეთქი?! კრის ბოტის ადგილას, ცოტა შემრცხვებოდა. ვირტუოზები უკრავდნენ. მე რომ გამეგო, პრობლემა არ იყო, მუსიკოსი ვარ, მაგრამ, დამსწრე საზოგადოებასაც ისე მიაწოდეს, რომ ყველამ გაიგო და აღფრთოვანებული დარჩნენ. ამიტომ, თუ მსმენელს მაღალ დონეს შესთავაზებ, ქართველი მსმენელიც გაიგებს, მაგრამ, კარგის შეთავაზებაა რთული, უდიდეს შრომას მოითხოვს. ახლა ჩემი შექმნილი რამდენიმე გიგანტი დამყურებს და მეუბნება: „დამთავრდა, დათო ფორჩხიძე, უკეთესს ვერ შექმნი“, მაგრამ მე აუცილებლად უნდა მოვერიო, თორემ, გამოვა, რომ ჩემი ცხოვრების მეორე ნახევარი მხოლოდ „ვოისით“ შემოიფარგლა.



მე, მაგალითად, ძალიან მომბეზრდებოდა ვიღაც ფორჩხიძე, რომელიც ზედიზედ იგებს

**– კიდევ იქნებოდით თუ არა „ვოისის“ ჟიურის წევრი?**

– არ ვიყავი და, ესე იგი, არ ვიქნებოდი. მე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ, „ვოისი“' გავლილი ეტაპია. განა შრომა, ის ემოციები და განცდები მეზარება, რაც მას ახლავს, მაგრამ, რაღა გავაკეთო? მუღამი, რომ ამდენჯერ მოვიგე, ძალიან სასაცილო თემაა. ამან იმუშავა ის სამი სეზონი და აწი აღარ იმუშავებს. მე, მაგალითად, ძალიან მომბეზრდებოდა ვიღაც ფორჩხიძე, რომელიც ზედიზედ იგებს. მე იმიტომ მოვიგე, რომ ვშრომობდი, ვმუშაობდი და სურვილი მქონდა და; რომ თავის დროზე „სახე“ იყო ძალიან მაგარი. მახსოვს ჩემს პირველ კონცერტზე ჩემს მეგობარს ბილეთი რომ მივეცი, მერე მიამბო: „რომ მივედი, ჩემს ადგილზე ვიღაც ფეხმძიმე გოგო იჯდა. ვანახე ბილეთი და ვუთხარი, რომ ეს ჩემი ადგილია, მაგრამ, ფეხმძიმე ქალი ხარ და არ აგაყენებ-მეთქი. იქვე სამი კაცი შემომიტრიალდა და მითხრა – ეს ჩვენ უკვე არ ავაყენეთ, ჩვენც ამ ადგილის ბილეთი გვაქვსო.” ოთხ-ოთხი ბილეთი იყო ერთ ადგილზე. „სახეს“ რომ ვუსმენ, ყველაზე თანამედროვედ ისმინება. იმ ჩემს სიმღერებს დღეს პატარა ბავშვებიც მღერიან. ის, რომ წითელ სავარძელზე ზიხარ, ძალიან მაგარია, მაგრამ, მე ხომ გადავხედე ახლა – მაშინ, როცა პატარა ბიჭი ვიყავი, ოციოცდაათი ათასი კაცი მღეროდა ჩემს სიმღერებს, და სამჯერ ზედიზედ მოვიგე „ვოისი“. იმდენად მსუბუქია ამ მოგებების წონა „სახესთან“ შედარებით, რომ, ერთ მხარეს გრამი დევს და, მეორე მხარეს – ტონა. მე როცა წავალ ამქვეყნიდან ჩემი სიმღერებით გამიხსენებენ და არა ამ „ვოისის“ გამარჯვებებით.

**– „ვოისის“ მერე საინტერესო აღმოჩნდა თქვენთვის „შალვა რამიშვილის შოუში“ მუშაობა?**

– ძალიან კარგი შოუა. „ვოისში,“ შეიძლება, ინდივიდუალურად, პირადად უფრო გამოვჩნდი – ამდენი ჩემპიონობა, ამდენი გამარჯვებები... მაგრამ, იმ მუსიკამ, რომელიც იქ იყო, შეიძლება ითქვას, დალი დამასვა. რასაც იქ მღეროდნენ, მე ის მუსიკა არ მიყვარს. ვოკალურ მუსიკაში ვიყავი გადავარდნილი, თანამედროვე მუსიკას, რომელშიც ვოკალი ნაკლებ მნიშვნელოვანია და რომელიც მე მიყვარს, ვერ ვაკეთებდი და, აი, ამან დამღალა. ბევრს აქვს წარმოდგენა, რომ, იმ შოუში, რომელშიც ახლა ვარ, დაბალი დონის მუსიკა კეთდება, თუმცა მე ასე არ მიმაჩნია. როდესაც პროფესიონალი მომღერლები მოდიან ჩვენთან და ასრულებენ, ისინიც აღნიშნავენ, რომ ჩვენ ტექნიკურად ისე ვართ გამართული და ისეთ პირობებს ვუქმნით, როგორიც უფრო მაღალბიუჯეტიან შოუებშიც არ არის. ჩვენთან გაცილებით კარგად მღერიან, ვიდრე სხვა შოუებში, ისეთ პირობებს ვუქმნით. მე სულ ვამბობ, რომ ორი ყველაზე მაგარი მუსიკოსი პროდიუსერი ვიცი, ვინც შეიძლება დავასახელო: ლეგენდარული რობერტ ბარძიმაშვილი და შალვა რამიშვილი. შალვა არის ყველაზე მაგარი, „ჰაი-კლასის“ მუსიკოსშემფასებელი. ის ძალიან თანამედროვე და გემოვნებიან სიმღერებს უსმენს დღემდე, ჩემზე გაცილებით ადრე იგებს ყველა სიახლეს და მერე განვიხილავ.

**– ბავშვებთან მუშაობთ. როგორი თაობა მოდის მუსიკის თვალსაზრისით?**

– ჩვენ მეორე წელია, სტუდიაში ვმუშაობთ, ჩავატარეთ კონცერტები, ბავშვები კარგად მღერიან და, მერე აღმოვაჩინეთ ასეთი რაღაც, რომ, გვგონია, გვყავს ბავშვები, რომლებსაც ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გაუშვებდი ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ კონკურსზე, მაგრამ, იმ ქვეყნების საუკეთესო ბავშვების გვერდით რომ დააყენო, ველარ მღერიან. მერე შევიმუშავეთ გეგმა, რომ ამათ ქართული სიმღერები უნდა ვასწავლოთ, რადგან ინგლისური თავისი ჟღერადობით მოაქვთ, ბგერა ეკარგებათ და საერთოდ ვერ აკეთებენ ტრანსფორმაციას ქართულ ენაზე. მახსოვს, სალომე ქათამაძეც კი, რომელიც იყო მწვერვალი, ყველაზე დიდი იმპროვიზატორი, ვინც კი მინახავს და მაგაზე მაგარი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ გვეყოლება, მაგასაც კი, სულ ვეუბნებოდი: „აქედან ის წამოიღე, იქიდან ეს წამოიღე, ექსპერიმენტები ატარე“. ეს ბავშვები „კოპირებები” ხდებიან. იგივე ხდება საქართველოში საავტორო მუსიკის შემსრულებლებთან დაკავშირებით – ცუდი მოღერლები არიან. ავტორები, რომლებიც თავიანთ მუსიკას ქმნიან და ასრულებენ, 80 პროცენტი მღერის ცუდად. ვინც კარგად მღერის, ეძებს მოტივაციას, გზას, რომ წავიდეს რაღაც კონკურსზე და ბინა მოიგოს. იმეორებენ უცხოურ თანამედროვე ჰიტებს და იგებს ერთი.

**– თქვენი შვილები მუსიკალურები არიან?**

– სამი შვილი მყავს – ორი გოგო და ერთი ბიჭი. კარგად მღერიან, ჩემთან დადიან სტუდიაში. უფროსი გოგო, ნანუკა, რომელიც 14 წლისაა, ბარსელონა-სევილიის თამაშზე მღეროდა. შვილებთან ძალიან ვმეგობრობ. უფროსთან ფანტასტიკური ურთიერთობა მაქვს და, იმედია, ჩემს სახელს არასდროს შეარცხვენს. ჩემი შვილი უფრო მაგარი უნდა გამოვიდეს, მას მამა ჰყავს მრჩეველი. უმცროსი ბიჭი ჯერ 5 წლისაა და ვერ ვძმაკაცობთ. ჩემი თაობის მშობლებს სულ ვეუბნები, რომ მეტი დრო გაატარონ შვილებთან; რომ ადრინდელი მკაცრი მიდგომები უკვე არ გაჭრის. იმხელა ინფორმაცია აქვთ ახლანდელ ბავშვებს, ყველაფერი იციან, ბოლობოლო, ადგებიან და გიჩივლებენ. მახსოვს, ერთხელ, სიმღერა დავწერე სიყვარულზე, მაშინ 14-15 წლისა ვიქნებოდი. ჩემი მეზობელი იყო სერგო დალაქიშვილი, მუსიკოსი და, მას რომ მოვასმენინე, მითხრა, ეს სიმღერა საიდან მოიპარეო. რა მოვიპარე-მეთქი – შოკში ჩავვარდი, ისიც კი ვერ წარმომედგინა, რომ მუსიკის მოპარვა შესაძლებელი იყო. ჩემი მეუღლე ძალიან მიდგას გვერდით. „ვოისში“ ისე მგულშემატკივრობდა, ჩემთან ერთად განიცდიდა და უხაროდა. სტუდიაში მუშაობს ჩემთან. სიყვარულიც ამას მოაქვს, რომ საერთო ინტერესები გვაქვს, საერთო რაღაცეები, როცა ხვდები, რომ ამ ნივთს ველარ გაიყოფთ – აღარც შენ გამოგადგება ის ნახევარი და აღარც მას; ჩვენს შვილს ჩვენთან რომ უნდა ეძინოს და არა მასთან ან ჩემთან – აი, ეს არის სიყვარული.

**ხათუნა კორთხონჯია**

# ვის „გამოექცა“ მოსკოვიდან თბილისში მარიამ მათურელი და რატომ უთხრა მან მოსკოვში ცნობილ ბიზნესმენს ცოლობაზე უარი

***სამოსის ქართული ბრენდი MATURELLI, რომელსაც სათავეში ნიჭიერი, ახალგაზრდა დიზაინერი მარიამ მათურელი უდგას და რომელიც მოსკოვში, დაახლოებით 4 წლის წინ შეიქმნა, ნელ-ნელა კიდევ უფრო წარმატებული ხდება. რაც მთავარია, დიზაინერის ხელწერას ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ადგილას ამოიცნობთ. თუმცა, მარიამის კარიერა ამით არ დაწყებულა. 23 წლის გოგონამ საკმაოდ რთული პერიოდი გაიარა, მაგრამ ქართული ხასიათი ყველგან და ყველაფერში ეხმარებოდა.***

**მარიამ მათურელი**: სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის თვალწინ მედგა მზე, საოცარი ფერები, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობაში, საქართველოში ცხოვრებისას აღვიქვამდი. იმ საქმეში, რომელსაც ხელს ვკიდებდი, მუდმივად გადამქონდა ნათელი ფერები და ყველა ხვდებოდა, რომ ისეთი საოცარი ქვეყნიდან ვიყავი, როგორიც საქართველოა – თბილი, მზიანი, ნათელი, ულამაზესი ბუნებით. ჩემი ბავშვობის მოგონებები, რომელსაც ისეთმა მეგაპოლისმა, როგორიც მოსკოვია, ვერაფერი დააკლო, ნელ-ნელა ჩემს კაბებში გადმოვიტანე, რომლებიც მხოლოდ მოსკოვში არ იყიდება. ხშირად ვაგზავნით მათ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის: საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, უკრაინაში. ადამიანები მუდმივად ხედავდნენ ამ საოცარ ფერებს და განსაკუთრებით ამის გამო ინტერესდებოდნენ. უცხოეთში მცხოვრები ბევრი ქართველი ყიდულობს ჩემს კაბებს და როგორც თავად ამბობენ, მათი ტარებისას ცოტა ხნით საკუთარ ქვეყანაში ბრუნდებიან.

**– როგორია შენი შინაგანი სამყარო?**

– ძალიან ექსპრესიული. ბოლო პერიოდში საკუთარი თავის ანალიზით ვარ დაკავებული და ბევრ უცნაურ რაღაცას ვპოულობ. ხომ ამბობენ, ხელოვანი ხალხი ცოტა „სტრანნიაო“. მე ჩემი თავი ჩვეულებრივი მეგონა, მაგრამ ასე არ ყოფილა. მთლიანობაში ვცდილობ, თავი ხელში ავიყვანო, რომ სხვები არ დაზრალდნენ. როცა პატარა ხარ, ძირითადად, ემოციებით ცხოვრობ: იგრძნობ და აკეთებ. მაგრამ, რომ იზრდები, უკვე აკვირდები ხალხს, საკუთარ თავსაც უკეთ შეიცნობ, ფსიქოლოგიურად უდგები ბევრ რამეს, ემოციებს აკონტროლებ. ეს არ არის ცუდი და გამოცდილებასთან ერთად მოდის. ასეთ დროს უფრო მეტ ჰარმონიას გრძნობ. ჩარჩოები ყოველთვის საჭიროა. თითოეული ადამიანი პატარა სამყაროა, თავისი კანონებითა და ჩარჩოებით და როცა ეს ყველაფერი ირღვევა, ქაოსი, არეულობა ისადგურებს შენში და შენ ირგვლივაც. ამიტომ, ჩარჩოები ყოველთვის აუცილებელია. უბრალოდ, მათში არ უნდა ჩაიკეტო და ზოგჯერ, თუ საჭიროა, გარღვევაც უნდა შეძლო. ბოლო პერიოდში ერთი რამ აღმოვაჩინე საკუთარ თავში – ველარ ვენდობი მამაკაცებს, რადგან მათგან ბევრი არაორდინარული ქმედებაა მოსალოდნელი. ადრე რომ ეთქვათ: ეს სარკე ვარდისფერიაო და არადა თეთრი იყო, ვიტყოდი: კი, ვარდისფერია-მეთქი – მისი თვალით შევხედავდი. ახლა, არ არის ასე. თუ მცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემს ცხოვრებაში იყო ისეთი ადამიანი, ვინც ცუდად მოიქცა და გული მატკინა.

**– შენ არავისთვის გიტკენია გული?**

– ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. შეიძლება არ მდომებია, მაგრამ ასეთი რამ მომხდარა. ადამიანებს უყვართ თამაში, რითაც არც თავად არიან ბედნიერნი. როდესაც ნამდვილი ხარ და ვისთანაც ურთიერთობა გაქვს, ისიც ნამდვილია, ერთად ქმნით რაღაცას ჯადოსნურს, ჰარმონიულს – ასე უნდა იყოს ქალისა და კაცის ურთიერთობაშიც, სიყვარული არ არის ადვილი. მე ახლა ძალიან კარგად ვარ – ჰარმონიულად საკუთარ თავთან, გარემოსთან, საქმესთან. ჩემმა პროფესიებმა თავისთავად მიპოვეს და ალბათ, ასე უნდა მიპოვოს სიყვარულმაც. მამაკაცი თავად უნდა მიხვდეს, როგორ მოიქცეს, რა გააკეთოს, რომ მე მის გვერდით ვიყო. ის უნდა იყოს ჩემი შთაგონების წყარო, ისევე როგორც მე მისთვის. ხელოვანისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ისევე როგორც სულიერი ჰარმონია. იმ ფერებს, რაც ჩემშია, მე მას აუცილებლად ვაჩუქებ და ვეცდები, მისი ცხოვრებაც გავაფერადო.



**მე მათ შესახებ არასდროს არსად არაფერი მითქვამს, თუმცა შემეძლო, ჩემი ინტერვიუებითა და ფოტოებით საკმაოდ დიდი თანხა გამეკეთებინა – ასეთი შემოთავაზებები არაერთხელ იყო**

**– როგორც ვიცი, საკმაოდ პატარა ასაკიდან დამოუკიდებლად ცხოვრობ და მუშაობ.**

– ყოველთვის დამოუკიდებელი და აქტიური ბავშვი ვიყავი. ბებიის მხრიდან კაზაკურმა სისხლმა უფრო მიზანდასახული, მებრძოლი გამხადა. დედის აქტიური ხასიათი, მამის სულიერი ჰარმონია შეერწყა ერთმანეთს ჩემს ხასიათში და ერთად, ამდენი თვისება შევიძინე. საკმაოდ ბევრი საქმე ვცადე, რომ მივმხვდარიყავი, საბოლოოდ რა უნდა მეკეთებინა. პატარა ასაკში ვმუშაობდი ოპერატორად, გადავიღე მოკლემეტრაჟიანი ფილმი – ყველაფერს ვაკეთებდი, რაც ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, მუდმივად მინდოდა, მეკეთებინა ის, რაც ხალხს ბედნიერებასა და სიხარულს მიანიჭებდა, სიყვარულს აჩუქებდა. ოღონდ ისე, რომ თავადაც ამ სიყვარულსა და ჰარმონიაში ვყოფილიყავი. შემეძლო, ყველა კარი გამეღო და მეთქვა: მე ამის კეთება მინდა, ეს მაინტერესებს, რადგან ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია – მთავარია, მიზანი ჰქონდეს და იპოვოს გზა მიზნისკენ. 15 წლის ვიყავი, როცა პირველი სამუშაო მქონდა. სკოლაში ვსწავლობდი და ზაფხულში, არდადეგებზე ერთ-ერთ ტელევიზიაში სტაჟირებაზე წავედი. მონტაჟსაც ვსწავლობდი, გადაღებასაც, ჟურნალისტადაც ვმუშაობდი, გადაცემის ჩაწერასაც ვესწრებოდი და სწორედ ამ დროს ავიღე ჩემი პირველი ხელფასი. სტუდიაში ვმუშაობდი დიდ კამერაზე, პატარა ხელებით ძლივს რომ ვიმორჩილებდი, მაგრამ ისეთი აზარტული იყო... გადაღებაზე დავდიოდი მხარზე კამერით, ჩემთან ერთად 15-20 ოპერატორი იდგა. ყველა მამაკაცი – 40 წლის ზემოთ და მე პატარა გოგონა, მთლად ბავშვი. ფოტოებს მიღებდნენ, მოდიოდნენ, მეკითხებოდნენ რაღაცეებს. მერე ფოტოგრაფიით დავინტერესდი. ბევრი ცნობილი ადამიანი მოხვდა ჩემს ობიექტივში. შემდეგ დიზაინერობამ გამიტაცა და ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რა მინდა, ვაკეთო მთელი სულითა და გულით.

**მე მათთან ერთად მიწევდა გარკვეული დროის გატარება, ასე იყო ბერეზოვსკის შემთხვევაშიც – რაღაც პერიოდის განმავლობაში მის ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი**

**– ძალიან ბევრი ცნობილი ოჯახის, რუსი და უცხოელი ბიზნესმენების პირადი ფოტოგრაფი იყავი. რატომ გირჩევდნენ შენ?**

– ამ საქმეში მთავარი ნდობაა, რადგან ისინი პირად ცხოვრებაში, პირად სამყაროში გიშვებენ. მე მათთან ერთად მიწევდა გარკვეული დროის გატარება. ასე იყო ბერეზოვსკის შემთხვევაშიც – მის ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი გარკვეული პერიოდი. მათ ცხოვრების წესებს ვეცნობოდი, მაგრამ ისინი ყოველთვის მენდობოდნენ. მე მათ შესახებ არასდროს არსად არაფერი მითქვამს, თუმცა შემეძლო, ჩემი ინტერვიუებით, ფოტოებით საკმაოდ დიდი თანხა გამეკეთებინა. ასეთი შემოთავაზება არაერთხელ იყო. მაგრამ, ჩემთვის მთავარი მაინც ადამიანების ნდობა და სიყვარულია, ამიტომ ეს ფოტოები და მათი პირადი ცხოვრება მხოლოდ ჩვენ შორის რჩებოდა, არასდროს გამომიყენებია ის ფულისა და პიარისთვის.

**– შენს ცხოვრებაში იყო ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარდი, შენი ცოლად მოყვანაც უნდოდა, მაგრამ უარი უთხარი.**

– მოსკოვში, ჩემს წრეში, რომელიც საკმაოდ დიდია, რადგან პროფესიიდან გამომდინარე, ძირითადად, მედიასთან, შოუ-ბიზნესთან, მსახიობებთან მაქვს ურთიერთობა, ეს თემა დიდხანს იყო განხილვის საგანი. მოსკოვი კი დიდი ქალაქია, მაგრამ მაინც ძნელია, რაიმე დაიმალოს. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაში, თუმცა დასამალი არც არაფერი ყოფილა. არსებობდა ადამიანი, საკმაოდ

(გაგრძელება 50-ე გვერდზე)



გვ.18

# როდის დამთავრდებოდა ნინი წიკლაურისა და თემო ტულუშის ურთიერთობა ფატალურად და როგორ გადაწყვიტეს მათ 12-წლიანი მეგობრობის შემდეგ დაქორწინება



გვ.50

ეს ძალიან კატასტროფული მოვლენაა და მისი ნაკვალევი დედამიწაზე არსებობს

# შესაძლებელია თუ არა, მზის სისტემაში ისეთი ცვლილება მოხდეს, რომ დედამიწაზე კატასტროფა გამოიწვიოს



მე მათ შესახებ არასდროს არსად არაფერი მითქვამს, თუმცა შემეძლო, ჩემი ინტერვიუებით და ფოტოებით საკმაოდ დიდი თანხა გამეკეთებინა – ასეთი შემოთავაზებები არაერთხელ იყო

# ვის „გამოექცა“ მოსკოვიდან თბილისში მარიამ მათურელი და რატომ უთხრა მან მოსკოვში ცნობილ ბიზნესმენს ცოლობაზე უარი

გვ.63


ISSN 1987-569X

9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღ… თბილ… – შიგ ჩასმული ბადახში

თბილი… ები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №5 (788) … 1–7 თებერვალი * ფასი 1,50 ლარი